

# მ მ ა მ ბ ე

თეორიული ჟურნალი

წელიწადი მეორე

**№ VIII**

აგვისტო, 1905



© ფილის

საბჭოთაო საზოგადოებრივი საბჭო

1905

## შინაარსი

I—ვილჯელმ ტელი.—დრამა 4 მოქმედებად შილდერისა თარგმანი (დასასრული) ა. ბაქრაძისა . . . . .	83- 1
II—დანაშაული და სასჯელი.—რომანი ექვს ნაწილად თ. შ. დოსტოვესკისა, ნაწილი მეოთხე, თავი I—III. თარგმანი ინ-ანისა . . . . .	71
✓ III—ბრიტანიის მუზეუმის ქართული ხელნაწერები. ა. ხახანაშვილისა . . . . .	1
✓ IV—დადგენილება სახელმწიფო საბჭოსი . . . . .	21
V—ნარკვი.—1) რესპუბლიკა და ხალხის კეთილ-დღეობა.—2) ახალი ზელანდია.—3) ხელოვნური აბრეშუმი.—4) გული სი- კვდილის შემდეგ.—5) ვიგორიტი.—6) ხელოვნურად დაფე- რადება პეპელებისა.—7) კრემნიტი.—8) ძველებური თოფი. —9) ინგლისური უნივერსიტეტები.—10) რუსეთის განათლე- ბის დასამტკიცებლად. . . . .	56
✓ VI—ზინაური მიმოხილვა.—ეროვნული საკითხი და დე- ცენტრალიზაცია მოსკოვის სეერობო და საქალაქო მოღვა- წეთა კრებაზე.—სათავად-აზნაურო გიმნაზიის საქმეები. გ. რ.	65

### დასამტკიცა:

VII—ზინეალური ძივია.—ა. კლდიაშვილისა . . . . .	145—160
--	---------



# ვილჰელმ ტელლი

დრამა 4 მოქმ., შილდერისა

მოქმედება მესამე

პირველი სცენა

ტელის ეზო იმის სახლის წინ.

ვილჰელმ ტელლი ნაჯახით ხელში რაღაცას აკეთებს; ჰედვიგი გართულია საოჯახო სამუშაოთი. ვალტერ და ვილჰელმ სცენის სიღრმეში მშვილდ-ისრით თამაშობენ.

**ვალტერ** (მდერის). მონადირე ადრე დილით  
მზის სხივებთან წამომდგარი,  
ალქურვილი მშვილდ-ისრითა  
მოდის მთებში უშიშარი.

ვით ჰაერის სივრცეშია  
მეფე არი მხოლოდ ქარი,  
ისე მთებშიც მბრძანებელი  
მხოლოდ მშვილდოსანი არი.

მთელი სივრცე, სადაც სწვდება  
მისი მშვილდი და ისარი,  
და რაც ფრინავს იქ, ან დადის,  
ყველაფერი მისი არი. —

(წამოხტება).

ლარი გამიწყდა. გამიკეთე, ჩემო მამილო.

**ტელ**. ვერ გაგიკეთებ. ვინც ნამდვილი მშვილდოსანია,  
იგი თვითონვე უშველის თავს. (ბავშვებზე მოშორდება).

**ქეღვიძ.**

ჩვენი ბავშვები

ადრე იწყებენ მშვილდოსნობასა.

**ტელ.**

ვისაც კი სურს, რომ

ოსტატი გახდეს, ადრე უნდა დაიწყოს სწავლა.

**ქეღვიძ.** ახ ღმერთსაც ექნას, რომ მათ სროლა სულ არ ის-  
 [წავლონ!

**ტელ.** დამიჯერე, რომ ყველაფერი უნდა ისწავლონ.

ვისაც კი სურს, რომ გამარჯვებით განვლოს ცხოვრება,  
 ის უნდა მარად აღჭურვილი იყოს ბრძოლისთვის.

**ქეღვიძ.** ვერც ერთი სახლში ვერა ჰპოვებს მოსვენებასა.

**ტელ.** დედაო, არც მე შემიძლია, რომ მოვისვენო.

ბუნებას მწყემსად, როგორც ვხედავ, არ შეუქმნივარ.

მოუსვენარათ უნდა ვსდიო მიმფრინავ მიზანს  
 და მხოლოდ მაშინ ვსტკბები რიგზე ჩემი სიცოცხლით,  
 როცა ყოველ-დღე ახალ-ახალს მოვინადირებ.

**ქეღვიძ.** და არც კი ფიქრობ, თუ რა შიშს გრძნობს დიასახლისი,  
 როცა შინ არ ხარ და მოგელის მოუთმენელათ.

შიში მიტაცებს, როს მუშები მეუბნებიან,  
 თუ რა გაბედულ და საფრთხილო საქმეთ სჩადიხართ.  
 როცა მშორდები, სულყოველთვის შიშით ვკანკალებ,  
 ვფიქრობ, ვაი თუ ვერ დაბრუნდეს თავის დღეშითქო!  
 ხან მეჩვენება, ვითომ მწირს და ყინვიან მთებში  
 გზა დაბნეულსა კლდიდან კლდეზე გადახტომის დროს  
 ფეხი გიცდება; ხანაც ვხედავ, რომ ჯიხვი კლდიდან  
 უფსკრულს ხტება და თან გიტაცებს; თითქო ქარბუქი  
 თოვლში ღრმათ გმარხავს; ვითომ ყინვა ფეხ-ქვეშ გემტე-  
 და ძირს ვარდები, იმარხები საშინელ ხვრელში... [რევა  
 ახ, მონადირეს უდარაჯებს შავი სიკვდილი  
 ათას სხვა და სხვა სახით და გზით მოვლინებული!  
 ეს უბედური ხელობაა, რომელიც ხშირათ  
 უფსკრულისაკენ მიაქანებს იმის მიმდევარს.

**ტელ.** ვინც ჭკუაზეა და სიფრთხილით მიმოიხედავს,  
 ვინც მიენდობა ღმერთს და თავისს მარჯვენის ძალას,

ის სულყოველთვის დაიხსნის თავს გაქირვებისგან.  
ვერ შეაშინებს იმას მთები, ვინც რომ მთებზეა  
დაბადებული. (სამუშაო გაათავა და ნაჯახს განზე სდებს)  
მე მგონია, რომ აწ ჩვენს ქიშკარს  
კიდევ კაი ხანს შეკეთება არ დასჭირდება.  
ნაჯახი ხუროს ხარჯისაგან გვათავისუფლებს.  
(ქუდს აიღებს).

ქედვაგ. საით მიდიხარ?

ტელა. მამაშენთან მივდივარ ალტორუს.

ქედვაგ. გულწრფელათ მითხარ, რამე საფრთხეს არა წინათ-  
ტელა. აბა, მაგ კითხვას რისთვის მძღვე? [გრძნობ?

ქედვაგ. რაღაც მზადდება

ჩვენი ფოგტების წინააღმდეგ. ვიცი ნაკაფში  
ყრილობა იყო და კავშირში შენც ურყევიხარ.

ტელა. მე არ ვყოფილვარ ყრილობაზე, მაგრამ სამშობლომ  
თუ მომთხოვა მე სამსახური, არ გავიქცევი.

ქედვაგ. სადაც საფრთხეა, იცოდე, იქ დაგაყენებენ,  
და ძნელი საქმე მუდამ შენი ხვედრი იქნება.

ტელა. ყოველ ჩვენგანსა შესაძლებელი მოეთხოვება.

ქედვაგ. ამას წინადაც, როგორც მითხრეს, საფრთხილო საქმე  
ჩაგიდენია. ტბის დელვის დროს უნტერვალდენის  
ერთი მცხოვრები ნავით გაღმა გაგიყვანია.  
სასწაულია, რომ გადარჩით. თავს რომ სწირავდი,  
ნეტავ შენ ამ დროს არ ფიქრობდი ცოლსა და შვილზე?

ტელა. კიდევ იმიტომ დავიხსენი შვილების მამა,  
რომ თქვენ მახსოვდით, ჩემო კარგო და საყვარელო.

ქედვაგ. მძვინვარე ტბაში ნავით შესვლა დღეთის გამოცდაა!

ტელა. ვინც დიდხანს ფიქრობს, ის ყოველთვის ცოტას აკეთებს.

ქედვაგ. გულკეთილი ხარ და მზადა ხარ შევიწროებულს  
გამოესარჩლო. მაგრამ თუ ყი შენ გავიქირდა,  
არვინ გიშველის.

ტელა. ისეთი დღე ღმერთმა მაშოროს,

რომ სხვისი შევლა-დახმარება არ მჭირდებოდეს.

(იღებს შეიღდსა და ისრებს.)

**ქედვიგ.** შეილდი რათ გინდა? შინ დასტოვე.

**ტელ.**

უიარალო

ჩემს თავს ისე ვგრძნობ, არა მქონდეს თითქოს მარჯვენა.  
(ბავშვები მოდიან)

**ვალტერ.** საით მიდიხარ მამაჩემო?

**ტელ.** ბაბუასთან მივდივარ, ბავშო;

გინდა წამოსვლა?

**ვალტერ.** როგორ არა! დიალაც მინდა.

**ქედვიგ.** ლანდფოგტი ახლა ალტორფშია. მოშორდი იმას.

**ტელ.** დღესვე შინ მიდის.

**ქედვიგ.**

მოიცადე, სანამ ის წავა.

ნუ გააჯავრებ, ხომ იცი, რომ ის ჩვენ გვიწყურება.

**ტელა.** მე რას დამაკლებს მისი წყრომა. როცა სამართლით ვიქცევი, მაშინ არა-რა მტრის არ მეშინია.

**ქედვიგ.** ვინაც სამართლით მოქმედებს, ის ლანდფოგტს უფრო  
[სძულს.

**ტელ.** მიტომ, რომ იმათ ვერ ჰკიდებს ხელს. მე კი მგონია, რომ ის რაინდი არ დამირღვევს მე მყუდროებას.

**ქედვიგ.** აგრე გგონია?

**ტელ.**

ამას წინეთ მე ვნადირობდი;

შებენის პირზე უვალ ტყეში, კლდიან ბილიკით

მივდიოდი; იქ არსად იყო გადასახვევი,

რადგან ზევიდახ დამყურებდა კედელი კლდისა,

ძირს კი საშინლად ღრიალებდა შებენის წყალი.

(ბავშვები მოაბრუნენ, დადგებიან ტელდის მარჯვნივ და ცნობის მოუვარკობით უუჩს უკვებენ).

ამ დროს შევნიშნე, მოდიოდა პირდაპირ ჩემსკენ ლანდფოგტი გესლერ. ჩემს პირდაპირ მარტო ის იდგა,

მეც მარტო ვიყავ და მოწამე იყო უფსკრული.

როცა გესლერმა დამინახა და მიცნო კიდევ,

გაახსენდა, რომ ცოტა ხნის წინ მძიმედ დამსაჯა

რალაცა მცირე შეცდომისთვის. ახლა კი შემხვდა

თავით ფეხამდე აღჭურვილსა. შეკრთა, გაფითრდა,

მუხლთ მოეკვეთა და უთუოდ უფსკრულისაკენ  
 გაღეშებოდა, შემებრაღა, მივედი მასთან  
 და მოვახსენე: მე გახლავარ, ბატონო ლანდფოგტ.  
 მაგრამ პასუხის თავი იმას აღარა ჰქონდა,  
 მხოლოდ მანიშნა ხელით ჩუმათ, ჩაიარეო;  
 მეც გავეცალე და ამაღა დავადევნე მას.

ქედვიგ. ოჰ, უბედურო! შიშით თართოღა შენს წინ ლანდ-  
 [ფოგტი!

სუსტათ რომ ნახე, თავის დღეში არ მოგიტევებს.

ტელა. და ამიტომაც გავურბი და არც ის მომძებნის.

ქედვიგ. ალტორფს ნუ წახვალ, — სანადიროთ სჯობს წახვიდე

ტელა. რა დავემართა? [დღეს.

ქედვიგ. მეშინია. ნუ წახვალ ალტორფს.

ტელა. როგორ იქნება უმიზეზოთ მაგდენი ტანჯვა?

ქედვიგ. სწორედ იმიტომ, რომ არ ვიცი რაა მიზეზი.  
 დარჩი დღეს სახლში.

ტელა. საყვარელო, ჩემო მეუღლე,  
 უნდა წავიდე, რადგან სიტყვა მაქვს მიცემული.

ქედვიგ. თუ საჭიროა, წადი, მაგრამ ბავშვი დასტოვე.

გალტერ. არა, დედილო, მეც მამასთან უნდა წავიდე.

ქედვიგ. ვალტი, შენც სტოვებ დედა-შენსა?

გალტერ. ბაბუასაგან  
 თან წამოვიღებ რალაცაებს. (მამას მიჰყვება).

ვალქელა. მე შენთან ვრჩები.

ქედვიგ. (ჩაიკრავს გულში)

შენ ხარ ძვირფასი ჩემი შვილი, შენ-ღა მივიხარ!

(გადის ჭიშკარში და დიდხანს უეურებს წასულებს).

### მეორე სცენა

ერთი შემოკრული განმარტოებული ადგილი; მაღალ კლდე-  
 ბიდან ნაკადნი გადმოჩქეფვენ.

ბერტა. (სანადირო ტანისამოსით; მალე გამოჩნდება რუდენტი).

ბერტა. ისიც თან მომდევს, ახლა მაინც ვეტყვი ყველაფერს,

**რუდენც.** (ცხენით შემოვა სჩქარად).

ქალწულო, ახლა როგორც იქნა მარტოკა გნახეთ.  
 ჩვენ გირს გვარტყია უფსკრულები, უმოწმოთა ვართ,  
 რაც გულში მქონდა დაფარული, ახლა უნდა ვსთქვა...

**ბერტა.** მერე რა იცი, რომ სხვებიც არ მოდიან უკან?

**რუდენც.** მონადირენი შორს არიან. დღეს ან არაოდეს!  
 ამ წამით უნდა ვისარგებლო... დღეს ჩემი ბედი  
 უნდა გადაწყდეს, თუნდა ამით სამარადისოთ  
 დაგშორდეთ კიდევ. ოო, კეთილი თქვენი თვალები  
 ეგრეთი რისხვით ნუ აღქურვით! ვინა ვარ მე, რომ  
 ასე თამამათ ჩემი ნატვრა აღვმართე თქვენკენ?  
 ჩემი სახელი ჯერ არ არის გამოჩენილი,  
 მე ვერა ვბედავ ჯერ ჩაღვომას იმ წაინდთ გუნდში,  
 რომელნიც ბრწყინვით და დიდებით გარს გვევლებიან.  
 მე სხვა ღირსება არა მაქვს-რა, გარდა გულისა,  
 გარდა თქვენდამი ერთგულ გზა-სიყვარულისა,

**ბერტა.** (დინჯათ და მკაცრათ).

როგორა ბედავთ თქვენ ლაპარაკს ერთგულებაზე,  
 როცა ორგულობთ თქვენს უმაღლესს მოვალეობას?

(რუდენც უკან დახევს).

თქვენ ხომ მონა ხართ ავსტრიისა, მონა, რომელმაც  
 თავი მიჰყიდეთ თქვენი ერის დამჩაგრელ მტარვალს?

**რუდენც.** ქალწულო, თქვენგან ესმისთ ჩემს ყურთვე საყვედური?  
 თუ არა თქვენა, მაშ ვის ვეძებ მე მტრის ბანაკში?

**ბერტა.** როგორ? იქ ფიქრობთ თქვენ ჩემს პოვნას, სადც დალა-  
 [ტია!

მე უფრო ჩქარა გავყვებოდრი ცოლად გესსლერსა,  
 ვიდრე თქვენ, მკვიდრ შვილს დაჩაგრული შვეიცარიის!  
 მამულის დამგმობს და იარაღს სამშობლოს მტრისას!

**რუდენც.** ღმერთო, რა მესმის?

**ბერტა.** აბა ბრძანეთ, კარგი კაცისთვის  
 უფრო ძვირფასი სხვა ვინ არის, თუ არა შვილნი  
 მისივე ქვეყნის? კეთილშობილ ადამიანის

მოვალეობა ფრიად დიდი და მშვენიერი,  
 გაქირავებულია შველა არი და მართალთ დაცვა.  
 სისხლით შევსება, მტკივა გული თქვენი ხალხისთვის.  
 დიახ, მეც მასთან ვიტანჯები სულით და გულით,  
 რადგან მიყვარს ის, ეგზომ წყნარი, ძალით აღსავსე;  
 ჩემს გულს იზიდავს იგი ხალხი, პატივსა ვსცემ მას.  
 თქვენ კი რას შვრებით? ბუნებაში და რაინდების  
 მოვალეობამ თქვენ აღგნიშნათ ხალხის მფარველად,  
 თქვენ კი მას სტოვებთ, ლალატობთ და მტერს ეკედლებით  
 და საკუთარი მამულისთვის ბორკილებს ქედავთ.  
 თქვენ მე ამითი შეურაცხყოფთ და მტანჯავთ კიდევ,  
 და თითქმის მზად ვარ შეგიძულოთ მაგის გულისთვის.

**რუდინც.** მე ხომ უკეთესს ვნატრობ ჩემი მამულისათვის?  
 ავსტრიის სკიპტრის ძღვევამოსილ მფარველობის ქვეშ  
 მშვიდსა ცხოვრებას...

**ბერტა.** მონობა გსურთ, რომ განამტკიცოთ  
 თქვენს სამშობლოში. თქვენ გინდათ რომ თავისუფლება  
 ამ უკანასკნელ კუთხიდანაც გამოაძევოთ,  
 რომელშიაც ის ჯერე კიდევ არ მოსპობილა.  
 ხალხს უკეთ ესმის საკუთარი ბედნიერება  
 და გარეგანი ბრწყინვალეობით ვერ მოატყუებთ.  
 ავსტრიელებმა თავზე ბადე გადმოგაფარეს...

**რუდინც.** ახ, ბერტა! გძულვართ, გეზიზღებით!

**ბერტა.** ნეტავ შემეძლოს!  
 ეს უკეთესი იქნებოდა უთუოდ ჩემთვის.  
 მაგრამ ძნელია, როცა ვხედავ ზიზღის ღირსად მას,  
 ვისიც, იქნება, შეყვარებაც კი შემეძლებიყო...

**რუდინც.** ახ, ბერტა! ბერტა! მაგ სიტყვებით თქვენ დამანახვეთ  
 ღვთაებრივ მშვენი ნეტარება და კვლავ წამართვით.

**ბერტა.** ო, არა, არა! თქვენში, ვხედავ, პატიოსნება  
 ჯერ კიდევ სრულათ არ გამქრალა. მას მხოლოდ სძი-  
 [ნავს  
 და მე მინდა, რომ გავაღვიძო. თქვენ ტყვილათ ცდილობთ,

რონ მოკლათ თქვენში ღირსებანი თანდაყოლილნი,  
ისინი თქვენზე უფრო მძლავრი არიან და თქვენც  
უნებურათ ხართ კეთილი და პატიოსანი!

**რუდეტ.** მაშ მაგ აზრის ხართ? ბერტა, თქვენი სიყვარული მე  
იმად გარდამქნის, რადაც თქვენ გსურთ!

**ბერტა.** ის უნდა იქნეთ,  
რადაც შეგქმნათ თქვენ მდიდარმა და უხემა ბუნებამ,  
და შეასრულეთ ის, რაც იმან თქვენ დაგავალათ:  
გამოესარჩლეა თქვენს სამშობლოს და თქვენი ხალხის  
უფლებებისთვის მხნეთ იბრძოლეთ!

**რუდეტ.** ვაჰ, მე უბედურს,  
როგორ ვიშოვნო თქვენი თავი, როგორ დაგიპყროთ,  
თუკი ხელმწიფის ნება-სურვილს წინააღმდეგ?  
ხომ ნათესავთა მძლავრი ნება ბრძანებლობს თქვენზე,  
როგორც მტარვალი?

**ბერტა.** მამული მაქვს ტყის კანტონებში.  
შვეიცარელი თუ იქნება თავისუფალი,  
თავისუფალი ვიქნები მეც.

**რუდეტ.** თქვენ თვალებს მიხელთ!

**ბერტა.** ნუ იმედოვნებთ, რომ ავსტრიის გულის მოგებით  
დაისაკუთროთ ჩემი თავი, ჩემს მიწებისკენ  
ხელებს სწვდიან და ოცნებობენ ჩემი მამულის  
მათ მამულებთან შეერთებას. იგი სიხარბე,  
რომელიც ჩანთქმას უქადის თქვენს თავისუფლებას,  
ჩემსასაც იმას ემუქრება, ექვი არ არი.  
ო, მეგობარო ზვარაკად ვარ მე არჩეული,  
რათა ხელმწიფემ თვისი მომხრე დააჯილდოვოს...  
ჩემი მიყვანა უნდათ იმათ ხელმწიფის კარზე,  
სადაც სუფევენ შური, მტრობა და ორპირობა,  
სადაც მელიან საზიზღარი მე ბორკილები  
ქორწინებისა. ასე არის და ახლა მხოლოდ  
თქვენს სიყვარულს-და შეუქლია ჩემი გამოხსნა.

**რუჯანც.** თქვენ შეგიძლიათ აქ ცხოვრება? თანახმა ხართ, რომ ჩემს სამშობლოში ჩემი გახდეთ! ოჰ, ბერტა, ბერტა! შორის ქვეყნისკენ მიმართული ჩემი ნატვრები თქვენ გველებოდნენ გარს, ძვირფასო! დიდების გზაზე მე თქვენ გეძებდით, სხვას არაფერს! ჩემი პატივის მოყვარეობაც გულში მიტომ ძლიერდებოდა, რადგან მიყვარდით. შეგიძლიათ, რომ ჩემთან ერთად ამ ხეობაში ჩაიკეტოთ და თქვენი ნებით ხელი აიღოთ ამა ქვეყნის ბრწყინვალეობაზე?.. თუ ეს ასეა, მიზანიც ხომ მიღწეულია, აწ თუნდა

[ზვირთნი

მძინვარ ცხოვრების დაენარცხონ ამ მტკიცე კლდეებს... მე სხვა ნატვრები აღარ მჩხება, რომ ცხოვრებისა შორსა სივრცეში აღრინდულად მიმოვაგზავნო... აწი თუ უნდა ამ კლდეებმა ჩვენს გარეშემო აღმართონ მალლა გადუკალი, მტკიცე კედელი, რომ ეს ხეობა სანეტარო, შემოზღუდული ცისაკენ ღია დარჩეს ჩვენთვის, განათებული!

**ბერტა.** ვხედავ, არ შევსციდი და შენ ახლა იმისთანა ხარ, როგორსაც ხოლმე ოცნებაში წარმოვიდგენდი!

**რუჯანც.** გასწი, გამშორდი შენ, მაცდურო, ფუქო ოცნება! ბედნიერებას მოვიპოვებ ჩემს სამშობლოში. აქ, სადაც ბავშობა მხიარულად მიტარებია, სადაც ათასი სიხარული მე მაგონდება, სადაც ათასი წყარო და ხე ჩემთვისა ცხოვრობს, აქ, ჩემს სატრფოსა ვეყვარები, ჩემი იქნება ჩემი სამშობლო, ვგრძნობ ახლა, რომ მარად მიყვარდა! და ბედნიერად ყოფნისათვის მხოლოდ ის მაკლდა!

**ბერტა.** აბა, სად არის სხვა კუნძული ნეტარებისა, თუ არ ეს მხარე სიმათლის და უმანკოების, სადაცა სუფევს ერთგულება ჩვეულებრივი, სად ორპირობას ჯერ ადგილი არ უპოვნია? აქ ნეტარების წმინდა წყაროს არ ამღვრევს შური

და დღენი ჩვენიც განიგლიან სულ სიხარულში.  
 შენც გნახავ მაშინ ვაჟკაცური ღირსებით შემკულს,  
 პირველს სწორთა და თავისუფალ ვაჟკაცთა შორის,  
 თავისუფალთა მოძმეთაგან პატივცემულსა,  
 დიდებულს, ვითა მეფეს თავის ვრცელ სამეფოში,  
 შენი ხალხისთვის მხნეთ მომკმედს და გატაცებულსა!

**რუდენც.** მაშინ შენც გნახავ, შენ გვირგვინო სულ ყველა ქალთა,  
 საქმეში გართულს მომხიბლავის მშვენიერებით  
 ჩემს სახლში მაშინ აღმიშენებ ცას და ვარსკვლავთა;  
 ვით გაზაფხული მთელს ქვეყანას რთავს ყვავილებით,  
 შენც მშვენიერი ნაზი სულით დღეს დამიმშვენებ,  
 ირგვლივ ყველაფერს გააცოცხლებ და ანეტარებ!

**ბერტა.** ახლა ხომ ხედავ, მეგობარო, ჩემო ძვირფასო,  
 რატომ ვიყავი დღევანდლამდე ასე მწუხარე!  
 შენივე ხელით ისპობდი შენს ბედნიერებას!  
 ვაჰ, მე უბედურს! არ ვიცი რა მომივიდოდა,  
 ხალხის დამჩაგვრელ ამაყ რაინდს რომ წავეყოლოდი.  
 მას ბნელ ციხეში, არსად არი აქ ციხეები,  
 მათი კედლები ხალხისაგან არ მაშორებენ,  
 რომელსაც მინდა შევუშმატო ცხოვრების ტვირთი.

**რუდენც.** მაგრამ როგორ-ღა დავაღწიო თავი ამ მახეს,  
 რომელშიც თვითონ სისულელით გავყავი თავი?

**ბერტა.** დაამსხვრიე ას ვაჟკაცური გამბედაობით!  
 რაც უნდ იქნეს, შენ შენს ხალხსა გამოესარჩლე!  
 ეს არის შენი ბუნებრივი მოვალეობა.  
 (შეჩაღამ მთისმის სანადირა ბუკის ხმა)  
 მონადირენი მოდიან და სჯობს, რომ მომშორდე.  
 მხოლოდ გახსოვდეს, შენი ბრძოლა სამშობლოსათვის  
 იმავე დროსა არის ბრძოლა სიყვარულისთვის.  
 ჩვენ სუყველასა ერთი მტერი გვათრთოლებს შიშით,  
 თავისუფლება ქვეყნის ყველას გვანთავისუფლებს!  
 (გადაიან)

მისამ სენა

მინდორი ალტარფში. სენის წინა მხარეზე ხეები დგას; სენის სიღრმეში კი მოჩანს ბოძი, რომელზედაც ქუდი ჰკიდია.

ფრისჭარდი და ლეიტქოლდი დაწაჯად დგანან.

**ფრისჭარდი.** ტყვილად ვდარაჯობთ. აქ არავის არ უნდა მოსვლა. წინეთ ყოველთვის სავეს იყო ეს მოედანი, მაგრამ კი მალე ერთიანათ დაცარიელდა მასუკან, რაც ეს საფრთხობელა აქ ჩამოჰკიდეს.

**ლეიტქოლდი.** მხოლოდ უბრალო, შავი ხალხი, თუ ჩნდება  
[ხოლმე  
და გვიქნევს თავის დაგლეჯილ ქუდს გასაჯავრებლად. უკეთესნი კი არსად ჩანან. შორს გზას არჩევენ, რომ ამ ქუდის წინ თვისი ქედი არ მოიხარონ.

**ფრისჭარდი.** მათ უნდა სწორეთ ამ ადგილზე გამოიარონ, როცა ქალაქის საბჭოდანა შინ ბრუნდებიან. მეც ამასწინეთ წადირობის იმედი მქონდა, რადგან არც ერთი იმათგანი ქუდს არ იხდიდა.. ამ დროს გამოჩნდა როსსელმანი, მათი ხუცესი; ივანეყოფთანა ყოფილა და შინ მიდიოდა. მოვიდა, დადგა ჯვარცმით ხელში სწორედ ბოძის წინ, და დიაკვანმაც თვისი ზარა დაარაწყუნა: მაშინვე ყველამ და მეც მათთან, დავიჩოქეთ და თაყვანი ვეცით, ქუდს კი არა, არამედ ჯვარცმას.

**ლეიტქოლდი.** იცი, ძმობილო, ერთმა ფიქრმა გამივლო გულში: ჩვენ აქა ვდგევართ, ამ ქუდის წინ, როგორც დასჯილნი, პატივ ახდილნი, სამარცხვინო ბოძზე მიკრულნი. თვითონ იფიქრე, სირცხვილია ჯარის კაცისთვის, რომ უდარაჯოს ამ ცარიელ ქუდს ამ მინდორში.. ყოველ რიგიან კაცს ჩვენ უნდა ვეზიზღებოდეთ. ყველამ სალამი მიეცითო ამ ცარიელ ქუდს!

ეს, დამიჯერე, სულელური ბრძანება არი!

**ფრანკად.** რატომ ცარიელ ქუდს არ უნდა მივსცეთ სალამი? ცარიელ გოგრის წინაშე ხომ ხშირად იხრი ქედს?

(შემოდის ბავშვებითურთ ჭულდკარად, მეხტილად, და ელსბეთი და დადგებიან ბოძის გარშემო.)

**ჯეიტკლად.** ვიცი, შენ მუდამ უფროსების მორჩილი იყავ და მზად ხარ ამ ხალხს მოუტანო უბედურება.

ვისაც უნდა, მან აუაროს კვერდი ამ ქუდსა, მე თვალებს ვხუჭავ და ბოძისკენ არც ვიხედები.

**მესტილად.** ჩუმათ ბავშვებო, ჩვენი ფოგტი ჰკიდია ეგერ!

**ელსბეთ.** ღმერთმაც ქნას ფოგტი ჩვენ ქვეყანას მოშორებოდეს და მის ადგილზე დაგვჩინოდეს თუნდ მისი ქული!

ამით ქვეყანას არაფერი დააკლდებოდა!

**ფრანკად** (გაღიხის მათ). წადით აქედან! დაიკარგეთ! თქვენ [დაწყევლილო,

დედათა სქესნო! რა გინდათ აქ? ვინ გაბატონობდათ?

აქ გამოგზავნეთ თქვენი ქმრები და თუ ვარგიან,

ჩვენი ლანდფოგტის ბრძანებას ნუ შეასრულებენ!

(ქალები გადაიან)

(შემოდის ტელდი შეილდ-ისრით ხელში; თან ბავშვი მოჭყავს; ჩაივლიან ისე, რომ ქუდს უკრადლებსაც არ აქცევენ.)

**გალტერ** (უჩვენებს მთაზე). მართალი არი, მამაჩემო, ვითომ [იმ მთაზე

არის ხეები, და იმ ხეებს, თუ ცული მოხვდათ,

სისხლი მოსდისო?

**ტელდ.** ეს ვინ გითხრა?

**გალტერ.** ეს მითხრა მწყემსმა.

იმან მითხრა, რომ ის ხეები წმიდა არიო

და ვინც ხელს ახლებს, იმას ხელი შემეხებაო.

**ტელდ.** მართალი უთქვამს; ის ხეები წმიდა არიან.

ხომ ხედავ, შეილო, თეთრათ მოსილ მთების მწვერვალებს,

რომელნიც თითქო ცის სიღრმეში იკარგებიან?

**გალტერ.** ვხედავ, მამაო, ის, სწორეთ ის მყინვარებია,

რომელნიც ღამე ასე გრგვინვენ და გვიგზავნიან  
საშინელ ზვავებს.

**ტყეშ.** აგრე არი, ტყე რომ არ იყოს,  
იმ მათათა ზვაენი უკვე სრულად მოსპობდენ ალტორფს.  
მხოლოდ ტყე გვიცავს, ის აჩერებს მათ ძირს სრბოლასა.

**გაბატარ** (ცოტა მოფიქრების შემდეგ).

მამა, ნეტავი უმთო მხარე თუ არის სადმე?

**ტყეშ.** იმ ჩვენი მთების მწვერვალთ იქით ძირს რომ დავეშვათ  
და მივყვით თან წყლებს, მივალწევთ ერთ ვაკე ქვეყანამდის,  
სადაც მთის წყალნი აღარ რბიან აღქაფებულნი.  
იქ მდინარენი თავის გზაზე მიდიან ჩუმად  
და აღარ ჰქუხან, როგორც ჩვენში, გაშმაგებულნი.  
თვალწინ ეშლება ადამიანს იქ სივრცე შორი,  
ცის ქვეშეთისა ოთხივ კიდით გაშლილი, სწორი.  
პური იზრდება იქ მაღალი და ჩინებული,  
მთელი მხარეა, როგორც ბალი, აყვავებული.

**გაბატარ.** მამაო, აქ რომ სულ შიშში ვართ, მამს არა სჯობს  
იმ აყვავებულ ქვეყანაში გადავიდეთ ახლავ?

**ტყეშ.** იგი ქვეყანა ზეცასაებრ მშვენიერია;  
მაგრამ ისინი, ვინც მუშაობს იმ ქვეყნის მიწას,  
ვერა სტკბებიან თავიანთი შრომის ნაყოფით.

**გაბატარ.** როგორ? ისინი არ არიან თავისუფალი  
თავის მამულში, როგორც შენ ხარ?

**ტყეშ.** ჰო, არ არიან,  
მიწა ეკუთვნის იქ ხელმწიფეს და ეპისკოპოსს.

**გაბატარ.** ნადირობა ხომ შეუძლიათ იქ თავისუფლათ?

**ტყეშ.** იქ ფრინველიცა და ნადირიც ბატონის არის.

**გაბატარ.** არც თევზის ჭერა შეუძლიათ იქ თავისუფლად?

**ტყეშ.** მდინარეც, ზღვაცა და მარილიც მეფეს ეკუთვნის.

**გაბატარ.** ვინ არის მეფე, ყველას მისი რომ ემინია?

**ტყეშ.** ეს არი მათი მფარველი და მსაზრდოებელი.

**გაბატარ.** თვითონ მათ კი არ შეუძლიათ დაიცვან თავი?

**ტყეშ.** იქ მეზობელი ვერ ენდობა თავის მეზობელს.

**ვალტერ.** მევიწროება, მამაჩემო, ის ვრცელი მხარე;  
 მე აქ ცხოვრება მირჩვენია, ამ ზეავთა შორის.

**ტელა.** უკეთესია, რა თქმა უნდა, მეზობლად გყავდეს  
 მყინვარი მთები, ვიდრე ცუდი ადამიანი.

(უნდათ ჩაიარონ)

**ვალტერ** მამა, შეხედე, ეგერ ბოძზე ქული ჰკილია.

**ტელა.** ქულს რას დავეძებთ! ჩვენი გზა გვაქვს, წამო, წავიდეთ!

(როცა წასვლას აპირებენ გამოდის ფრისჭარდი და აღმა-

რთული შეებით ხელში გზაზე გადაუდგება მათ).

**ფრისჭარდი.** მეფის სახელით გიბრძანებთ თქვენ, დადექით მანდვე!

**ტელა.** (შუბზე ხელს იტაცებს)

რა გინდა ჩემგან? შუა გზაზე რისთვის მაჩერებ?

**ფრისჭარდი.** შენ დაარღვიე მართებლობის განკარგულება;  
 უნდა გამოგვეყვე.

**ლეიტენანტი.** შენ სალამი არ მიეცია ქულს.

**ტელა.** გამიშვი ჩემთვის, მეგობარო.

**ფრისჭარდი.** წამო ციხეში.

**ვალტერ.** ციხეში მიჰყავთ მამაჩემი! გვიშველეთ! ვინ ხართ!  
 (სტენის უკან გადახსის)

აქ, აქეთ მოდით! მოგვეშველეთ, კეთილნო კაცნო!

ძალადობაა! მამაჩემი მიჰყავთ ციხეში!

(შემოდის რესსელმან—მღვდელი, ჰეტერმან—დაიკანა და სხვები).

**დაიკანა.** რა ამბავია?

**რესსელმან.** რისთვის იქერ ამ ადამიანს?

**ფრისჭარდი.** მოლალატეა ხელმწიფისა და მისი მტერი.

**ტელა.** (გაცხარებულა ხელს სტაცებს) მოლალატე, მე?

**რესსელმან.** მეგობარო, შენ სწორეთ ცდები.

ეს ტელლი არი, ჩვენი ტელლი, პატივცემული.

**ვალტერ.** (დაინახავს ვალტერ ფიურსტს და გაეშურება მისკენ).

ბაბუ, გვიშველე, მამაჩემზე ძალას ხმარობენ.

**ფრისჭარდი.** გასწი ციხეში! ჩქარა მეთქი!

**ვალტერ** ფიურსტი. ჯერ მოითმინე!

მე ვარ თავდები! თუ ღმერთი გწამს, რა მოხდა, ტელლო?

(შემოდის მელხტალი და შტაუფხერი)

ფრანკად. მან შეურაცხყო უმაღლესი ნება ლანდფოგტის;  
 ის არ ცნობილობს იმის ძალას და მის უფლებას.

შტაუფახერ. როგორ? ეს ტელემა ჩაიდინა?

მელსტალ. შენ სტყუი, ბიჭო!

ლემტალ. ტელემა სალამი არ მისცა ქუდს.

გალტერ ფიურსტ ამისთვის მიგყავს

საპრობირეში? მეგობარო, შიიღე ჩემი

თავდებობა და გაუშვი ეს უბრალო კაცი.

ფრანკად. შენ ისევ შენს თავს უთავდებე! ჩვენ ჩვენი ვიცით!

ჩვენ ჩვენს სამსახურს ვასრულებთ აქ! — აბა წავიდეთ!

მელსტალ (იქ მდგომარე ხალხს).

ეს ხომ აშკარა, საზიზღარი ძალადობაა!

ნუ თუ მოვითმენთ, რომ წავგვართვან ხელიდან ტელე?

დასკანა. ჩვენ აქ მეტი ვართ, ნუ მოვითმენთ; ყველა ერთად  
 [ვართ!

ფრანკად. ვინ არის ურჩი, აბა ვნახოთ, ფოგტის ბძანების?

გაღვიძრული სოფელი. (მოირბენენ)

რა ამბავია? ჩვენც გიშველით, სცემთ მაგათა!

(ქაღალაქი, მესტილი და ელსბეთი შემობრუნდებიან),

ტელე. თვითონ ვუშველი მე თავის თავს. წადით თქვენი გზით,

კეთილნო კაცნო! რომ მდომოდა ძალის ხმარება,

ამათი შუბი, მერწმუნეთ, ვერ შემაშინებდა!

გალტერ. (ფრანკადს) აბა გაბედე ჩვენი წრიდამ მისი წაყვანა!

გალტერ ფიურსტა და შტაუფახერ. დადექი მანდა! არ გაინძრე!

ფრანკად. (ევირის) ამბობებაა!

(მოისმის სანადირო ბუკის ხმა).

ქალები. ლანდფოგტი მოდის.

ფრანკადი. (უფრო ხმა მადლა) მკვლევლობა! ამბობება!

შტაუფახერ. სანამ არ გასკდე, იღრიალე, შე არამზადავ!

რესესელმან და მელსტალ. არ გაჩუმდები?

ფრანკად. (უფრო ხმა მადლა) მოდით, მოდით, ვინა ხარ კაცი!

მოდით, გვიშველეთ კანონების ერთგულ მსახურებს!

გალტერ ფიურსტ. ფოგტიც აქ არის! ვაი, საქმე რით გათავდება!

(შემოდის გესლერი ცხენით და ხელზე მიმინა უხის, რუ-  
დოლფე ჭარხას, ბერტა და რუდენტი, თან ახლავს შეიარაღებულ  
მსახურთა დიდი ამაღა, რომელნიც სტანის კარშემო შუბების  
წრეს გააკეთებენ).

რუდოლფე ჭარხას. ლანდფოგტი მოდის! ჩამოდექით! გზა და-  
[უსალეთ!

გესლერი. გაფანტეთ ხალხი! ეს რას ნიშნავს, რათ შეგროვილა!  
ვინ ითხოვს შევლას? (საერთო სიჩუმეა). ვინ იძახდა, მინდა

[ვიცოდე!  
(ფრისჭარღს) შენ მანდ ვინ-ლა ხარ? და ან ამ კაცს რისთვის  
[აკავებ?

(მიმინოს გადასცემს მსახურს).

ფრისჭარღ. ჩემო ბატონო, მე გახლავარ ჯარის კაცი და  
აქ ამ ქუდისა დარაჯათ ვარ დაყენებული.

ეს კაცი მაშინ დავიკირე, როდესაც მან ქუდს  
გზა ჩაუარა და სალამი არ მისცა იმას.

როგორც შენ ბრძანე, მოვინდომე მისი დაჭერა,  
მაგრამ ეს ხალხი ძალით მართმევს იმას ხელიდან.

გესლერ (ცოტა ხანს უკან).

ამითი, ტელლო, შეურაცხყოფ ხელმწიფეს და მეც,  
რომელმაც ქუდი ჩამოგვიდე ამ მოედანზე  
ხალხის ჩვენდამი მორჩილების გამოსაცდელად.

შენი ბოროტი განზრახვანი ახლა გამოჩნდნენ.

ტ. ლ. უკაცრავად ვარ თქვენ წინაშე, ბატონო ჩემო!

ეს მომივიდა უნებურათ და არა სხვა რამ

ბოროტ განზრახვით. მოფიქრება რომ შემძლებოდა,

ტელლიც კი აღარ ვიქნებოდი. ვთხოვთ მომიტევათ,  
შემდეგში სწორედ ამ შეცდომას აღარ ჩავიდენ.

კ. ს. ლერ (ცოტა ხანს სიჩუმის შემდეგ).

გამიგონია, ტელლო, შენ შეილდს მარჯვედ ხმარობო,  
შვილდოსნობაში მზათ ხარ ყველას გაუმკლავდევო?

გაღტერ ტ. ლ. მართალი არის, რაც თქვენ ბძანეთ. მამა ისრითა  
ხიდან ვაშლს მოსწყვეტს ას ნაბიჯზე, ბატონო ჩემო.

**გესსლერ.** ბავშვი შენია?

**ტელე.** დიახ, ჩემო კარგო ბატონო.

**გესსლერ.** სხვა შვილებიც გყავს ამას გარდა?

**ტელე.** ორი ვაჟი მყავს.

**გესსლერ.** რომელი გიყვარს უფრო ძლიერ?

**ტელე.** ბატონო ჩემო,

ჩემი შვილები ერთნაირათ მიყვარს ორივე.

**გესსლერ.** რა-კი შენ ისრით ას ნაბიჯზე ხიდან ვაშლსა სწყვეტ,  
შენი სიმარჯვე ჩემს წინაშე გამოიჩინე...

აიღე მშვილდი. სწორეთ დროზე გიქირავს ხელში!—

და ჩამოაგდე ვაშლი ისრით შვილის თავიდან.

კარგად უსწორე, მე შენ გირჩევ, არ დააცილო,

თუ დააცილე, შენი თავი ტანს განშორდება.

(უველანი შეშინდებიან).

**ტელე.** ჩემო ბატონო... რა საშინელ საქმეს მიბრძანებთ!...

თქვენა გნებავთ, რომ ჩემი შვილის თავიდან ვაშლი!...

არა და არა, ჩემო კარგო დიდო ბატონო,

თქვენ ეს განზრახვა არ გქონიათ... ღმერთმა მაშოროს!...

**გესსლერ.** შენ უნდა ვაშლი ჩამოაგდო შვილის თავიდან,—

აი, ეს არის ჩემი ნება, ჩემი სურვილი.

**ტელე.** ჩემივე ხელით შვილს ისარი უნდა ვესროლო?

უშალ მოკვდები!

**გესსლერ.** ესროლე, ან მოკვდით ორივე.

**ტელე.** ჩემი საკუთარ შვილის მკვლელად უნდა გამხადოთ?

ბატონო ლანდფოგტ, თქვენ შვილები არა გყოლიათ

და არ იცით, თუ მამის გულში რა ცეცხლი არი.

**გესსლერ.** ეჰე, ტელე, აგრე გაფრთხალეზულხარ!

გამიგონია ტელედი არის გატაცებული

ოცნებებითო და ის სხვას არ ემსგავსებაო.

შენ გიყვარს თურმე ყველაფერი რამ უმცნაური.

აი, ამიტომ აგირჩიე ეს საქმე ძნელი.

შენს ადგილზე სხვა, თქმა არ უნდა, ყოყმანს იწყებდა...

შენ-კი თამამათ შენს შვილს ხელი უნდა მოჰკიდო.

**ბერტა.** ნუ ეხუმრებით ამ საწყალ ხალხს, ჩემო ბატონო!  
 ხომ ხედავთ, როგორ კანკალობენ გაფითრებულნი...  
 თქვენ ხუმრობასა არ არიან სულაც ნაჩვევი.

**გესსლერ.** მერე ვინ გითხრა, რომ მე ვხუმრობ?  
 (ხელს წააგლებს შის თავზე გამოშვერილ ვაშლის ხის შტოს და  
 გლჟჟს ვაშლს).

ვაშლიც აქ არი.

აბა ადგილი დაამზადეთ, ხალხი ჩამოდგეს  
 და ტელმაც ახლავ დაიჭიროს თვისი ალაგი.  
 მე იმას ვაძლევ ოთხმოც ნაბიჯს,—არც მეტს, არც ნაკლებს.  
 თავს იწონებდა ას ნაბიჯზე ნიშანს ვიღებო...  
 აბა, მსროლელო, ესროლე და არ დააცილო.

**რუდოლფ ჰანრახს.** ო, ღმერთო ჩემო! აღარ ხუმრობს... დაეც  
 ძირს, ბავშო,

და სთხოვე ლანდფოგტს შეწყნარება შენი სიცოცხლის.  
**გალტერ ფაუნსტ** (ჩუმად შეღსტადს, რომელიც თავს ძლივს  
 იკავებს). მე შენ გთხოვ თავი შეიკავო, წყნარად იყავი!

**ბერტა** (აჩანდფოგტს). კმარა ბატონო! მამის გრძნობით აგრე  
 უღმერთობაა! თუ მან მართლა დაიმსახურა [თამაში  
 სიკვდილით დასჯა თვისი მსუბუქ დანაშაულით,  
 ღმერთს გეფიცებით, მან ათქეცი სიკვდილი იგრძნო.  
 ახლა გაუშვით თავის ქოხში და უეჭველათ  
 ის თავის ღლეში ამ შემთხვევას არ დაივიწყებს  
 და მომავალშიც მის შვილი-შვილთ ეს მწარე წუთი  
 განსაცდელისა არა ერთხელ მოაგონდებათ.

**გესსლერ.** ჩამოეცალეთ, გზა მიეცით!.. რაღას გვიანობ?  
 შენი სიცოცხლე ჩემ ხელთ არი! თუ მინდა მოგკლავ,  
 მაგრამ, ხომ ხედავ, შენ ბედს ისევ შენს ხელებს ვანდობ,  
 დახელოვნებულს და გამოცდილს მშვილდის სროლაში,  
 ის ჩვენ საყვედურს ვეღარ გვკადრებს, ვინაც გავხადეთ  
 საკუთარ ბედის გარდამწყვეტად. ამაყობ მითი,  
 რომ თვალი გიჭრის,—აბა ესეც ღლეს გამოვსცადოთ.  
 საქირო არი, მიზეზიც გაქვს ახლა, მსროლელო,

შენი სიმარჯვე ამ სროლაში გამოიჩინო:  
ნიშანი არი ღირსეული და ჯილდოც დიდი!  
უბრალო ნიშანს რომ მოარტყა თვით შუაგულში,  
რა სიმარჯვეა? ამას ხომ სხვაც მოახერხებდა.  
მე მარჯვედა ვთვლი მხოლოდ იმას, ვინაც ყოველგან  
თავის ხელობის უფალია! იმას, რომელსაც  
ხელსა და თვალზე არ გადუვა თრთოლა გულისა.

**გაღტერ ფაურსტ** (დაიხრქებს ლანდფოგტის წინ).

ბატონო ლანდფოგტ! თქვენს უმაღლეს უფლებას ჩვენში  
ყველა ვცნობილობთ; მოწყალებას ვთხოვლობთ მხოლოდ,  
რომ სამართალსა ექმნეს ჩვენში რამ მნიშვნელობა.  
ჩემი ქონების ნახევარი, მთელი სიმდიდრე,  
რაც მამადია, თქვენ მიირთვით! ოღონ იხსენით  
საბრალო მამა ამ საზარელ განსაცდელისგან.

**გაღტერ ტელა**. ბაბუა, რისთვის ეხვეწები ამ უღმერთო კაცს!  
მითხარი, საით უნდა დავდგე. არ მეშინია.

მამა ჰაერში ფრინველსა ჰკლავს და ნიშანს ახლაც  
არ დააცილებს, არ მოარტყამს თავის შვილს გულში.

**შტაუფახერ**. ბატონო ლანდფოგტ! ნუ თუ ბავშის უმანკობა  
თქვენს გულს არ ალბობს?

**რესსლმან**. განსოვდეთ, რომ ღმერთია ცაში  
და მის წინაშე უნდა აგოთ პასუხი ერთ დროს.

**გესსლერ** (ბავშზე მიუთითებს). ბავში მაგ ცაცხვზე მიაკარით!

**გაღტერ ტელა**. მიაკარითო!

არა, არა მსურს, რომ მიმაკრათ! თვითონ დავდგები,  
არ გავინძრევი; როგორც კრავი, წყნარათ ვიქნები.  
თუ მიმაკარით, მაშინ სწორეთ არ მოვისვენებ

და ყოველ ღონეს ვიხმარებ, რომ განვთავისუფლდე.

**რუდოლფ ჰანრას**. თვალები მაინც აიხვიე; სჯობია, ბავშვო!

**გაღტერ ტელა**. თვალები? რისთვის? თქვენ გგონიათ, რომ

[მეშინია

მამის ისრისა? მე გულმაგრად ვულოდინებ მას  
და მერწმუნეთ, რომ წამწამსაც არ დავახამხამებ.

უჩქარე, მამა, დაამტკიცე, რომ მსროლელი ხარ!  
 ლანდფოგტს არ სჯერა. ფიქრში აქვს მას ჩვენი დაღუბვა...  
 მტარვლის ჯინაზე ისროლე და მოარტყი ნიშანს!  
 (მიდის და ცაწვხვ ქვეშ დაწვება; თავზე დაადებენ ვაშას).

**მელხტაღ** (სოფელელთ).

როგორ? ჩვენ თვალწინ უნდა მოადეს ეს ბოროტება?  
 აბა ჩვენ შორის წმიდა ფიცი რაღას ნიშნავდა?

**შტაუფახერ**. შენი განზრახვა ამაოა; ჩვენ თან არა გვაქვს  
 იარაღი და გარს გვარტყვიან ჯარის კაცები.

**მელხტაღ**. ნეტავ ეს საქმე სამერმისოდ არ გადაგვედვა!  
 ღმერთმა შეუნდოს, გადადება ვინაც გვირჩია!

**გესსლერ** (ტელდს). აბა, ისროლე! იარაღი რაღა გვაქვს ტყვილა!  
 საშიშარია იარაღის თან ტარება და  
 ხშირად ისარი უბრუნდება ისევე მსროლელს.

დიდი უფლება იარაღის თან ტარებისა  
 ამ სოფელელებმა მიითვისეს თავისი ნებით  
 და ამითი ამ ქვეყნის მფლობელს შეურაცხყოფენ.

იარაღი მას უნდა ჰქონდეს, ვინც მმართველია,  
 მაგრამ შვილდ-ისრის ტარება თუ ასრე გახარებთ,  
 ატარეთ, მხოლოდ მისთვის ნიშანს მე დავდგამ ხოლმე.

**ტელდ**. (მოზიდავს შვილდს და გამოხედებს ისარს). ჩამომეცალეთ!

**შტაუფახერ**. როგორ? მართლა აპირობთ სროლას?

არა და არა! შენ კანკალობ... ხელები გითრთის,  
 მუხლთ გეკვეთება...

**ტელდ**. (დაუშვებს ძირს შვილდს). თავბრუ მესხმის თვალთ  
 [მიბნელებს!]

**ქალები**. ოჰ, ღმერთო, ღმერთო!

**ტელდ**. (ღანდფოგტს).

შემიბრალებთ, ნუ მასროლივით! (გუფს გაიხსნის)  
 ჰა, ჩემი გული! უბრძანე, რომ აქავე მომკლან.

**გესსლერ**. შენი სიცოცხლე მე არ მინდა, მე მსურს ისროლო.  
 შენ ყველაფერი შეგიძლიან, არაფერს უფრთხი;  
 ნიჩაბსაც ისე მარჯვით ხმარობ, როგორც შვილდ-ისარს,

და არც ტბის ღელვის გემინია, როცა სხვას შევლი.  
ახლა, სხვის მხსნელო, თვითონ შენს თავს უნდა უშველო!  
(ტელე საშინელ მღელვარებაში: ხელები უთრთის. დაბრია-  
ლებულ თვალებს მიაშვრობს ხან ღანდაფოგტს და ხან ზეცას.  
უკრად საისრედან ამოიღებს მეორე ისარს და კალათის ქვეშ  
დამალავს. ღანდაფოგტი ამხნვეს ვეველაფერს.)

**გაღებულ ტელე.** ისროლე ჩქარა, მამაჩემო, არ მეშინიან  
და წყნარად ვდგევარ.

**ტელე.** რა უნდა ვქნა? უნდა ვისროლო!

(ძალას მოიკრებს და მოზიდავს შეიღდს)

**რუდენც** (რომელიც ახლამდის საშინელ მღელვარებაში იყო და  
თავს იკავებდა, გამოდის წინ).

ბატონო ღანდაფოგტ! იმედია, აქ შეჩერდებით  
და არ განაგრძობთ... ესეც კმარა გამოსაცდელად...  
თქვენ ხომ თქვენს მიზანს მიაღწიეთ.. მოგეხსენებათ,  
თუ სისასტიკე გადასცილდა სიბრძნის საზღვარსა,  
მაშინ ის ველარ აღასრულებს დანიშნულებას;  
შვილდიც ხომ წყდება, მოწეული თუ არის ძალზე.

**გესსლერ.** ჩუმათ იყავით, სანამ თქვენაც გკითხავდეთ რასმე.

**რუდენც.** უნდა ვსაქვა სწორეთ ყველაფერი, რაც სათქმელია!  
მეფის სახელი და ღირსება წმიდაა ჩემთვის,  
მაგრამ ასეთი მმართველობა ზიზღს იხვექს მხოლოდ.  
მე ვამტკიცებ, რომ ეს არ არის მეფის სურვილი...  
ამგვარ სიმკაცრის ჩემი ხალხი არ არის ღირსი,  
მაგის უფლება მეფეს თქვენთვის არ მოუცია.

**გესსლერ.** თქვენ ბედავთ მაგას!

**რუდენც.** მე ამდენს ხანს ხმას არ ვიღებდი,  
თუმცა ვხედავდი ბევრ სასტიკ და უღმერთო საქმეს.  
თვალნი ნატვრებით ანთებულნი დავიხშე მტკიცეთ,  
გული, აღსავსე ათას გრძნობით, ამბოხებული  
ჩავკალი მკერდში. მაგრამ ახლა ვიტყვი ყველაფერს.  
ახლა სიჩუმე იქნებოდა ერთს და იმავ დროს  
ჩემი მამულის და ხელმწიფის მიმართ ღალატი.

**ბერტა** (ღანდოფოგტსა და რუდენცს შუა ჩავარდება).

ღმერთო! რას შვრებით, გაბრაზებულს უფრო აბრაზებთ!

**რუდენც**. მშობელი ერი დავსტოვე მე, ხელი ავიღე

ნათესავებზე, ბუნებრივი ყველა კავშირი

გავსწყვიტე და თქვენ მოგეკედლეთ... უმრავლესობის

კეთილ დღეობის გამტკიცება მქონდა მე მიზნად,

როდესაც მეფის ძლიერებას განვამტკიცებდი...

დღეს თვალს ვახელ და შიშით ვხედავ ჩემს წინ უფს-

[კრულსა...

თქვენ ჩემს გონებას ატარებდით სულ მრუდე გზაზე,

პატიოსანი ჩემი გული თქვენ გაიტაცეთ...

კილამ დავლუბე. ჩემი ხალხი კეთილ განზრახვით.

**გესსლერ**. რაებს უბედავ, თავდასულო, შენსა მბრძანებელს?

**რუდენც**. ხელმწიფე არი, და არა თქვენ, ჩემი ბატონი;

დავბადებულვარ მეც თქვენსავით თავისუფალი,

და მზად ვარ და ყველა სარაინდო ღირსებებშიაც

გამოგეჯიბროთ. თქვენ აქ დგახართ მეფის სახელით,

რომელსაც მარად პატივსა ვცემ. იქაც კი, სადაც

არცხვენენ იმას; რომ ეს ასე არ იყოს, მაშინ

თქვენს წინ ვისროდი ხელთათმანსა და რაინდების

ჩვეულებებისა თანხმით თქვენც პასუხს გამცემდით.

ღიახ, ანიშნეთ თუ გნებავთ, თქვენს ცხენოსან ჩაფრებს...

უიარაღო არ ვახლოვარ მე ამათსავით! (ახვენებს ხალხზედ).

ხმალი მკიდია! ვინც გაბედავს მოახლოვებას...

**შტაუფახერ** (აძახის). შეხედეთ! ვაშლი გადმოვარდა!

(როცა ბერტა ღანდოფოგტსა და რუდენცს შუა ჩავარდა და უველ-

ნი იმათკენ იუურებოდენ, ტელემა ისარი გაისროლა).

**რესსელმან**.

ბავშვი გადარჩა!

**რაგდენამე ხმა**. ვაშლს მოხვდა სწორეთ!

(ვალტერ ფიურსტი წაბარბაცდება, ღამის წაიქცეს; ბერტა შეაკავებს).

**გესსლერ** (გაოცებული). ნუ თუ მოხვდა? გაუწყრა ღმერთი!

**ბერტა**. ბავშვი გადარჩა, გონზე მოდით, კეთილო მამა!

**ვალტერ ტელე** (მოირბენს და ვაშლი ხელში უჭირავს).



ვაშლიც აქ არი, მამაჩემო, კარგად ვიციდი,  
 რომ საკუთარ შეილს შენ ისარსა არ მოართყამდი.

**ტელე** (დგას წინ გადაწყული, თითქო სურს ისარს უკან დაეკე-  
 ნოსო... შეილდი ხელიდან გაუფარდება... ხელგაშლით სანქაროთ  
 მიეგებება შეილს, აიფანს და გძნობით გულში ჩაიკრავს მას; ამ  
 მდგამარებაში რომ არის, ღონე მიხდილი იქავე ჩაიკეტება; შპ-  
 ღანი ადეღვებულნი დგანან გარშემო.)

**ბერტა**. მოწყალე ზეცავ!

**გალტერ ფიურსტ** (მამსა და შეილს). შეილნო! შეილნო!  
 შტაუფახერ. დიდება ღმერთსა!

**ლეიტნანტი**. ეს მართლაც კარგი სროლა იყო! ამის ამბავი  
 გარდაეცემა შორს მომავალს სალაპარაკოდ.

**რუდოლფი**. შეილდოსან ტელლის ხსოვნა მთებში მარად დარჩება,  
 სანამ ეს მთები დგანან თავის მკვიდრ საფუძველზე.

(ღანდფოგტს გადასცემს ვაშლს).

**გესსლერ**. ღმერთმანი, ვაშლი ისრით შუა გახვრეტილია!  
 მართლაც რომ მარჯვე სროლა იყო, უნდა გამოვტყდე.  
**გესსელმან**. სროლა კი იყო მარჯვე, მაგრამ ვაი იმას, ვინც  
 აიძულა ის ღვთის განგება გამოეცადა.

**შტაუფახერ**. ტელლ, გონზე მოდი! შენ დღეს მარჯვეთ და ვაჟ-  
 მოიქეციოთ და შეგიძლიათ აწ შინ დაბრუნდეთ. [კაცურად  
**გესსელმან**. წადი ახლა და დაუბრუნე შეილი მისს ღედას.

(უნდათ გაიფანონ ტელე).

**გესსლერ**. ტელლ, ყური მიგდე.  
**ტელე** (მობრუნდება). რას მიბრძანებთ, ბატონო ჩემო?

**გესსლერ**. წელან კალთის ქვეშ დამალე შენ ერთი ისარი...  
 დიახ, მე კარგათ დავინახე... რისთვის გინდოდა?

**ტელე**. ასე აქვთ ხოლმე ჩვეულება ჩვენში შეილდოსნებს.

**გესსლერ**. არა, პასუხი შენი, ტელლო, მე არა მჯერა;  
 სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ალბათ, ისრის დამალვას,  
 მითხარ მართალი, ტელლო, ჩქარა და არხეინათ:  
 რაც უნდა იყოს, სიკვდილის შენ ნუ გეშინია.  
 რისთვის გინდოდა შენ ის ისარი?

**ბერტა** (ჯანდფოგტსა და რუდენცს შუა ჩაყარდება).

ღმერთო! რას შერებით, გაბრაზებულს უფრო აბრაზებთ!

**რუდენც.** მშობელი ერი დავსტოვე მე, ხელი ავიღე  
ნათესავებზე, ბუნებრივი ყველა კავშირი  
გავსწყვიტე და თქვენ მოგეკედლეთ... უმრავლესობის  
კეთილ დღეობის გამტკიცება მქონდა მე მიზნად,  
როდესაც მეფის ძლიერებას განვამტკიცებდი...  
დღეს თვალს ვახელ და შიშით ვხედავ ჩემს წინ უფს-  
[კრულსა...]

თქვენ ჩემს გონებას ატარებდით სულ მრუდე გზაზე,  
პატიოსანი ჩემი გული თქვენ გაიტაცეთ...

კილამ დავლუპე. ჩემი ხალხი კეთილ განზრახვით.

**გესსლერ.** რაებს უბედავ, თავგასულო, შენსა მბრძანებელს?

**რუდენც.** ხელმწიფე არი, და არა თქვენ, ჩემი ბატონი;  
დავბადებულვარ მეც თქვენსავით თავისუფალი,  
და მზად ვარ და ყველა სარაინდო ღირსებებშიაც  
გამოგეჯიბროთ. თქვენ აქ დგახართ მეფის სახელით,  
რომელსაც მარად პატივსა ვცემ. იქაც კი, სადაც  
არცხვენენ იმას; რომ ეს ასე არ იყოს, მაშინ  
თქვენს წინ ვისროდი ხელთათმანსა და რაინდების  
ჩვეულებისა თანხმით თქვენც პასუხს გამცემდით.  
ღიახ, ანიშნეთ თუ გნებავთ, თქვენს ცხენოსან ჩაფრებს...  
უიარაღო არ გახლავარ მე ამათსავით! (აჩვენებს სადხზუედ).  
ხმალი მკილია! ვინც გაბედავს მოახლოვებას...

**შტაუფახერ** (იძახის). შეხედეთ! ვაშლი გადმოვარდა!

(როცა ბერტა ჯანდფოგტსა და რუდენცს შუა ჩაყარდა და უკვლახ-  
ნი იმათკენ იუურებოდენ, ტელღმა ისარი გაისროლა).

**რესსელმან.**

ბავშვი გადარჩა!

**რაგდენაძე** ხმა. ვაშლს მოხვდა სწორეთ!

(ვალტერ ფიურსტი წაბარბაცდება, ჯამის წაიქცეს; ბერტა შეაკავებს).

**გესსლერ** (გაოცრებული). ნუ თუ მოხვდა? გაუწყრა ღმერთი!

**ბერტა.** ბავშვი გადარჩა, გონზე მოდით, კეთილო მამა!

**ვალტერ ტელღ** (მოირბენს და ვაშლი ხელში უჭირავს).

ვაშლიც აქ არი, მამაჩემო, კარგად ვიცოდი,  
რომ საკუთარ შვილს შენ ისარსა არ მოარტყამდი.

ტელღ (დგას წინ გადაწეული, თითქო სურს ისარს უკან დაეღვე-  
ნოსო... შეიღდი ხელიდან გაუფარდება... ხელგაშლით სსჩქაროთ  
მიეგებება შეიღს, აიუფანს და გრძობით გუღში ჩაიკრავს მას; ამ  
მდგომარეობაში რომ არის, დონე მიხდიღი იქავე ჩაიკრება; შვე-  
ღანი აღღვებუღნი დგანან კარშემო.)

ბერტა. მოწყალე ზეცავ!

გალტერ ფიურსტ (მამსა და შეიღს). შვილნო! შვილნო!

შტაუფახერ. დიდება ღმერთსა!

ღეიტქელღ. ეს მართლაც კარგი სროლა იყო! ამის ამბავი  
გარდაეცემა შორს მომავალს სალაპარაკოდ.

რუდოღფ. შეიღდოსან ტელღის ხსოვნა მთებში მარად დარჩება,  
სანამ ეს მთები დგანან თავის მკვიდრ საფუძველზე.

(ღანდფოგტს გადასტუმს ვაშლს).

გესსღერ. ღმერთმანი, ვაშლი ისრით შუა გახვრეტილია!

მართლაც რომ მარჯვე სროლა იყო, უნდა გამოვტყდე.

რესსღელმან. სროლა კი იყო მარჯვე, მაგრამ ვაი იმას, ვინც  
აიძულა ის ღვთის განგება გამოეცადა.

შტაუფახერ. ტელღ, გონზე მოდი! შენ დღეს მარჯვეთ და ვაჟ-  
მოიქეცით და შეგიძლიათ აწ შინ დაბრუნდეთ. [კაცურად

რესსღელმან. წადი ახლა და დაუბრუნე შვილი მისს ღვდას.

(უნდათ გაიუფანონ ტელღი).

გესსღერ. ტელღ, ყური მიღდე.

ტელღ (მობრუნდება). რას მიბრძანებთ, ბატონო ჩემო?

გესსღერ. წელან კალთის ქვეშ დამალე შენ ერთი ისარი...

ღიახ, მე კარგათ დავინახე... რისთვის გინდოდა?

ტელღ. ასე აქვთ ხოლმე ჩვეულება ჩვენში შეიღდოსნებს.

გესსღერ. არა, პასუხი შენი, ტელღო, მე არა მჯერა;  
სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ალბათ, ისრის დამალვას,  
მითხარ მართალი, ტელღო, ჩქარა და არხეინათ:  
რაც უნდა იყოს, სიკვდილის შენ ნუ გეშინია.  
რისთვის გინდოდა შენ ის ისარი?

**ტექლ.**

ძალიან კარგი.

რა-კი აღმითქვით სიცოცხლისა ხელ-უხლებლობა, ყველაფერს გეტყვი დაწვრილებით, ჩემო ბატონო. (კალთის ქვეშედან გამოიღებს ისარს და მიაწოდებს ლანდ-ფოგტს სსწინედას თვალებით).

პირველი ისრით რომ მომეკლას ძვირფასი შვილი, ამ მეორეთი მოგისპობდი მე თქვენ სიცოცხლეს, და დამერწმუნეთ, რომ აღარც თქვენ დაგაცილებდით.

**გესსლერ.** მე შენ აღვითქვი სიცოცხლისა ხელ-უხლებლობა და მე პირმტკიცეთ შევასრულებ რაინდის სიტყვას.

მაგრამ, რადგანაც გავიგე მე შენი განზრახვა, უნდა ვგვადლო ვიხსნა თავი შენი ისრისგან: მე თან წავიყვან და დავმალავ ისეთს ადგილას, სადაც აროდეს მზე და მთვარე შუქს არ გზავნიან. ბიჭებო, აბა დაიჭირეთ! შეპკარით მაგრათ!

(ტექლს გაბაწრავენ.)

**შტაუფახერ.** როგორ, ბატონო! იმ კაცს იქერთ, რომელზეც  
[ღმერთმა

თავის წყალობა ასე ცხადად გამოგვიჩინა?

**გესსლერ.** ვნახოთ მეორეთ თუ უშველის.—ჯერ კი ჩემს ნავში წაიყვანეთ და მე იქ თვითონ ახლავე მოვალ: მინდა მე თვითონ წავიყვანო იგი კისნახტში.

**რესსელმან.** მაგას ვერ იზამთ! მაგას მეფეც კი ვერ გაბედავს, ეგ საქციელი ძველ გუჯართა დარღვევა არის!

**გესსლერ.** რა გუჯრებო? სად არიან? მეფემ ისინი როდის იცნო და დამტკიცა? იმ საბუთების დამტკიცება თქვენ მორჩილებით უნდა იშოვნოთ. მემამბოხე ხართ თქვენ სუყველა და მეფის მტერი და ემზადებით გაბედული აჯანყებისთვის. მე ყველას გიცნობთ... ვნებავ რასაც თქვენ ფიქრობთ  
[გულში...

ახლა ეს მიმყავს თქვენი წრიდან. მაგრამ ყველა კი მონაწილე ხართ ამის მძიმე დანაშაულში.

ვინც ჰკვიანია, გაჩუმდეს და დაგვემორჩილოს.

(გადის. გაჭყეუებთან ბურტა, რუდენც, ჭარას და მსახურნი..  
ლეიტქოლდ და ფრისჭარდ რჩებთან.)

ვალტერ ფიუნსტ. (დრმა მწუხარებით.)

გათავდა. იმან გადასწყვიტა ჩემი დაღუპვა  
ოჯახიანა!

შტაუფახერ. (ტელს) ო, ეს მხეცი რათ გაახელეთ.

ტელ: ვინც იგრძენ ჩემი მწუხარება, ნუ დალონდებით!

შტაუფახერ. ო, ყველაფერი, ყველაფერი დაღუპულია!

ჩვენ ყველა შენთან შეკრული და შებორკილი ვართ!

ხალხა. (შეშოკებუვან ტელს.)

შენ თან მიგყვება იმედები უკანასკნელი.

ლეიტქოლდ. (შიუახლოვდება)

ტელ, მებრალეები, მაგრამ რა ვქნა! ბრძანებას უნდა  
დავემორჩილო.

ტელ: მეგობრებო, იყავით კარგათ!

ვალტერ ტელ: (დრმა მწუხარებით შეკვრის მამს)

ო მამა, მამა, ჩემო მამა!

ტელ: (ხელებს ზეცისკენ აღაშურობს) იქ არის, შვილო,  
მამაშენი და მას ევედრე!

შტაუფახერ. თქვენსა მეუღლეს

რა მოვახსენო?

ტელ: (ბავშს დრმა გრძობით აღსაგეს მიიკრავს გულზე)

უბრძანე, რომ ბავშვი გადარჩა,

ტელს კი უფალი დაიხსნის-თქო შტარვალისაგან.

(მოშორდება მათ და გაჭყეუება მსახურთ)

## მოქმედება მეოთხე

### სცენა პირველი

აღმოსაელეთის ნაპირი ფირვალდშტეტის ტბისა. დასაწლეთისკენ მოჩანან უცნაურათ ასული პიტალო კლდეები. ტბა ღელავს, ისმის მისი საშინელი ხმაურობა; ხანდახან ელავს და მეზის ხმა ისმის.

### კუნც გერსაგელი, მებადური და მასი ბიჭი.

- კუნც.** მე თვითონ ვნახე ჩემი თვალთ, რაც მოგახსენეთ.
- მებადური.** ტელოი შეიპყრეს და კისნახტში თან წაიყვანეს! მთელს ჩვენს მხარეში უკეთესი კაცი ის იყო და საიმედო, მტერთან ბრძოლა თუ შეგვხვდებოდა.
- კუნც.** იგი თვით ლანდფოგტს მოჰყავს ნავით ტბა-ტბა აქეთკენ. მე სწორედ მაშინ გამოვედი ფლიუელიდან, როცა ისინი წასასვლელად ემზადებოდნენ. მაგრამ, მგონია, ქარიშხალის მოახლოვება, რამაც საჩქაროთ მაიძულა აქეთ გამოსვლა, მათ მგზავრობასაც უეჭველათ შეაფერხებდა.
- მებადური.** ო, გაბაწრული ვილჭელმ ტელოი ლანდფოგტის დამიჯერეთ, რომ გესლერი მას ისე დამარხავს, [ხელში! რომ თავის დღეში მზის სინათლეს ვეღარ იხილავს! თავისუფალი კაცის ასე შეურაცხყოფა ლანდფოგტს უბრალოთ არ ჩაუვლის, თუ ის ხელთ დასძვრა. აი, ამიტომ გესლერი მას კარგათ დამალავს.
- კუნც.** აგრეთვე ჩვენი ერის თავი ატტინგჰაუზენ ლოგინში წევსო. უიმედოთ ავათმყოფიო.
- მებადური.** უკანასკნელი ღუზა ჩვენი იმედის ტყდება! ის იყო კიდე ერთათ-ერთი ხმის ამომღები ჩვენი ხალხისა დათგურნვილი უფლებებისთვის!
- კუნც.** ქარი თან-და-თან ძლიერდება. მშვიდობით იყავ!

ამალამ ბინას მოვიძებნი აქვე სოფელში,

რადგან დღეს წასვლა არაფრის გზით არ შეიძლება. (გადის)

**მებადურია.** ტელლი ლანდფოგტის ხელში არის ბორკილ-გა-  
ბარონი კვდება!.. მტარვალობავ! აწ აღამადლე [ყრილი,  
შუბლი შენი და სირცხვილიც შორს გარდაისროლე!  
ქეშმარიტების ენა უკვე დამუნჯებულა,

თვალნი მხილავნი დაშრეტილან და იგი ხელიც,  
რომლისგანაც ჩვენ ხსნას ველოდით, შებორკილია!

**ბაჭა.** სასტიკათ სეტყვავს. მამა-ჩემო, შემოდი ქერ ქვეშ;  
გარეთ დარჩენა ამ ავდარში არ შეიძლება.

**მებადურია.** ქარო, იშფოთე! ელვა, მიწას დაეცი ცეცხლად!  
ღრუბელნო გასკდით! გადმოასხით ცის ნიადვარნი  
ძირს დედამიწას და ერთბაშათ შთანთქვევით იგი!  
და შთანასახი მომავალი კაცობრიობის  
მოსპევით სრულათ! გაბატონდით, ბუნების ძალნო  
გამხეცებულნო! დათვნო, მგელნო, ვრცელ უდაბურებს  
კვლავ დაუბრუნდით! ეს ქვეყანა ისევ თქვენია.  
სხვა ვინ იცხოვრებს, თუ წაართვეს თავისუფლება!

**ბაჭა.** შეხედე უფსკრულს, როგორა ჰქუხს, ზვირთნი ღმუიან!  
ამ ხეობაში თავის დღეში ეს არ მომხდარა!

**მებადურია.** შენს საკუთარ შეილს ესროლეო თავში ისარი!  
ასეთი რამე უცნაური სხვა მამისგან არ  
მოუთხოვიათ არასოდეს! ნუ თუ ბუნება  
ამ საზარლობის წინააღმდეგ არ ამბობდება!..  
არ გამაკვირვებს ამის შემდეგ, რომ ეს კლდეები  
წამოიხარონ ტბის ზემოდან, ან ყინვის კოშკნი,  
რომელნიც დგანან დაუმდნარი დასაბამიდან,  
თავიანთ მაღალ სამყოფიდან ჩამოდნენ უცბათ,  
ან რომ დაინგრენ ეს ქედები, ან ლეღეები ჩამოიქცენ,  
ან და მეორე წარღვნა მოხდეს და გადალეკოს,  
წაშალოს სრულად სამყოფელი აღმნიანთა!

(ისმის ზანის ხმა).

**ბაჭა.** მესმის, რეკავენ მაღლა მთაზე. ალბათ, შენიშნეს

ნავი საფრთხეში და გვიწვევენ ვილოცოთ მათთვის.

(აჟა ერთ მაღლობზე).

**მებაღურა.** ვაი იმ გემსა, რომელიც ამ საშინელ ტბაში  
 ქიანობს ახლა! აქ საქე და ნავის მმართველი  
 უსარგებლოა, აქ ბატონი გრიგალი არის.

ქარი და ზვირთნი კაცს ბურთივით ათამაშებენ...

არსაით მოჩანს ყურე მშვიდი, თავშესაფარი!

აყუდებულიან მის წინ მხოლოდ მძაფრი კლდეები,

რომელნიც ცივად უშლიან მას თავის ხმელ გულ-მკერდს!

**ბაჭა.** (უჩვენებს მარცხნივ).

მამა, აქეთკენ ნავი მოდის ფლიუელიდან.

**მებაღურა.** ღმერთმა უშველოს გაქირვებულთ! თუ ამ კუთხეში  
 შემოაგდო ქარმა ის ნავი, დაღუპულია!

აქ ზვირთნი ისე მძვინვარებენ, როგორაც მხეცი

გამომწყვდეული გალიაში, რომელშიაც ის

გაბრაზებული კედლებსა სცემს, ცდილობს გამოსვლას!

ყვირის, ღრიალებს წყალი აქ და ამაოთ ეძებს

კარს გასასვლელად. გარშემო ყველგან

ცამდინ ასულნი კლდის კედლები აყუდებულიან,

და გაშმაგებულ ზვირთთ უხზავენ კარს გასასვლელსა!

(მაღლობზე ადის).

**ბაჭა.** ეს, მამა-ჩემო, ნავი არი ურის ბატონის!

მე მას ვცნობილობ ბაირალზე და წითელ ფერზე.

**მებაღურა.** ო, სამართალო ზეცისაო! თვითონ ის არის,  
 თვითონ ლანდფოგტი... ნავით მიდის და თან მიჰყვება  
 იმას თავისი ბოროტების ერთ-ერთი მსხვერპლი.

შურის მგებელის ხელმა იგი მალე მონახა,

ახლა კი გრძნობს ის მაზე უფრო ძლიერის ძალას!

ტბის ზვირთი იმის ბრძანებას არ ემორჩილება,

და ეს კლდეებიც იმის ქუდსა თავს არ უხრიან...

ბავშო, იმისთვის ნუ ლოცულობ! ნუ სტაცებ მსაჯულს

ხელიდან სხვერპლსა.

**ბავშვი.**

ლანდფოგტისთვის მე არ ვლოცულობ...

მხოლოდ ტელისთვის ვლოცულობ მე,—ისიც ნავშია.  
**ქებადურა.** ო, ბრმა ბუნების უგნურებავ! ერთი ცოდვილის

გულისთვის ჰლუბავ მასთან ერთად დანარჩენებსაც.  
**ბიჭი.** შეხედე, მამა! ნავი უკვე გაშორდა კლდის ცხვირს,  
 მაგრამ ზვირთთ ძალამ კვლავ მოაგდო აქსენბერგისკენ.  
 ველარა ვხედავ.

**ქებადურა.** იქ დაჰხვდება ჰაკმესერის კლდე,  
 რომელსაც წინეთ ბევრი გემი დაუმსხვრევია.  
 კლდის ფესვი წყალში დაფარული მათ ნავს დაამსხვრევს,  
 თუ გონიერათ და მარჯვით გზა არ აუარეს.  
 იმათ ნავზე ჰყავთ გამოცდილი ნავოსანი და  
 მხოლოდ-ღა იმას შეუძლია დაიხსნას ყველა:  
 მაგრამ რათ გინდა! შეკრული აქვს ხელი და ფეხი.

**გაღჭკმ ტელე** (შვილდისრით ხელში, შემოდის ჩქარი ნაბიჯით,  
 განცვიფრებით იუერება კარშეთ და ეტუზა ძლიერი მღელ-  
 ვარება. როცა შუა სცენაზე გამოვა, დაიჩქებს და გააშვერს  
 ხელს ჯერ დედამიწისკენ და შერე ზეცისკენ).

**ბიჭი** (შენიშნავს მას). მამა, ვინ არის, ეგერ კაცს რომ დაუ-  
 ჩოქნია?

**ქებადურა.** მიწას ხელსა ხვევს და ეტყობა მას მღელვარება.

**ბიჭი** (წინ წამოიბრუნს).

რას ვხედავ, მამა! მამა, მოდი, ერთი შეხედე!

**ქებადურა** (შიუხსჯავდება).

ვინ არი? ღმერთო ზეციერო! როგორ? ტელლია?

როგორ მოხვედი? როგორ გაჩნდი?

**ბიჭი.** შენც ხომ იმ ნავზე

იმყოფებოდი გაბაწრული?

**ქებადურა.** შენ ხომ კისნახტში

თან წაგიყვანეს?

**ტელე** (ადგება). დიახ, მაგრამ განვთავისუფლდი.

**ქებადურა და ბიჭი.** განვთავისუფლდი! სასწაული მომხდარა

[სწორეთ!..

**ბიჭი.** სიდან მოხვედი?

ტელ. იმ გემიდან.

შებადუჭა. როგორ? არ მესმის!

ბაჭა. ო, მოგვიყევი!

ტელ. ის ხომ იცით, რაც ალტორფს მოხდა!

შებადუჭა. ჰო, ვიცი, ვიცი ყველაფერი, გვიამბე ჩქარა!

ტელ. ლანდფოგტმა მაშინ ჩემი თავი დააჭერინა  
 და კიუსნახტში განიზრახა ჩემი წაყვანა.

შებადუჭა. ნავში ჩასხედით ფლიუელნში, ეს ყველა ვიცი;  
 გვიამბე მხოლოდ თავი როგორ გადაიჩინე?

ტელ. მე გემში ვეგდე გაბაწრული, უიარაღო,  
 განწირული და უიმედო... აღარ მეგონა,  
 თუ ვიხილავდი მზის სინათლეს, ან ცოლს, ან შვილებს,  
 და უნუგემოდ ვუყურებდი წყალთა უდაბნოს...

შებადუჭა. ჰოი, საბრალო!

ტელ. ამნაირათ მივდიოდით ჩვენ, —

მე, ლანდფოგტი და რუდოლფ ჰარრას და მსახურთ გროვა.

ჩემი მშვილდი-კი და ისარი საჭერთან ეგდო,

მცირე აქსენტან ნავი ხმელეთს დაუახლოვდა,

ამ დროს უეცრათ ღვთის განგებით ასტყდა გრიგალი,

სანგოთარდიდან საშინელმა დაჰბერა ქარმა,

და მენავეებს შეუშინდათ მაშინვე გული,

ყველას ეგონა, უსაშველოთ დავიჩობითო.

ამ დროს მომესმა ხმა ერთისა მსახურთაგანის,

რომელიც ლანდფოგტს შემდეგ სიტყვებს ეუბნებოდა:

„თქვენ კარგათ ხედავთ გაჭირვებას თქვენსას და ჩვენსას,

ჩვენ მიმდგარი ვართ ყველა ერთათ სიკვდილის კარზე...

მენავეებმა შიშისაგან თავი დაჰკარგეს,

აღარ იციან სით წავიდენ, როგორ გვიშველონ...

მაგრამ, ბატონო, ტელლი ტბაზე გამოცდილია,

მარჯვეც არის და ძალაც შესწევს. იქნება, ახლა

ამ განსაცდელში გამოგვადგეს.“ ლანდფოგტმა მითხრა:

„თუ გაქვს იმედი, რომ დავიხსნი ზვირთებისაგან,

ახლავე აგხსნი ბორკილებსო.“ მე ვუპასუხე:

„ღვთის შემწეობით, იმედი მაქვს დავიხსნა ყველა.“

მაშინვე შემხსნეს ბორკილები; ხელი ჩავკიდე  
ნავის საქვს და წავიყვანე წინ გაბედულათ.

ამავე დროს კი ცალი თვალით ჩემს შვილდს ვუმზერდი  
და თან ნაპირზე გადასახტომ ადგილს ვეძებდი.

როცა შევნიშნე ერთს ალაგას კლდის ფეხი ტბაში,  
მოვაკებული ზედაპირით ამოშვერილი...

**მეზადურა.** ის ადგილი მე კარგათ ვიცი აქსენის ძირში,  
მაგრამ ნავიდან იქ ახტომა მეტათ ძნელია,  
რადგანაც, მახსოვს, კლდე პირდაპირ აღმართულია...

**ტელე.** მაშინ მუშები გავამხნევე, ეცადეთ მეთქი,  
სანამ იმ კლდესთან მივიდოდეთ... იქ არის ჩვენი  
გაჭირვებისა და ტანჯვების დასასრული-თქო.  
როცა იმ კლდემდის მივალწიე, ვახსენე ღმერთი,  
მთელი ძალ-ღონით მივუწიე ნავს ბოლო კლდისკენ,  
ვტაცე უეცრათ ხელი ჩემს შვილდს, ნავს ფეხი ვკარი  
და ერთს წამში მე კლდეზე გავჩნდი ერთის ნახტომით,  
ნავი კი ისევ გავისტუმრე წყალთა მორევში...  
მან იქ, ზვირთებზე, იქიანოს, როგორც ღმერთს სურდეს!  
ასე გავჩნდი აქ და გადფურჩი ზვირთების ძალას,  
კიდე უარესს, — ადამიანთ ძალმომრეობას.

**მეზადურა.** ტელე, სასწაული მოავლინა უფალმა შენზე;  
თითქმის არ მჯერა, რასაც ვხედავ, რაც მეყურება!  
მაგრამ მითხარი ახლა წასვლას საითკენ ფიქრობ?  
იცოდე კი, რომ თუ ლანდფოგტი ზვირთებს გადურჩა,  
შენ ამ მხარეში მოსვენებას არ მოგცემს იგი.

**ტელე.** როდესაც ნავში გაბაწრული ვიწვევი წყნარათ,  
მაშინ ამბობდა ლანდფოგტი, რომ ბრუნდეს გავალთო,  
გავივლით შვიცს და ჩვენი ტყვიითურთ სახლში წავალთო.

**მეზადურა.** ხმელეთით წავა თავის კოშკში?

**ტელე.** ასე ფიქრობდა.

**მეზადურა.** მაშ დამალე. ღმერთი მისგან ორჯერ არ გიხსნის.

**ტელე.** იქნებ მოკლე გზა დამასწავლო არტისაკენ და

კიუსნახტისკენ.

**შებადურა.** გაშლილი გზა მიდის შტეინზე,  
 უფრო მოკლე კი და ფარული ლოვერცზე მიდის,—  
 ამ გზას ეს ბავშვი დავასწავლის.

**ტელე** (ხელს ათმეკს). ღმერთმა მოგიზღოს  
 სამაგიერო სიკეთისათვის! იყავ მშვიდობით.  
 (მიდის და ისეუ შაბრუნდება)

შენ დაესწარი ნაკაფში ფიცს? მე როგორც მახსოვს,  
 სხვათა შორის შენც შეთქმულებში დაგასახელეს.

**შებადურა.** მეც იქ ვიყავ და სხვასთან ერთად დავსდევნი ფიცი.  
**ტელე.** მიყავ სიკეთე და სჩქაროთ წადი ბურგლენში!  
 იქ ჩემი ცოლი მწუხარებით ჩემზე თავს იკლავს.

უთხარი, ტელლი გადარჩა და დაიმალა-თქო.

**შებადურა.** რომ მკითხოს იმან, სად წაბვედი, რა მოვახსენო?

**ტელე.** ჩემს ცოლთან ნახავ ჩემს სიმავერს და სხვა შეთქმუ-  
 [ლებსაც...

უთხარი იმათ, გამხნვევდით და ნუ შეშინდებით,  
 თავისუფალი არის ტელლი, მკლავიც, მძლავრი აქვს  
 და მალე მისგან ახალ ამბავს გაიგონებთ-თქო.

**შებადურა.** რა განზრახვა გაქვს? გამომხილე მე თავისუფლათ.

**ტელე.** რომ შესრულდება, ლაპარაკიც მაშინ იქნება, (გადის).

**შებადურა.** ჯენნი, აჩვენე გზა, უფალმა უწინამძღვროს მას!  
 რასც განიზრახავს, შეასრულებს, თქმა აღარ უნდა (გადის).

## სცენა მორაე

### დარბაზი ატტინგჰაუსენისა.

(ბარონი სავარძელში წევს და კვდება. ვალტერ ფიურსტი, შტაუ-  
 ფახერი, მელბტალი და ბაუშგარტენი დგანან მის ვარეშემო. ვალ-  
 ტერ ტელლი დანოქილია მომაკვდავის წინ).

**ვალტერ ფიურსტ.** გათავდა უკვე, მიიცვალა.

**შტაუფახერ.** მკვდარს სულ არა ჰგავს.

შეხედეთ, ბუმბლი მის ტუჩებთან როგორ ინძრევა!

წყნარი ძილი აქვს, სათნოებით უღიმის სახე.  
გაღტერ ფიურსტ. (ბაუმგარტენს).

ვინ არის მანდა?

ბაუმგარტენ (შემობრუნდება). ქალბატონი ჰედვიგი არის.

შენთან სიტყვა აქვს და ნახვაც სურს თავისი ბავშვის.

(გაღტერ ტელე ფესზე წამოდგება).

გაღტერ ფიურსტ. რით ვანუგეშო, მე კი თვითონ მაქვს რამ  
[ნუგეში?

ყველა ტანჯვანი ერთიანათ მე მატყდება თავს!

ჰედვიგ (შემოდის ძალით).

სად არის შვილი? ნუ მაკავებთ, უნდა ვნახო ის...

შტაუფახერ. ბატონო, თავი შეიკავე, სიკვდილის სახლში...

ჰედვიგ. (შივარდება თავის ბავშვს).

ო, ჩემო ვალტი! ცოცხალი ხარ!

გაღტერ. (გადაესხევა). საბრალო დედა!

ჰედვიგ. ეს მართალია? ცოცხალი ხარ და უვნებელიც?

(ათვლიერებს ბავშვს შიშით და ზრუნვით).

ეს შეიძლება? დაგიმიზნა პირდაპირ თავში?

როგორ გაბედა? იმას გული არა ჰქონია...

თავის საკუთარ შვილს ესროლა მამამ ისარი!

გაღტერ ფიურსტ. ესროლა, მაგრამ შიშით, კლდით, გულის  
[ღრმა ტანჯვით,

რადგან სიცოცხლე ისპობოდა, თუ არ ესროდა.

ჰედვიგ. რომ იმას მამის გული ჰქონდეს, ათასჯერ სიკვდილს  
ირჩევდა უმალ, ვიდრე ასეთს საქმეს იზამდა.

შტაუფახერ. აღიდევ ღმერთი, რომ ისარი შენს შვილს არ მო-  
[ხვდა.

ჰედვიგ. ხომ შეიძლება მოხვედროდა! ღმერთო მაღალო!

ოთხმოც წელიწადს, რომ ვიცოცხლო ვერ დავივიწყებ,  
როგორ დგას ბავშვი და მამა კი ისარს უმიზნებს!

იგი ისარი გულში მივლის და მტანჯავს მარად.

მულსტალ. ნეტავ იცოდე, ქალბატონო, თუ ფოგტმა როგორ  
გაახელა ის!

ჰედვიგ. ოჰ, მამაკაცო მკაცრო ბუნება!

როდესაც ვინმე შელახავს მათ თავმოყვარებას,  
აღარ რა ახსოვთ ქვეყანაზე; როცა სწყურებიათ,  
მათ ჩაღად უჩანს შვილის თავი და დედის გული.

**ბაუმგარტენ.** შენი ქმრის ხვედრი მძიმე არის უმაგისოდაც;  
ასე სასტიკად რომ იტანჯვის, არ გებრალება?

**ქედვაც** (შეუბრუნდება და დიდმნიშვნელოვანად უუარებს მას).  
მხოლოდ ცრემლი გაქვს გაქირვებულ მეგობრისათვის?  
სად ბრძანდებოდი, როცა იმას ბორკილს უყრიდენ?  
სად იყო შენი მეგობრული გამოსარჩლება?

იმ ბოროტებას ხედავდით და ხმას არ იღებდით!  
მტერმა წაგართვათ მეგობარი, — თქვენ რას შერებოდით?  
ტელლიც შენსავით იქცეოდა? შენსავით იდგა  
ის უმოქმედოთ, როს ლანდფოგტის ჯარის კაცები  
მოგდევდენ უკან და შენს წინ კი ტბა ღრიალებდა?  
ფუქი ცრემლებით არ ჩიოდა შენს გაქირვებას, —  
ის ჩახტა ნავში, დაივიწყა ცოლი და შვილი  
და სასიკვდილოდ განწირული გადაგარჩინა...

**გალტ.** ფაუნსტ. ჩვენ რა შეგვეძლო ერთ მუქა ხალხს უიარაღოს!  
**ქედვაც** (შიაუგანძობს თავს მამის გულზე).

ოჰ, მამა ჩემო, შენც დაჰკარგე ჩემსავით იგი!  
ჩვენ სუყველამ და მთელმა ხალხმა დავკარგეთ იგი,  
ყველას დაგვაკლდა და სულ ყველა დავაკლდით იმას!  
ღმერთო, იმის სულს ააშორე სასოწარკვეთა.  
მას ვერ ჩასწვდება მეგობართ ხმა ნუგეშმცემელი  
ციხის სარდაფში... ღმერთო, ღმერთო! რომ ავით გახდეს!  
ავით გახდება ბნელ, ნოტიო ციხის სარდაფში!  
როგორც მთის ვარდი მხოლოდ მთებზე იშლება ტურთად,  
ისე ტელლისთვის სიცოცხლეა შესაძლებელი  
მხოლოდ მზიანს და თავისუფალ, სუფთა ჰაერში,  
თავისუფლება იყო მისი სულთქმა, სიცოცხლე, —  
ნოტიო ხვრელში გაძლება მას არ შეუძლია.

**შტაუფახენ.** დამშვიდდი ახლა. ჩვენ ყველანი ერთათ ვეცდებით,  
რომ საპრობილე მისი სრულად გავანადგუროთ.

**ქედვიგ.** რას გააკეთებთ თქვენ უმისოთ? სანამ ის გვყავდა, იმედიც იყო თავის ხსნისა მტარვალებისგან, უმანკობას მეგობარი ჰყავდა მაშინ და შევიწროებულს დარჩენოდა კიდე მოსარჩლე.  
 (ბარონი იღვიძებს)

**ბაუმგარტენ.** ჩუმათ! ინძრევა!

**ატანგჰაუსენ** (წამოიწევა). ის სად არი?

**შტაუფახერ.** ვიზედა ბრძანებთ?

**ატანგჰაუსენ.** ის-ლა მაკლია! სიკვდილის წამს ნუ თუ არ  
 [მნახავს?

**შტაუფახერ.** რუდენცის ნახვა ენატრება. გაგზავნეთ კაცი?  
**ვალტერ ფაუნსტ.** გაგზავნილია... აწ დამშვიდლით, ბატონო  
 რუდენცმა გული მოიბრუნა, — ის ჩენი არი. [ჩემო:

**ატანგჰაუსენ.** ილაპარაკა იმან თავის მამულისათვის?

**შტაუფახერ.** ილაპარაკა სწორეთ გმირულ გამბედაობით.

**ატანგჰაუსენ.** რატომ არ მოდის? მსურს დავლოცო უკანა-  
 სკენლათ, —

ვგრძნობ, რომ სიკვდილი აჩქარებით მიახლოვდება...

**შტაუფახერ.** არა, ბატონო! მოკლე ძილმა შეგმატათ ძალა და უფრო ნათლათ იხედება თქვენი თვალეზი.

**ატანგჰაუსენ.** ტკივილი კაცის სიცოცხლეა, — მანაც დამტოვა, ტანჯვებიც ისე გაქრენ, როგორც გაქრა იმედი.

(დაინახავს ბავშს) ბავში ვისია?

**ვალტერ ფაუნსტ.** დამილოცეთ, ბატონო ჩემო!

ეს არის ჩემი შვილის შვილი, მამა აღარ ჰყავს.

(ქედვიგი დაინჩქებს მამაკედავის წინ თავისი ბავშითურთ.).

**ატანგჰაუსენ.** უმამოთ გტოვებთ თქვენ სულყველას... ვაიმე  
 [ბედკრულს!

რათ მოვესწარი მე სამშობლოს ბოლოს მოღებას.

მიტომ ვიცოცხლე ასე დიდხანს, რომ ბოლოს მაინც ყველა იმედი სამარეში თან ჩამეტანა!

**შტაუფახერ** (ვალტერ ფაუნსტს).

ნუ თუ ბარონი უნდა მოკვდეს ამ მწარე ფიქრით?

ნუ თუ მომაკვდავს უკანასკნელ სიცოცხლის წამებს  
 არ გაეუნათებთ იმედების მშვენიერ შუქით?

ბატონო ბარონ! ნულარ სწუხართ! გამაგრდით სულით!  
 ჯერ არც სულ მაგრე დავლუპულვართ, საშველი არი.

**ატტინგჭაუზენ.** ვინ უნდა გიხსნასო?

**გალტერ ფაუსტ.** ჩვენ თვითონვე ვუშველით ჩვენს თავს.

ჩვენ სამმა მხარემ ერთმანერთსა მხარი მივეცით,  
 რომ სამშობლოდან გავაძევოთ უცხო მტარვალი.

წმიდა ფიცითა შეკრულია წმიდა კავშირი.

სანამდის წელი დაიწყებდეს ახალ წრით დენას,

ჩვენი განზრახვა უეჭველათ უნდა შესრულდეს

და ნაშთი თქვენი მოიპოვებს განსვენებასა

ალორძინებულ თავისუფალ მშობელ მხარეში.

**ატტინგჭაუზენ:** ო, შითხარით, თუ შეკრულია მართლა კავშირი?

**მელსტად.** ერთს დანიშნულ დღეს სამივე მხარე ერთათ ატყდება.

ამისთვის მზათ გვაქვს ყველაფერი და საიდუმლოც

არ გაცემულა, თუმცა იგი ბევრმა კი იცის.

მტარვალთა ფეხქვეშ ნიადაგი გამოთხრილია,

მათ უფლობის დღე დათვლილია და მალე, მალე

მათი ხსენებაც არ დარჩება ჩვენს ქვეყანაში.

**ატტინგჭაუზენ.** იმათს ციხეებს რას უპირობთ? როგორ აიღებთ?

**მელსტად.** ისინი ყველა დანიშნულ დღეს დაინგრევიან.

**ატტინგჭაუზენ.** აზნაურები ურევინა შეთქმულობაში?

**მტაუფახერ.** ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გვიშველის აზნაურობაც;

ჯერეთ კი მხოლოდ გლეხობაა ფიცით შეკრული.

**ატტინგჭაუზენ** (განცვიფრებით წამოიწევა ლოკინზე).

როგორ? გლეხობამ გამოაწყო ეს დიდი საქმე

კეთილშობილი წოდებისა დაუხმარებლად?

მას ასე დიდი იმედი აქვს თავისი თავის?

მაშ ხალხისათვის ჩვენ საქირო აღარ ვყოფილვართ,

და შეგვიძლია დამშვიდებით ჩავიდეთ საფლავს, —

ახალი ძალა აღაყვავებს კვლავ აქ ცხოვრებას ..

(**მელს ად ბს ემაწვიფს თავზე, რომელიც მის წინ დაჩოქილია.**)

ამ თავიდანა, რომელზედაც ვაშლი დებულა,  
აღმობრწყინდება უკეთესი თავისუფლება:  
ძველი იმსხვრევა, დრო იცვლება და ნანგრევებზე  
სულ ახალი დრო და ცხოვრება აღმოცენდება.

**შტაუფსხან (ვალტერ ფიურსტ).**

შებნედე რარიგ შუქმიკრეფით უბრწყინავს თვალი!  
ეს როდი არი ბუნებისა ძალთა ჩაქრობა,  
არამედ იგი სხივი არის ახალ სიცოცხლის.

**ატლანტიკა (აზნაურობა სტოვეებს თავის ძველ ციხე-დარბაზს,**

და ფიცით ეკვრის ქალაქებს და აღუთქვამს ძმობას;  
უკვე დაიწყო უბტლანდში და ტურგაუშიაც;  
კეთილშობილი ბერნი მედგრად თავსა სწევს მაღლა;  
ფრეიბურგია თავისუფალთ მტკიცე სიმაგრე  
და მკვირცხლი, მარჯვე ციურინიც აიარაღებს  
თავის ამქრებსა და ამზადებს საბრძოლად ლაშქარს,—  
მეფეთა ძალა იმსხვრევა მის მტკიცე კედლებზე...

**(შემდეგ განაგრძობს ატლანტიკა სიტყვით, ვით წინასწარ-მხილავი).**

ვხედავ, მოდიან აქ მთავრები და თავადები,  
იარაღითა აღჭურვილნი თავით ფეხამდე,  
რათა ებრძოლონ მშვიდობიან უწყინარ მწყევებს.  
სიკვდილ-სიცოცხლის კითხვა წყდება ამ სასტიკ ბრძოლით  
და მშვენიერ ჰყოფს სისხლი ჩვენი მთების ხეგებსა.  
სოფლელი მედგრათ ეძგერება გულგაღელილი  
მტარვალთა შუბებს, ვითა სხვერპლი თავისუფალი,  
ამსხვრევს იმათ და იმავე დროს თავადაზნაურთ  
საუკეთესო ნაწილიცა ჰპოულობს სიკვდილს.  
თავისუფლება გამარჯვების დროშას სწევს მაღლა.

**(ვალტერ ფიურსტის და შტაუფსხანის ხელზე ხელს მოჭკიდებს)**

ამისთვის ყველა მარად ერთათ, მტკიცეთ იყავით  
არც ერთი კუთხე, საბუდარი თავისუფლების,  
არ უნდა იქნეს მეორესთვის უცხო და შორი...  
თქვენს მაღალ მთებზე აღმართეთ თქვენ სადარაჯონი,  
რომ ერთმანეთსა მიაწვდინოთ დროზე ცნობები.

იცხოვრეთ ძმურათ... ერთათ... ერთათ... მარადის ერ-  
 [ათ...

(მიწვევა ბადიშზე... მის უსიცოცხლო ხელებს კიდე უჭირავს ვალ-  
 ტერ ფიურსტისა და შტაუფახერის ხელები. ფიურსტი და შტაუფა-  
 ხერი კიდევ ერთხანს უუერებენ მას ხმა კაკმენდილნი. მერე მიდგე-  
 ბიან განზე ორივე თავიანთ მწუხარებით შეპურბილი. ამასობაში  
 შემოდინ მსახურნი, მიუხლოდებიან ფარულ ანუ ცხად, აშკარა  
 მწუხარებით. ზოგეერთი მათგანი დაიჩქებს მის წინ და ტარის. ამ  
 უსიტუგო სცენის დროს მაისმის ქალაქის კოშკიდან ზარის ხმა)

### რუდენცა და აკანიოვი

რუდენც (ჩქარა შემოდის).

უცოცხალი არი? ო, მითხარით, თუ ესმის კიდე?

ვალტერ ფიურსტი (მიუთითებს ცხედარზე და მიიბრუნებს სახეს.)

აწ თქვენ ხართ ჩვენი მებატონე, ჩვენი მფარველი.

ამ სასახლესაც დღეიდანა სხვა სახელი აქვს.

რუდენც (დაინახავს მიცვალებულს და დგას ერთს ადგილზე მწუხარებით შეპურბილი).

ო, ღმერთო ჩემო! სინანული გვიანდა არის?

არ შეეძლო მას ორი წუთით კიდე ეცოცხლოს,

რომ დაენახა ჩემი გული სულ გამოცვლილი?

სანამდის იგი დადიოდა მზის სინათლეზე,

მისი ერთგული რჩევა-სწავლა არ შევისმინე...

ახლა კი იგი საუკუნოდ გამოგვესალმა

და დამიტოვა გადუხდელი დანაშაულის

მე მძიმე ტვართი... ო, მითხარით, ჩემზე გამწყარალი

გარდაიცვალა?

შტაუფახერ. სიკვდილის დროს მან მოისმინა,

რაც ჩაიდინე და დალოცა შენი მხნეობა!

რუდენც. (დაიჩქებს მიცვალებულის წინ.)

ო, წმიდა ნაშთო ყოვლად ძვირფას ადამიანის!

გვამო უსულო! აღთქმას ვსდებ, რომ ამიერიდან

გაწყვეტილი მაქვს საუკუნოთ კავშირი მტერთან!

კვლავ დაფებრუნდი ჩემს მშობელ ერს, მე ვარ ისევე  
შვეიცარელი და მსურს დავრჩე შვეიცარელად  
სულით და გულით... (აღკება) იგლოვეთ, ძმანო  
საერთო მამა, მეგობარი,—არ შეშინდეთ კი;  
მან დამიტოვა არა მარტო მიწა სამკვიდროდ,  
არა, იმისი სული, გული გადმოდის ჩემზე,  
და ჩემმა სიყრმემ გადინადოს უნდა ის ვალი,  
რომელიც დარჩა გადუხდელი მის მოხუცებას!  
მომეცი ხელი, სულიერო ღირსო მამაო,  
თქვენც, მეგობრებო! და შენც მელხტალ! ნულარა ფიქ-  
ნუ იყურები აგრე განზე! მიიღე ჩემგან [რობ!  
ფიცი და აღთქმა!

**გაღვიძრე ფიქსტ.** მელხტალ, შენაც მიეცი ხელი.

მობრუნებული მისი გული ღირსია ნდობის.

**მელხტალ.** შენ სოფლელი ხომ თავის დღეში არ გყვარებია  
და აბა ახლა შენგან რა კარგს უნდა ველოდეთ?

**რუდენც.** ნულარ იგონებ ჩემს შეცდომებს ყმაწვილობისას!

**მტაუფახერ (მელხტალს).**

ხომ გახსოვს, რა თქვა სიკვდილის წამს მიცვალეებულმა,  
„იცხოვრეთ მარად ძმურათაო“?

**მელხტალ.** ჰა, ჩემი ხელიც!

ბატონო ჩემო! გლეხის ხელი მტკიცე არი, ვით  
ვაჟკაცის სიტყვა; აზნაური რაა უჩვენოთ?

ჩვენი წოდებაც ხომ თქვენსაზე უძველესია.

**რუდენც.** მე მას პატივს ვსცემ და დავიცავ კიდევ ჩემი ხმლით.

**მელხტალ.** ბატონო ბარონ! იგი მკლავი, რომელიც მიწას  
იმორჩილებს და იმის გულსაც ნაყოფიერ ხდის,  
უეჭველია დაიფარავს ვაჟკაცის მკერდსაც!

**რუდენც.** მე თქვენი უნდა დავიფარო და თქვენ კი ჩემი,—  
ასე გავხდებით ღონიერი ერთი მეორით.

მაგრამ აქ რისთვის ვდავობთ, როცა ჩვენი სამშობლო  
ჯერ კიდევ სხვერპლი და კერძია მტარვალობისა?  
როცა სამშობლოს მოვაშოროთ გარეშე მტერი,

მაშინ შევუდგეთ ამ კითხვების მოწეს-რიგებას.

(ერთი წუთით შეჩერდება).

თქვენ ხმას არ იღებთ? არა გაქვთ-რა ჩემთვის სათქმელი?

ჯერ არ ვარ ღირსი თქვენი ნდობის? რა კი ასეა,

მე უნდა თქვენდა უნებურათ თქვენი კავშირის

საიდუმლოში ჩავერიო. თქვენ გქონდათ კრება...

ნაკაფში ფიცი მიგიციათ ერთმანერთისთვის...

მე კარგათ ვიცი ყველაფერი, რაც იქ გადაწყდა;

და რაც მე თქვენგან დაფარული მქონდა ახლამდის,

მას დიდის ზრუნვით ვინახავდი, როგორც საუნჯეს.

მე არასოდეს არ ვყოფილვარ სამშობლოს მტერი

და აროდეს არ წავიდოდი თქვენ წინააღმდეგ.

უნდა ვსთქვა კი, რომ გადადებთ ცუდი გიქნიათ,

საჭირო არის მოქმედება აჩქარებული...

დაგგვიანების ერთი სხვერპლიც ხომ ტელლი არის...

**შტაუფახერ.** ფიცი დავდევი, მოვიცადოთ ქრისტესშობამდე.

**რუაქნც.** იქ არ ვყოფილვარ და არც ფიცი დამიდევს თქვენ-

[თან.

თუ გსურთ იცადეთ, მე კი უნდა გავაკეთო რამ.

**მელხტალ.** რას ბრძანებ? შენ გსურს...

**რუაქნც**

ჩვენი ქვეყანის მამათა რიცხვში

ვითვლები დღეს და თქვენი დაცვა ჩემი ვალია.

**გალტერ ფაუნსტ.** შენი პირველი უწმიდესი მოვალეობა

ამ ძვირფას გვამის მიწისათვის მიბარებაა.

**რუაქნც.** როცა სამშოლოს გამოვეგლეჯავთ მტარვალს ხელი-

[დან,

მაშინ შევამკობთ გამარჯვების გვირგვინით კუბოს.

ო, შეგობრებო! საკუთარი ინტერესებიც

მაიძულებენ, რომ ვებრძოლო ქვეყნის მტარვალებს...

ყური დამიგდეთ! ჩემი ბერტა სადღაცა გაქრა!

ის მოიტაცეს საიდუმლოდ ჩვენი წრიდანა

ასე თავხედი გაბედული ბოროტებითა.

**შტაუფახერ.** ეს ძალადობა მტარვალებმა როგორ გაბედეს

კეთილშობილის წინააღმდეგ?

**რუდენკ.**

ო, მეგობრებო!

მე თქვენ აღვითქვით დახმარება და პირველათ კი მე ვსაქიროებ თქვენს ძმობას და თქვენს დახმარებას. მათ მოიტაცეს ჩემი სატრფო და ვინ იცის, თუ სადა ჰყავს იგი დამალული მძვინვარე მტარვალს, თუ როგორ ზომებს იხმარებენ მის წინააღმდეგ, რომ აიძულონ, დაითანხმონ საზიზღ კავშირზე! ო, ნუ დამტოვებთ, დამეხმარეთ, დაეისნათ იგი... მას უყვარდით თქვენ და აგრეთვე თქვენი ქვეყანაც, ის ღირსი არი, მისთვის ყველამ ხმაღს მიჰყოს ხელი...

**გალტერფაუხსტ.** რა გსურთ დაიწყეთ?

**რუდენკ.**

თვითონ მე კი ვიცი, რა მინდა?

ამა წყვილიაღში, რომელიც მის ბედ-იღბალს ფარავს, ამ უცნობობის და ექვემდებარების უზომო შიშში, სადაც არ ძალმიძს რასმე მტკიცეს ჩავაგლო ხელი, მხოლოდ ერთია ჩემთვის ცხადი და გარკვეული: მტარვალთა ძალის ნანგრევებში ვიპოვნით იმას. ყველა ციხენი მტარვალების უნდა ავიღოთ, — იქნება სატრფოს საპყრობილეს მაშინ მივაგნოთ.

**მელხტაღ.** კარგი, წამოდი, გავვიძიებ! ჩვენც გამოგყვებით!

დღეის საქმე ჩვენ ხვალისათვის რისთვის გადავსდეთ? როცა ნაკაფში ერთმანერთთან ფიცი დავსდევით, თავისუფალი იყო ტელლი. მას უკან მოხდა საშინელება და კანონიც უნდა შევსცვალოთ, ისე ლაჩარი ვინ იქნება, იცადოს კიდე!

**რუდენკ** (შტაუფაუხს და გალტერ ფაუხსტს).

თქვენ აღქურვილი და საბრძოლად განმზადებული ელოდებოდეთ ცეცხლის ნიშნებს, ანთებულს მთებზე, რადგან შიკრიკზე უფრო ჩქარა ცეცხლი გაცნობებდა, რომ გავიმარჯვებთ ჩვენი ქვეყნის მრისხანე მტერზე. როს დაინახოთ სანატრელი თქვენ ცეცხლის ალი, მტერს თავს დაეცით უტერათ, ვით მძლავრი გრიგალი, და დაამსხვრიეთ ერთიანათ ბუდე-საფარი. (გადის).

### სცენა მისამდე

მიყრუებული გზა კისნახტის ახლოს. ამ გზაზე მგზავრი გამოდის კლდეების უკანიდან ისე, რომ სანამ სცენაზე ჩამოვიდოდეს, ის კლდის თავზე მოსჩანს. სცენა გარშემოკრულია კლდეებით. ერთ კლდეს მხარე, ბუჩქნარით შემოსილი, გამოწეული აქვს სცენისაკენ.

ტელე (შემოდის შვილდ-ისრიახათ).

მან სწორეთ ამ ყრუ გზაზე უნდა გამოიაროს, —  
 სხვა გზა არ მიდის კისნახტისკენ. აქ ავასრულებ...  
 ეს ჩინებული შემთხვევაა. ბუჩქნარი მფარავს  
 და აქედანა ჩასწვდება მას ჩემი ისარი;  
 გზის სივიწროვე დამიფარავს მე მღვეართავან...  
 აწ გაასწორე ანაგარიში, ფოგტო, ზეცასთან,  
 უნდა განშორდე წუთი-სოფელს, — დადგა ამის დრო.

ვცხოვრებდი მყუდროდ და უმანკოდ... ჩემი ისარიც  
 მხოლოდ ნადირზე მიმართული იყო ახლამდის,  
 კაცის მკვლელობა არასოდეს არ მიფიქრია...  
 ჩემი მშვიდობა შენ დამიფთხე და ჩემი ფიქრი,  
 სათნო და რბილი, უწყინარი — შხამად აქციე;  
 შენ მიმაჩვიე შენის ქცევით საშინელებას...  
 ვინც საკუთარ შვილს დაუნიშნა თავში ისარი,  
 იგი მტრის გულსაც, უმკვებლად, არ დააცილებს.

ჩემი ბავშვები საბრალო და უმანკოები  
 და მოყვარული ჩემი ცოლი, უნდა დავიცვა  
 შენი ბრახისგან, დავიფარო, უწყალო ლანდფოგტ,  
 რადგანაც მაშინ, როცა შვილდის ლარი მოვზიდე...  
 როცა ხელები ამითრთოლდენ... როს შენ, მტარვლო,  
 დემონიურის სიხალისით მაიძულებდი,  
 რომ მე მესროლა შვილისათვის ჩემი ისარი...  
 როს უსაღსარო შენს წინ ვიდევ, გვედრებოდი,  
 სწორეთ იმ წამში დავსდე აღთქმა, რომ შენი გული

მეორე ისრის მთავარ მიზნად გარდიქცეოდა.  
 რაიც აღმითქვამს გულის სიღრმით იმ ტანჯვის წამსა,  
 მას ავასრულებ, ვითა მცნებას, ვით წმიდა ვალსა.

გესსლოერ, შენ ჩემი ბატონი ხარ და ფოგტი მეფის;  
 მაგრამ მეფეც კი იმგვარ რასმე ვერ გაბედავდა,  
 რაც შენ გაბედე... მეფემ ჩვენში შენ გამოგზავნა,  
 რათა ქმნა ხალხში სამართალი, თუმცა სასტიკი,  
 რადგან ის ჩვენზე გამწყრალია, მაგრამ მართალი.  
 ამისთვისა ხარ მეფის მიერ გამოგზავნილი,  
 და არა მისთვის, დაუსჯელათ რომ იმტარვალო  
 და კაცის მკვლელის სიხალისით ის ჩაიღინო,  
 რაც შეურაცხყოფს ბუნებასა და აზფოთებს სულს!  
 კიდევა ღმერთი, რომელიც სჯის და იძიებს შურს!

ამოდი, ჩემო მოციქულო მწარე ტკივილთა,  
 ჩემო ძვირფასო საუნჯეო და მეგობარო...  
 აწ მსურს დაგიდგა შენ ნიშანი, რომელიც ღღემდის  
 მორჩილ ვედრებას არ ისმენდა, არ იკარებდა,  
 მაგრამ შენ კი ის ვერ გაგიძლებს, ჩემო ისარო...  
 მშვილდო, ერთგულო მეგობარო! სიხარულის დროს  
 ბევრჯერ ერთგული სამსახური გაგიწევია  
 და ნუ დამტოვებ ამ საშინელ შემთხვევაშიაც!  
 ახლა გასძელი, მხოლოდ ახლა, ერთგულო ღაბრო,  
 რომელიც ხშირათ ფრთას ასხამდი ჩემს ბასრ ისარსა.  
 თუ ეს ისარი უძალ-ლონოდ ახლა გაფრინდა,—  
 სხვა აღარა მაქვს, ვერ მივალწევ იმას, რაც მინდა.

(მგზავრები გაიღიან სცენაზე).

აქ ჩამოვჯდები, ამ ქვის სკამზე, რომელიც მგზავრთა  
 მოსასვენებლად ძველთაგანვე არი დადგმული...  
 ეს არავისთვის საკუთრებას არ წარმოადგენს...  
 აქ ყველა მიდის თავის გზაზე აჩქარებითა,  
 ერთი მეორეს არას დასდევს და არც კითხულობს

თუ რა ტანჯვა და მწუხარება ეფარვის გულში!  
 ამ გზაზე მიდის ფიქრით ზრუნვით სავსე ვაჭარი,  
 ამ გზითვე მიდის პილიგრიმი მჩატეთ მოსილი,  
 ბერ-მონაზონი ღვთის მმოსავი, მკაცრი მეკობრე  
 და მხიარული მოთამაშეც და მომავალი  
 შორის ქვეყნიდან ჩაღვადარიც დატვირთულ ცხენით.  
 ყველას აჩქარებს და იზიდავს მისი ხელობა,  
 მე კი მოვსულვარ და ფიქრად მაქვს კაცის მკვლელობა!  
 (ჩამოგდება).

სხვიმის, შვილებო, როცა მამა შინ ბრუნდებოდა,  
 მთელი ოჯახი სიხარულით აღივსებოდა,  
 რადგან მოჰქონდა იმას მთიდან ალპის ყვავილი,  
 ან ამჟონის ქვა, ან მოჰყავდა ლამაზი ჩიტო...  
 ახლა კი იგი სხვა ნადირს სდევს, სხვა აქვს მიზანი,  
 უდაბურ გზაზე ზის და ფიქრობს კაცის მოკვლაზე, —  
 მტრისა სიცოცხლის მოსპობაა მისი მიზანი.  
 მაგრამ ახლაც კი თქვენზედ ვფიქრობ, ჩემო შვილებო...  
 მე ვცდილობ, შვილნო, მტრის რისხვისაგან რომ დაგი-  
 [ფაროთ  
 და რომ დავიცვა თქვენი სათნო უმანკოება  
 მტარვალის შურის ძიებისგანა კაცი მშვიდი  
 დღეს მზათა ვარ, რომ სასიკვდილოთ მოვზიდო შვილდი.  
 (ადგება)

ჩინებულ ნადირს ვუდარაჯებ სწორეთ ამ გზაზე.  
 მონადირე ხომ სულ ყოველთვის მზათ არის ხოლმე  
 მთელი დღეები ზამთრის სუსხში ირბინოს გარეთ,  
 კლდიდან კლდეზედა გაბედულად გადახტ-გადმოხტეს,  
 იფორთხოს კლდეთა საშიშარსა ციცაბოებზე,  
 რომ ბოლოს მოკლას რაღაც ერთი საწყალი ჯიხვი,  
 მე კი მომელის შრომის ჯილდო უფრო ძვირფასი,  
 გული მტარვალის, რომელსაც სურს ჩვენი დაღუპვა.

(შორიდან მოისმის მხიარული მუსიკის ხმა, რომელიც თან და  
 თან მთავსდგება).

მთელი სიცოცხლე ხელთ მეჭირა მე შეილდ-ისარი,  
 მთელი სიცოცხლე გავატარე ვარჯიშობაში,  
 არ ვაცილებდი ისარს ნიშნის შუაგულ წერტილს,  
 ხშირათ მომქონდა სახლში ჯილდო მარჯვე სროლისთვის...  
 მხოლოდ დღეს კი მსურს გავისროლო ერთი ისარი,  
 და ამ ნასროლით მოვიხვექო მთებში სახელი.

(შექორწინებები გაიფიქრე და მიდიან ვიწრო გზით,  
 ტელე თვალს გაყოფებს მათ თავის შვილზე დაურდნობი-  
 ლი. მასთან მადის შტისი — შვილდასანი )

შტისსა. მერლიშახელი მცხოვრებია, კლოსტერმეიერ,  
 ეს საქორწინო პროცესია რომ გაუწყვია,  
 მდიდარი არი და ალბებზე ათგან ჯოგი ჰყავს.  
 იმიზეიდან კიუსნახტში მიჰყავს საცოლო,  
 და იქ იქნება დიდებული სმა და ქეიფი,  
 ჩვენც წავიდეთ იქ, მეზობელო, რადგან ამ ლხინზე  
 მიწვეულია ყველა კაცი პატიოსანი.

ტელე. ჩემებრ მოწყენილს სტუმარს ლხინში არ აქვს ადგილი.

შტისსა. თუ რამე სევდა გაწევს გულზე, განდევნე იგი!  
 ისარგებლე მით, მეზობელო, რაც მოგცეს ღმერთმა!  
 ცუდი დრო დადგა და ამიტომ ყოველმა კაცმა,  
 წუთი სოფელი ასეთია: აქ რომ ლხინია  
 იმავ დროს სადმე სხვაგან მკვდარსა ასაფლავებენ.

ტელე. ხშირათ კი ისიც მოხდება, რომ სიხარულს უკან  
 სიკვდილი მოსდევს.

შტისსა. აგრე ბრუნავს წუთი სოფელი.

უბედურობა სულყოველთვის სადაოთ არი...  
 ვლარნაში თურმე მაღალი მთა ჩამოწოლილა  
 და შთაუნთქავს მას იმ ქვეყნისა ერთი ნაწილი.

ტელე. როგორ? მთებიც კი ირყევიან? დედამიწაზე  
 აღარაფერი არა რჩება შეურყეველი?

შტისსა. სხვაგნითაც მოდის უცნაური რაღაც ამბები...  
 ერთი რაინდი მიდიოდა თურმე მეფესთან, —  
 ეს მიაბო მე ბადენიდან მოსულმა კაცმა; —

გზაში მას შეხვდა მთელი ხროვა კოლოებისა,  
რომელთაც იმას მწარე კბენით ცხენი მოუკლეს  
და ის ეახლა ამის გამო მეფეს ქვეითათ.

**ტელე.** თვით სუსტსაც კი აქვს იარაღი მინიჭებული.  
(აჩვენებს ი შემოდის რაჯენიმე ბავშვითურთ და ღკება გზის  
შემოსავალში.)

**შტისი.** ეს ყველაფერი მთელი ქვეყნის უბედურებას  
და ბუნებისა წინააღმდეგ მძიმე საქმეებს  
მოასწავებსო.

**ტელე.** მძიმე საქმეთ ყოველ დღე ვხედავთ  
და მათ საცნობათ სასწაული რა საჭიროა!

**შტისი.** ნეტარ არს იგი, ვინც მშვიდობით ხნავსა და სთესავს  
და უშფოთველად განისვენებს თავის ოჯახში.

**ტელე.** თვით უწყნარესიც ვერ შეიძლებს წყნარათ ცხოვრებას,  
თუ ეს არ მოსწონს იმის ბოროტ და ცუდ შეზობელს.  
(ტელე მოუსვენარი მღვდლისით ისეღება გზისკენ.)

**შტისი.** მშვიდობით!.. ალბათ, უცდი ვისმე?

**ტელე.** სწორედ აგრეა.

**შტისი.** გისურვებ, ძმაო, სიხარულით შინ დაბრუნებას!  
ურიდანა ხარ? დღეს იქიდან ჩვენს ლანდფოგტს ველით.

**მგზავნი.** (შემოდის) ლანდფოგტს ნუ ელით თქვენ ამაოთ,  
[ის ველარ მოვა.

წყალნი აღიღდნენ წვიმისაგან, დასტოვეს ბუდე  
და წაულიათ ერთიანად ყველა ხიდები. (ტელეი ადგება).

**აბმგანდა** (წინ წამოდგება) ფოგტი არ მოვა?

**შტისი.** საქმე გქონდა?

**აბმგანდი.** ჰო, რა ჯქმა უნდა.

**შტისი.** თუ ნახვა გსურდა, ამ ყრუ გზაზე რისთვის დამდგარხარ?

**აბმგანდი.** მისთვის, რომ ამ გზას ვერ ამივლის და გამიგონებს,  
**ფრანკანდი.** (საჩქაროდ შემოდის და იძახის).

გზა, გზა დასცალეთ! საცა არი აგერ გაჩნდება  
ჩემი მოწყალე და კეთილი ბატონი ლანდფოგტი.  
(ტელე გადის).

აბმკარდ. (ანჟარებით) ლანდგოფტი მოდის!

(ბავშვებითურთ სტენის ნაპირე დადგება. ჭესლერ და ჭარას ცხენებით გამოჩნდებიან მადლახზე).

შტასია. (ფრისჭარდს). მითხარ, წყალში როგორ გამოდით, თუ კი ხიდები ნიაღვარსა დაუნგრევიან?

ფრისჭარდ. ჩვენ დავამარცხეთ, მეგობარო, ტბისა ზვირთები და ალპის წყალნი აბა როგორ შეგვაშინებდენ?

შტასია. ნავში ისხედით ტბის ღელვის დროს?

ფრისჭარდ. ნავში ვისხედით;

ვერ დავივიწყებ თავის ღღეში, რაც ჩვენ გარდაგვხდა.

შტასია. ო, მეგობარო, მოგვიყვიე, რა მოხდა ტბაზე!

ფრისჭარდ. გამიშვით ჩემთვის, მეჩქარება, კისნახტში მივალ, — იქ უნდა ფოგტის მიბრძანება გამოვაცხადო. (გადის).

შტასია. ტბაში, იმ ნავზე კარგი ხალხი რომ ყოფილიყო, უეჭველია, იგი ნავი დაინთქებოდა.

წყალი და ცეცხლი — ეს ორივე მტერია ხალხის.

(შიახე-შიახედავს).

ის სადღა გაქრა, აქ ჩემთან რომ ლაპარაკობდა? (გადის) (შემოდის გესსლერ და რუდოლფ ჭარას ცხენებით).

გესსლერ. რაც გინდათ, ის თქვით. მე ვარ მეფის მოსამსახურე და ვფიქრობ მზე, თავი როგორ მოვაწონო მას.

მან გამომგზავნა ამ მხარეში არა იმისთვის, რომ ხალხს მოვეპყრა ალერსით და დაყვავებითა...

ჩვენი ხელმწიფე მორჩილებას ითხოვს ხალხისგან, აქ არის ბრძოლა იმაზე, თუ ვინ უნდა იქნეს

აქ მბრძანებელი: სოფლელები თუ კეისარი.

აბმკარდ. ახლა არის დრო, ახლოს მივალ, — ვეტყვი ყველა- (შიშით მიუახლოვდება). [ფერს!

გესსლერ. ალტორფში ქუდი სახუმროდ არ დამიკიდნია, და არც იმისთვის, ხალხის გული რომ გამოვცადო, რადგანაც იმას კარგათ ვიცნობ დიდხანია.

ქუდი დავკიდე, რომ ვასწავლო ხალხს ქედის მოხრა ჩემსა წინაშე. ჩამოვკიდე ისეთ ადგილზე,

რომელსაც ხალხი ვერასოდეს გზას ვერ აუვლის,  
 და ყოველთვის მას თვალთ ეჩრება ის საფრთხობელა,  
 და მოაგონებს მას ბატონებს, რომელთაც იგი  
 ხშირათ ივიწყებს.

**რუდოლფი ჰანზას.** ხალხსაც ხომ აქვს რამე უფლება?..  
**გუსსლერ.** მის უფლებების გამოკვლევის დრო არ გვაქვს ახლა!  
 უფრო დიადი საქმეები ხდება ჩვენს თვალწინ;  
 სამეფო სახლი იზრდება და რაც დიდებულათ  
 დაიწყო მამამ, ის შვილს უნდა, რომ დაასრულოს.  
 ეს მცირე ხალხი გველობება და წინსვლას გვიშლის...  
 ასე თუ ისე, იგი უნდა დაგვემორჩილოს.

(უნდათ გაიარონ. დედაკაცი დაფარდება ძიანს ღანდფოგტის წინ).  
**ანშგანდ.** ბატონო ლანდფოგტ! შემებრალეთ! მოწყალებას  
**გუსსლერ.** გზაში რას მხვდებით? დაიკარგეთ! [გთხოვთ!  
**ანშგანდ.** ჩემს ქმარს ციხეში

ბოლო ედება! შინ ბავშვები დაობლებულნი  
 ლუკმა პურისთვის სტირიან და არ მაქვს, რომ მივსცე.  
 დიდო ბატონო, შეგვიბრალე ჩვენ უბედურნი.

**რუდოლფი.** ვინ ხარ? ვინ არი შენი ქმარი?

**ანშგანდ.** ერთი ღარიბი  
 რივიბერგელი მთიბავია, ჩემო ბატონო.

ის უფსკრულის პირს კლდის ნაპრალებზე თივასა სთიბავს,  
 იქ, სადც პირუტყვი ვერა ბედავს საძოვრად ასვლას...

**რუდოლფი (ღანდფოგტ).** ღმერთმანი, მართლა საბრალო რამ  
 ცხოვრება არი!

გთხოვთ დაუბრუნოთ იმ საწყალ კაცს თავისუფლება!  
 რაც უნდა მძიმე იყოს მისი დანაშაული,  
 სასჯელად კმარა საშინელი მისი ხელობა. (დედაკაცს).  
 შენი თხოვნითა სასახლეში მიმართე ლანდფოგტს,  
 იქ განიხილვენ. აქ ამისთვის რა ადგილია!

**ანშგანდ.** არა და არა! ადგილიდან არ დავიძრები,  
 სანამდის ფოგტი ჩემს საწყალ ქმარს არ დამიბრუნებს!  
 უკვე ექვსი თვე იტანჯება იგი ციხეში



და სულ ამოდ ელის იგი მსაჯულთ განაჩენს.

**გესსლეკ.** შენ, დედაკაცო, ძალაზე ხარ? მომშორდი მეთქი!  
**ანძკარდ.** სამართალს ვითხოვ, ლანდფოგტ, შენგან! შენ ხარ მსაჯული

ჩვენს ქვეყანაში მეფის და ღვთის წარმომადგენლად.  
მოვალეობა შეასრულე! თუ ელი შენთვის  
ზეცის სამართალს, სამართალი გაგვიჩინე ჩვენც.

**გესსლეკ.** გასწი აქედან! მომაშორეთ ეს წუწკი ხალხი!  
**ანძკარდ.** (ადვირში ხელს უტაცებს).

ო, არა, არა! რაღა მაქვს მე დასაკარგავი!  
ამ ადგილიდან არ გაგიშვებ, სანამ სამართალს  
არ ველირსებდი. შუბლი შენი დაანაოქე,  
რავდენიც გინდა, აბრიალე წყრომით თვალეში...  
ჩვენ ისე ღრმათა და უსაზღვროდ უბედური ვართ,  
რომ შენი წყრომა-მრისხანება აღარ გვაშინებს...

**გესსლეკ.** კმარა! ჩამოდევ დედაკაცო, თორემ გაგთელავ  
ცხენის ფეხებ-ქვეშ.

**ანძკარდ.** გადამთელეთ, ჰა, აგერა ვარ...  
(დავადებს მიწაზე ბავშვებს და თვითონაც გზაში გაწვება).  
აგერა ვწევარ ბავშვებითურთ... დე, შენმა ცხენმა  
გადათელოს ეს უსაღსარო, უმწეო ბავშნი!  
ეს უარესი არ იქნება მაზე, რაც ჰქენი...

**რუდოლფ.** ხომ არ გაგიჟდი, დედაკაცო?

**ანძკარდ** (გაცხარებული განაგრძობს). ამდენი ხანიც  
მოურიდებლათ თელავდით ხომ მეფის ერთგულ ხალხს!  
ქალი ვარ, თორემ მამაკაცი რომ ყოფილვიყავ,  
სულ სხვას ვირჩევდი და აქ მტვერში არ ვეგდებოდი...  
(ისმის წყდანდედი მუსიკის ხმა მთაზე, მაგრამ უფრო ურუთ).

**გესსლეკ.** ჩემი მსახურნი სად არიან? მოვიდნენ ჩქარა  
და მომაშორონ დედაკაცი, თორემ ჩავიდენ  
მე ისეთ საქმეს, რომ შემდეგში თვითონ ვინანო.

**რუდოლფ.** მსახურნი ველარ გამოდიან, ბატონო ჩემო,  
რადგან ვიწრო გზა მექორწინეთ დაუქვრიათ.

**გკსსღერ.** ჯერ კიდევ მეტად კეთილი ვარ მე ამ ხალხისთვის...

თავისუფალი არი ენა სალაპარაკოდ,—

როგორც რიგია, ჯერ არ არი ისა დაბმული...

მაგრამ ვსდებ აღთქმას, ყველაფერი გამოიცვლება:

მინდა გავსტეხო ეს ჯიუტი გრძნობა ხალხისა,

თავისუფლების ამაყი და თამამი სული

უნდა მოვხარო. ახალ კანონს გამოვაცხადებ

ამ ქვეყნებისთვის... მე მინდა რომ...

(ისარი გაუხურეტს გულს. გულზე ხელს იტაცებს; ღამის წაიქცეს. სუსტის ხმით ამბობს)

ღმერთო, მიშველე!

**რუდოლფი.** ბატონო ლანდფოგტი!.. ღმერთო ჩემო, რა ამბავია?

**არმკარდ.** (წამოფარდება).

მოჰკლეს! მოჰკლეს ის! ირყევა და... ეცემა კიდევ!

ისარი მოხვდა! მოხვდა სწორეთ შიგ შუა გულში!

**რუდოლფი.** (ჩამოხტება ცხენიდან).

[ლანდფოგტი...

რა საზარელი ამბავია!.. ღმერთო, ღმერთო!.. ბატონო

ღმერთს შეევედრეთ! კვდებით და ცას სთხოვეთ შენდობა!

**გკსსღერ.** ო, ეს ისარი ტელლისაგან ნასროლი არი.

(ჭარბასიას დახმარებით ცხენიდან ჩამოხტება და იქვე სკამზე დაეშვება).

**ტკელ.** (გამოჩნდება მადლა, კლდის თავზე).

შენ იცნობ მსროლელს — სხვას ნუ ეძებ. ამიერიდან

თავისუფალი არი შენგან სოფელელის ქოხი,

უმანკოებას აღარა ჰყავს საშიში მტერი

და ჩვენს ქვეყანას შენ, მტარვალო, ვეღარას ავნებ.

(გაჭქრება კლდის თავიდან. ხალხი შემოცვივდება)

**შტისი.** (სხვაზე უფრო წინ) რა ამბავია? რა მომხდარა?

**არმკარდ.**

ლანდფოგტი მოკლეს.

**ხ:ლხი.** (შემოცვივდება და უვირის) ვინ მოკლეს, ვინა?

(როცა საქარწინო ჰრცესისიას თავი სტენახეა, ბოლო მისი კიდე

მადლობზე მოსჩანს და მოისმის მუსიკის ხმა).

**რუდოლფი.** მალე, გვიშველეთ! სისხლისაგან იცლება ფოგტი!

მის მკვლელს მღევარი დაადევნეთ! საბრალო გესსლერ!  
 შენი სიცოცხლე კიდევ ქრება! მე გაფრთხილებდი,  
 მაგრამ ამაოთ! შენ ჩემს რჩევას ყურს არ უგდებდი!

შტასი. ღმერთმანი, მართლა ფერწასული და მკვდარი გდია!  
 რადენამე ხმა. ვინ მოკლა ფოგტი?

რუდოლფი. ეს რასა გავს? გაგიჟდა ხალხი,

მოკლულის გვამზე გლოვის ადგილ მუსიკას უკრავს!  
 შეაწყვეტინეთ!

(მუსიკა უცრად შეწყდება. ხალხი სცენაზე მატულობს).

ხმა გამეცით, ბატონო ლანდფოგტი!

მიბძანეთ, თუკი დაგრჩათ რამე ჩემთვის სათქმელი.

(გესსლერი აძლევს ხელით ნიშანს, რომელსაც გაცხარებით იშე-  
 რებს, რადგან ვერ გაიგეს ჩქარა)

საით წავიდეთ? კინახტისკენ? ვერ მივხვდი რა გსურთ.

ნუ ცხარობთ აგრე... ყველაფერი ამ ქვეყნიერი

დაივიწყეთ და ეცადეთ, რომ შეირიგოთ ცა.

(შექრწინეთა მთელი გროვა მომაკვდავის გარშემო დგას გრძნ-  
 ბას მოკლებული შიშით შეშურბილი).

შტასი. ერთი შეხედეთ, სახე როგორ გაფითრებია!

ცივი სიკვდილი საცა არი შეიბყრობს მის გულს.

არმგარდ (ერთ ბავშვს აიუჟანს ხელში).

ბავშვებო, დახეთ ამ მტარვალსა, როგორა კვდება!

რუდოლფი ჭარბას. დედაკაცებო, რასა შვრებით? ხომ არ

გაგიჟდით?

გრძნობა არა გაქვთ, რომ სტკებით ამ საშინელებით?

მოდით, მიშველეთ... აი აგერ ამოდეთ ხელი...

არვინ მიშველის, რომ ისარი ამოვაცალოთ?

ქალები (უკან დაიწევიან).

ღვთისგან განწირულს ჩვენ შევეხოთ? ო, არასოდეს!

რუდოლფი ჭარბას. წყეულიმც იყოს და ჯანდაბას თქვენი

(ხმაღს ამოიღებს)

[ხსენება!

შტასი (ხელში ეცემა). ბატონო ჩემო, როგორ ბედავთ ხელის  
 ამოღებას!

თქვენს თარეშობას, როგორც იქნა, ბოლო მოელო,  
 ქვეყნის მტარვალის წუთი სოფელს გამოასალმეს,  
 ამიერიდან ძალადობას აღარ მოვითმენთ.

თავისუფალი ვართ ჩვენ ყველა, თავისუფალი!

**ეგელანი** (არეულათ ვვირინან).

თავისუფალი არი ახლა ჩვენი ქვეყანა!

**რუდოლფ ჰარტახს.** მორჩილება და შიში ასე მალე გამქრალა?

(შეიარაღებულ მსახურთ, რომელნიც ძლივს შემოვიდნენ)

ხომ ხედავთ, მოხდა საშინელი კაცის მკვლელობა...

ხსნა აღარ არი... დამნაშავეს გამოკიდებაც

უსარგებლოა. ჩვენი ზრუნვა აწ სულ სხვა არი...

გავსწიოთ ჩქარა კისნახტისკენ და მეფეს ციხე

ვადავურჩინოთ! — რადგან ხალხმა აიხსნა ახლა

ყოველი ჯაჭვი ვალისა და წესიერების

და აღარავინ აღარ არის ღირსი ნდობისა.

(როცა ის მსახურებთან ერთად გადის, შემოდის ექვსი ძმა მოწყა-  
 ლებისა)

**ანდრე.** გზა, გზა მიეცი! მოწყალების ძმანი მოდიან!

**შტისი.** მსხვერპლი აგერ ძევს... ყვავ-ყორანნიც იკრიბებიან.

**ძმანი მოწყალებისა.** (ხსევარ წრედ დაღკებიან მიტვალბუღის

გარშემო და დაბადი ხმით გალობენ).

სიკვდილი კაცსა უეცრად ასწრებს

ვალა არა აქვს მას დადებული.

გზაში ეწვია, ასვამს თვის ბრკყალებს

ქრება სიცოცხლე აყვავებული.

მზათ არი თუ არ, ეს სულ ერთია,

ელის მსაჯული ცაში — ღმერთია.

(როცა ამ უკანასკნელ სტრიქონებს იმეორებენ, ფარდა დაეშვება)



მოქმედება ქესუთე.

პირველი სცენა

მაღანი ადვოკატი.

სცენის ბოლოში მარჯვნივ მოსჩანს ციხე „უთრის უღელი“ ჯერ კიდევ ხარაჩობით შეწყობილი, როგორც პირველ მოქმედების მესამე სცენაში; მარცხნივ მოსჩანან მთები, რომლებზედაც მანიშნობელი ცეცხლი ანთია.—თენდება. ისმის ზარის ხმა სხვა და სხვა მხრიდან.

რუდი, კუანი, ვერნი, კალატოზი და ბეკრი სხვა სოფლები,  
მათშორის დედაკაცები და ბავშვებიც.

რუდი, ხომ ხედავთ მთებზე ცეცხლის ნიშნებს?

კალატოზი. გესმისთ ზარის ხმა

ტყის გადაღმიდან.

რუდი. ეს ნიშნავს, რომ მტერი განდევნეს.

კალატოზი. აღებულია ციხეებიც.

რუდი. ჩვენ კი, ურელნი,

რალათ ვგვიანობთ? რათ არ ვანგრევთ მტარვალთა ციხეს?

თავისუფლების შოვნაში ჩვენ სხვას რათ ჩამოვრჩით?

კალატოზი. როგორ? ის ციხე, რომლითაც სურთ ჩვენი გატება,

დაუნგრეველი უნდა დარჩეს? ახლავ დავლევოთ!

ვეკლანი. კარგი დავლევოთ! დავანგრით!

რუდი. სად არის შტისი?

შტისი. მე აგერა ვარ. რა გსურთ ჩემგან?

რუდი. სადარაჯოზე ადი მაღლა და ბუკს ჩაბერე, რომ იმისი ხმა

გაისმას მთებში, იმისმა ხმამ რომ მიაღწიოს

კლდე-ღელღებში და ყველა მხრით შეჰკრიბოს ხალხი.

(შტისი გადის. შემოდის ვალტერ ფიურსტი).

ვალტერ ფიურსტი. ჯერ მოითმინეთ, მეგობარო! უნდა შევიტყოთ

უნტერვალდენში და ან შვიცში რა ამბებია,

ჩვენ მოუცადოთ მათ შიკრიკებს.

რუდი. რაღას ვუცადოთ?

რადგანაც იგრძნო ძლიერება ჩვენი მკლავისა.

გალტერ ფაურსტ. გიშველოს ღმერთმა, რომ სისხლითა არ  
შენ გამარჯვება!

შეგებლალავს  
ბავშვები (ანჭარებული კაიფლია, სტენაზე ფიცრების ნამტვრევებით).

გაუმარჯოს თავისუფლებას!

(მთისმის ურის ბუკის ძლიერი ხმა)

გალტერ ფაურსტ. ერთი შეხედეთ, რა უზომო სიხარულია!  
ამ დღესასწაულს ეს ბავშვები სიკვდილამდე არ  
დაივიწყებენ.

(გოგონები სარზე წამოცმულ ქუდს შემოატარებენ. მთელი სტენა  
ხალხით აივსება).

რუფადი. აი, ქუდიც, რომლისთვისც უნდა  
თაყვანი გვეცა.

ბაუშგარტენ. ახლა ბრძანეთ, ამ ქუდს რა ვუყოთ?

გალტერ ფაურსტ. ო, ღმერთო ჩემო! ჩემი ვალტერ ამ ქუდ  
ქვეშ იდგა!

რადგანამე ხმა. გაანადგურეთ სახსოვარი მტარვალთ უფლობის!  
თავი უკარით ცეცხლისაკენ!

გალტერ ფაურსტ. სჯობს შევინახოთ!

დღემდის ის იყო იარაღი მტარვალობისა,  
დღეიდან იქნეს იგი ნიშნად თავისუფლების.

(სოფელში მამაკაცი, დედაკაცი და ბავშვები ზოგი დგას, ზოგი  
ზის და ეკელა ერთად შედგენენ ღამისაღ შემოკლებულ ნახევარ წრეს).

მელსტალ. ახლა ჩვენ ვდგავართ მხიარულნი მტარვალობისა  
ნანგრევებზე და ჩინებულათ შევასრულეთ ის,  
რაც გადაწყვიტეთ, მეგობრებო, ფიცით ნაკაფში!

გალტერ ფაურსტ. საქმე დაიწყო, მაგრამ ჯერ არ გათავებულა.  
ახლა გვკირდება მხნეობა და გამჭრიახობა;  
იცოდეთ მეფე არ შეგვაწევს გესლერის მოკვლას,  
და დაგვიბრუნებს გაძევებულ ლანდენბერგერსაც.

მელსტალ. თუ სურს, მობრძანდეს მეფე ჯარით! შიგნიდან მტერი  
განდევნილია და გარედან ვერას დაგვაკლებს.

რუფადი. მთებში მტერს აქვს სულ რადენიმე გამოსავალი,  
რომელთაც ჩვენი საკუთარი სისხლით დავიცავთ.

ბაშკარტენ. ჩვენ საუკუნო კავშირით ვართ შეერთებულნი  
და მეფის ჯარის ძლიერება ვერ შეგვაშინებს.

(შემოდის რესსელმანი და შტაუფახერი).

რესსელმან. (შემოსვლის დროს).

ეს საშინელი მოვლენაა ცით განკითხვისა!

სოფელენი. რა ამბავია?

რესსელმან. რა დროს ვცხოვრობთ!

გალტკერ ფაურსტ. რა ამბავია?

გაგვაგებინეთ! შენ ხარ, ვესნერ? რას გვეტყვი ახალს?

სოფელენი. რა ამბავია?

რესსელმან. მოისმინეთ და გაიოცეთ!

შტაუფახერი. განვთავისუფლდით საშინელი ხიფათისაგან...

რესსელმან. ხელმწიფე მოჰკლეს.

გალტკერ ფაურსტ. ღმერთო, ღმერთო სამართლიანო?

(სოფელენი ადგებიან და შემოეხვევიან კანს შტაუფახერს.)

უგელანი. მოჰკლესო? ვინა? გაიგონეთ, მეფე მოჰკლესო!

მელსტად. როგორ იქნება? ეგ ამბავი ვინ მოიტანა?

შტაუფახერი. უეჭველია ბრუკთან მოკლეს მეფე ალბრეხტი..

სარწმუნო კაცმა, — იოანე მილლერმა გვითხრა.

გალტკერ ფაურსტ. ეს საზარელი საქმე ნეტავ ვინ ჩაიდინა?

შტაუფახერი. ეს საქმე უფრო საზარლათა მოგეჩვენებათ,

როცა გაიგებთ, თუ ვინ არის მისი ჩამდენი.

ძმისწულმა მოჰკლა, იოანემ, შვაბთა ჰერცოგმა.

მ. მელსტად. რამ აიძულა ბიძის მოკვლა?

შტაუფახერი. ხელმწიფე თურმე

თავის ძმისწულსა მის სამკვიდროს არ ანებებდა.

ამბობდნენ კიდევ, თითქო მეფემ განიზრახაო

ეპისკოპოსის მიტრით მისი დაჯილდოება.

ასე თუ ისე ახალგაზდა ჰერცოგმა მაშინ

ყური ათხოვა მეგობართა ბოროტსა რჩევას

და ზოგიერთთა კეთილშობილ მებატონეთა

დახმარებით მან გადასწყვიტა უფლების ძებნა.

ეშენბახისა, ტევერფოლდის, ვარტის და ჰალმის

შემწეობით მან ხელმწიფესგან იძია შური,  
 რაკი სწორი გზით სამართალი ვერ მოიპოვა.

**გაღტკე ფაუტსტ.** ო, მოგვიყვიეთ, როგორ მოხდა ეს ბორო-  
**შტაუფახერ.** შტეინენიდან წამოსულა მეფე ბადენში, [ტება?

რომ ამ გზით მერე რეინფელდში გადასულიყო,  
 სადაც იმ ჟამათ მისი ბინა იმყოფებოდა.

მეფეს თან ახლდენ თავადები ჰანს და ლეოპოლდ  
 და კეთილშობილ დიდებულთა მთელი ამალა.

როცა მივიდენ რეისამდის და აპირობდენ  
 იქითა ნაპირს ნავით გასვლას, მაშინ მეფესთან  
 თითქმის ძალათი ჩასხდენ ნავში იგი მკვლევლებიც,  
 და დააშორეს ამნაირათ მეფე ამალას.

შემდეგ, როდესაც ყანა-ყანა წავიდენ გაღმა,  
 სადაც ქალაქი წარმათების ყოფილა წინეთ,  
 სადაცა ახლა ჰაბსბურგების ციხეებია

და სადც დიდება ჰაბსბურგთ გვარის აღმოცენილა,  
 იქ მეფეს ყელში ხანჯალს ასვამს ჰერცოგი ჰანსი,  
 რუდოლფ პალპი-კი მეფეს შუბით უგმირავს გულსა,  
 და ეშენბახიც თავის ხმლითა ორათ უპობს თავს;  
 მეფე ეცემა და სისხლიდან იცლება იგი.

ასე მოუსპეს მას სიცოცხლე ნათესავებმა  
 მისვე საკუთარ ნიადაგზე. მისი მხლებელნი  
 მეორე მხრიდან უყურებდენ ყველაფერს ამას,  
 მაგრამ მდინარე იყო მას და მეფის შუაში  
 და სხვას ვერაფერს ახერხებდენ გარდა კიჟინის.  
 მხოლოდ გზის პირზე ყოფილიყო ერთი ღარიბი  
 დედაკაცი და მის კალთაში მოკვდა ხელმწიფე.

**მელხტაჟ.** თვითონ მოთხარა მან ნადრი თვისი სამარი,  
 ვინც იყო მარად ყოვლის მდომი გაუმაძღარი!

**შტაუფახერ.** მთელი ქვეყანა შიშით არი ატაცებული,  
 შეკრული არი მთებში ყველა გამოსავალი,  
 სულყველა მცველად დასდგომია თავიანთ საზღვრებს.  
 თვით ძველ ციურისს თვისი კარი დაუკეტია,

რომელიც იყო ოცდა ათ წელს სულ მუდამ ღია. მიღებულია ეს ზომები, რაზგან უფროთხიან ხელმწიფის მკვლელთა და უფრო კი მათ შურის მგებელთ, რათგან მრისხანე დედოფალი უნგართ, აგნესა, რომელსაც არ აქვს ნაზი სქესის ღმობიერება, მოღის იმ ფიქრით, რომ იძიოს თავისი მამის მეფური სისხლი მკვლელთაგან და მათ გვარისაგან, მათ მსახურთაგან, შვილთაგან და შვილი-შვილთაგან, მათ ციხეების უგრძნობელთა ქვათაგანაც კი, ფიცი დაუდევს გააყოლოს თავის მამის კვალს აღამიანის შთამოგების მთელი მოღმანი და იბანაოს მათ სისხლში, ვით მამისის ცვარში.

**მელხტაღ.** იციან მკვლელნი საღ გაიქცნენ?

**შტაუფახერ.** მკვლელობის შემდეგ,

მკვლელნი გაიბნენ თურმე ხუთსა სხვა და სხვა მზარეს, რათა ერთმანერთს აღარ შეხვდენ კვლავ თავის ღღეში. ამბობენ, ჰერცოგ იოანე მთებში დაძრწისო.

**გალტერ ფაუნსტ.** მაშ სარგებლობა ვერ უნახავთ მკვლელთ  
[მკვლელობისგან?

შურის ძიება სარგებლობას ვერ მისცემს კაცსა! ის საშინელი საზრღო არი თავისი თავის და ნეტარება მისი არი კაცის მკვლელობა. კმაყოფილებას ჰპოებს იგი საზარღობაში.—

**შტაუფახერ.** ბოროტი საქმე თვითონ მკვლელებს არაფერს  
[არგებს;

ჩვენ კი ამ ბოროტმოქმედებას, სისხლით შეკაზმულს, წმინღისა ხელით ავაციღოთ წმინღა ნაყოფი. ახღა ჩვენ ღიღი საფრთხისაგან განვთავისუფლღით: მოკღული არის მკაცრი მტერი თავისუფღების, და, როგორც ისმის, ჰაბსბურღების გვარიღან თურმე სამეფო სკიპტრა სულ სხვა გვარზე უნღა გაღვიღეს. იმპერიას სურს განამტკიცოს ხელმწიფეების თავისუფალი არჩეღანი.

ვალტერ ფიურსტ და ბეგრა სხვა. შეიტყე რამე?

შტაუფახს რ. უმრავლესობამ ლუქსემბურგის გრაფი აღნიშნა.

ვალტერ ფიურსტ. ბედნიერი ვართ, იმპერიას რომ შევრჩით აწ ვეღირსებით, იმედია, მართლმსაჯულებას. [მტკიცეთ;

შტაუფახს რ. ახალ ხელმწიფეს დასკირდება მხნე მეომრები, ის დაგვიფარავს სტრიელთა შურისგებისგან.

(სოფელური ერთმანეთს გადაეხუკვიან).

(შემოდის ჰეტერმანი სამეფო შიკრიკითურთ).

ჰეტერმანი. აგერ არიან მეთაური ჩვენი ხალხისა.

რ. სსკელმან და ბეგრა სხვა. რა ამბავია?

ჰეტერმანი. ბარათი აქვს სამეფო შიკრიკს

გადმოსაცემი.

ეგ. ლანი. (ვალტერ ფიურსტ). წაგვიკითხეთ, შიგ რა სწერია.

ვალტერ ფიურსტ. (კითხულობს).

„ბატონსან და სათნო მცხოვრებთ ურის, შვიცის და უნტერვალდენის დედოფალი ელისაბედი უცხადებს ამით თვის წყალობას და ყველაფერს კარგს“,

რამდენამო, ხმა. რა სურს დედოფალს? ბატონობა მათი გათავდა.

ვალტერ ფიურსტ. (კითხულობს).

„ხელმწიფის ეგზომ საშინელმა გარდაცვალებამ დედოფალს უძღვნა მწარე გლოვა და ტანჯვა ქვრივის, და ამ ყოფაში ის იგონებს შვეიცარელთა ძველ სიყვარულს და ერთგულებას.“

მ. ლსტაღ. ახლა გვიგონებს!

წინათ ის ჩვენ არ გვიგონებდა.

რ. სსკელმან. ჩუ! ყური უგდეთ!

ვალტერ ფიურსტ. (კითხულობს).

„და იმედი აქვს, რომ ერთგული შვეიცარელი იმ ბოროტ მომქმედთ შეხედებიან სამართლიანი ზიზღით და წყრომით. დედოფალი ფიქრობს ამიტომ, რომ მეფის მკვლელებს არ დაფარვენ შვეიცარელი, პირიქით, თვითონ გაუწევენ მას დახმარებას და დამნაშავეს შურისმგებელს მისცემენ ხელში,

თუ იმ სიყვარულს და წყალობას მოიგონებენ,  
რომელნიც მათთვის რუდოლფის გვარს მიუწვდენია.“  
(სოფელელებს უკმაყოფილება ეტყობათ).

**ნამდენამე ხმა.** სიყვარული და წყალობაო.

**შტაუფახერ.** იმისი მამა ჩვენთვის მართლა მოწყალე იყო,  
მაგრამ, აბა, შვილს რა უქნია ჩვენთვის კეთილი?  
თავისუფლების მსურველები დამტკიცა მან,  
როგორც მათ უწინ ამტკიცებდნენ სხვა ძეგვები?  
გვასამართლებდა ჭეშმარიტი სამართალითა  
და იფარავდა დაჩაგრულსა უმანკობას?  
ან თუნდა ის ვსთქვათ: მოისმინა ჩვენი ელჩები,  
რომელნიც მასთან გავგზავნეთ ჩვენ? ო, არა, არა!  
მეფემ არც ერთი ჩვენი თხოვნა არ შეასრულა.  
რომ უფლებანი არ გვეშოვნა მამაცი ხელით,  
ხელმწიფეს ჩვენი გაჭირვება არ აწუხებდა!  
მას რისთვის უნდა ვუმაღლოდეთ? რა გავგიკეთა?  
ჩვენს ხეობებში მას მადლობა არ უთესია!  
ძღვევამოსილი მეფე იყო და მას შეეძლო  
ნამდვილ მამობა გაეწია თავის ხალხთათვის.  
მაგრამ ზრუნავდა იგი მხოლოდ ნათესავთათვის,  
მიტომაც მხოლოდ მათ დაჰღვარონ ცრემლი მეფისთვის.

**გალტერ ფაუსტ.** ჩვენ სრულებითაც არ გვიხარის მეფის

[სიკვდილი;

ჩვენ აღარ გვახსოვს, თუ რამ ცუდი უქნია ჩვენთვის.  
მხოლოდ არ არი საკადრისი ვიძიოთ შური  
მეფის მოკვლისთვის, იმ მეფისა, რომელიც ჩვენთვის  
არაოდეს კარგი, ღმობიერი არა ყოფილა!  
არ, გვეკადრება და ვერც ვიზამთ, რომ ვუმტროთ იმათ,  
რომელთაც ჩვენთვის აროდეს არ უწყენებიათ.  
სიყვარული ხომ არის სხვერპლი თავისუფალი,  
სიკვდილი არის ნაძალადევ ვალის მსპობელი,  
მეფე მოკვდა და ჩვენ აღარ ვართ მის ვალდებული.

**ქ. ლ. ზ. ც. ზ.** თუ დედოფალი თვის დარბაზში ახლა ცრემლებს  
და შესჩივის ცას თვის უზომო უბედურებას, [ღვრის

აქაც შეხედეთ აი, ამ ხალხს თავისუფალსა—  
 იმავ ზეცისკენ აღავლენს ის მხურვალე ლოცვას,  
 მადლობის ნიშნად. ვისც შემდეგ სურს ცრემლი მოიმკოს,  
 მან ხალხის გულში სიყვარული უნდა დათესოს,  
 (სამეფო შიკრიკი გადის)

**შტაუფახერ** (ხალხს). ტელლი სად არი? მარტო იგი რისთვის  
 [გვაკლია,

დამფუძნებელი ჩვენი ქვეყნის თავისუფლების?  
 მან შეასრულა დიდებული საქმე და მანვე  
 გამოიარა გასაჭირი ყველაზე მეტი.  
 წამოდით ყველა იმის სახლში, იქ ვნახავთ ტელლსა,  
 და გამარჯვება მივეულოცოთ სამშობლოს მხსნელსა.  
 (ეველანი გადიან)

### მეორე სცენა

ტელლის სახლი. კერაზე (ვეცხლი ანთია. კარი გაღებულია  
 და მოჩანს მინდვრები.

**ქედვიგ, ვალტერ და ვილჰელმ.**

**ქედვიგ.** დღეს მოვა მამა, საყვარელო ჩემო შვილებო!  
 ის ცოცხალია, მასთანავე თავისუფალიც,  
 თავისუფალი ვართ ჩვენც ახლა და ყველაფერი!  
 მამა თქვენია, ჩემო გვრიტო, ქვეყნის დამხსნელი!

**ვალტერ.** მეც იქ ვიყავი, დედაჩემო, იმ მოედანზე!  
 მეც მასთან ერთათ ამ საქმეში უნდა მახსენონ.  
 მამის ისარმა გამიქროლა მრისხანეთ ყურთან  
 და არ შემეკრთალვარ.

**ქედვიგ.** (მოეხვევა მას). შვილო, შვილო! კვლავ დამიბრუნდ  
 ორჯერა გშობე! შენთვის ორჯერ გამოვიარე  
 დედის ტანჯვები! ყველაფერი გათავდა ახლა...  
 ორივე შვილი ჩემთანა ხართ! ორივე ჩემთან;  
 და მამა თქვენიც დაბრუნდება დღესავე სახლში!  
 (ერთი ბერი გამოჩნდება კარებში)

**გაღჭკვილები.** შეხედე, დედა, ვილაც სათნო ბერი ღვას ეგერ.  
ის ითხოვს, ალბად, მოწყალებას.

**ჭედგოგ.** შემოიყვანე  
და მოვასვენოთ. იგრძნოს მან, რომ ბედნიერ სახლში  
მოსულა სტუმრად.

(გადის შეორე ოთახში და ისევ ბრუნდება თასით ხელში).

**გაღჭკვილები (ბერს).** შიშობრძანდი, კეთილო კაცო;  
დედა ჩემი გთხოვს მოისვენო, ღვინოც მიირთვა.

**გაღტერ.** მობრძანდით სახლში, მოისვენე და მერე ისევ  
ძალშეკრებილი გაუდევით თქვენ თქვენსა გზასა.

**ბერა.** (შიშრეულათ და არეული სახით მიმობხედავს)  
მითხარით, სად ვარ? რა მხარეში?

**გაღტერ.** როგორცა ვხედავ,  
გზა დაგზნევია, თუ არ იცი სადა ხარ ახლა!  
შენ ხარ, ბატონო, ბიურგლენში, ურის კანტონში,  
სადაც შეხენის ხეობისკენ შესავალია.

**ბერა (ჭედგოგ, რომელიც შემოდის)**  
თქვენ მარტოკა ხართ? შინ ბრძანდება სახლის პატრონი?

**ჭედგოგ.** მეც იმას ვუცდი, საცა არი უნდა მოვიდეს.  
მაგრამ, ბატონო, რა მოგიხდა, რა ამბავია?

შენ იმნაირათ იყურები, რომ ვფიქრობ კიდევც,  
რომ შენ კეთილის მოციქული არ უნდა იყო.

ვინც უნდა იყო, სულ ერთია, ვხედავ ცხადათ, რომ  
გაჭირვებული ხარ ახლა, და აი, მიირთვი!

(შეაძღვეს თასს).

**ბერა.** თუმცა სასმელი ახლა ჩემთვის ძვირფასი არის,  
მაინც ვერაფერს ხელს ვერ ვახლებ, თუ არ აღმიტყვით...

**ჭედგოგ.** ჩემს ტანისამოსს არ შეეხოთ, ახლოს ნუ მოხვალთ,  
შორით იდევით, თუ გინდა, რომ ყური დაგიგდო.

**ბერა.** გაფიცებთ ამ ცეცხლს, მიმზიდველათ რომ ღულუნებს აქ,  
გაფიცებთ ძვირფას შეილებს თავს, რომელთაც გულში  
ვიკრავ მხურვალეთ... (ხელს მჭკვიდებს ბავშვებს).

**ჭედგოგ.** რას აპირობ, რა გინდა კაცო?

ხელი გაუშვი ჩემს ბავშვებსა! შენ ბერი არ ხარ!  
 არა, არა ხარ! მშვიდობაა მაგ სამოსელში,  
 მაგრამ შენს სახეს არ ეტყობა სულაც მშვიდობა.

ბერი. ყველაზედ უფრო უბედური ვარ ქვეყანაზე.

ქედვით. უბედურება თანაგრძობით ავსებს სხვის გულსაც;  
 შენი სახე კი სულს მიხუთავს.

გაღტერ. (შეხტება) მამა მოვიდა! (გარბის).

ქედვით. ოჰ, ღმერთო, ჩემო! (უნდა ბავშვებს გაჰყუეს თან, კა-  
 [ნკალებს და რჩება].

გაღტერ (გადის). მამა, მამა!

გაღტერ. (გარეთ). ისევ ჩვენთან ხარ!

გაღტერ (გარეთ). ძვირფასო მამა, ჩემო მამა!

ტელ. (გარეთ) ისევ თქვენთან ვარ...

დღეა სად არი? (შეშინდა).

გაღტერ. კარბთანა სდგას და ველარ იძვრის,  
 ისე კანკალებს შიშისგან და სიხარულისგან.

ტელ. ო, ჰედვიგ! ჰედვიგ! ჩემთა შვილთა ძვირფასო დედა!  
 ღმერთმა გვიშველა... მტარვალები ველარ გაგვყრიან.

ქედვით. (შეხტება) ო, ტელ! რავდენი შიში, ტანჯვა გამო-  
 (ბერი შეტის უურადლებით უსმენს). [ვიარე!

ტელ. ყოველი ტანჯვა დაივიწყე და გაიხარე!  
 მე ისევ აქ ვარ, ჩემი არის ეს სახლკარობა

და მტკიცეთ ვდგევარ ახლა კვლავ ჩემს საკუთრებაზე!

გაღტერ. სად არი შენი შვილდ-ისარი, რომ ვერა ვხედავ?

ტელ. ველარცა ნახავ. სანადიროთ მას ველარ ვიხმარ, —  
 შენახულია დიდი ზრუნვით წმიდა ალაგას.

ქედვით. ო, ტელლო! ტელლო! (ხელს გაუშვებს და უკან და-  
 [იწევს].

ტელ. ჩემო კარგო, რამ შეგაშინა?

ქედვით. ტელ, როგორ... როგორ დაბრუნდი შინ? შენი  
 [ხელები...]

შემიძლიან რომ შევეხო მათ.. მაგ ხელით... ღმერთო!..

ტელ. (წრფელად და თამაშით).

ამ ხელებმა თქვენ დაგიფარათ, სამშობლო იხსნეს;



მე თამამათ ვწვდი მათ ზეცისაკენ.

(ბერი უეცრად მოძრაობით მიიქცევს ტელის ეურადღებას).  
ეს ვინ-ლა არი?

**ქადგოგ.** სულ დამაგვიწყდა! გამოჰკითხე, მე შიშითა ვართი  
ამ კაცის ახლოს.

**ბერი.** (ახლოს მოდის).

თქვენ ტელის ხართ, ლანდოვების მკვლელი?

**ტელ.** დიახ, ისა ვარ და არც ვფარავ არავისაგან.

**ბერი.** ტელის ყოფილხართ! ახ, სწორეთ ეს ღეთის განგება,  
რომელმაც თქვენთან მომიყვანა.

**ტელ.** (გასინჯავს თკალით). თქვენ ბერი არ ხართ?  
ვინა ბრძანდები?

**ბერი.** თქვენ მოჰკალით თქვენი ლანდოვები,  
რომელმაც ვნება მოგიტანათ... მეც მოვკალ მტერი...  
მტერი, რომელიც არ მიჩენდა მე სწორ სამართალს...  
ის იყო მტერი როგორც ჩემი, ისე თქვენიცა...  
იმისი მოკვლით მოვაშორე ქვეყანას მტერი.

**ტელ.** (უკან დაიხევს).

თქვენ ის ყოფილხართ... ღმერთო ჩემო! ბავშებო ჩქარა  
გადით აქედან! შენც, შენც გადი, ძვირფასო ჰედვიგ!...  
ო, უბედურო, შენ ისა ხარ...

**ქადგოგ.** ღმერთო, ვინ არი?

**ტელ.** მაგას ნუ მკითხავ! ოჰ, ბავშებმა არ გაიგონონ,  
წადი სახლიდან, შორს გადაღმა... ამ კაცთან ერთათ  
არ შეგიძლია შენ დარჩენა.

**ქადგოგ.** ოჰ, ჩემო თავო!

რა ამბავია? წამოდით აქ! (გადის და თან ბავშვებს გაიუფანს)

**ტელ.** თქვენ ხართ ავსტრიის  
ჰერცოგი, დიახ! თქვენ მოჰკალით თქვენი ხელმწიფე,  
თქვენი ბიძა და მბრძანებელი.

**ოქსანე შარბაჩიძე.** მე მან წამართვა

ჩემი მამული.

**ტელ.** თქვენ მოჰკალით ბიძა თქვენი და

თქვენი ხელმწიფე; და მიწა თქვენ კიდე გატარებსთ  
 და გინათებს მზე!

**ზარდაცადა.** მომისმინეთ სანამდისინ თქვენ...

**ტკლ.** შენ, ვით მამის მკვლელს, ხელმწიფის მკვლელს, სისხლი  
 [ჩამოგწვეთს

და ამგვარ სახით ვით გაბედე ჩემს სახლში მოსვლა?

შენი სახე შენ კეთილ კაცსა როგორც აჩვენე

და როგორ სთხოვე მიღება და თავშესაფარი?

**ზარდაცადა.** თქვენგან ველოდი შებრალებას და შემწეობას,  
 რათგან თქვენ თვითონ თქვენი მტრისაგან იძიეთ შური.

**ტკლ.** ო, უბედურო! შენ პატივის მოყვარებისთვის  
 დაღვარე სისხლი და აღარებ მას მშობლის მიერ

მტრის მოგერებას. იცავდი შენ შენი შვილების

საყვარელ თავსა? ან ოჯახის პატიოსნებას?

ან შენიანებს ააცილე მით განსაცდელი?

ჩემს წმინდა ხელებს თამამათ ვწვდი მაღლა ზეცისკენ,

გწყევლით შენ და შენს ნამოქმედარს... მე ვაგე შური

წმინდა ბუნების მაგიერათ,—შენ კი შელახე

იგი ბუნება... არა მაქვს-რა შენთან საერთო...

კაცი მოჰკალ შენ... მე კი იმას ვიცავდი მხოლოდ,

რაც ჩემთვის იყო ყველაფერზე უძვირფასესი.

**ზარდაცადა.** მაგდებთ აქედან უნუგეშოთ სასოწარკვეთილს?

**ტკლ.** მე შიში მიჰყრობს, როდესაც შენ გესაუბრები.

წადი აქედან. განაგრძე ეგ საშინელი გზა!

დასტოვე სახლი, სადაც სუფევს უმანკოება!

**ზარდაცადა** (მიბრუნდება წასასვლელად).

ახ, აწ მე აღარ შემიძლია და აღარც მინდა

ქვეყნათ ცხოვრება!

**ტკლ.** ღმერთო ჩემო! მებრალებით კი!

ასე ყმაწვილი და დიდებულ გვარეულობის

შთამომავალი, შვილი-შვილი მეფე რუდოლფის,

ჩემი ხელმწიფის, როგორც მკვლელი გარდმოხვეწილი

დგას ერთ უბრალო ღარიბ კაცის სახლის კარებში.

და შემწეობას ითხოვს მისგან სასოწარკვეთით...

(პირისახეზე მიიფარებს ხელებს).

**ზარბაღადა.** ო, თუ ტირილი შეგიძლიათ, მომეცით ნება

აღმოვიოხრო თქვენ წინ ჩემი უბედურება;

საშინელია! მთავარი ვარ... მთავარი ვიყავ...

მე ბედნიერი ვიქნებოდე, რომ შემძლებიყო

ჩემ მოუთმენელ წადილების დამორჩილება.

შურმა დამიღრღნა, დამიწყლულა სრულებით გული...

ჩემს ბიძაშვილსა ლეოპოლდეს ბავშობიდანვე

პატივსა სცემდნენ და ქვეყნებით აჯილდოვებდნენ,

მე კი, რომელიც მის ხნისა ვარ, ამდენი ხანი

დატოვებული ვიყავ მონურ მორჩილებაში...

**ტკაღ.** შენ უბედურო, ბიძაშენი კარგათ გიცნობდა,

თუ არ მოგანდო არც ხალხი და არც მამულები!

შენ შენი სწრაფი და მხეცური გიჟური საქმით

სწორეთ საოცრათ გაამართლე იმისი აზრი,

სადღა არიან დანარჩენნი მეფის მკვლელები?

**ტკაღ.** იცი, რომ გექცებს შენ მთავრობა? რომ მეგობრობა

აღკრძალულია და მტერობა-კი ნაბრძანებია.

**ზარბაღადა.** ამიტომ არი, რომ გავუბრუნო საზოგადო გზას;

მე ვერა ვბედავ ვ-სმე სახლში ვითხოვო ბინა...

უდაბურისკენ დავიჭირე მე სავლელი გზა;

ჩემი თავისვე საფრთხობელად დავძრწი მთებშია,

და ვკრთები ხოლმე, როს წყაროში ჩემს სახეს ვხედავ-

ო, თუ გრძნობთ გულში სიბრალულსა და თანაგრძნობას.

(მის წინ დავარდება ძიხს).

**ტკაღ.** (მობრუნდება). ადევით კმარა!

**ზარბაღადა.** სანამ არ მომცემთ დახმარების ხელს, არ ავდგები.

**ტკაღ.** შეიძლება კი, რომ გიშველოს ცოდვილმა კაცმა?

მაინც ადევით... რაც გინდ, ცუდი და საზარელი

იყოს ის საქმე, რომელიც თქვენ ჩავიდენიათ...

მაინც კაცი ხართ... მეც კაცი ვარ... ტელლის სახლიდან

ვერავინ წავა უნუგეშოთ... რაც ძალმიძს, ვიზამ.

**ზარბაცაძე.** (წამოხტება და მხურვალეთ ართმევს ხელს).

თქვენ იხსნით ჩემს სულს სასოების წარკვეთისაგან.

**ტელ.** ხელი გამოიშვით... თქვენ აქედან უნდა წახვიდეთ.

აქ საიდუმლოთ, იცოდეთ, თავს ვერ დაიფარავთ;

თუ კი გაიგეს თქვენი ბინა, ჩვენ ვერ დაგიცავთ.

საითკენ ფიქრობთ გამგზავრებას? სად ფიქრობთ ჰპოოთ-

თქვენ მოსვენება?

**ზარბაცაძე.** მე არ ვიცი! ახ, ჩემო თავო!

**ტელ.** ყური დამიგდეთ, რა მსურს გითხრათ: იტალიაში

უნდა წახვიდეთ, წმინდა პეტრეს ქალაქში, — რომში;

იქ პაპის ფერხთ წინ აღიარეთ თქვენი ცოდვები

და თქვენს ცოდვილსულს მძიმე ტვირთი მოხსენით ამით.

**ზარბაცაძე.** შურის მგებელთა ხელში ხომ არ გადამცემს პაპი?

**ტელ.** პაპმა რაც გიქნას, ის მიიღეთ, ვითარცა ღვთისაგან.

**ზარბაცაძე.** როგორ წავიდე მე არ ვიცი უცხო მხარეში?

გზა არ ვიცი და ვერც გავბედავ სხვებთან სიარულს.

**ტელ.** გზას დაწვრილებით მე აგიხსნით და დაიხსომეთ!

სულ აღმა-აღმა უნდა მიჰყვეთ თქვენ რეისის პირს,

რომელიც გიჟურ ლტოლვილებით მორბის მთებიდან...

**ზარბაცაძე.** (შეშინებით). კვლავ უნდა ვნახო მე რეისი? ის ხომე

[მოწმეა]

ჩემი ბოროტი მოქმედების.

**ტელ.** უფსკრულის პირზე

მიდის ბილიკი. ჯვრებით არი იქ აღნიშნული

ზვავებისაგან დაღუპულთა სამარეები.

**ზარბაცაძე.** სულაც არ მაფრთხობს მე ბუნების საშინელება,

თუ კი შევიძელ დამშვიდება გულის ტანჯვების.

**ტელ.** ყოველ ჯვარის წინ სინანულით დაიჩოქეთ და

დანაშაული ცხარე ცრემლით აღმოიტირეთ...

თუ ბედნიერათ გაიარეთ საშინელი გზა,

თუ მთამ ყინვითა დაფარულმა არ გამოგზავნა

თქვენ დასალუპვათ საშინელი ზევიდან ქარი,

თქვენ მიხვალთ ხილთან; ხილი იგი ლამის ჩაინგრეს;

თუ კი იმ ხილმაც შეგიკავათ და არ ჩაიშხვრა  
 თქვენი ცოდვების სიმძიმისგან და გადურჩით მას,  
 მიღწევთ მაშინ ერთ შავი კლდის ვიწრო გასავალს,  
 რომელს აროდეს მზის სხივები არ მოხვდენია.  
 მასაც გაივლით და გახვალთ ერთ მხიარულ ველში,  
 რომელიც თითქო შექმნილია სიხარულისთვის.  
 მანამ ის უნდა გაიაროთ ჩქარი ნაბიჯით,—  
 თქვენ ვერ დარჩებით მოსვენება სადაცა სუფევს.

**ზარბიცადა.** ო, რუდოლოფ, რუდოლოფ! პაპა ჩემო გვირგვინოსანო!  
 შენს სამეფოში ძის-ძე ასე დაძრწის, დაძვრება!

**ტელე.** ასე, ამგზითა ახვალ ზევით გოთარდის მთაზე,  
 სადაც არიან საუკუნო უშრობი მთები,  
 რომელიც ხოლმე ივსებიან ციური ნამით.  
 იქ განშორდებით გერმანიის სამფლობელოსა,  
 და იქ სხვა წყალი დაგიხვდებათ სწრაფად მდინარი.  
 იმ წყალს მიჰყვებით, ის მიგიყვანთ იტალიაში...  
 (ისმის მუსიკა, შემდგარი ბეგრ მთიულ საკრავებისაგან)  
 აქეთ მოდიან... ხმები მესმის, წადით საჩქაროთ!

**ქედვიგ.** (შემოდის საჩქაროდ)

ტელე, მამა მოდის! მასთან ერთათ შეფიცებულნიც.  
 სამხიარულო პროცესიით.

**ზარბიცადა.** (სახეზე ხელს მიიფარებს).

ვამე ბედკრულს! არ ძალმიძს დავრჩე  
 ბედნიერებთან ერთის წუთით!

**ტელე.** ძვირფასო ჰედვიგ,

ეს უცხო კაცი წაიყვანე, ასე, აქამე,  
 კარგი საგზალით დატვირთე და ისე გაუშვი,  
 რადგან მისი გზა გრძელი არის და ვერსად ჰპოვებს  
 თავშესაფარსაც... დაუჩქარე! მოდიან აქეთ.

**ქედვიგ.** ვინ არის, მითხარ, ეს უცნობი?

**ტელე.** მაგას ნუ იკვლევ!

როცა წავიდეს, შენ მობრუნდი, რომ შენმა თვალმა  
 არ დაინახოს იგი კაცი საით წავიდა.

(მარრიციდა ჩქარის ნაბიჯით გაემართება ტელისაკენა. ტელის ხელით ანიშნებს და მიდის, როცა სხვა და სხვა მხრისაკენ გადაინ, სანახავი იცვლება და მუურებლები ხედავენ)

### უკანასკნელ სცენაში

ტელის სახლის წინ მინდორს გარშემო მოსჩანან მალღობები, რომლებზედაც მოთავსებულნი არიან სოფლელნი ჯგუფ-ჯგუფათ. ზოგიერთი სოფლელნი მოდიან მალიდან მთის ბილიკით, რომელიც შეხენის მდინარეს გადაჰყურებს. ვალტერ ფიურსტ ორივე ბავშვებითურთ, მელტალი და შტაუფახერ მოუძღვებიან დანარჩენებს; როცა გამოდის ტელი, მას სუყველანი დიდის სიხარულით და აღტაცებით შეხვდებიან.

**შეღანა.** ტელს გაუმარჯოს! ჩვენს მფარველს და ქვეყნის [დამხსნელსა!

(როცა წინ მდგარნი ტელს ეხვევიან, შემოდის რუაენცი და ბერტა; რუაენცი გადახვევა სოფლებს, ბერტა ჰქვავის, ამ უსიტუერ სტანის დრას მადლობიდან მოისმის საკრავების ხმა. როცა მუსიკა შესწყდება, ბერტა გამოდის ხალხში და შუაგულში დადგება)

**ბერტა.** შევიცარელნო! მეგობარნო შეფიცებულნო! თქვენსა კავშირში მიმიღეთ მეც, მე ბენდიერი, რომელმაც ვპოვე მფარველობა თქვენს ქვეყანაში, ახლა მე ვანდობ ჩემს უფლებას თქვენს მამაცობას, გსურთ დამიფაროთ, როგორც შეილი თქვენი მამულის? **სოფლელნი.** გვსურს დაგიფაროთ ჩვენი სისხლით, ჩვენი ქონებით!

**ბერტა.** მაშ ჩემს ხელს ვაძლევ ამ ყმაწვილ კაცს, თავისუფალი შევიცარელი თავისუფალ შევიცარელსა.

**რუაენცი.** თავისუფლებას ვანიჭებ მე ყველა ჩემს ყმებსა! (უეცრათ დაუკრავს მუსიკა. ფარდა ჩამოეშვება).

ი. ბაქრაძე.



# დანაშაული და სასჯელი

(რომანი)

ექვს ნაწილად თ. მ. დოსტოვესკისა.

ნაწილი მეოთხე\*)

რასკოლნიკოვი პირდაპირ არხისაკენ წავიდა, სადაც სონა სცხოვრობდა. სახლი სამ-სართულიანი იყო, ძველი, მწვანედ შეღებილი. მოსძებნა მეეზოვე და ბუნდად გაიგო მისგან, სად იდგა მკერვალი კაპერნაუმოვი. მოათვალიერა ეზოს ერთს კუთხეში ბნელი და ვიწრო კიბის შესავლელი, ავიდა მეორე სართულში და დახურულს დერეფანში გავიდა, რომელიც ეზოს მხრივ უვლიდა გარს სახლსა. სანამდის ასე ეძებდა ბნელაში, საიდან უნდა შესულიყო კაპერნაუმოვთან, უცბად იქვე, სამს ნაბიჯზედ, ვილასიც კარი გამოიღო. რასკოლნიკოვი იმავე წამს კარებს ეცა.

— ვინ არის? — დაეკითხა შეშფოთებით ვილაცა ქალი.

— მე ვარ, მე... თქვენთანა, — უპასუხა რასკოლნიკოვმა და ვიწრო დერეფანში შეჰყო თავი. აქ, დაგლეჯილს სკამზედ, სანთელი იდგა მოღრეცილის შანდლითა.

— თქვენა ხართ! ღმერთო! — შეჰყვირა სუსტის ხმით სონამა და გაქვავებულსავეით დარჩა გაშეშებული.

— საით უნდა გავიარო? აქეთა?

და აღარ შეუხედნია რასკოლნიკოვსა, პირდაპირ ოთახში შევიდა.

\*) იხ. „მოამბე“, 1895 წ. I, II, III, IV, V, VI და VII.

სონაც მაშინვე უკან შეჰყვა. სანთელი მაგიდაზედ დადგა სონამა და მთლად დაბნეულმა და აღელვებულმა შეშინებულისავით დაუწყოა ყურება გაოცებულმა. უცბად მთლად გაწითლდა, ცრემლი მოერია... ეზიზღებოდა კიდეცა, რცხვენოდა და იამებოდა კიდეცა თითქოს... მიბრუნდა საჩქაროდ რასკოლნიკოვი და მაგიდას მიუჯდა, ოთახს თვალი გადააფლო.

ეს იყო საკმაოდ მოზრდილი, მაგრამ დაბალი ერთად-ერთი ოთახი, რომელსაც კაპერნაუმოვეები აქირავებდნენ. მარცხნივ, კაპერნაუმოვეებისაკენ გასასვლელი კარები, დაკეტილი იყო. მარჯვნივაც იყო კედელში გამოქრილი კარები, მაგრამ ერთთავად მაგრა იყო დაგულული, არ იღებოდა, მეზობლების ცალკე ბინა იყო იქა. უშნო იყო და ულახათო სონას ოთახი, სარაიას წააგავდა. არხის მხარეს კედელს სამი ფანჯარა ჰქონდა, მაგრამ ისე როგორღაც სჭრიდა ოთახს ცერად, რომ ერთი კუთხე ოთახისა საშინლად იყო შევიწროვებული და ღრმად დამალული, მეორე-კი უმგზავსად გადღრენილი. არც მოწყობილობა და ავეჯი ამშვენებდა ამოდენა ოთახსა. მარჯვნივ კუთხეში ტახტი იდგა; მის გვერდით, კარების მახლობლად, სკამი იმავე, კედელთან, სადაც ტახტი იდგა, კარებთან, რომლიდამაც მეზობლის ბინა იწყებოდა, უბრალოდ გათლილი, ლურჯ სუფრა გადაფარებული მაგიდა იდგა; მაგიდას გვერდით ორი ჩალის სკამი უდგა. პირდაპირ, მეორე მხარეს, ვიწრო კუთხესთან, პატარა ხის კამოდი იდგა, მაგრამ თითქმის აღარც-კი სჩანდა, ისე იყო მიმალული. ეს იყო მთლად ოთახის მოწყობილობა. გაყვითლებული, გაქუქყიანებული და დაფლეთილი შპალიერი კუთხეებში მთლად ჩაშავებულიყო. ეტყობოდა, ზამთარში ნოტიო და აშმორებული უნდა ყოფილიყო. ყველაფერს სიღარიბე ეტყობოდა. ტახტთანაც კი ფარდა არ სჩანდა.

გაჩუმებული შეჰყურებდა სონა რასკოლნიკოვსა, რომელიც ისე მოურიდებლად და ყურადღებითა ჰსინჯავდა ოთახსა. ბოლოს-კი შიშმა აიტანა თითქმის, ცახცახი დააწყებინა, თი-

თქოს ეგ არის თავის ბედის გადამწყვეტ მსაჯულის წინა სდგას და გასამართლებას ელისო.

— გვიან მომიხდა შემოსვლა... თორმეტი საათია, ნეტა, თუ არა? — ჩაეკითხა რასკოლნიკოვი, მაგრამ არ შეუხედნია.

— როგორ არა, — წაიღუდუნა სონამ. — დიახ, დიახ! — დასძინა უცბად საჩქაროდ, თითქოს ეს არის მისი მხსნელიო. — ეს იყო, დიასახლისის საათმა დაჭკრა... მეც გავიგონე... როგორ არა, არის.

— მე თქვენთან უკანასკნელად მოვედი, — განაგრძობდა დაღვრემით რასკოლნიკოვი, თუმცა პირველი იყო ეს მისი სონასთან მისვლა, — იქნება მეტჯერ ველარცა გნახოთ...

— როგორ... მისდინხართ საღმე?

— არ ვიცი სწორედ... ყველაფერი ხვალ...

— მაშ, ხვალ კატერინა ივანოვნასთან არ იქნებით? — ჩაეკითხა აკანკალებულის ხმით.

— არ ვიცი, ყველაფერი ხვალ დილით გადაწყდება... მაგრამ საქმე ეგ როდია: მოვედი, რომ ერთი სიტყვა მეთქვა...

და მხოლოდ ახლა-ღა შევნიშნა უცბად, დაღვრემილმა რომ გადაჰხედა, რომ თვითონ იჯდა და სონა-კი ისევ ფეხზედ იდგა იმის წინა.

— რალასა სდგევხართ? დაჯექით, — უთხრა წყნარად, ალერსიანად.

დაჯდა სონა. ერთს წამას ალერსითა და თანაგრძნობით გადაჰხედა.

— რა გამხდარი ხართ! რა ნაზი ხელი გაქვთ! თითქმის სინათლე გადის შიგა. თითებიც მთლად მკვდრისას მიგიგავთ. და ხელი დაუჭირა. სონამ ოდნავ გაუღიმა.

— მე მუცამ ასეთი ვიყავი, — უპასუხა.

— შინაც აგრეთი იყავით?

— დიახ.

— რასაკერელია, აგრე იქნებოდა! — წარმოსთქვა ნაწყვეტ-ნაწყვეტად და უცბად სახის გამომეტყველება და ხმა გამოეცვალა ისევა.

ერთხელ კიდევ მიიხედ-მოიხედა ირგვლივ.

— კაპერნაუმოვისაგანა ქირაობთ ოთახს?

— დიახ...

— ე კარები იმათსა გაღის, იქითა რგანან?

— დიახ... იმათაც ასეთი ოთახი უქირავთ.

— ყველანი ერთად სცხოვრობენ?

— ერთადა.

— თქვენს ადგილას ღამ-ღამობით შიში მექნებოდა ამ ოთახშია, — შეჰნიშნა ისევ დაღვრემით.

— ბინის პატრონები კარგი მყავს, მეტად ტკბილი ხალხია, — მიუგო სონამ, თითქოს ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულა და ვერა მოუსაზრია-რაო, — მოწყობილობაც, ყველაფერი... იმათია. კეთილი ხალხია ძაან, ბავშვებიც ხშირად დაიარებიან...

— ენა-ჩლოუნგები?

— დიახ... ენა-ჩლოუნგია და კოქლი. ცოლიც... ენა-კი არა აქვს ჩლოუნგი, ლაპარაკის დროს სიტყვებსა ჰყლაპავს. მაგრამ კეთილი ადამიანია მეტად. თვითონ კაპერნაუმოვი შინა ყმად ნამყოფია. შვიდი შვილი ჰყავთ... ენა-ჩლოუნგი მარტო უფროსია, სხვები ავადმყოფები არიან... ენას არ უკიდებენ... მაგრამ თქვენ საილამ იცით, განა? — დასძინა გაკვირვებულმა.

— მამა თქვენმა მიაშხო მაშინ ყველაფერი. თქვენ შესახებაც ყველა მიაშხო... მითხრა ისიც, როგორ წახვედით ექვსზედ და ცხრაზედ დაბრუნდით უკანა! ან კატერინა ივანოვნა როგორ იდგა თქვენ ლოგინთან მუხლის თავზედ დაჩოქილი. შეკრთა სონა.

— დღეს თითქოს თვალითა ვნახე, — წაიბუტბუტა გაუბედავად.

— ვინა?

— მამა ჩემი. ქუჩაში მივდიოდი იქ, კუთხეში; მეთვე საათი იქნებოდა. ვნახოთ, თითქოს წინ მიდის. ის იყო ნამდვილად. მინდოდა კატერინა ივანოვნასთან შემეველო. მაგრამ...

— სეირნობდით?



— დიახ, — მიუგოსწრაფად შემკრთალმა და თავი ჩაპლუნა.

— კატერინა ივანოვნა თითქმის გცემდათ კიდევცა, არა, მამასთან როცა იყავით?

— არა, არა, რას ამბობთ მაგას! — შესძახა როგორღაც შეშინებულმა სონამ.

— როგორ, გიყვართ, მაშა?

— კატერინა ივანოვნა? რო-გორ-არ-რა! — გააგრძელა როგორღაც საბრალოსად და გულხელი დაიკრიფა საცოდავად. — ეჰ! რომ იცნობდეთ... კარგათა... ბავშვივით-ღა... მწუხარებისგან თითქმის მთლად შეშლილია. მერე, რა ჰკვიანი იყო... რა დიდსულოვანი... რა გულკეთილი! თქვენ, აბა, ან-კი რა იცით... ეჰ!

ყველაფერი ეს საშინლად აღელვებულმა და სასოწარკვეთილმა წარმოსთქვა ხელების მტვრევითა. გაფითრებული ლოყები ერთს წამას ისევ დაუწითლდა, თვალებში ტანჯვა დაეტყო. ეტყობოდა, ბევრი რამ გაახსენდა საწყალსა; უნდოდა რაღაცა ეთქვა, წაჰკომამებოდა. რაღაცა უზომოდ დიდი თანაგრძნობა აღებეჭდა უცბად მთელს სახეზედა.

— მცემდა! რას ამბობთ! ღმერთო ჩემო, გცემდაო! მერე, თუნდაც ეცემა კიდევც, რა იქნებოდა ვითომ? მაინც, რა იქნებოდა? თქვენ სულ არა იცით-რა... ისეთი უბედური და საცოდავი რამ არის, რომ! მასთან ავადმყოფიც!.. სიმართლის მაძიებელია და ის არის... წმინდაა ყველაფრითა და სჯერა, რომ სამართლიანობა ყველგან უნდა იყოს დაცული... სტანჯეთ და აწვალეთ თუნდა, არასოდეს უსამართლოს არას ჩაიდნის. ვერ წარმოუდგენია, რომ უსამართლობა მართლაც არსებობს ქვეყნად და სწვალობს, იტანჯება... ბავშვია ნამდვილი, ბავშვი! მაგრამ სამართლიანი, სამართლიანი!

— თქვენა, თქვენ რაღა მოგელისთ?

სონამ გაკვირვებულმა შეჰხედა.

— ახლა ხომ ყველა თქვენ დაგაწვით კისერზედა. მართალია, წინადაც აგრე იყო და განსვენებულიც თქვენვე მო-

გმართავდათ ხოლმე ნაბახურევი ფულისათვისა. მაგრამ მაინც, რა იქნება ახლა?

— არ ვიცი, — მიუგო ნაღვლიანად სონამა.

— ძველ ბინაზედვე დარჩებიან?

— არ ვიცი, როგორ იქნება. უნდოდათ დარჩენილიყვნენ, მაგრამ დიასახლისს ეთქვა ღღესა, მინდა დავითხოვო; ახლაკი კატერინა ივანოვნაც იმასვე ამბობს, რომ არც ერთს წამს აღარ დარჩება იქა.

— მერე, რის იმედი აქვს, რომ აგრე დიდგულათ ადგია? თქვენნი თუ?

— არა, არა, ნუ მეტყვით მაგას!.. ერთადაც ცხოვრობთ, ერთნი ვართ, — აღელდა უცბად და გაცხარდა, გეგონებოდათ, იადონი ან სხვა რამ პაწია ჩიტი გაბრაზდომ. — ან რა უნდა ქნას? მაინც, რა უნდა ქნას? — ეკითხებოდა ცხარედ აღელვებული. — რამდენი იტირა ღღესა! საბრალო ლამის კკუიღამ შეიშალოს, ვერ შეჰნიშნევით? გადარეულია მთლად; თან პატარასავითა სწუხს, რომ ხვალ ყველაფერი რიგზედ იყოს, საუზმეც, ყველაფერი... თან ხელებს იმტვრევს, სისხლს იღებს, სტირის და თავს კედელს ახეთქებს, სასოება და კარგული აქვს. შერე-კი ისევ თავს ინუგეშებს, თქვენი იმედი აქვს: ამბობს, რომ დაეხმარებით, პატარა ფულს იშოვის სადმე სესხადა, წავა თავის სამშობლო ქალაქში, მეც თან წამიყვანს, კეთილშობილ ქალთათვის პანსიონს გაჰხსნის; მე მეთვალყურეობას მომანდობს და დავიწყებთ ახალს, მშვიდობიანს ცხოვრებას; თან მეხვევა და მკოცნის, მანუგეშებს. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ყველა ეს ნაოცნებარი ნამდვილივითა სჯერა! შეიძლება, განა, ასეთს ადამიანს ვინმე ეწინააღმდეგოს? თვითონ-კი მთელი ღღე არ ისვენებს: ჰრეცხავს, სწმენდავს, აკერებს; სარეცხის თაბახი თვითონ შემოათრია სუსტმა ადამიანმა, სულს ძლივს-და იბრუნებდა და ლოგინზედ მკვდარივით დაეცა. დილასაც ერთად ვიყავით სავაქროთ, პოლენჩკასა და ლენას ბაშმაკები ვუყიდეთ, აღარა ჰქონდათ; მაგრამ ეგ არის, ფული დაგვიკლდა და საკმაოდ ბლომათაც, ანგარიშში მოვ-

ტყუვდით. მაგრამ ისეთი პაწია ბათინკები ამოარჩია, გემოვნე-  
ბა აქვს ისეთი შესანიშნავი, რომ... რომ არ იცით... იქვე  
ვაქრებთან, წაჰსკდა ტირილი, რომ ფული დაუკლდა... ოჰ,  
რა საცოდავი რამ იყო!

— რასაკვრელია, მას შეჰდევ, რაც თქვენ... აგრესცხოვ-  
რობთ, — უპასუხა რასკოლნიკოვმა და მწარედ გაიღიმა.

— თქვენა, თქვენ-კი არ გებრალეხათ, განა? არ გებრა-  
ლეხათ? — ჩააცივდა სონა. — თქვენ არ იყავით, პირველად ჰნა-  
ხეთ თვალითა და მთელი თქვენი უკანასკნელი ფული მიეცით.  
რა იქნებოდა მაშინ, ყველა ეს რომ გენახათ თვალთ! მერე,  
რამდენჯერ მიტირებია ცხარედ! აი, წარსულს კვირასაც-კი!  
ოჰ, მე! ერთი კვირის წინად იყო სწორედ. სასტიკად მოვე-  
პყარ მეტად! მერე, რამდენჯერ მიქმნია ასე. ოჰ, რომ იცო-  
დეთ, რა რიგ მტანჯავდა მთელი დღე ეს მოგონება!

სონა თითქმის ხელებს იმტვრევდა, იქამდის სწუხდა.

— როგორ, თქვენა ხართ სასტიკი, ულმობელი?

— დიახ, მე, მე! მივედი მაშინ, — განაგრძობდა ტირი-  
ლითა, — და მეუბნება განსვენებულთ: „წამიკითხე რამ, სონა,  
თავი მტკივა, წამიკითხე... აი, წიგნიო“, რაღაცა წიგნი გა-  
მოერთმია ანდრეი სემონიჩ ლებეზიატნიკოვისათვის; აქა სცხო-  
ვრობს, ასეთს სასაცილო წიგნებს შოულობს ხოლმე. მე-კი  
ვუთხარი: „დროა წავიდე-მეთქი.“ არ წაუუკითხე. იმიტომ-კი  
შევიარე, მინდოდა კატერინა ივანოვნასთვის საყულოები  
მეჩვენებინა. ლიზავეტამ მომიტანა იაფად მშვენიერი, ახალ-  
ახალი, ყვავილებიანი საყულოები და მაჯები. კატერინა ივანოვ-  
ნას-კი საშინლად მოეწონა: გაიკეთა და სარკეში გაიხედა; მეტად  
მოეწონა: „სონა, მოდი, მე მაჩუქეო,“ მთხოვა. თან დააყოლა:  
გუთაყვანა. სჩანდა, გულით უნდოდა. მაგრამ სად უნდა გაეკე-  
თებინა, ნეტა? ეს იყო მხოლოდ, წარსული ბედნიერი დრო  
მოიგონა. იცქირება სარკეში და კოპწიაობს, მაგრამ არავითა-  
რი კაბები და სამკაული აღარა აქვს, აგერ უკვე რამდენი  
წელიწადია! და არც თუ ვისმე სთხოვს რასმე, ამაყია მეტადა,  
თუ აქვს რამე, თვითონ გაიღებს ისევე. მაშინ-კი მთხოვა უც-

ბადა, ისე მოეწონა! მაგრამ დამენანა და არ მივეცი. „რად გინდა-მეთქი, კატერინა ივანოვნა?“ აგრე ვუთხარი სწორედ, რად გინდა-მეთქი. არ უნდა მეთქვა ასე, არა! ისე შემომხედდა და ჩაეთუთქა გული, უარი რომ ვუთხარი, რომ საცოდავობით ველარც-კი ვუყურე... იმიტომ-კი არა, რომ საყელოები დაენანა, არა, იმიტომ, რომ უარი ვუთხარ. შევნიშნევი. ოჰ, რა სიამოვნებით დავუბრუნებდი ყველაფერს უკან, როგორ სიამოვნებით ვიტყოდი უარს ჩემს სიტყვებზედა... ოჰ, მე... მაგრამ რა? თქვენთვის ხომ ეს სულ ერთია!

— ლიზავეტა დალალს იცნობდით?

— როგორ არა... თქვენც იცნობდით? — დაეკითხა გაკვირვებით სონა.

— კატერინა ივანოვნა მძიმე ქლექია, ჩქარა მოკვდება, — უთხრა რასკოლნიკოვმა მცირე სიჩუმის შემდეგ, მაგრამ კითხვაზედ პასუხი არ მისცა.

— ოჰ, არა, არა!

და უნებურად ორთავე ხელით რასკოლნიკოვს დაეჭიდა, თითქოს ემუდარება, ნუ მოკვდებაო.

— ეგ ხომ უკეთესიც არის.

— არა, არ არის უკეთესი, სრულიადაც არა! — იმეორებდა შეშინებული სონა.

— მერე, ბავშვებს რაღას უზამთ? თქვენ მეტი გზა სადა აქვთ?

— ოჰ, არ ვიცი სწორედ! — შეჰკივლა სასოწარკვეთილად სონამა და თავზე ხელი იტაცა.

ეტყობოდა, წინადაც ბევრჯელ ეფიქრა ამაზედა და ახლა ზხოლოდ მოულოდნელად გაახსენა რასკოლნიკოვმა.

— მერე, ახლაც რომ ავად გახდეთ და საავადმყოფოში დაგაწვინონ, რა დღეში ჩაცვივთან? — ეკითხებოდა შეუბრალებლად რასკოლნიკოვი.

— ეჰ, რას ამბობთ, არა! ეგ არ იქმნება!

და სახე უცბად საშიშრად დაედროჯა.

— როგორ თუ არ იქმნება? — განაგრძობდა მწარე და-ცინვით რასკოლნიკოვი. — უზრუნველყოფილი რითი ხართ?

რა ეშველებათ მაშინ? ხომ ყველანი უჭეროთ დარჩებიან: სა-  
მათხოვროდ ჩამოივლის ხველებითა და თავს დაუწყებს  
კედელზედ ზლასა, როგორც დღესა ქნა; ბავშვები-კი ტირილით  
გააყრუებენ იქაურობასა... დაეცემა ბოლოს დაუძღურებული,  
პოლიციას წარუდგენენ, საავადმყოფოში დააწვენენ, წუთისო-  
ფელს გამოესალმება; ბავშვები-კი...

— ოჰ, არა!.. ღმერთი არ ინებებს ამასა! — ამოჰხდა ბო-  
ლოს შეხუთულ გულიდამ სონასა.

უგდებდა ყურს გულ-ხელ დაკრეფილი მუდარით, თითქოს  
ყველაფერი რასკოლნიკოვზედ ყოფილიყოს დამოკიდებული.

წამოდგა ბოლოს რასკოლნიკოვი, ოთახში მოჰყვა სია-  
რულსა. ასე გავიდა ერთი წამი. სონა თავჩალუნული იდგა,  
საშინლად მოწყენილი, შეწუხებული.

— არ შეიძლებოდა, განა, გეგროვებინათ? შავის დღისა-  
თვის გადაგედოთ რამ? — დაეკითხა უცბად რასკოლნიკოვი.

— არა, — ჩაიჩურჩულა სონამ.

— დიახ! მაგრამ გიცდიათ-კია? — დასძინა თითქმის და-  
ცინვით.

— მიცდია.

— ჰო, მაგრამ ველარ შესძელით, განა! აბა, ან-კი რა  
საკითხია.

და დაიწყო ისევ ოთახში სიარული. ასე განვლო კიდევ  
ერთმა წამმა.

— ფულსაც ხომ ყოველ-დღე ვერ აიღებთ?

უარესად შეკრთა და გაწითლდა სონა. სახე მთლად აე-  
ნთო.

— მართალია, — ჩაიჩურჩულა ძლივს წვალებითა.

— პოლექსასაც იგივე მოელის უთუოდ, — დაასვენა უცბად  
რასკოლნიკოვმა.

— არა, არა! შეუძლებელია ეგა, შეუძლებელი! — შეჰ-  
ყვირა ხმა-მაღლა სასოება-დაკარგულმა სონამ, თითქოს ეგ  
არის უცბად ღრმად რითიმე დასკრესო. — ასეთს საზარლობას  
ღმერთი არ ინებებს!...

— თუ-კა სხვებისას ინებებს ხოლმე!

— არა, არა! პოლექკას ღმერთი დაიფარავს!.. — იმეორებდა გონება დაბნეული.

— ჰო, მაგრამ ე ღმერთიც რომ არსად იყოს, — მიუგო როგორღაც გაბოროტებულმა რასკოლნიკოვმა და გაიცინა, სონას გადაჰხედა.

სონას უცბად სახე საზარლად დაედრიჯა, აუცახცახდა. კანკალმა აიტანა. გადაჰხედა საყვედურის აღსავსე თვალითა, უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ კრიკა შეეკრა და უცბად ხელები თვალეზზედ მიიფარა, მწარე ქვითინი ამოუშვა.

— იბახით, კატერინა ივანოვნას გონება დაბნეული აქვსო და იმას-კი აღარ ატყობთ, რომ თქვენც ნაკლებ არა გაქვთ დაბნეული გონება, — მიუგო მცირე სიჩუმის შემდეგ რასკოლნიკოვმა.

ასე განვლო ხუთიოდ წამმა. რასკოლნიკოვი ისევ ჩუმად გადი-გამოდოდა წინ და უკან, სონას არ უყურებდა. მივიდა ბოლოს ახლოს. თვალეზი ცეცხლივით უელავდა. ხელები მხარზედ დააწყო და პირდაპირ ნამტირალევეს თვალეზში ჩაჰხედა. სახე აჰნთებოდა, გამომეტყველება უძრავი და მძაფრი ჰქონდა, ტუჩები უთრთოდა... უცბად საჩქაროდ იატაკზედ დაეცა და ფეხზედ აკოცა სონასა. გაუხტა უკან შეშინებული სონა, როგორც გიჟს. მართლაც-და მთლად გიჟივით იყურებოდა.

— რას შერებთ, რასა? მუხლს იდრეკთ ჩემს წინ! — წაიღუდუნა გაფითრებულმა ოდნავე და იგრძნო, რომ გული რაღამაც საშინლად შეჰხუთა, ატკინა.

წამოდგა მაშინვე რასკოლნიკოვი.

— შენ-კი არა, თაყვანი ვეც ქვეყნის ტანჯვასა, — წამოიყვირა როგორღაც ველურადა და ფანჯარისაკენ მიდგა. — ყური დამიგდე, — დასძინა ერთის წამის შემდეგ და მიუახლოვდა, — ერთს შეურაცხყოფელს ვუთხარი წელან, რომ შენს ნეკადაც-კი არა ღირს იგი... და რომ საკუთარი და გავაპატიონს და გვერდით მოგისვი დღესა, არ მოგარიდე.

— ვაი, ჩემს თავსა, რა გითქვამთ ეგა! მერე, დამაც გაი-

გონა? — შეჰყვირა შეშინებულმა სონამ. — ჩემთან ჯდომე პატივია! მერე, მე ხომ უპატიოსნო ვარ... ოჰ-მე, რა გითქვამთ!

— უპატიოსნობისა და ცოდვისათვის-კი არა ვსთქვი ეგ შენ შესახება, არა! ვსთქვი იმიტომ, რომ უზომოდ იტანჯვი. თორემ შენ რომ დიდი ცოდვილი ხარ მართლა, საეჭვო ეს არავისათვის არ არის, — დასძინა აღტაცებით. — ყველაზედ მეტად-კი იმითი ხარ ცოდვილი, რომ უბადალად მორიკალი და გაჭედილ თავი. რასაკვირველია, საზარლობაა ესა! საზარლობაა, ეჭვი არ არის, რომ უნებურად ასეთს გარყენილობაში სცხოვრობ და იმავე დროს იცი კარგათა, რომ არავის რასა ჰშველი, ვერავის იხსნი ამითი! მითხარი, გეთაყვა ისიც, — ჰყვიროდა თითქმის გაბრაზებული, — ასეთი გარყენილობა და სირცხვილი სხვა შენ საქებურ, წმინდა გრძნობებთან როგორ თავსდება? ბევრად სამართლიანი და გონივრული არ იქნებოდა, განა, გადავარდნილიყავი წყალში და თავი დაგელრჩო უცბადა!

— მერე, იმათ რაღა ეშველებოდათ? — ჩაეკითხა სუსტის ხმით სონა და ტანჯულის გამომეტყველებით გადაჰხედა, მაგრამ არ გაიკვირა-კი ეს რჩევა.

უცნაურად გადაჰხედა რასკოლნიკოვმა:

მისს სახეზედ უცბად ყველაფერი ამოიკითხა და დარწმუნდა, რომ ასეთი ფიქრები სონასათვის ახალი არ იყო. შეიძლება მართლაც ბევრჯერ უფიქრია უწინაც, უცბად როგორც მე მოესპო სიცოცხლე და ამიტომაც აღარ გაიოცა იგი! ვერ შეჰქნიშნა ისაც-კი, რა მკაცრად მიჰმართა რასკოლნიკოვმა. სამაგიეროდ გაუგებარი არ დარჩა თვითონ რასკოლნიკოვისათვის, რამოდენად უზომოდ გაეტანჯა სონა თავისს უპატიოსნო და სამარცხვინო მდგომარეობასა. მაინც, რა უნდა ყოფილიყო მიზეზი და რას უნდა შეემთავრებინა, რომ აქამდის თავი არ მოეკლა? ხელს რა უშლიდა? — ფიქრობდა რასკოლნიკოვი. და ზოლოს-და მიჰხედა, რას წარმოადგენდნენ მისთვის საცოდავი პატარა ობლები და ნახევრად ქუჩიდან შემოლილი, საბრალო კატერინა ივანოვნა, რომელსაც კლექი სულს უხუროდა და თავს კედელზე აგლევინებდა.

მაინც აშკარა იყო მისთვის, რომ სონას ხასიათისა და შეგნების აღმიანს არაფრის გულისათვის არ შეეძლო ასე დარჩენილიყო. ვერ გაეგო მაინც: როგორ გაუძლო ამდენს ხანსა და ან ჭკუიდან არ შეიშალა, ან წყალში არ გადავარდა? რასაკვირველია, ესმოდა კარგად, რომ სონას მდგომარეობა შემთხვევითი იყო, თუმცა, სამწუხაროდ, არა ერთად-ერთი და შეუძლებელი. მაგრამ სწორედ ამ შემთხვევითს ხასიათსა და შედარებით მეტს განვითარებას, აგრეთვე მისს წარსულს ცხოვრებას პირველის ნაბიჯის გადადგმისათანავე უნდა მოეკლათ ამ საზიზლარს გზაზედ. მაშ, რალა აფერხებდა და ამაგრებდა? იქნება გარყვნილობა? მაგრამ, ექვი არ იყო, მხოლოდ ზეზეურად შეჭებოდა იგი. ნამდვილი გარყვნილობა-კი იოტის ტოლდაც არ მიჰკარებოდა მისს გულსა. ნათლად ჰხედავდა ამასა. აშკარად თვალ-წინ ედგა...

— „სამი გზა-ლა აქვს,—თქრობდა იგი,—ან წყალში გადავარდეს, ან საგიჟეში მოჰხვდეს... ან არა-და, თავს ბრუ დამხვევსა და საზიზლარს გარყვნილობას მისცეს თავი“.

ყველაზედ მეტად უკანასკნელი ეზიზღებოდა, მაგრამ სკეპტიკი იყო, გულ-გატეხილი და როგორც ახალგაზრდა, განყენებული და სასტიკი მასთან, უნდობლობას შეეპყრა და არა სჯეროდა, თუ უკანასკნელს გზას, გარყვნილობას, თავს და აღწევდა.

„მაგრამ ნუ-თუ მართალია ეს,—შესძახა თავისთვის,—ნუ-თუ ასეთი წმინდა ქმნილება შეგნებულად ჩაეთრევიანება და შთაენთქმევიანება საზიზლარს გარყვნილობასა? ნუ-თუ უკვე დაწყებულია ჩათრევა და ამიტომაც საზიზლარად აღარ ეჩვენება იგი! არა, არა! შეუძლებელია ეს!—შესძახოდა ისრევე, როგორც წედან სონა იძახდა პოლემკას შესახებ.—არა, უთუოდ წყალში დაღრჩობისაგან გადაარჩინა იმან, რომ ცოდვისა ეშინოდა, ისინაღ ებრალებოდა... მაგრამ აქამდის რომ ჭკუიდამაც არ შეშლილა!.. თუმცა, ვინ ამბობს, არ შეშლილა? განა, ახლა-კი თავისს ჭკვაზეა? განა, ასრე ლაპარაკობს ვინმე? ნუ-თუ ჭკვა მთელი ასე ილაპარაკებს? შესაძლებელია, განა, საზარ-

ლობასა და აყროლებულს ორმოს გარყვნილობისას თავს დასცქეროდეს ადამიანი, შიგ ითრევდეს გარემოება და ის-კი ხელებს იქნევდეს, ყურს იყრუებდეს, როდესაც საფრთხეზედ ელაპარაკებოან? იქნება სასწაულს ელის და იმიტომ სჩადის ასრე? ასე იქნება უთუოდა. ნუ-თუ ყველა ეს არ უმტკიცებს შეშლილობასა?“

და ამ აზრს დაადგა. ყველაზედ მეტად ეს მოეწონა. თან უფრო ღრმად ჩააკვირდა.

— მითხარი, სონა, ძან ლოცულობ ღმერთსა?—ჩაეკითხა.

სდუმდა სონა; რასკოლნიკოვი გვერდით უდგა, პასუხს ელოდა.

— მაშ, უღმერთოდ რა ვიქნებოდი, აბა?—უპასუხა საჩქაროდ და აელფარებული თვალები ჩააშტერა უცბად, ხელზედ ხელი მოუჭირა მაგრა.

„ასეა სწორედ!“ გაიფიქრა.

— შერე, რასა გშველის ღმერთი, ჰა?—ჩაეკითხა კვალად გამოსაცდელადა.

დიდ-ხანს თითქოს ველარა უთხრა-რა, სდუმდა სონა. პატარა სუსტი გული მდელფარებისაგან საშინლად უკანკალებდა.

— გაჩუმდით! ნუ მეკითხებით! პასუხად არა ღირხართ.— შეტყვირა უცბად სონამა და სასტიკად და მრისხანედ გადაჰხედა.

„ასეა სწორედ! ასეა!“ იმეორებდა თავისთვის დაჟინებით.

— ყველაფერშიაცა მშველის!—ჩაილაპარაკა უცბად სონამა და თავი ჩაპლუნა ისევა.

„ესაც თქვენი თავის ხსნა! ესაც თქვენი განმარტება!“ გადასწყვიტა თავისთვისა და ხარბად დაუწყო ცნობის მოყვარე თვალით სინჯვა.

ახალის რამ უცნაურის, სნეულებრივის გრძნობით აკვირდებოდა მისს გაფითრებულს, გამხდარ-გამხდარსა და როგორღაც უსწორო სახეს, მისს ცისფერს თვალებს, რომლებსაც ისეთი სასტიკი და მრისხანე გამომეტყველება შეეძლოთ;

აკვირდებოდა მისს ჰატარა, რისხვისა და ბრაზისაგან ჯერ კიდევ მოცახცახე ტანსა და თან-და-თან უფრო უცნაურადა და შეუძლებელად ეჩვენებოდა ყველა ესა. „გადაგვარებულია, მახინჯი!“ იმეორებდა თავისთვის.

კამოდზედ რაღაცა წიგნი იღო. ყოველთვის, როგორც კი გვერდთ გაუვლიდა, ჰხედავდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. ახლა-კი აიღო, დაჰხედა. ეს იყო რუსულად თარგმნილი ახალი აღთქმა. წიგნი ძველი იყო, ნახმარი, ტყავის ყდა ჰქონდა.

— ვინ მოგცათ? — გასძახა ოთახის მეორე კუთხიდან.

სონა ისევ თავისს ადგილას იდგა, მაგიდიდამ სამ ნაბიჯით მოშორებული.

— სხვამ მომიტანა, — მიუგო სონამ უხალისოდ, არ შეუხედნია.

— ვინ მოგიტანათ?

— ლიზავეტამა, მე ვსთხოვე.

„ლიზავეტამ! უცნაურია!“ გაიფიქრა რასკოლნიკოვმა.

სონასი როგორღაც ყველაფერი ეუცნაურებოდა ახლა, თან-და-დან ყველაფერი აკვირვებდა. მიიტანა წიგნი სანთელთანა და ფურცვლა დაუწყო.

— ლაზარეს შესახებ სადა სწერია აქა? — დაეკითხა უცბად. სონა ძირს, იატაკს, ჩაჰყურებდა, ხმას არა სცემდა. მაგიდას გვერდით უდგა.

— ლაზარეს აღდგენაზე სადა სწერია? მიპოვნე, სონა.

გვერდზედ გაჰხედა სონამა.

— მანდ არა... მეოთხე სახარებაში ნახეთ... ჩაიხურჩულა მკაცრად შორიდან, ახლო არ მიუწევია.

— მიპოვე და წამიკითხე, — შესთხოვა რასკოლნიკოვმა და მაგიდას მიუჯდა, ნიდაყვს დაეყრდნო, ნაღვლიანად დაიწყო საითღაც შორს ცქერა, მოსასმენად მოემზადა.

„სამი კვირის შემდეგ მეშვიდე ვერსზედ მობრძანდით! ვგონებ, იქ ვიყო, უარესი თუ არ გადამხდა.“ ბუტბუტებდა თავისთვის.

სონა გაუბედავად მაგიდას მიუახლოვდა; უცნაური სურვილი რასკოლნიკოვისა ექვევებოდა მეტად. წიგნი მინც აიღო.

— განა, არსად წაგიკითხიათ?—დაეკითხა სონა და მაგიდის მეორე მხრიდან ქვეშ-ქვეშ გაჰხედა. ხმა თან-და-თან როგორღაც სასტიკი და მრისხანე უხდებოდა.

— დიდი ხანია, მას შემდეგ... როცა ვსწავლობდი, როგორ არა, წამიკითხნია წამიკითხე, აბა!

— საყდარში? საყდარში აღარსად გაგიგონიათ?

— როდის... დავდივარ. შენა, ხშირათ დადიხარ?

— არ-რა, — ჩაიჩურჩულა დაბალის ხმით სონამა.

გაეცინა რასკოლნიკოვისა.

— მესმის... მაშ, არც მამის დამარხვას დაესწრები ხვალა, არა?

— არა, წავალ. წარსულ კვირასაც ვიყავი... პანაშვიდი გადავახდევინე.

— ვისთვის?

— ლიზავეტასათვის. ცულით აჩეხეს საწყალი.

რასკოლნიკოვს თან-და-თან ნერვები ეშლებოდა, თავს ბრუ ესხმოდა.

— როგორ, ჰმეგობრობდი, განა, ლიზავეტასა?

— დიახ... მართალი აღამიანი იყო... იშვიათად... მოდიოდა ხოლმე კიდეცა... ხშირად არ შეეძლო... ერთათა ვკითხულობდით ხოლმე... და ვლაპარაკობდით. ღმერთს იხილავს იგი.

უცნაურად ეჩვენებოდა როგორღაც ეს წიგნიდამ ამოკითხული სიტყვები, მაგრამ უფრო მეტად ეუცნაურებოდა ეს რაღაცა საიდუმლოდ ერთმანეთთან ლიზავეტასი და სონას სიარული... გადაგვარებულად, მახინჯებად ეჩვენებოდა ორივე.

„აქ, ვგონებ, მეც გადავვარდე!“ გაიფიქრა თავისთვის.

— წაიკითხე, რალას უცდი! — შესთხოვა უფრო გაბედვით და მოუთმენრად რასკოლნიკოვმა.

სონა ისევ ყოყმანობდა. გული ძლიერად უცემდა. წაკითხვას ვერა ჰბედავდა. ტანჯვით უყურებდა თითქმის „საცოდებს შეშლილს“ რასკოლნიკოვი.

— რათ გინდათ? ხომ არა გწამთ რომ?... ჩაჩურჩულა ოღნავ, თითქოს სუნთქვა უგუბდებო.

— წამიკითხე! აგრე მინდა! — ატანდა ძალას. — ლიზავეტას თუ კი უკითხავდი.

სონამ წიგნი გადაშალა, ლაზარეს აღდგენა მოსძებნა. ხელები უკანკალებდა, ხმა უწყდებოდა. ორჯელა სცადა უკვე დაწყობა, მაგრამ ორჯელვე შესწყვიტა.

„იყო ვინმე უძღური ლაზარე ბეთანიაჲთ. — წარმოსთქვა ბოლოს ძლივს-ძლივობით, მაგრამ მესამე სიტყვაზევე ხმა აუკანკალდა, ჩაუწყდა, თითქოს მაგრა დაქიმული სიმი ჩაწყდაო. სული შეუგუბდა, გული შეჭხუთა.

ესმოდა, რატომ ვერა ჰბედავდა სონა კითხვასა, მაგრამ რამდონადაც აშკარა იყო მისთვის მიზეზი გაუბედობისა, მით უფრო დაჟინებითა სთხოვდა წაეკითხა. ესმოდა კარგად ისიც, რომ გამჟღავნება ეგველაფრასა სიკვდილივით ემძიმებოდა სონასა. მიჰხვდა, რომ შეიძლება იგივე იყო მისი ნამდვილი და დიდი ხნის საიდუმლო ბავშვობიდანვე, როდესაც ჯერ ისევ საკუთარს ოჯახში იყო, უბედურ მამისა და მწუხარებისაგან გადარეულ დედინაცვლის გვერდით, როდესაც დამშეულ ბავშვებსა და მუდმივს საყვედურსა და ყვირილში ატარებდა თავისს ყმაწვილობასა. მაგრამ მიუხედა იმასაცა, რომ, მიუხედავად უზომო შიშისა და მწუხარებისა, რომელსაც მთლად შთაენთქა იგი, მაინც უნდოდა გულით წაეკითხა უთუოდ, თუნდ უარესადაც დანალღლიანებულიყო, უარესი საფრთხეც ასჩენოდა; სახელდობრ, წაეკითხა მასთვის და ახლად, რომ მოესმინა უთუოდ, — და მერე რაც უნდა მომხდარიყო, სულ ერთი იყო!.. ამოიკითხა ეს სონას თვალებსა და მისს აღტაცებით დღელვაში!.. სძლია, როგორც იყო, მღელვარება, გაიწმინდა ყელი და დაუწყო იოანე მახარობლის მეთერთმეტე თავს კითხვა. ასე ჩაიკითხა მეცხრამეტე მუხლამდე:



„და მრავალნი ურიათაგანნი მოსრულიყვნეს მართასა და მარიამისა, რათა ნუგეშინის-ჰსცენ მათ ძმისა მათისათვის.

„ხოლო მართა, ვითარცა ესმა, რამეთუ იესო მოვალს, მიეგებოდა მას; ხოლო მარიამ სახლსა შინა ჰსჯდა.

„ჰრქვა მართა იესოს: უფალო! უკეთუმცა აქა იყავ, არამცა მომკვდარიყო ძმა იგი ჩემი

„არამედ და აწცა უწყი, ვითარმედ რაიცა იგი სთხოვო ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმა.

აქ-კი შედგა ისევა, რადგანაც ჰგრძნობდა წინადვე, რომ ხმა აუკანკალდებოდა, ჩაუწყდებოდა.

„ჰრქვა მას იესო: აღსდგეს ძმა შენი.

„ჰრქვა მას მართა: უწყი, რამეთუ აღსდგეს აღდგომასა მას უკანასკნელსა დღესა.

„ჰრქვა მას იესო: მე ვარ აღდგომა და ცხოვრება; რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მოღათუკვდეს ჰსცხონდესვე.

„და ყოველი, რომელი ცოცხალ-არს და ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე. გრწამსა ესე?

„ჰრქვა მას მართა:

(და თითქოს ტკივილით ითქვამს სულსაო, გარკვევითა და ხმა-მალლა წაიკითხა, ვითომ აღსარებაზე ყოფილიყოს):

„ჰე უფალო! მრწამს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა, მომავალი სოფლად“.

ერთ წამს შედგა, სწრაფად გადაჰხედა რასკოლნიკოვსა, მაგრამ მალე ისევ სძლია თავს და კითხვა განაგრძო. რასკოლნიკოვი უძრავად იჯდა, უსმენდა, მაგიდაზედ დაყრდნობილი შორს საითლაც გაიყურებოდა. ასე ჩაიკითხეს ოც-დამეთორმეტე მუხლამდე.

„ხოლო მარიამ, ვითარცა მოვიდა, სადა იგი იყო იესო, ვითარცა იხილა იგი, დაჰვარდა ფერხთა მისთა თანა და ჰრქვა მას: უფალო, უკეთუმცა აქა ყოფილი-ყავ, არამცა მომკვდარი-ყო ძმა იგი ჩემი.

„ხოლო იესო, ვითარცა იხილა იგი, რამეთუ ჰსტიროდეს, და მისთანა მოსრულნი იგი ურიანიცა ჰსტიროდეს, შეჰსძრწუნდა სულითა, ვითარცა რისხვით.



„ალიდეს უკვე ლოდი იგი, სადა მდებარე იყო მკვლარი იგი. ხოლო იესო აღიხილნა თვალნი ზეცად და ჰრქვა: მამო, გამდლობ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი.

„და მე ვიცი, რამეთუ მარადის ისმენ ჩემსა. არამედ ერისა ამისათვის, რომელი გარემომადგეს მე, ვსთქვი, რათა ჰრწმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე.

„და ესე ვითარცა ჰსთქვა, ხმითა დიდითა ლაღად ჰყო: ლაზარე! გამოვედ გარე.

„და გამოვიდა ძველადან იგი.

(ხმა-მალლა და აღტაცებით კითხულობდა ათრთოლებული, თან ცივი ქრუანტელი უვლიდა, თითქოს საკუთარის თვლით უნახავს ყველაფერი);

„შეკრული ხელით და ფერხით სახვეველითა და პირი მისი დაბურვილი იყო სუდარითა. ჰრქვა მათ იესო: განხსენით ეგე და უტევეთ, ვიდოდეს“.

„მნაგვლით. უკვე ქრანთაგანთა, რამქელნა მოსრულავენეს მარამისა და მართასსა, ახალეს რამქელა იგი ჰქმნა იესო და ჰრწმენა მისა მამართ“.

მეტი აღარ წაუკითხნია. აღარც შეეძლო წაეკითხა; დაკეცა წიგნი და საჩქაროდ სკამიდან წამოდგა.

— ეს არის სულ ლაზარეს აღდგენის შესახებ, — წარმო-სთქვა აჩქარებითა და მკაცრად სონამა და თავი გვერდზედ მიი-ბრუნა, შეხედვისა სცხვენოდა თითქოს. ჯერ ისევ ცახცახი გაჰ-ქონდა. კარგა ხანია მოღრეცილს შანდალში ჩადგმული ნამწვი სანთელი ჩაქრობაზედ იყო. ოდნავი შუქი ნამწვისა ღარიბს ოთახსა და მკვლელს და უძღებს მკრთალად ანათებდა, რომლებიც სამარადისო წიგნის კითხვაში ასე უცნაურად გართო-ბილიყვნენ. ასე განვლო ხუთმა თუ ექვსმა წამმა.

— მე შენთან საქმისთვის მოველ მოსალაპარაკებლად, — ჩილაპარაკა უცბად უკმეხადა და დაღვრემით რასკოლნიკოვმა, წამოდგა და სონასთან მივიდა.

ჩუმად შეჰხედა სონამაც. სასტიკი იყო უზომოდ გამო-მეტყველება მისი, რაღაცა ველურ გარდაწყვეტილების მა-მნილებელი.

— დღეს ჩვენებს: დედასა და დას—თავი დავანებე, —  
დაიწყო რასკოლნიკოვმა.—ყველაფერი კავშირი გავწყვიტე  
მათთან, უკან აღარ დავუბრუნდები.

— რათაო, რისთვის?—ჩაეკითხა ელდა-ნაკრავივით სონა.

წელანდელმა მათთან შეხვედრამ ღრმად და არაჩვეუ-  
ლებრივად იმოქმედა სონაზედ, თუმცა სავსებით ჯერაც კიდევ  
არ გაერკვია. ამიტომაც შეშინებულმა და თავზარდაცემულმა  
მოისმინა ახლა ეს ამბავი.

— ახლა მარტო შენ-ღა მყევხარ, — დასძინა რასკოლნი-  
კოვმა.—წავიდეთ... იმიტომ მოვედი. ერთნაირად ვართ და-  
წყველილები, ერთად წავიდეთ ისევა!

თვალეზი ცეცხლივით ეგზნებოდა. „შეშლილივით არ  
იქცევა!“ გაიფიქრა თავისთვის სონამა.

— სად წავიდეთ?—ჩაეკითხა გულგახეთქილი და უნებუ-  
რად უკან დაიხია.

— რა ვიცი, სადა? ვიცი მხოლოდ, რომ გზა ერთი გვაქვს,  
ნამდვილად ვიცი, — მორჩა, გათავდა! ერთი გვაქვს ორსავე  
მიზანი!

შეჰყურებდა სონა და ვერა გაეგო-რა. იცოდა მხოლოდ  
ის, რომ უზომოდ იყო რასკოლნიკოვი უბედური.

— ვერაფინ მათგანი ვერას გაიგებს შენსას, თუნდ ელა-  
პარაკო კიდევ, — განაგრძობდა რასკოლნიკოვი, — მე-კი ყველა-  
ფერი გავიგე უკვე. ჩემთვის შენ საჭირო ხარ, და იმიტომ  
მოვედი.

— არ მესმის მაინც... ჩაიჩურჩულა სონამ.

— მერე გაიგებ. შენც, განა, იგივე არ მოიქმედებ? აკი  
შენც გადალახე... შესძელი გადაგელახა. თვითონ დაჰლუპე  
შენა სიცოცხლე... (ეგ სულ ერთია). შეგეძლო სულისა და  
გონებისათვის გეცხოვრა, ახლა-კი სათიფეზედ უნდა ამოგხდეს  
სული... მაგრამ ვერ შესძლებ ამასა და მარტოდ ქკუდიგან  
შეიშლები, ისრევე, როგორც მეც. ახლაც აგერ შეშლილსა  
ჰგევხარ; მაშასადამე, ერთი გვქონია გზა! წავიდეთ!

— რათაო, რათა? რისთვისაო?—ჩაეკითხა კვალად აღე-  
ღვებულისა და გაოცებულისა სონა.

— რათაო? და ამიტომა, რომ ასე დარჩენა არ შეიძლება—აი, რისთვისა! დრო არის, რიგზედ მოისაზროთ ყველაფერი და არა ბავშვივით იტიროთ და იყვიროთ, ღმერთი არ ინებებსო! აბა, მართლაც რა იქნება, ხვალ რომ საავადმყოფოში წაგიყვანონ? კატერინა ივანოვნას მალე კლერქი გადაიტანს, ბავშვებს, ბავშვებს რა ეშველებათ? ნუ-თუ გგონია, პოლენკა არ დაიღუპება? არსად გინახავს, განა, ქუჩის კუთხეებში როგორა დგანან ბავშვები და მოწყალებასა თხოულობენ? დედებივე ჰგზავნიან ისევ. მიკითხნია ბევრჯელ, სადა და რა გარემოებაში სცხოვრობენ მათი დედები. ბავშვებს ბავშვებათ იქ დარჩენა არ შეუძლიანთ. შეიძის წლის ბავშვი უკვე გარყვნილია და ქურდი. ბავშვები-კი ხომ ქრისტეს ხატებას წარმოადგენენ: „მათია სასუფეველი ღვთისა.“ მანვე გვიბრძანა, გვიყვარდეს და პატივსავსცემდეთ, ვინაიღგან იგინი შეადგენენ მომავალს კაცობრიობასა...

— რა ვუყო, რა ვქნა?—სტიროდა ისტერიულადა და თან ხელებს იმტვრევდა სონა.

— რა ჰქმნა? და ისა, რომ გასტეხო და გასწყვიტო სამუდამოდ, რაც გასაწყვეტია და მორჩე: ტანჯვა კი თვითონ იკისრო! რაო? არ გესმის? მერე გაიგებ... თავისუფლება და უფლება, უმთავრესად-კი უფლება! უფლება ყველა შიშით მძრწოლარე ქმნილებაზედ, მთელს ამ ქიანქველლებივით მოფუთფუთე ხალხზედ!.. აი, მიზანი! დაიხსომე! ეს იყოს ჩემი დალოცვაცა და დარიგებაცა! იქნება უკანასკნელადაც გელაპარაკებოდე. თუ ხვალ არ მოვიდე, მოიგონე, რაც გითხარი, როცა გაიგებ ყველაფერს. გაიგებ უთუოდ ჩემს ნათქვამს შემდეგში მაინც, წლები და ხანი რომ გავა. მაგრამ თუ მოვალ ხვალა, გეტყვი, ვინ მოკლა ღიზავეტაი. მშვიდობით!

შეშინებული სონა მთლად კანკალმა აიტანა.

— მერე, განა, იცით, ვინ მოჰკლა?—ჩაეკითხა შიშისაგან გაციებული, თან გადარეულივით შეჰყურებდა.

— ვიცი და გეტყვი კიდევ... მაგრამ მარტო შენ მხოლოდ! იმიტომ, რომ შენ აგირჩიე. პატიებას კი არა გთხოვ,

არა, ისე გეტყვი უბრალოდ. დიდი ხანია, რაც ავირჩიე, რომ მეთქვა შენთვისა; ეს იყო ჯერ ისევ მაშინ, მამაშენი რომ შენს ამბავს მიაშობდა და ლიზავეტაც ჯერ ისევ ცოცხალი იყო. მაშინვე ვიფიქრევი. მშვიდობით, მაგრამ ხელს ნუ გამომიწვდი. ხვალამდის!

და გავიდა. როგორც შეშლილს, ისე უყურებდა ერთ-თავად სონა, მაგრამ თვითონაც შეშლილივით იყო: თვითონვე ჰგრძნობდა, რომ ასე იყო. თავს ბრუ ეხვეოდა. „ღმერთო! საიღამ იცის, ვინ მოჰკლა ლიზავეტა? რასა ჰნიშნავდა მისი სიტყვები? საზარლობაა ხომ ესა!“ მაგრამ ფიქრად სულაც არ მოსდიოდა. არა და არა!.. „ოჰ, უთუოდ უბედური უნდა იყოს მეტად!.. დედა და და მიუტოვევია. რისთვის? რა იყო? ან რა აქვს, ნეტა, განზრახული? რა უთხრა ესა? ფეხზედ აკოცა და უთხრა... უთხრა (ღიახ, ნათლად და გარკვევით უთხრა), რომ უიმისოდ სიცოცხლე არ შეუძლიან... ოჰ, ღმერთო!“

მთელი ღამე ციებთანსავით ჰბოდავდა სონა. დრო-და-დრო წამოხტებოდა მძინარე, სტიროდა, ხელებს იმტვრევდა; ხან-კი ისევ მიეძინებოდა და პოლფეკა, კატერინა ივანოვნა, ლიზავეტა, სახარების კითხვა და სხ. ესიზმრებოდა... ეზმნებოდა ისიც... თვალეზ ანთებული, ფერმიხდილი... როგორ ჰკოცნიდა ფეხზედა და სტიროდა... ოჰ, ღმერთო!

კარებს უკან მარჯვნივ, იმ კარებს უკან სწორედ, რომელიც სონას ბინასა ჰსაზღვრავდა გერტრუდა კარლოვნა რესსლიხის ბინისაგანა, შუა ოთახი ცალიერი იყო. ოთახი რესსლიხის ბინას ეკუთვნოდა და ქირით იძლეოდა, რასაც ჰმოწმობდა ეზოს კარებზედა და ფანჯრებზედ გაკრული ქალღმერთის განცხადებები. დიდი ხანია სონა ცალიერად სთვლიდა ამ ოთახსა. მაგრამ, წარმოიდგინეთ, მთელი ეს ხანი ბ-ნი სვიდრიგაილოვი ცალიერს ოთახში იდგა თურმე კარებთანა და სულგანაბული ყურს უგდებდა. გავიდა თუ არა რასკოლნიკოვი, ცოტა ხანს კიდევ იდგა სვიდრიგაილოვი და რაღაცას ფიქრობდა, შევიდა მერე თითის წვერებზედ, ფრთხილად,

თავის ოთახში, რომელიც იქვე, ცალიერ ოთახის გვერდით, იყო, აიღო სკამი და უჩუმრად ცალიერს ოთახში შეიტანა, კარებთან დადგა. ლაპარაკი საყურადღებოდ ეჩვენა მეტად და მოეწონა კიდევც, — მოეწონა იქამდის, რომ შემდეგისათვის სკამიც-კი დაიმზადა, რომ მთელი საათი კიდევ ფეხზედ დგომა არ მოჰხდომოდა და სავსებით ესიამოვნა ამ მოულოდნელ ამბების მოსმენითა.

V

როდესაც მეორე დღეს დილით, თერთმეტს საათზედ, რასკოლნიკოვი პოლიციის ნაწილში მივიდა გამომძიებლის განყოფილებაში და სთხოვა, პორტირი პეტროვიჩისათვის მოეხსენებინათ, გაიოცა საშინლადა, რომ ისე დიდ-ხანს აცდევინეს: გავიდა თითქმის ათ წამზედ მეტი, რომ მერე-ლა დაუძახეს. მისის ანგარიშით კი იმავე წამს უნდა სცემოდნენ. იდგა მისადებს ოთახში და გვერდით, ვინ იცის, ვინ არ უფლიდა; არავინ ყურადღებას არ აქცევდა. იქვე გვერდზედ, ოთახში, რომელიც კანცელარიას ჰგავდა, რამდენიმე გადამწერელი იჯდა, მაგრამ ეტყობოდათ, არც ერთს მათგანს აინუნში არც-კი მოსდიოდა, — ვინ ან რა იყო რასკოლნიკოვი? მოუსვენრად და ექვის თვალით იყურებოდა გარშემო და ჰსინჯავდა: გვერდით ხომ კაცი არ მიდგა დარაჯათა, ან თვალს ხომ არავინ მადევნებს, არსად გავიპაროვო? მაგრამ არასფერი ამგვარი არა სჩანდა-რა: ჰხედავდა მხოლოდ საქმისაგან გაბრუებულს მსახურებსა და ვიღაც-ვიღაცა მიმსვლელ-მომსვლელებს. არავინ მასზედ არა ფიქრობდა: ოთახსავე მხარეს გზა ჰქონდა თავისუფალი, შეეძლო, საითაც უნდოდა, წასულიყო. თან-და-თან მეტად რწმუნდებოდა, რომ მართლაც გუშინდელს, საიდუმლოებით მოკულს კაცს ენახა და სკოდნოდა რამე, — აჩრდილივით რომ აუჩნდა საიდლაძაცა, — უთუოდ ასე თავისუფლად დგომისა და ცდის ნებას აღარ მისცემდნენ. ან, განა, მოაცდევინებდნენ-ლა თერთმეტ საათამდისა, რომ თავისის ნე-

ბით მიბრძანებულებიყო გამოსაცხადებლათა? გამოდიოდა აქედამ, მაშასადამე, რომ ან იმ კაცს არა დაესმინა-რა ჯერა, ან არა-და... არა იცოდა-რა და არც თუ ენახა რამე თავისის თვალითა (ან როგორ უნდა ენახა?). მაშასადამე, გუშინდელი ამბავიც მხოლოდ მისივე, რასკოლნიკოვის, სწულ ოცნების ნაყოფი იყო. ამას იყო მიხვედრილი გუშინვე, როდესაც საშინლად ჰდღეოვდა. ახლა-კი, როდესაც ყველა ეს მოიფიქრა და ახლის ბრძოლისათვის ემზადებოდა, იგრძნო უცბად, რომ კანკალებდა, რისხვით აივსო, რომ საზიზღარ პორფირი პეტროვიჩისა ეშინოდა. ყველაზედ მეტად-კი ხელ-ახლად ამ კაცთან შეხვედრა ესაზარლებოდა. სძულდა იგი უზომოდ, იქამდის უზომოდ, რომ ეშინოდა ამ ზიზღსა და სიძულვილს არ გაეცა იგი. მაგრამ ძლიერმა ზიზღმა და სიძულვილმა კანკალი უცბად გადაუგდო. ბოლოს, როგორც იყო, მოემზადა შესულიყო გულცივად, კანდიერად და ხმა თითქმის არ ამოეღო სულ მთლად; ეცქირა მხოლოდ და ყური ეგდო, იოტის ტოლადაც არ აღელვებულებოდა, სწულგებრივი მღელვარება ახლა მაინც უთუოდ ეძლია. სწორედ ამ დროს პორფირი პეტროვიჩთან მიიხმეს.

როგორც აღმოჩნდა, პორფირი პეტროვიჩი ამ დროს მარტო ყოფილიყო კაბინეტში. კაბინეტად ჰქონდა საშუალო, უბრალოდ მოწყობილი ოთახი: კლიონკა გადაკრულ დივან წინ დიდი საწერი მაგიდა ედგა, აქეთ ბურო, კუთხეში შკაფი დე რამდენიმე სკამი, — ყველა ეს სახაზინო ავეჯი იყო, ყვითლად შეღებილ ხისა. უკანა კედლის კუთხეში, გადაღობილს ფიცრულში კარები იყო გამოჭრილი და გამოკეტილი: იქით, მაშ, კიდევ რაღაცა სხვა ოთახები უნდა ყოფილიყო. შევიდა თუ არა რასკოლნიკოვი, პორფირი პეტროვიჩმა მაშინვე კარები მიიხურა; მარტონი დარჩნენ. გარეგნობით მეტად მხიარულად და აღერსიანად დაუხვდა პორფირი სტუმარსა, მაგრამ რამდენისამე წამის შემდეგ ნათლად შეჰნიშნა რასკოლნიკოვმა, რომ როგორღაც აიბნა თითქოს, გვეგონებოდათ, ეს არის, რაღაცა საიდუმლოზედ მოატანესო.

— ოჰ, უპატივცემულესო! ძლივს თქვენც... ჩვენკენა გხედავთ... დაიწყო პორფირი პეტროვიჩმა და ორთავე ხელი გაუწოდა.—დაბრძანდით, მამავ, გეთაყვათ! მაგრამ იქნება არ გიყვართ უპატივცემულესად რომ მოგინსენიეთ და... მამა გიწოდეთ,—ასე tout court? გაზვიადებულ თავაზიანობად ნუ ჩასთვლით, გეთაყვათ... აი, აქეთ, დივანზედ.

დაჯდა რასკოლნიკოვი, თვალი არ მოუშორებია.

„ჩვენკენა გხედავთო“, ეს გაზვიადებულ თავაზიანობისათვის მობოდიშება, ფრანგული „tout court და სხ. და სხ. ყველა ერთად დამახასიათებელი იყო უთუოდ.—„შემოსვლისას ორთავე ხელი გამომიწოდა, მაგრამ აღარც ერთი-კი აღარ მომცა, უკან წაიღო ისევე,“ გაიფიქრა როგორღაც ექვით. ორივენი გაფაციცებით ადევნებდნენ ერთმანერთს თვალსა, მაგრამ შეხედავდნენ თუ არა ერთმანერთს, ელვის სისწრაფით ისევ არიდებდნენ თვალსა.

— ე ქალაღდი მოგიტანეთ... საათის შესახება... აი! კარგათაა დაწერილი, თუ გადაწერა დასჭირდება?“

— რაო? ქალაღდიო? ჰო, ჰო, ნუ სწუხართ. აგრეა, აგრე,—ჩაილაპარაკა, თითქოს სადღაც მიეჩქარებოდა და გამოართო, თვალი გადაავლო.—დიახ, ასეა. მეტი არა უნდარა,—დასძინა ისევე ისრე აჩქარებითა და ქალაღდი მაგიდაზედ დასდო.

მერე, ერთის წამის შემდეგ, სხვა საგანზედ ლაპარაკის დროს, აიღო ისევ და მაგიდიდამ ბუროზედ გადასდო.

— თქვენ, ვგონებ, მითხარით გუშინ, რომ გინდოდათ გამოგეკითხათ... ფორმალურად... რა ნაცნობობა მქონდა... მოკლულთანა?—დაიწყო ისევ რასკოლნიკოვმა.

„რათ ჩავუროთე, ნეტა, ვგონებ-მეთქი?“ გაიფიქრა უცხად,— „მაგრამ რათა ვწუხვარ ასე, რომ ვგონებ ჩავუროთე?“ გაუეღვა მაშინვე ხელ-ახლადა.

და იგრძნო უცხად, რომ პორფირისთან შეხვედრამ პირველს სიტყვასა და შეხედვაზედვე საშინელი ექვი დაუბადა... და რომ საშიში იყო ესა: ნერვები ეშლებოდა, თან-და-თან

მეტად ჰღელავდა. „უბედურობაა! უბედურობა!... კიდევ რამ წამომცდება უთუოდ“.

— დიახ, დიახ, დიახ! ნუ სწუხართ! დრო დიდია, ბლომადა გვაქვს.—ბუტბუტებდა პორფირი პეტროვიჩი და თან მაგიდის წინ გადი-გამოდინოდა; მაგრამ უაზროდ და უთავბოლოდ რჩ-გორღაცა: ხან ფანჯარასთან მივიდოდა, ხან ბიუროსთან, ხან ისევ მაგიდასთან. თან რასკოლნიკოვის ექვით შეხედვასაც ერიდებოდა; ხან-კი შედგებოდა ერთს ადგილასა და დაჟინებით აშტერდებოდა.

უცნაურად მოსჩანდა მეტად, დარგვალეებული და ჩასუ-ქებული პორფირი ამ წარა-მარა სირბილის დროს რომ კე-ღლებსა და კუთხეებს ბურთივით ასკდებოდა.

— მოვესწრებით, მოვესწრებით!... პაპიროსს არ ეწევიო? გაქვთ, თუ არა? აი, პაპიროსი,—განაგრძობდა პორფირი და თან პაპიროსსა სთავაზობდა.—იცით, რა არის? აქ მივიღეთ, მაგრამ ჩემი ბინა-კი აქვე, გადაღობილს იქით არის... სახელ-მწიფოა, დროებით-კი დაქირავებულს ბინაზედ ვცხოვრობ. ზოგი ერთი რამ შესაკეთებელი და შესასწორებელი ჰქონდა. ახლა თითქმის მზად არის უკვე... სახელმწიფო ბინა კარგი რამ არის, არა? როგორ გგონიათ?

— დიახ, დიახ, კარგი რამ არის,—უპასუხა რასკოლნი-კოვმა დაცინვით.

— კარგი რამ არის, კარგი რამა...—გაიმეორა კვლად პორფირი პეტროვიჩმა, თითქოს უცბად სხვა რაღაჟედაც ჩა-ფიქრდაო.—დიახ, კარგი რამ არის!—შეჰყვირა თითქმის ბოლოს და უცბად თვალეზი რასკოლნიკოვს დააშტერა, ორს ნაბიჯზედ გამოეჭიმა.

ეს მრავალ-გზისი, ტუტუცური გამეორება ერთისა და იმა-ვისა, რომ სახელმწიფო ბინა, კარგი რამ არის, ეწინააღმდეგე-ბოდა და არ უდგებოდა მეტად იმ დარბაისლურსა და დაფი-ქრებულს, სამიციანო გამომეტყველებას, რომელიც ახლა აღბეჭდვოდა სახეზედ პორფირისა, სტუმარს რომ დაჰკვირვე-ბოდა.



ეს იყო მიზეზი, რომ უარესად გაბოროტდა რასკოლნიკოვი და თავი ველარ შეიმაგრა, რომ საკმაოდ ნოურიდებლად არ დაეცინა:

-- იცი, რა არის, — დაეკითხა უცბად კანდიერად გაბრაზებული, — არსებობს, ვგონებ, ერთგვარი იურიდიული წესი, ანუ იურიდიული ხერხი, ყოველგვარ გამოძიებლებისათვის ერთნაირად საჭირო და სახელმძღვანელო, რომ ჯერ შორი-დამა და უბრალოდამ დაიწყონ საქმე. თუნდ საყურადღებო რამ კითხვაზედაცა, მაგრამ შორეულზედა, რომ რა არის გაამხნევონ და გაართონ ადამიანი, როგორმე მიაძინონ მისი სიფრთხილე და მერე-კი უცბად და მოულოდნელად დაატეხონ თავს ბედითი და სახიფათო კითხვა, რომ მით უფრო ადვილად გააბან მახეში. ასეა, თუ არა? ყოველგვარს წესებსა და დარიგებაში წმიდათაა, ვგონებ, იგი დაცული?

— აგრეა, აგრე... გგონიათ, მაშ, სახელმწიფო ბინაზედ განგებ დავიწყე ლაპარაკი, რომ... ჰა?

და სთქვა თუ არა ეს პორფირი პეტროვიჩმა, თვალი მოქუტა, ჩაუკრა; რალაც რამ მხიარულმა და ცბიერმა გრძობამ ელვასავით გადაჰკრა სახეზედ, ნაოჭები დაეშალა, შუბლი გაეხსნა, თვალები მოექუტა, სახე დაეწმინდა და უცბად გულიანადა და ხანგრძლივად ახითხითდა. თან მთელის ტანით ირხეოდა და რასკოლნიკოსს შეჰყურებდა თვალებში. რასკოლნიკოვმაც ძალა დაიტანა და ოდნავ გაულიმა, მაგრამ დაინახა თუ არა ეს პორფირიმ, ისე ჩაბჟირდა უცბად, რომ მთლად ქარხალივით გაწითლდა. ველარ შეიმაგრა მაშინ თავი რასკოლნიკოვმა და მისმა ზიზღმა და სიძულვილმა მთლად დაჰკარგა უცბად მოთმინება და სიფრთხილე: შესწყვიტა სიცილი, მოიღუშა და დიდ-ხანს უცქეროდა პორფირის სიძულვილითა, რომელიც განგებ აღარ ათავებდა ამდენს ხანს სიცილსა. აშკარა მოურიდებლობა ეტყობოდა ორსავე მხარეს: გამოდიოდა, რომ პორფირი პეტროვიჩი პირდაპირ დასცინოდა თავისს სტუმარსა, რომელიც თავისს მხრივ ზიზღით და სიძულვილით ეგებებოდა; მაგრამ არად აგდებდა ამასა. ეს-კი დიდად საყურა-

დღებო იყო რასკოლნიკოვისათვის: მიჰხვდა, რომ წელანაც უთუოდ არად ჩააგდო იგი და უნდოდა მახეში გაეხა, — რომ აქ აშკარად არსებობს რაღაც რამ ისეთი, რაც მან, რასკოლნიკოვმა, არ იცის; რომ იქნება ყველაფერი მომზადებულია უკვე და ახლავ გამოირკვევა, მეხივით თავს დაატყდება...

ადგა ამიტომა და პირ-და-პირ საქმეს შეუდგა, ქუდს და ავლო ხელი:

— პორტირი პეტროვიჩი, — დაიწყო გარდაწყვეტით, მაგრამ საქაოდ გულმოსულად. — გუშინ თქვენ სურვილი განაცხადეთ, რომ რაღაცა ჩვენებისათვის მოგსულიყავი (საგანგებოდ წარმოსთქვა სიტყვა ჩვენებისათვის). აგერა, მოვედი. გთხოვთ ამიტომ, თუ გაქვთ რამე საკითხი, მკითხოთ, არა-და, ნება მომეცით, წავიდე. არა მცალიან, საქმე მაქვს... უნდა დავესწრო დასაფლავებას იმ ცხენებისაგან გასრესილ მობელისას, რომელიც... თქვენც მოგეხსენებათ... — დასძინა, მაგრამ გაჯავრდა იმავ წამს, რომ ასეთი განმარტება გაუკეთა. — ყველა ეს მომბეზრდა უკვე, გესმით თუ არა და მომბეზრდა დიდი ხანია... ერთი მხრივ თითქმის ამიტომაც ვიყავ ავადა... ერთი სიტყვით, — შეჰყვირა თითქმის გულმოსულმა, რომ ავადმყოფობაც ტყუილად ჩაურია, — ერთი სიტყვით, ან ახლავ მკითხეთ, რაც გინდათ, ან არა-და, გამიშვით, ნულარ მაცდენთ... მაგრამ მკითხეთ, თუ კითხვა გინდათ, ფორმალურად, პირდაპირ! უამისოდ ნებას არ მოგცემთ. ახლა-კი მშვიდობით, რადგან საერთო ჩვენ ამ ეჟმად არა გვაქვს-რა.

— ღმერთო! რას ამბობთ მაგას! რა უნდა გკითხოთ, — აკაკანდა უტბად პორტირი პეტროვიჩი და კილოც, გამომეტყველებაც მაშინვე გამოეცვალა; იმავ წამს სიცილიც შესწყვიტა; — ნუ სწუხართ, გეთაყვათ, ნუ, — აშოშმინებდა რასკოლნიკოვსა, თან დრო-და-დრო ისევ კედელ-კუთხეს ეგლებოდა და სთხოვდა, დამჯდარიყო. — დრო ბევრი გვაქვს, მოცდა შეიძლება, ყველაფერი ეს უბრალო რამ არის!... პირიქით, ისე მიხარიან, რომ ძლივს ჩვენკენაც გხედავთ, რომ... როგორც სტუმარს, ისე გიღებთ. ეს სიცილი-კი, წყეული

და შეჩვენებული, მაპატიეთ, როდიონ რომანოვიჩ, მაპატიეთ, მამავ! როდიონ რომანოვიჩი ბრძანდებით, განა? აგრე გიქვიანთ მამასა, არა?.. ნერვები მაქვს საძაგლად აშლილი, მოსწრებულად დამცინევით საშინლადა. ზოგიერთჯერ რომ სიცილი ამიტანს, მთელი ნახევარი საათი ბნელიანივითა ვთრთი და ვკანკალებ... სასაცილო ვარ, სასაცილო. მეშინიან დამპლა არ დამეცეს. დაბრძანდით, გეთაყვათ, რასა სდგევხართ?.. გთხოვთ, გეთაყვათ, თორემ მეგონება, გამირისხდით...

რასკოლნიკოვი ჯერ ისევ განრისხებული და მოღუშული უგდებდა ყურსა; სლუმდა. დაჯდა ბოლოს, მაგრამ ქუდი აღარ დაუდგია.

— მე, მამავ, როდიონ რომანოვიჩ, ერთი რამ უნდა გიამბოთ ჩემ შესახებ, ისე დასასურათებლად, — ეუბნებოდა პორტირი პეტროვიჩი და თან რაღაცას ფათურობდა, წელანდელივით პირდაპირ თვალებში შეხედვას ერიდებოდა. — მე უცოლშვილო, მარტო კაცი ვარ, ხალხში გამოუსვლელი და უცნობი, მაგრამ დამთავრებული და გაუბედავი ვარ, გვარი მომდგამს... მერე, არ შეგინიშნავთ, როდიონ რომანოვიჩ, რომ როდესაც-კი ჩვენსა, რუსეთში, უფრო-კი პეტერბურგის წრეებში, ორი ჭკვიანი, ნაცნობობით ჯერ კიდევ არ დაახლოვებული, მაგრამ ერთმანეთის პატივის მცემელი კაცი ერთად მოჰხვდება, აი, როგორც ჩვენა, მაგალითად, მთელი ნახევარი საათი ჩუმათა სხედან, სალაპარაკო საგანს ვერ პოულობენ, ერთმანეთისა ერიდებათ. ყველას მოეპოვებათ სალაპარაკო საგანი: მანდილოსნებსაც, მაგალითად... ხალხში გამოსულს ერის კაცებსაც, მაგრამ საშუალო წრის ხალხი-კი, როგორიცა ვართ ჩვენ, დიდ-ხანს სალაპარაკო საგანს ვერ პოულობს, ირცხვენს, მორიდებულია... ე. ი. ის ხალხი, რომელიც მეტ წილად გონებით მუშაობს. რათ ხდება ასე, მამავ? საერთო ინტერესები არა გვაქვს, თუ რა არის, ან პატიოსნები ვართ მეტად და ერთმანეთის მოტყუება არ გვინდა, არ ვიცი, ჰა? როგორ გგონიათ? ე ქუდი-კი იქით გადადეთ, თორემ, მგონია, ეს არის წასვლას აპირებთ-მეთქი, უხერხულია სწორედ... მე, პირ-იქით, ისე მიხარიან, რომ...

დასდო რასკოლნიკოვმა ქუდი, მაგრამ ისევ ისე ჩუმად და მოლუშული უგდებდა ყურს პორფირის უაზროსა და უთავბოლო ყბედობასა. „რა უნდა, ნეტა? მართლა ამ ყბედობითა ჰსურს გამართოს, თუ რა არის?“

— ყავაზედ არა გთხოვთ, დრო არაა და არც ადგილი; მაგრამ ხუთის წამით მეგობართან თავის გართობა და ლაპარაკი არ შეიძლება, განა?— ჰფქვავდა დაუღალავად პორფირი. — იცით, მერე, ყველა ამ სამსახურის თანამდებობამ... მაგრამ ნუ იწყენთ, მამავ, გეთაყვა, რომ ასე წინ და უკან დავდივარ სულა; ბოდიშს ვიხდი, გეთაყვათ, მეშინიან, არა გაწყენინოთ-რა, ჩემთვის-კი სიარული მეტად საჭიროა. ერთს ადგილასა ვზივარ სულა, ასე რომ მიხარიან კიდევცა, როცა ხუთიოდ წამით სიარულს ვახერხებ... ბუასილი მაქვს... მინდა, გიმნასტიკით ვარჯიშობა დავიწყო წამლობისათვის; ამბობენ, „სტატსკი და დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკები,“ თითქმის „ტაინი სოვეტნიკებიც“-კი ხალისიანად ხტებიანო თოჯინებზედ; ჰხედავთ, რასა შერება ჩვენს დროში მეცნიერება?... ასე, მაშ... რაც შეეხება აქაურს თანამდებობასა, გამოძიება-ჩვენებასა და ყველა ამ ფორმალობას... აი, მამავ, თქვენვე ინებეთ ახლა ჩვენებაზედ ლაპარაკი: იცით, მართლა, მამავ, რომ ზოგჯერ თვითონ გამოძიებელს უფრო მეტად აუბნევენ ხოლმე აზრებსა, ვიდრე ჩვენების მიმცემსა... ეს თქვენ, როდღონ რომანოვიჩ, სრულიად სამართლიანად და მოსწრებულად შეჰნიშნევით ახლა (არაფერი ამგვარი რასკოლნიკოვს არ შეუნიშნავს). აიბნევი! აიბნევი სწორედ! ორივე ერთია, ჩასძახებ—ამოგძახებს! აგერა, ახლა ცვლილება შემოაქვთ და მადლობა ღმერთს, რომ სახელით მაინც არის გამოვიცვლებით, ხე-ხე-ხე! რაც შეეხება ჩვენს იურიდიულ ხერხებს—როგორც მოსწრებულად შეჰნიშნევით,—აქაც სრულათ გეთანხმებით. მითხარით, გეთაყვათ, ვიღამ არ იცის ახლა, თუნდაც უბრალო ბერყეტა გლეხი ავიღოთ, მაგალითად, რომ ჯერ გარეშე და უბრალო კითხვებით გაართობენ (როგორც თქვენ ინებეთ ბრძანება) და მერე უცბად დასცხებენ თავში კითხვას, რომ გამოტეხონ!



ხე-ხე-ხე! დიახ, კარვად მოგივიდათ ეგ შედარება! მაშ, აგრე, გეგონათ, ბინაზედ ლაპარაკით გართობდით... ხე-ხე-ხე! ძალიან გყვარებით დაცინვა. მაგრამ, კმარა, აღარას ვიტყვი! მაგრამ, ეჰ, ერთი სიტყვა მეორეს იწვევს, აზრი—აზრსა,—მართლა, წელან თქვენვე ახსენეთ ფორმა, აი, ჩვენების შესახებ რომ ლაპარაკობდით... აბა, ფორმა რას იზამს ან-კი! ბევრს შემთხვევაში ფორმა მხოლოდ სისულელეა. სხვა დროს ისე როგორმე მეგობრულად მოელაპარაკები და სამჯობინოც არის. ფორმა არსად გაგვექცევა, ნუ შესწუხდებით; მაგრამ ან-კი რა არის ფორმა, მითხარით გეთაყვათ? არ შეიძლება გამომძიებელი თვითეულ ნაბიჯის გადადგმაზედ ფორმით შევზღუდოთ. მისი საქმეა, რას ამჯობინებს; მოგეხსენებათ, თავისუფალი ხელოვნებაა თითქმის... ხე-ხე-ხე-ხე!

პორფირი პეტროვიჩმა ერთს წამს შეიქაქანა. ჰფქვამდა წარა-მარად, ხან სრულიად უაზროდ, ხან-კი შიგა-და-შიგ რაღაცა საეჭვო სიტყვებს აპარებდა; მერე-კი ისევ უაზრო ყბედობას მოჰყვებოდა. ახლა-კი თითქმის გაცხარებული დარბოდა უკვე ოთახში და თავ-ჩაღუნული მარდად აბიჯებდა თავის ჩასუქებულს ფეხებსა. მარჯვენა ხელი წელზედ შემოედო უკანა, მარცხენას ერთ-თავად აქეთ-იქით აქნევდა, მაგრამ ისე უაზროდ, რომ ნალაპარაკევის შინაარსს სრულიად არ შეეფერებოდა. შეზნიშნა უცბად რასკოლნიკოვმა, რომ ამ სირბილის დროს ერთი ორჯერ თითქოს კარებთან შედგა პატარა ხნობით და ყური მიუგდო...

„ელის ვისმე, ნეტა, თუ რა არის?“—გაიფიქრა თავისთვის.

—ამაში-კი მართალი ხართ სწორედ,—დაიწყო კვალად მზიარულად პორფირი და თან როგორღაც არაჩვეულებრივ გულმართლად დაუწყო ცქერა რასკოლნიკოვსა (ეს იყო მიზეზი, რომ შეერთა უცბად რასკოლნიკოვი, მოსასმენად მოემზადა),—მართალი ხართ სწორედ, რომ იურიდიული ფორმები ასე სასაცილოდ აიგდეთ, ხე-ხე-ხე! ეს (ზოგიერთა, რასაკერეღია,) ჩვენი ღრმა-ფსიხოლოგიური ხერხებიც სასა-

ცილოა მეტად და უსარგებლოც-კი თითქმის, თუ ფორმით შევზღუდეთ მეტათა. დიახ... ფორმას ვეხები მაინც: ვსთქვათ, ვინმე დამნაშავეთ მიმაჩნია, ან ექვი მაქვს რომელისამე საქმის გამო ამა თუ იმ კაცზედ მიტანილი... თქვენც ხომ ვეკილად ემზადებით, როდღონ რომანოვიჩ?

— დიახ, ვემზადებოდით...

— აი, მაშ, მაგალითიც მომავლისათვის,— ე. ი. ნუ-კი იფიქრებთ, ვითომ გასწავლიდეთ! თქვენ არა ხართ, დანაშაულობის შესახებ ისეთს წერილებს ჰბეჭდავთ! არა, ისე მსურს ფაქტის მაგვარი მაგალითი გავაცნოთ.— ვსთქვათ, აი, ახლა მე რომ რომელსამე კაცს დამნაშავეთა ვსთვლიდე, მითხარით, გეთაყვათ, რისთვის შევაწუხებ ადრევე, თუნდ გამამტყუნებელი რამ საბუთიცა მქონდეს? ზოგიერთი, მოვალე ვარ, მაშინვე დავაპატიმრო, მაგრამ ზოგი ისეთი ხასიათისაა, რომ შეიძლება ისეირნოს კიდეცა ქალაქში, ხე-ხე-ხე-ხე! მაგრამ ვხედავ, კარგად ვერ გაიგეთ ჩემი ნათქვამი. ვეცდები ნათლად დაგიხატოთ: რომ ძაან ადრე ჩავსვა, მაშინ ხომ ზნეობრივს ნიადაგს გავუმტკიცებ, ხე-ხე-ხე! იცინით? (არც უფიქრია რასკოლნიკოვსა; იჯდა ტუჩებ-მოკუმული და ანთებული, გახურებული თვალები პორფირისათვის მიეპყრო). ზოგიერთას შესახებ ხომ ასეა ხოლმე სწორედ, იმიტომ, რომ ხალხი მეტად მრავალგვარია, პრაქტიკა-კი ყველასათვის ერთი. აი, გამამტყუნებელ საბუთებზედ ინებეთ ლაპარაკი; დიახ, მაგრამ ეს ექვი და გამამტყუნებელი საბუთებიც რომ ზოგჯერ მხოლოდ ორ-პირია, თითქმის მეტ წილად ასეა. მე-კი გამომძიებელი ვარ მხოლოდ, მაშასადამე, სუსტი ადამიანი და ვიტყვი კიდეცა, რომ მინდა მუდამ, გამოძიება როგორმე ნათლად გამოანგარიშებულად წარმოვიდგინო; ვცდილობ, ისეთი რამ საბუთი ვიპოვნო სამხილებელადა, რომ ორჯერ ორი რომ ოთხია, ამასა ჰგავდეს! პირდაპირსა და უექველს დამტკიცებასა ჰგავდეს! ადრე რომ ჩავსვა-კია,— თუნდაც დარწმუნებულიც ვიყო პირდაპირ, რომ ის არის დამნაშავე, — მხოლოდ შევაძლებინებ ამითი, რომ თავი იმართლოს. ამიტომაც, როგორც

კი გარკვეულს მდგომარეობაში ჩაეყენებ და ფსიხოლოგიურად დაეამშვიდებ, მაშინვე ხელიდამ წამივა, გულს ჩაიხვევს: მიჰხედება ბოლოს, რომ დაპატიმრებულია. ამბობენ, აგერა, აღმას შემდეგ ჭკვიანი კაცები სევასტოპოლშიაც საშინლად იყვნენ შეშინებულები, ეგონათ, მოვა პირდაპირ მტერი იერიშითა და უცბად აიღებს სევასტოპოლსაო; მაგრამ, რონახეს, მტერმა ალყა ამჯობინა, მაშინ-კი გაიხარეს და დამშვიდდნენ, რადგანაც ალყის შემორტყმით სულ ცოტა ორს თვეზედ ადრე ვერ აიღებდნენო. კიდევ იცინით, არ გჯერათ კიდევ? რასაკვირველია, თქვენც მართალი ხართ, მართალი! ყველა ესენი კერძო შემთხვევებია, გეთანხმებით; წარმოდგენილი შემთხვევა კერძო შემთხვევაა! მაგრამ აი, რა არის, ჩემო როდიონ რომანოვიჩ, ყურადღების ღირსი: ზოგადი შემთხვევა ხომ, რომელზედაც ყველა იურიდიული ფორმები და წესებია გამოკრილ-გამოანგარიშებული და წიგნებში ჩაწერილი, ნამდვილად არც-კი არსებობს სრულებით; იმიტომ თუნდაც, მაგალითად, რომ როგორც-კი რომელიმე საქმე ან დანაშაულობა მოხდება ნამდვილად, მაშინვე კერძო შემთხვევათა ხდება იგი; მერე ისაც ზოგჯერ როგორ შემთხვევათა: არასფრით წინანდელს აღარა ჰგავს. ზოგჯერ მეტად სასაცილო ამბები ხდება ხოლმე ასე. მაგრამ თუნდ მარტოდ-მარტო დავტოვო რომელიმე ვაჟბატონი: არც დავაჭერინო, არც სხვაფრივ როგორმე შევაწუხო, მაგრამ იცოდეს-კი, რომ ყოველს ეამსა და წამს თვალ-ყურს ვადევნებ, ან ეჭვი ჰქონდეს მარტო, რომ ვდარაჯობ მუდამ; და ასე მყავდეს მუდამ ეჭვსა და შიშში, ღმერთს გეფიცებით, დაიბნევა და თვითონ მოვა, ან ჩაიდენს ისეთს რამეს, რაც ორჯელ ორია ოთხს ეგვანება, ე. ი. ანგარიშს სრულიად გამიმართლებს და ეს-კი სასიამოვნოც არის. შეიძლება ასე დემართოს თვითონ უბრალო ბრიყვსაც-კი, თორემ რაც შეეხება ჩვენს მოძმეს, თანამედროვე ჭკვიანს ადამიანსა, ის ხომ სულ თავს ვერ დააღწევს ამ გზასა! მით უფრო, თუ განვითარება აქვს ისეთი. იმიტომ, ჩემო კარგო, რომ ადამიანის განვითარებასაც გავგება უნდა. ახლა

ნერვები! ეს-კი დაგავიწყდათ! ხომ ყველას დასწრელებული, აშლილი და დასუსტებული გვაქვს!.. ახლა ბოროტი და ნაღველი რაღამდენია დაგუბებული! ეს ხომ მართლაც მადანია თავისებური და უძირო! არა, ან-კი რა მენაღვლება, თუ თავისუფლად დადის ქალაქში! დეე, ისეირნოს, ვიდრე დრო აქვს. ხომ უიმისოდაც, ვიცო, ჩემი მსხვერპლია აუცილებლივ და ვერსად წამივა! ან-კი სად უნდა წამივიდეს, ხე-ხე-ხე! საზღვარ-გარეთ გამექცევა? საზღვარ-გარეთ პოლონელი გამექცევა მარტო, ის-კი არსად წამივა, მით უმეტეს, რომ იცის, თვალ-ყურს ვადევნებ, ღონისძიება ნახმარი მაქვს. შუა-გულ რუსეთში გადისხეწება? იქ ხომ ნამდვილი რუსის „მუჟიკები“ (გლეხები) სცხოვრობენ; თანამედროვე განვითარების კაცი ხომ უფრო ადვილად საპატიმროს ირჩევს, ვიდრე რუსის „მუჟიკებისთანა“ უცხოელებთან ცხოვრებასა, ხე-ხე-ხე! მაგრამ ყველა ეს გარეგანი და სისულელეა. რა არის, გაიქცევა? ეს მხოლოდ ფორმალური მხარეა; უმთავრესი ეს როდი არის! იმიტომ-კი არ გამექცევა, რომ არ შეეძლება, არა; ვერ გამექცევა ფიზიკურად, ხე-ხე-ხე! როგორ რათმე მოგწონთ ეს სიტყვა, ჰა? ბუნებრივი კანონივე შეუკრამს ხელფეხს, თუნდაც გასაქცევი ადგილიც მოეძებნებოდეს. არ გინახვთ, პეპელა როგორ ევლება თავს სანთელსა? ისიც პეპელასავით ერთ-თავად ჩემს გარშემო იტრიალებს; თავისუფლება უარესად დაამწარებს, ფიქრი გასტანჯავს, ააბნევს, ობობასავით თავისს-თავად ქსელში გაებმის, სასიკვდილად შეიწუხებს თავსა!.. ეგ არა კმარა: ორჯელ ორი ოთხია-ს მაგვარს რამ მათემატიკურს ოინს თვითონვე გამიმზადებს, — ოლონდ პატარა გრძელი ანტრაქტი გავუჩინო... და ისევ ისე ჩემს გარშემო იტრიალებს, თან-და-თან დამიახლოვდება და უცბად — თხლაშ! პირდაპირ პირში ჩამივარდება. და მეც გადავყლაპავ; ეს-კი მეტად სასიამოვნოა, ხე-ხე-ხე! არ გჯერათ?

რასკოლნიკოვს პასუხი არ გაუცია, იჯდა ჩუმიდა და უძრავად, გაფითრებული და ისევ ისრე ყურადღებით აკვირდებოდა პორფირის სახესა.



„კარგი გაკვეთილია!“ ფიქრობდა და თან ცივი ჟრუნ-ტელი უვლიდა.— „ეს აღარც გუშინდელს თავგობანასა ჰგავს. ექვი არ არის, ამითი თავისის ძალის უსარგებლოდ დამტკიცება არ ენდომება... კევიანია, არ იზამს ამას... სხვა რამ აზრი აქვს უთუოდ, მაგრამ რა აზრი, ნეტა? ეჭ სისულელეა, ძმაო, მაშინებ და ეშმაკობ, გატყობ! დამამტკიცებელი, ვიცი, არა გაქვს-რა და არც გუშინდელი კაცი არსებობს! გინდა მხოლოდ გზა-კვალი ამიზნო, ამაღელვო და გამაბრაზო უაღგილოთა და უცებ დამიჭირო, მაგრამ არა, სტყუი, ვერ მიიღებ, ჩაგეშლება! მაგრამ რათ შვრება ასე, რათ მიკარნახებს? იქნება ჩემის დასნეულებულ ნერვების იმედი აქვს?.. არა, ძმაო, ვერ მოგართვი, მოტყუვდები, თუმცა თითქოს რაღაცა გაგიმზადებია... აი, ვნახოთ, რა მოამზადე“.

და მთელი თავისი ძალ-ღონე შემოიკრიბა, რომ მოსალოდნელს საზარელს უბედურებას შეჰგებებოდა. დრო-და-დრო უნდოდა პირდაპირ სცემოდა პორფირისა და იქვე წაელრჩო. რომ შედიოდა, მაშინვე ეშინოდა, ვაი-თუ ვერ მოვითმინო და გაებრაზდეთ. ჰგონობდა, რომ ტუჩები სიცხიანსავით შეახმა, გული ძლიერად უცემდა, ტუჩებზედ ქაფი შესწვოდა. მაინც გარდასწყვიტა ჩუმიად ყოფილიყო, დრომდე კიდევ არა ეთქვა-რა. მიჰხვდა, რომ ამ ჟამად ეს ყველაფერსა სჯობდა, რადგანაც, არამც თუ თვითონ არა წამოსცდებოდა-რა, პირ-იქით, მტერს უარესად გააბრაზებდა და იქნება ათქმევინებდა კიდევ რასმეს საყურადღებოსა. იმედი მაინც არის ჰქონდა ამისი.

— არა, ვხედავ, თქვენ ჩემი არა გჯერათ-რა, გგონიათ, ვითომ განგებ გართობთ,— ვანაგრძო პორფირიმა და თან-და თან უფრო უმატა სიამოვნებისაგან ხითხითსა და ოთახში ტრიალსა.— რასაკერელია, მართალი ხართ; ისე ვარ ღვთისგანვე გაჩენილი, რომ სასაცილო აზრებს აღვუძრავ ხოლმე მაყურებელსა; სასაცილო ვარ; მაგრამ, იცით, რას გეტყვით და გაგიმეორებთ კიდევ? მამავ, როდღონ რომანოვიჩ, მაპატიეთ-კი მე, ბებერსა, მიგრამ ახალგაზრდა ხართ

ჯერა და ამიტომაც ახალგაზრდათა ჩვეულებებისამებრ ყველა-  
 ზედ მეტად აღამიანის გონებას აფასებთ. მოსწრებული გო-  
 ნება და განყენებული, განივრული საბუთები ყველაზედ მე-  
 ტად გხიბლავენ. ისრევე მოგლით, როგორც ეს ავსტრიის  
 გოფ-კრიგსრატს დაემართა, — რასაკერელოია, რამდენადაც-კი  
 სამხედრო საქმეებზედ შემოძლიან სჯა: ქალაღდზედ ნაპოლე-  
 ონიც დაამარცხეს, ტყვეთაც წაიყვანეს; ერთი სიტყვით, კა-  
 ბინეთში შესანიშნავად მოსწრებულად გამოიანგარიშეს და  
 მოისაზრეს ყველაფერი, მაგრამ უტბად, ვნახოთ, გენერალი  
 მაკი თვითონ დაჰნებდა ნაპოლეონს მთელის თავისის მხედრო-  
 ბითა, ხე-ხე-ხე! ვხედავ, მამავ, ვხედავ, როდიონ რომანოვიჩი,  
 დაიცინებით კიდევ, რომ ერის კაცს მაგალითები სულ სამ-  
 ხედრო ისტორიიღამ მომყავს. რა ვუყოთ, ჩემი სისუსტეც ეგ  
 არის, სამხედრო საქმე და სამხედრო ამბების კითხვა მიყვარს...  
 სწორედ რომ არ ვიყავ ჩემის სამსახურის რიგზედ შემსრუ-  
 ლებელი. ჩემი საქმე სამხედრო სამსახური იყო და არა საე-  
 რო. ნაპოლეონი იქნება ვერ გაგმხდარიყავ, მაგრამ მაიორი-  
 კი უთუოდ ვიქნებოდი, ხე-ხე-ხე! ასე, მაშ, ახლა-კი ყველა-  
 ფერს დაწვრილებით და პირდაპირ გეტყვით ამ კვარძო შემ-  
 თხვევისას: ბუნება და სინამდვილე, ბატონო ჩემო, დიდი  
 რამ არის და ზოგჯერ უებრო და უეჭვო ანგარიშებსაც-კი  
 არ ამართლებენ! ყური დამიგდეთ მოხუცსა, მართალს ვამ-  
 ბობ, როდიონ რომანოვიჩი, (და ოცოდა თხუთმეტის წლის  
 პორტირი პეტროვიჩი მართლაც მოხუცდა უტბად: ხმა გამო-  
 ეცვალა, როგორღაც მოიკაკა), დამალვა არაფრისა მიყვარს...  
 პირდაპირი კაცი ვარ თუ არა? როგორა გგონიათ? მგონი,  
 პირდაპირი ვარ, რომ ამისთანა საქმეებს მუქთად გატყობი-  
 ნებთ და ჯილდოთ არასა გთხოვთ, ხე-ხე-ხე! აგრე, მაშა, გან-  
 ვაგრძობ; გონება მახვილობა, ჩემის აზრით, მშვენიერება რამ  
 არის; ბუნების მშვენება და სიცოცხლის ნუგეშია, თან, ვინ  
 იცის, რას არ მოიგონებს და შესთხავს; ასე რომ მასთან  
 შედარებით რომელიმე უბრალო გამომძიებელი, აბა, ან-კი  
 რას გახდება; მეტადრე, თუ ოცნებითაც არის გატაცებული,



იმითომ, რომ კაცია ისაც!“ მაგრამ ეგ არის, რომ ბუნება იხსნის ხოლმე საბრალო გამოიმძიებელსა! ამას-კი სულაც არ ფიქრობს „ყოველ-გვარ დაბრკოლებათა გადამლახველი“ და გონებამახვილობით გატაცებული ახლგაზრდობა (როგორც თქვენ ინებეთ გუშინ მოსწრებულად თქმა). იტყუებს და იცრუებს, ესე იგი, კვამლ-შემთხვევა, incoquito და იცრუებს მშვენივრად და ეშმაკურად. თითქმის გამარჯვებულიც არის და შეუძლიან თავისის გონებამახვილობის ნაყოფით დასტკბეს, მაგრამ ვნახოთ! ყველაზედ საყურადღებო და სახიფათო ადგილას გული წაუვა უცბად. მართალია, ავადმყოფობასა და შეხუთულს ჰაერსაც უთუოდ გავლენა აქვს ზოგჯერ, მაგრამ მაინც! მაინც ექვი აალებინა! სიცრუით მშვენივრად იცრუა, მაგრამ ბუნებას ველარსად წაუვიდა, თავი ვერ დაუქირა. აი, საღ არის ღალატი! ან კიდევ ხალისობს თავისის გონებამახვილობითა და ექვის მიმტანს გატუტუცებას დაუწყებს, გაფითრდება განგებ, ვითომ საცდელად, მაგრამ ასე ბუნებრივად გაფითრდება, ისე დაამზგავსებს ნამდვილსა, რომ აქაც ისევ ექვს აალებინებს! მართალია, მოატყუებს პირველათა, მაგრამ მეორე დღეს მოისაზრებს ყველაფერსა, რასაკვირელია, თუ მართლა ტუტუცი არ არის. ასე არ არის, განა, ყოველთვის! რა გინდათ: აღარ დააცდის, თვითონვე წაეჩრება, სადაც არ ჰკითხვენ, მალი-მალ იმაზედ ჩამოაგდებს ლაპარაკსა, რაც სათქმელია და გაჩუმების მაგივრად სხვა-და-სხვა მაგალითებსა და იგავებს მოგიყვანთ, ხე-ხე-ხე! თვითონვე მოვა და გკითხავთ: რატომ აქამდის არ მივყევართო? ხე-ხე-ხე-ხე! ასე შეიძლება დემართოს დიდის მახვილი გონების პატრონს ფსიხოლოგსა და ლიტერატორს! სარკვა ნამდვილი ბუნება, სარკვე, მასთან უზომოდ გამსჭვირვალე! ჩიხედე და ისიამოვნე, მეტი რა გინდა! მაგრამ აგრე რამ გაგაფითრათ, როდღონ რომანოვიჩი, სული ხომ არ შეგიგუბდათ, ფანჯარას გამოგიღებთ?

— ოჰ, ნუ სწუხართ, გეთაყვათ, ნუ! — შეჰყვირა რას-კოლნიკოვმა და უცბად საშინლად გადხარხარა. — ნუ სწუხართ, გეთაყვათ!

შედგა პორფირი რასკოლნიკოვის პირდაპირა, პატარა ხანს შეიცადა და უცბად თვითონაც გადიხარხარა. წამოიწია რასკოლნიკოვმა დივანიდამა და ატეხილი, გულის ხარხარი უცბად შესწყვიტა.

— პორფირი პეტროვიჩ! — შესძახა ხმა-მადლა და გარკვევით, თუმცა მთლად კანკალებდა, ფეხზედ ძლივს იდგა, — კმარათ! ვხედავ და საკმაოდ ნათლადაც, რომ ბებრუხანას და მისის დის ლიზავეტას მკვლელობის ეჭვი ჩემზედ მოგაქვთ. გიცხადებთ ჩემი მხრივა, რომ დიდი ხანია უკვე, ყველა ამან საშინლად თავი მომაბეზრა. თუ ჰგონებთ, რომ გაქვთ რამ კანონიერი უფლება ჩემის დევნისა, მსდევნეთ და დამაპატიმრეთ; მაგრამ პირში დაცინვისა და ასე ტანჯვის ნებას-კი არ მოგცემთ არასფრის გულისათვისა...

ტუჩები უცბად აუკანკალდა, თვალები ცოფიანსავით აემღვრა, თავ-შეკავებული, სუსტი ხმა გაუმაგრდა.

— არ მოგცემთ ნებას! — შეჰყვირა კვალად და უცბად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგიდას მუშტი დაჰკრა. — გესმისთ, პორფირი პეტროვიჩ? არ მოგცემთ!

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რას ნიშნავს ესა! — შესძახა შიშისაგან თითქმის მთლად გადარეულმა პორფირი პეტროვიჩმა. — მამავ, როდიონ რომანოვიჩ! საყვარელო! მამავ! რა დამემართათ?

— არ მოგცემთ-მეთქი ნებასა! — შეჰყვირა ხელ-ახლად რასკოლნიკოვმა.

— ნელათ, მამავ, ნელათ! გაიგებენ, მოვლენ! იფიქრეთ, აბა, რა უნდა ვუთხრათ! — ჩასჩურჩულა გულ-გახეთქილმა პორფირიმ თითქმის მთლად ყურში.

— არ მოგცემთ ნებას, არა! — ეუბნებოდა კვალად რასკოლნიკოვი, მაგრამ ახლა უკვე ჩურჩულით ესაც.

მიბრუნდა საჩქაროდ პორფირი, ფანჯარას ეცა, რომ გამოეღო.

— სუფთა ჰაერი შემოვუშვათ! და წყალიც ჩაყლაპოთ ცოტა, თორემ გული გაიხეთქეთ ხომა!

და კარებისაკენ გაქანდა, რომ წყალი ებრძანებინა, მაგრამ იქვე, კუთხეში, წყლის გრაფინი აღმოჩნდა.

— ჩაყლაპეთ, მამავ, — ეჩურჩულებოდა და თან გრაფინს აწვდიდა. — იქნება გარგოთ...

შიში და თანაგრძნობა პორფირი პეტროვიჩისა იქამდის ბუნებრივი იყო, რომ გაჩუმდა რასკოლნიკოვი და გაორკეცებულის ყურადღებით-და ჰსინჯავდა მხოლოდ. წყალი მაინც არ დაუღვებია.

— როდიონ რომანოვიჩ! საყვარელო! აგრე ხომ ქკუილამ შეიშალეთ, გარწმუნებთ! დალიეთ! ერთი ყლუპი მაინც არის!

ააღებინა მაინც ქიქა. უცბად ტუჩებთანაც მიიტანა, მაგრამ მოაგონდა დროზედ და ზიზლით მოიშარა, მაგიდაზედ დადგა ისევა.

— დიახ, დიახ! აგრე ხომ ისევ ძველს სენს დაიბრუნებთ, — აკაკანდა როგორღაც მეგობრულად თანაგრძნობით პორფირი პეტროვიჩი, თუმცა, ეტყობოდა, ჯერ ისევ დაბნეული იყო, — ღმერთო, მიკვირს სწორედ, როგორ არ უფრთხილდებით თავსა? აგერა, გუშინ დიმიტრი პროკოფიჩიც იყო, — გეთანხმებით, ცული ხასიათი მაქვს მეტად, მოუსვენარი; იმათ-კი, ჰხედავთ, რა დასკვნა გამოიყვანეს!.. ღმერთო! მოვიდა გუშინ თქვენს შემდეგ, სადილსა ვსქამდით, ილაპარაკა, ილაპარაკა, გავშტერდი სწორედ! ვიფიქრე... ეჰ, ღმერთო, თქვენიდამ იყო წამოსული? დაჯექით, გეთაყვათ, დაჯექით ღვთის გულისათვის!

— არა, ჩემსას არა ყოფილა! მაგრამ ვიცოდი, რომ წამოვიდა და ისიც, თუ რათ წამოვიდა, — მიუგო მკვანხედ რასკოლნიკოვმა.

— იცოდით?

— ვიცოდი. მერე, რაო, რომ ვიცოდი!

— რა-და, ისა, მამავ, როდიონ რომანოვიჩ, რომ მარტო ეს არ ვიცი თქვენის გმირობისა; ყველაფერი გაგებული მაქვს; ვიცი, მაგალითად, როგორ მიხვედით ბანას დასაქირავებლად

სალამო ჟამს, ბინდისასა და ზარსა ჰრეკავდით, სისხლზე ეკითხებოდით, მუშები და მეფხოვეები კინალამ გადარიეთ და სხ. მაშინდელი თქვენი სულიერი მდგომარეობა, რასაკვირველია, მესმის... მაგრამ ასე მაინც არ ივარგებს, გეფიცებით ღმერთსა, ჭკუილამ შეიშლებით! მართალია, დიდათა ხარო გარისხებული და განამწყრალი, იმის გამო, რომ შეურაცხყვეს. ჯერ პირველად ბუნებამა და მერე უბნის პოლიციელებმა; ამიტომაც აქეთ-იქით ეგლებით, რომ ყველა დროზედ აალაპარაკოთ და ერთბაშად გაათავოთ საქმე, იმიტომ, რომ მოგძულდათ ყველა ეს სისულელე და ექვები. ასეა, თუ არა? გამოვიცანი, თუ არა? ეგ არის მხოლოდ, ასე მარტო თქვენ-კი არა, რაზუმინისაც გადამირევთ; კარგად იცით, კეთილი კაცია მეტად. თქვენთვის მიზეზი სენია, იმისთვის გულ-კეთილობა; გამოდის, რომ გადმდები ყოფილა ეს სენი... მე თქვენ, მამავ, რომ დამშვიდდებით, ყველასკ ვიამბობთ... დაჯექით, ღვთის გულისათვის! დაისვენეთ, გეთყვათ, ფერი აღარა გდევთ; დაჯექით.

დაჯდა რასკოლნიკოვი. კანკალმა თითქმის გადაუარა. სიცხემ აიტაცა ახლა. ღრმად განცვიფრებული ყურადღებით უგდებდა ყურს შეშინებულს პორფირი პეტროვიჩსა, რომელიც ისე მეგობრულად უვლიდა ერთგულათა. მაგრამ არა სჯეროდა არც ერთი მისი სიტყვა, თუმცა სურვილი დიდი ჰქონდა დაეჯერებინა. პორფირის მოულოდნელი სიტყვები ბინის შესახებ მეზივით მოჰხვდა: „როგორც, ეტყობა, მაშ, ბინის ამბავიც იცის, გაიფიქრა უტბად, — და თვითონვე მიაბობს!“

— დიახ, ასეთი შემთხვევა, ფსიხოლოგიური, ჩვენცა გქონდა ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში, ნამდვილი სნეულებრივი შემთხვევა, — განაგრძობდა სხაპა-სხუპით პორფირი. — ასევე გადასწყდომოდა ერთი მკვლელობასა და მერე ისაც რა ნაირათა: მთელი გალუცინაცია შეაზავა, ფაქტები წარმოვიდგინა, გარემოებაც გვიამბო, აგვრია, ყველას აუბნია გზაკვალი და მერე? თვითონ-კი სრულიად არა ჰქონია მოკვლის განზრახვა, ხელი შეუწყო თურმე მხოლოდ, და ისიც ერთი მხრივ, მაგრამ გაიგო თუ არა, რომ მიზეზი იმან მისცა მკვლელობისა, მაშინვე

საშინლად დანაღვლიანდა და მოიწყინა, გადირია მთლად და დაარწმუნა თავისი თავი, რომ მკვლელი ის იყო სწორედ! მაგრამ საქმე უმართებელესმა სენატმა გაარჩია, საცოდავი გაამართლა და, როგორც სულით ავადმყოფი, თავშესაფარში გაგზავნა. მადლი კიდევ უმართებელეს სენატს! ეჰ! ჰაი, დედასა! ვინ იცის, ხურვებაც დაგემართათ, აგრე თუ აღელდით ხოლმე და ღამ-ღამობით აქა-იქ ზარი რეკეთ, სისხლის შესახებ გამოძიება გამართეთ! მთელი ეს ფსიხოლოგია პრაქტიკითა მაქვს შესწავლილი. ასე ხომ შეიძლება ფანჯრიდან ან სამრეკლო-ღამაც გადავარდეთ; მაცდენელია ასეთი გრძობა. ზარის რეკვაც... ავადმყოფობაა ყველას ეს, როდიონ რომანოვიჩ, ავადმყოფობა! გეტყობათ, ყურადღებას არ აქცევთ, არ ეპუებით... გამოცდილს ექიმს ეჩვენებოდით, რჩევას ჰკითხავდით, თორემ ე გაბერილი რას გიშველით!... ჰბოდავთ კიდევ! ბო-ღვის მიზეზია ყველა ესა!...

ერთს წამს რასკოლნიკოვს თავს ბრუ დაეხვა.

„ნუ-თუ მართლა ახლაცა სტყუის! — გაიფიქრა რასკოლნიკოვმა. — შეუძლებელია, შეუძლებელი!“ იგერიებდა ერთგულად ამ აზრსა, რადგანაც წინადვე იცოდა, საშინლად გააბრაზებდა და ქკუიდამ შეჰშლიდა იგი.

— ვბოდავდი-კი არა, მართალია, მართალი, ცხადლივ იყო! — შეჰყვირა გამწარებულმა და თან სცდილობდა გონება შემოეკრიბა, პორფირის ხრიკების ფარული აზრი შეეტყო. — ცხადლივ იყო, ცხადლივა! გესმის?

— დიახ, მესმის და გავიგონევი! გუშინაც აგრე მეუბნებოდით, არა ვბოდავო და საგანგებოდ მარწმუნებდით! მესმის ყველაფერი, რაც გინდათ მითხრათ! ე-ეჰ!... მხოლოდ მომი-თმინეთ, როდიონ რომანოვიჩ, კეთილისმყოფელო ჩემო, ვასინჯეთ თუნდ ეს გარემოება. მართლა რომ დამნაშავე ან როგორმე ჩარეული ყოფილიყავით ამ წყეულს საქმეშია, განა, აგრე დაი-ქენდით-ლა, რომ არა ჰბოდავდით და ცხადლივ სჩადიოდით ყველაფერსა? ასე-ლა გაჯიუტდებოდით, განა? პირ-იქით, ჩემის აზრით, სხვას ეცდებოდით. მართლა რომ ბრალი რამ მიგი-

ძღვოდეთ და დანაშაულობასა ჰგრძნობდეთ, სხვას იტყოდით: რომ ჰბოდავდით მართლა! აგრეა თუ არა? აგრეა, არა?

რალაცა ცბიერობა ეტყობოდა ამ სიტყვებსა. რასკოლნიკოვმა თავი მოარიდა წინ დახრილს პორფირის, დივნის ზურგს გაეკრა თითქმის და ჩუმაღ დაუწყა გაშტერებულმა ყურება.

— ავიღოთ თუნდ ბ-ნი რაზუმიხინი. თავისით მოვიდა ჩემთან სალაპარაკოთა, თუ თქვენის ჩაგონებით-მეთქი, გეკითხებით და მეუბნებით, რომ თქვენის ჩაგონებით მოვიდა, იმის მაგივრად, რომ დაგეთარათ და არ გეთქვათ! თქვენ-კი არა ჰმალავთ და იმეორებთ, პირ-იქით, რომ თქვენის ჩაგონებით მოვიდა სწორედ!

არასოდეს რასკოლნიკოვს ფიქრათ არ მოჰსვლია ესა. ტანში უცბად ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა.

— სტყუით სულა, — ჩაილაპარაკა მძიმედ და სუსტად, თან ტუჩები სნეულებრივად დაედრიჯა; — გინდათ დამანახვოთ მხოლოდ, რომ ყველაფერი იცით ვითომა, წინაღვე იცით ვითომ, რას გეტყვით, — ეუბნებოდა გულმოსული. მაგრამ ჰგრძნობდა, რომ კარგად ველარ აეწონ-დაეწონა თავისი სიტყვები, — გინდათ შემაშინოთ... ან არა-და, დამცინოთ მხოლოდ...

და თან პირ-და-პირ თვალებში უყურებდა. უცბად ისევ უსახლდრო ბრაზითა და ზიზღით ავესო თვალები.

— სტყუით სულა, სტყუით, — შეჰყვირა ხმა-მალლა. — კარგად იცით, რომ საუკეთესო თავის დასაღწევი საშუალება დამნაშავისათვის ის არის, რომ მართალი ილაპარაკოს და რამდენადაც შესაძლებელია არ დამალოს ის, რის დამალვაც საჭირო არ არის! თქვენი მე არა მჯერა-რა!

— ჰხედავთ, რა უნდო რამა ხართ! — ჩაიხარხარა პორფირიმ, — თქვენთან, მამავ, მორიგება ძნელია მეტად, რალაცა სენი შეგპარვიათ. არ მენდობით, მაშა? მე-კი გეტყვით, რომ მენდობით და გჯერათ კიდევაცა, თუ სულ არა, ნახევრად მინცა; მაგრამ მოვახერხებ ისე, რომ ყველაფერს დამიჯერებთ, იმიტომ, რომ მიყვარხართ და კეთილი მინდა თქვენთვისა.

რასკოლნიკოვს ტუჩები აუკანკალდა.

— დიახ, სიკეთე მინდა თქვენთვისა, — განაგრძობდა პორფირი; თან მეგობრულად ხელი დაადო მხარზედა, — გთხოვთ ამიტომ, ყური უგდოთ თქვენს თავსა. მეტადრე, შინაურებიც ჩამოგსვლიან; ისინიც უნდა მოიგონოთ. მოსვენება და გართობაა იმათთვის სიჭირო, თქვენ კი აშინებთ მხოლოდ...

— ეგ რაღა თქვენი საქმეა? საიღამ იცით? რატომ იზიდავს ყველა ეს თქვენს ყურადღებასა? სჩანს, მაშ, თვალი გიჭირავთ ჩემზედა და გინდათ გამაგებინოთ, რომ ასეა საქმე?

— თქვენ არ იყავით, მამავ, მითხარით ყველა! აღარც-კი გახსოვთ, აღელვებული როგორ ყველაფერს წინაღვე გვაგებინებთ — მეცა და სხვებსაც. ბატონის რაზუმისინისაგანაც, დიმიტრი პროკოფიჩისაგან, ბევრი საყურადღებო წვრიმალი შევიტყე გუშინ. არა, აი, გამაწყვეტინეთ თქვენა, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ თქვენის ექვიანობით საღი გონება და მოსაზრებაც-კი ლამის დაჰკარგოთ. ავიღოთ, მაგალითად, თუნდ იგივე ზარის რეკვა: ასეთი ძვირფასი რამ, ასეთი ფაქტი (მთელი ფაქტია ხომა!) მე, გამომძიებელმა, გულმართლად გაგიმელანეთ, არ დაგიმალეთ! მაგრამ მაინც ვერასა ჰხედავთ. არა, ოღნავაც არის ექვი რომ მქონოდა, ასე მოვიტყეოდი, განა? პირ-იქით, ჯერ მივაძინებდი თქვენს ექვსა, რომ ანდე არ აგელოთ, ვიცოდი რამე, თუ არა ამ საქმისა; სხვას გაფიქრებინებდით განგებ; მერე-კი უცებ დაგცხებდით თავში კითხვასა (როგორც თქვენა სთქვით) და აგაბწევდით: „მერე, ბატონო, რა საქმე გქონდათ მოკლულის ბინაზედ ლამის ათსა თუ თერთმეტს საათზედ-მეთქი? ზარს რას ურეკდით? სისხლზედ რათ ეკითხებოდით? ან მეფოვეებს რისთვის იპატივებდით-მეთქი უზნის ზედამხედველთანა? აი, როგორ მოვიტყეოდი, მართლა რომ იოტის ტოლადაც არის ექვი მქონოდა. უნდა ფორმალურად ჩვენება ჩამომერთმია, გამეჩხრიკეთ და იქნება დამეპატიმრებინეთ კიდევ... სჩანს, მაშ, ექვი არა მქონია, რომ ასე არ მოვიქეცი! თქვენ-კი საღი გონება სრულიად დაჰკარგეთ და ველარასა ჰხედავთ, გარშემო რა ხდება!

რასკოლნიკოვი მთელის ტანით შეხტა, შეთრთოლდა, ასე რომ პორფირი პეტროვიჩმაც ნათლად შეჰნიშნა ესა.

— სტყუით სულა! — დაუყვირა, — არ ვიცი, აზრათ რა გაქვთ, მაგრამ სტყუით... წელან ამ აზრით როდი ამბობდით, ვერ მომატყუებთ... სტყუით!

— ვსტყუი? — ჩამოართვა სიტყვა, ვითომ გაცხარებულმა პორფირიმ, მაგრამ მხიარული, დამცინველი გამომეტყველება მაინც ნათლად ეტყობოდა, თითქოს სულაც არად იჩნევდა, რა აზრისა იქმნებოდა რასკოლნიკოვი. — ვსტყუი?.. მაშ წელან, აბა, როგორ მოვიქეცი (მე, გამომძიებელი); არ იყო, თვითონვე ჩაგაგდეთ გულისხმაში და მოგეცით საშუალება, რომ თავი როგორმე დაგეფარათ: „ეს ავადმყოფობაო, ეს ბოდვაო, ეს კიდევ ნაწყენი იყო და უბნის პოლიციელებმა შეურაცხვესო.“ მაშ, რა იყო ყველა ესა? ჰა? ხე-ხე-ხე-ხე! თუმცა, — ვიტყვი ახლავე, — ყველა ეს ფსიხოლოგიური მოსაზრებანი, თავის მართლება და დამტყუებელი ბერს არას გამოგადგებათ, ორ-პირია და არა სანდო: „ავად ვიყავი, ვბოდავდი, არ მახსოვს, მეღანდებოდაო“, ყველა ეს. დიახ, მართალია, მაგრამ მითხარით, მამავ, რალა უთუოდ ეს გელანდებოდათ და არა სხვა რამე? ხომ შეიძლებოდა სხვაც რამე მოგლანდებოდათ, სხვაზედ გებოდათ? ასეა თუ არა? ჰა? ხე-ხე-ხე-ხე!

რასკოლნიკოვმა ამაყათა და ზიზლით შეჰხედდა.

— ერთი სიტყვით, — დაიწყო ხმა-მალლა და რიხიანად, თან ზეზე წამოდგა და მოიგერია პორფირი, — ერთი სიტყვით, მინდა ვიცოდეთ: მანთავისუფლებთ ყოველგვარ ექვისაგანა, თუ ანა? სთქვით, პორფირი პეტროვიჩ, გამოტყუებით გარდაწყვეტილი, სთქვით ახლავე!

— ესაც კომისია! რა დაგემართათ, — შეჰყვირა მხიარულისა და ცბიერის გამომეტყველებით პორფირიმ, თითქოს აქ არა ამბავიაო. — ან რისთვის გინდათ, რისთვისა? რათ გინდათ, ამდენი რამ იცოდეთ, როდესაც ჯერ არავის არასფრით შეუწუხებინართ! აგრე ხომ ბავშვმა იცის: გინდათ თუ არა, ცეცხლი მომეცით ხელშიო! ან რისთვის სწუხართ ასე? რას აგვეკვიტებინართ, რა მიზეზია? ჰა? ხე-ხე-ხე!

— გიმეორებთ, — შეჰყვირა განრისხებულმა რასკოლნიკოვმა, — მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან!..

— რის მოთმენა არ შეგიძლიანთ! ამ საილუმლოობისა? — გააწყვეტინა პორფირი.

— ნუ მშხამავთ აგრე! არ მინდა!.. გეუბნებით, არა მსურს-მეთქი!.. არ მინდა, არ შემიძლიან!.. გესმისთ! გაიგეთ! — დაჰყვირა რასკოლნიკოვმა და მაგიდას ხელ-ახლად მუშტი დაჰკრა.

— წყნარათ, გეთაყვათ, წყნარათ! გაიგებენ! გაფრთხილებთ, თავს უფრთხილდით. არ გეხუმრებით! — ჩაილაპარაკა ჩურჩულით, მაგრამ წელანდელივით შეშინებული, დედაბრული გამომეტყველება. კი აღარ ეტყობოდა ახლა, პირ-იქით, უბრძანებდა პირდაპირ, წარბებ-შეკრული, თითქოს ეგ არის; უცხად დაარღვია საილუმლოებრივი, ორაზროვანი მდგომარეობაო.

მაგრამ, არა, ეს იყო მხოლოდ ერთ წამს. გაცოცხლებული რასკოლნიკოვი უცხად ბრაზმა აიტაცა, მაგრამ უცნაურია სწორედ: დაემორჩილა ისევ ბრძანებასა, ჩუმიად ელაპარაკნა, თუმცა მისს რისხვას საზღვარი აღარა ჰქონდა, გაცოფებული იყო თითქმის.

— არ მოგცემთ ნებას, აგრე მტანჯოთ! — დაიწყო წელანდელივით ჩურჩულითა და თან ზიზღი აღრჩობდა, გული სტკიოდა, რომ უნდა უნებურად დაჰმორჩილებოდა. — დამაპატიმრეთ, გამჩხრიკეთ, მაგრამ ისე, როგორც ფორმა და წესი მოითხოვს ამასა; ასე თამაშის ნებას-კა არ მოგცემთ არასოდესა! ნუ გაჰბედავთ!..

— ფორმისთვის, აბა როგორა სწუხართ, — გააწყვეტინა წელანდელივით ცბიერის ღიმილით პორფირიმა, თითქოს ჰსიამოვნებს, რომ ასე აწვალესო, — მე, მამავ, ისე, შინაურულად მეგობრულად მოგიწვიეთ ახლა!

— არა მსურს თქვენი მეგობრობა, რა თავში ვიხლი! გესმისთ! აი, ვიღებ ქუდსა და მივდივარ. აბა, ახლა რაღას იტყვით, თუ მართლა დაპატიმრება გინდათ?

დაავლო ქუდს ხელი და კარებისაკენ გასწია.

— სურპრიზი? არ გინდათ ნახოთ?— ჩაიხიბხითა პორფირი-რიმა და მხარზედ დაადო კვალად ხელი, კარებთან შეაყენა.

თან-და-თან უფრო მხიარულდებოდა პორფირი პეტროვიჩი, თან-და-თან უფრო ხალისობდა; რასკოლნიკოვი-კი ბრაზობდა, თავს ძლივს-ღა იმაგრებდა.

— რის სურპრიზი? რას ამბობთ?— ჩაეკითხა უცბად და შეშინებულმა პორფირის დაუწყაო ყურება.

— სურპრიზი, დიახ, აი, აქ, კარებს უკან რომ მიზის, ხე-ხე-ხე-ხე! (და თითი გადალობილ ფიცრულის დაკეტილს კარებზედ მიუშვირა).— დავკეტე, რომ არსად გამეჭკეს.

— რა არის? სადა? რა?..

მივიდა რასკოლნიკოვი კარებთანა, უნდოდა გამოეღო, მაგრამ დაკეტილი დაჰხვდა.

— დაკეტილია, აი, გასაღებიც!

და მართლაც ჯიბიდან გასაღები ამოიღო, დაანახვა.

— სტყუი სულა!— დასკყივლა რასკოლნიკოვმა, — სტყუი წყეულო!— და ეცა კარებში გაჩხირულს პორფირისა, მაგრამ, არ შეჰშინებია პორფირისა.

— მესმის ყველაფერი, მესმის!— მიჰვარდა რასკოლნიკოვი.— სტყუი, მაბრაზებ განგებ, რომ გამოგიტყდე...

— მეტად, აბა, როგორ-ღა უნდა გამოტყდეთ, მამავ, როდიონ რომანოვიჩ. მთლად გადირიეთ თითქმის. ნუ ჰყვირით, თორემ კაცებს დავუძახებ!

— სტყუი, არა იქნება-რა! დაუძახე! იცოდი, რომ ავად ვიყავი და გინდოდა გაგებრაზებინე, გამოვტეხილიყავ ვითომ, აი, რა გქონდა აზრათა! ფაქტები მომიყვა, თუ გინდა, ფაქტები! ყველაფერი გაგიგე! ფაქტები, ვიცი, არა გაქვს, რა-ღაცა უმნიშვნელო, ზამეტოვისებური გუმანი და ექვი გაქვს მხოლოდ!.. იცოდი ჩემი ხასიათი და გინდოდა გაგებრაზებინე და მერე უცბად გამოგეტეხე მღვდლებითა და დებუტატებითა... ვიცი, იმათ ელი, არა? რას უცდი, ნაშა? სადღარაინ? მოიყვა!

— რის დეპუტატები, მამავ! რას არ იფიქრებს კაცი! ასე ხომ ფორმითაც არა ვაკეთდება-რა; როგორც გეტყობათ, საქმე არ იცით, ჩემო მეგობარო... ფორმა, აბა, სად გაგვექცევა, თორემ თვითონა ჰნახავთ!.. ბუტბუტებდა პორფირი და ყური ფრთხილად კარებისაკენ ექირა.

მართლაც, ამ დროს სწორედ მეორე ოთახში, კარებთან, ხმაურობა გაისმა.

— ოჰო, მოდიან! შენ დაიბარე? — შეჰყირა რასკოლნიკოვმა... იმათ ელოდი, განა? უცდიდი... მოიყვა, მაშ, მოიყვა ყველა დეპუტატები, მოწმები, ვინც გინდა... მოიყვა! მზათა ვარ! მზათა!

მაგრამ აქ უცბად ისეთი უცნაური და მოულოდნელი რამ მოხდა, რომ არც რასკოლნიკოვსა და არც პორფირი პეტროვიჩს ფიქრადაც არ მოუვიდოდათ არასოდესა.

## VI

როცა-კი შემდგომ მოიგონებდა ხოლმე რასკოლნიკოვი ამ წამსა, მუდამ ასე წარმოუდგებოდა ხოლმე იგი.

კარებს უკან ატეხილმა ხმაურობამ უცებ საშინლად იმატა, კარები ოდნავ გამოიღო.

— რა ამბავია? — შეჰყვირა გაბრაზებულმა პორფირი პეტროვიჩმა. — არ იყო, გაგაფრთხილეთ...

ერთს წამას პასუხი არსაიდან იყო, მაგრამ, ეტყობოდა, კარებს უკან რამდენიმე კაცი ვილაცას უკან ავღებდა, არ უშვებდნენ.

— რა ამბავია, რა არის? — გაიმეორა შეშფოთებულმა პორფირი პეტროვიჩმა.

— პატიმარი, ნიკოლაი, მოიყვანეს, — გაისმა ვილასიც ხმა.

— საჭირო არ არის! არა! წაიყვათ! მოიცადეთ!.. რისთვის მოხეტებულა! რა უწესობაა! — შეჰყვირა პორფირიმ და კარებს ეცა.

— დიახ, მაგრამ...— დაიწყო იმავ ხმით ვილამაც, მაგრამ შესწყვიტა.

სულ რაღაცა ორმა თვალის დახამხამებამ განვლო ამ ბრძოლის დროს. მერე უცბად თითქოს ვილამაც ხელი ჰკრესო მაგრა, გაისმა ბრავუნის და პორტირის პეტროვიჩის კაბინეტში შემოვიდა ვილამაც საშინლად გაფითრებული კაცი.

შესახედავად როგორღაც უცნაური იყო. იყურებოდა პირდაპირ, მაგრამ ვერავის ამჩნევდა თითქოს. თვლებში რაღაცა გარდაწყვეტილება ეტყობოდა, მაგრამ მკვდრის ფერის ედო, თითქოს ეგ არის დასასჯელად მიჰყავთო. მიმქრალი, თეთრი ტუჩები ერთ-თავად უთრთოდა.

ხნით ახალგაზრდა იყო, ეცვა უბრალოდ, საშუალო ტანისას, გამხდარ-გამხდარს თმები რგვლათ ჰქონდა შეკრეპილი. სახეზედ გულცივობა ეტყობოდა. მოულოდნელად მისგან ხელნაკრავი კაცი ოთახში შემოჰყვა, მხარში სტაცა ხელი: ეს იყო დარაჯი. მაგრამ ნიკოლაიმ ხელი ჰკრა კვალად, თავი გაინთავისუფლა.

კარებში რამდენიმე ცნობის მოყვარე გამოჩნდა. ზოგიერთამ შიგნით შესვლაც-კი მოინდომა. ყველა ეს თვალის დახამხამებაზედ მოხდა უცბად.

— გასწი, ადრეა ჯერა! მოიცა, დაგიძახებენ!.. ასე ადრე რათ მოიყვანეთ?— ბუტბუტებდა გულმოსული და გზაკვალ აბნეული პორტირი პეტროვიჩი.

ნიკოლაი უცბად მუხლის თავებზედ დაეცა.

— რაო, რა გინდა,— შეუყვირა გაოცებულმა პორტირიმ.

— დამნაშავე ვარ! ცოდვილი! მე მოვკალი!— წარმოსთქვა ძლივს ქაქანით ნიკოლაიმა, მაგრამ საკმაოდ ხმა-მალლა-კი. ათიოდ წამი დუმილი იყო, ყველა გაშეშდა თითქოს. დარაჯმაც-კი თოფნაკრავით უკან დაიხია, აღარ მიჰკარებია; მიიწია ნელ-ნელა კარებისაკენა და უძრავად შედგა.

— რაო, რაო-ო?— შეჰყვირა უცბად პორტირიმ, გონს რომ მოვიდა.

— მე... ვარ მკვლელი...— გაიმეორა ნიკოლაიმა და გაჩუმდა პატარა ხანსა.

— როგორ... შენა?... როგორ... ვინ მოჰკალ, ვინა?  
ეტყობოდა, დაიბნა პორტირი პეტროვიჩი. კიდევ გაჩუმ-  
და ნიკოლაი პატარა ხანსა.

— აღენა ივანოვნა და იმათი და, ლიზავეტა ივანოვნა, მე...  
მოვკალი... ცულითა. გონთ დამიბნელდა... — დასძინა უცბად  
და გაჩუმდა ისევ.

მუხლის თავებზედ იღვა ისევ ნიკოლაი.

რამდენსამე წაშს პორტირი პეტროვიჩი გაშტერებული  
იღვა, თითქოს ნათქვამს უკვირდებაო, მერე-კი ისევ დატრია-  
ლდა და დაუპატიჟებელს მოწმებს მიეტია. ყველანი უცბად  
მიიმაღლნენ, კარები ისევ მიიხურა. შეჰხედა მერე რასკოლნი-  
კოვსა, რომელიც კუთხეში იღვა და გაცეცხული შეჰყურებ-  
და ნიკოლაისა და ამისაკენ გასწია; მაგრამ შედგა უცბადა,  
შეჰხედა რასკოლნიკოვსა, გადაჰხედა ნიკოლაისა, მერე ისევ  
რასკოლნიკოვსა, ისევ ნიკოლაისა და უცბად გატაცებული  
ნიკოლაის მიესია ისევა.

— წინ რას მისწრობ ემა შენი გონთ დაბნელებითა! —  
დაუყვირა თითქმის გაბრაზებულმა. — ჯერ ხომ არ მიკითხნია:  
გონთ დაგიბნელდა, თუ არა-მეთქი... მითხარ: შენ მოჰკალ?

— მე ვარ მკვლეელი, მე... ჩვენებას გაძლევთ... — გაიმეორა  
ნიკოლაიმ.

— ე-ეჰ! რითი მოჰკალი?

— ცულითა. წინათვე ვიშოვნე.

— ეჰ, სჩაქრობს! მარტომა?

ვერ გაიგო ნიკოლაიმ, რას ეკითხებოდა.

— მარტომ მოჰკალი?

— მარტომ. მიტკას აქ ბრალი არა აქვს.

— ნუ სჩაქრობ, ნუ! მიტკას ნუ გადასწვდი! ე-ეჰ!...

— მაშ, როგორ იყო აბა? კიბეზედ როგორ-ღა ჩამოირ-  
ბინე? შეეზოვეებმა რომ ორივე ერთადა გნახეს?

— იმიტომ ეგა, რომ ექვი არ აეღოთ... იმიტომ გავრბო-  
დი მაშინ... მიტკასთან ერთათ, — აჩქარა წინათვე მომზადებუ-  
ლივით ნიკოლაიმა.

— აკი ვთქვი, აგრეა! — დაიყვირა გაბრაზებულმა პორფირიმ. — თავისას როდი ლაპარაკობს! — წაიდუღუნა ვითომ-და თავისთვისა და უცბად ისევ რასკოლნიკოვს გადაჰხედა.

ეტყობოდა, ისე გაიტაცა ნიკოლაიმა, რომ ერთ ხანად სრულიად დაავიწყდა რასკოლნიკოვი. ახლა-კი მოაგონდა უცბად, შეკრთა...

— როდიონ რომანოვიჩ, მამავ! მაპატიეთ, ბოდიშს ვიხდი, — მიჰვარდა უცბად, — ასე, ვხედავ, არ შეიძლება, მიბრძანდით, გეთაყვათ!... თქვენ აქ საქმე აღარა გაქვთ-რა... მეც თვითონ... ჰხედავთ, რა სურპრიზების მოწმე ვარ!.. მიბრძანდით, გეთაყვათ!...

და ხელში ეხლი ჩასქიდა, კარებზედ მიუთითა.

— თქვენ, მგონი, ამას არ მოელოდით, არა? — ჩაეკითხა რასკოლნიკოვი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერა გაეგო-რა გარკვევითა, მაგრამ გული მაინც დიდი მიეცა, გამხნედა.

— არამც თუ მე, თქვენც არ ელოდით, მამავ. ჰხედავთ, ხელი როგორ გიკანკალებთ! ხე-ხე-ხე!

— თქვენა, თქვენ რალა ნაკლებ კანკალებთ, პორფირი პეტროვიჩ!

— შეცა ვკანკალებ, დიახ; არ მოველოდი!...

უკვე კარებში იდგნენ ორთავენი. მოუთმენრად ელოდა პორფირი, გასულიყო რასკოლნიკოვი.

— მაინც, სურპრიზს აღარ მიჩვენებთ? — ჩაეკითხა უცბად დაციწვით რასკოლნიკოვი.

— მელაპარაკება და შიშისაგან-კი კბილს კბილზედ აცემინებს, ხე-ხე-ხე! ოი, რა დამცინველი რამა ხართ! აბა, ნახვამდის.

— ჩემის აზრით-კი მშვედობათ!

— ეგ ღმერთმა იცის, ვინ იცის! ღმერთმა იცის! — ჩაიდუღუნა როგორღაც უკმაყოფილოდ დაღრეჯილმა პორფირიმ.

კანცელარიისზედ რომ გაიარა, შეჰნიშნა რასკოლნიკოვმა, რომ ბევრმა ყურადღებით თვალი გააყოლა. შესავალს ღერე-

ფანში, სხვათა შორის, შეჰნიშნა მეფხოვეებიც, რომლებსაც მაშინ იხმობდა ღამე, რომ უბნის ზედამხედველთან გაჰყოლოდნენ. იღვწენ და რალასაც უცდიდნენ. მაგრამ ის-კი იყო, კი-ზეზედ გამოვიდა, რომ უკანიდამ უცბად პორფირი პეტროვიჩის ხმა შემოესმა ისევ. მობრუნდა და დაინახა, რომ გაცხარებული ქაქანით მისდევდა უკან.

— ერთი სიტყვა კიდევ, როდიონ რომანოვიჩ; არ ვიცი, ყველა ამის შესახებ ღმერთი რას ინებებს, მაგრამ ფორმალურად ზოგიერთა რამის გამოკითხვა მაინც საჭირო იქნება... მაშ, კიდევ ვნახავთ ერთმანერთსა, არა?

და შედგა პორფირი, გაულიმა.

— ასე, მაშ, — დასძინა განმეორებით.

თითქოს უნდოდა რალაცა ეთქვა კიდევ, მაგრამ ველარ მოეხერხებინა, კრიკა შეჰკვროდა.

— მაპატიეთ, მართლა, პორფირი პეტროვიჩ, წელან... ცოტა არ იყოს, გაფჯავრდი, — დაუწყუო თითქმის მთლად გამხნე-ვებულმა რასკოლნიკოვმა. უნდოდა საშინლად, თვალები რო-გორმე აეხა პორფირისათვისა.

— არა უშავს-რა, არა უშავს-რა, — ჩამოართვა მხიარულად პორფირიმ. — მეც, ცოტა არ იყოს, მეტი მომივიდა... გესლიანი ხასიათი მაქვს საშინელი, ვნანობ, ვნანობ! მაგრამ აი, კიდევ ვნახავთ ერთმანერთსა. თუ ღმერთი შეგვეწვევა, იქნება ძალიან მალეც!..

— და საბოლოოდ გავიცნობთ ერთმანერთს, არა? — ჩამო-ართვა რასკოლნიკოვმა.

— დიახ, გავიცნობთ, — დაუდასტურა პორფირი პეტრო-ვიჩმა და თან თვალი მოუქუტა, ღრმად ჩააკვირდა რასკოლ-ნიკოვსა. — ახლა საით? დღეობაში?

— არა, ქელებში.

— ჰო, მართლა! ქელებში! მაგრამ ჯანს უფრთხილდით, ჯანსა...

— არ ვიცი სწორედ, მე რაღა გისურვოთ! — ჩამოართვა სიტყვა რასკოლნიკოვმა და კიბილამ კიდევ იბრუნა პირი

პორფირისაკენ. — გისურვებთ მეტს გამარჯვებასა, მაგრამ ჰხედავთ, როგორი სასაცილოა ეს თქვენი თანამდებობა!

— რით არის სასაცილო? — მიაძახა ყურმახვილად პორფირმა, რომელიც აგრეთვე გაბრუნებას აპირებდა.

— აბა, რა არის, მაშა? ვინ იცის, ე საცოდავი მიკოლა როგორ არა სტანჯეთ ფსიხოლოგიურად, თქვენებურათა, რომ გამოტეხილიყო! დღე და ღამ უთუოდ ერთ-თავად იმას ჩასჩინებდით, რომ „მკვლელი შენა ხარ, შენა ხარო!“ და ახლა-კი, როცა გამოტყდა, ისევ ურისხდებით და ამტყუვენთ: „არა, სტყუი, შენ არა ხარ! არ შეგეძლო მოკვლაო! შენი არ არის ეგ სიტყვებიო!“ მაშ, რა არის ამის შემდეგ, თუ არ სასაცილოა ეგ თქვენი თანამდებობა?

— ხე-ხე-ხე! შეჭნიშნეთ, მაშა, რომ ვუთხარი ნიკოლაისა: „შენი სიტყვები არ არის-მეთქი?“

— როგორ არ უნდა შემენიშნა!

— ხე-ხე-ხე! მახვილი გონებისა ხართ, მახვილი გონებისა! ყველაფერს შეჭნიშნავთ ხოლმე! ცოცხალი გონებისა ხართ მეთად? მერე ისაც უთუოდ სასაცილო რამ მხარეს აღმოაჩინთ ხოლმე... ხე-ხე-ხე!... ამბობენ, მწერლებში მარტო გოგოლსა ჰქონდა ასეთი ნიჭიო, არა?

— დიახ, დიახ, გოგოლსა ჰქონდა.

— დიახ, გოგოლსა... ვისურვებ, კვალად სიამით შენახოთ...

— მეც აგრეთვე...

სახლში წავიდა პირდაპირ რასკოლნიკოვი. იქამდის იყო თავ-გზა აბნეული, რომ მთელი თხუთმეტი წამი გაბრუებულივით იჯდა დივანზედ, სანამდის ცოტათიც არის გონს მოვიდოდა და აზრებს შემოიკრებდა. ნიკოლაის შესახებ ხომ სულ აღარა უფიქრია-რა: ჰგონობდა, რომ თავზარდაცემული იყო; რომ ნიკოლაის გამოტეხვა მეთად გასაოცარი და ძნელად ასახსნელი რამ იყო, რის გაგებაც არაფრის გულისათვის არ შეეძლო ახლა. მაგრამ მაინც ფაქტი იყო იგი, ნამდვილი ფაქტი. მაგრამ შედეგად მაშინვე ნათლად წარმოუდგა: ექვი

არ იყო, სიცრუე უთუოდ გამოაშკარავდებოდა და მაშინ ისევ ჩასქიდებდნენ ხელსა. მაინც იმ დრომდის თავისუფალი იყო და უნდა ცდილიყო, ეთავა რამე, რადგანც საფრთხეს ვერას გზით თავს ვერ დააღწევდა.

რა ზომად დიდი იყო ეს საფრთხე, თან-და-თინ ირკვეოდა. გაიხსენა საზოგადოდ წელანდელი სცენა პორფირისთანა და ერთხელ კიდევ შეაქრუოლა შიშისაგანა. რასაკვრელია, ჯერ კიდევ სავსებით არ იცოდა, რა ჰქონდა აზრად პორფირისა, ან რა ანგარიშით მოქმედობდა წელან ისე. მაგრამ ნაწილი პორფირის განზრახვისა უკვე გამოჩეღავენებული იყო და, რასაკვრელია, მასზედ უკეთ ვერვინ გაიგებდა, თუ რა საზარელი რამ იყო იგი. ცოტა კიდევ და გასცემდა ჭაბჭუ უთუოდ თავის თავს უეჭველათა. იცოდა კარგად პორფირიმ, რა დასნეულებული ხასიათიცა ჰქონდა რასკოლნიკოვსა და შესაფერისადაც შეუწონა მას თავისი განზრახვა. ეჭვი არ იყო, წელანაც საშინლად გაიფუჭა საქმე რასკოლნიკოვმა, მაგრამ ფაქტობი მაინც ჯერ არსად სჩანდა; ყველა ეს ჯერ კიდევ შედარებით იყო საექვო. მაგრამ ასეა, ნეტა? რიგზედ ესმის ყველაფერი? ხომ არა სცდება? რა უნდოდა დღეს პორფირისა? ჰქონდა რამ მართლა მომზადებული? ან თუ ჰქონდა, სახელდობრ რა? ელოდდა მართლა რასმე, თუ არა? როგორ დაჰშორდებოდნენ ერთმანეთს, მოულოდნელად რომ ნიკოლაი არ ასჩენოდათ?

პორფირიმ მთელი თავისი განზრახვა გადაუშალა თვალწინ; მაგრამ, თუ მართლა მეტი რამ სცოდნოდა, ეჭვი არ არის, არ დაუმალოვდა არც იმას. „სურპრიზი“ რაღა იყო ნეტა? დასცინოდა, თუ რა იყო? მართლა ჰნიშნავდა რასმე, თუ არა? მართლა ეცხო რამ ფაქტისა და ბრალდებისა, თუ არა? გუშინდელი კაცო? სად დაიკარგა, ნეტა? რატომ არსადა სჩანდა დღესა? თუ მართლა რამ მოეძევება პორფირისა, ეჭვი არ არის, გუშინდელ კაცთან უნდა ჰქონდეს კავშირი...

იჯდა დივანზედ თავჩაკიდული, მუხლებზე დაყრდნობილს ხელები პირზე მიეფარებინა. მთელი ტანი ჯერ ისევ უკანკალებდა. წამოდგა ბოლოს, აიღო ქუდი, პატარა იფიქრა და კარებისაკენ გასწია.

ჰგრძნობდა, რომ დღეს მაინც არა მოელოდა რა საშიში. უცბად რაღაცა სიხარულიც-კი იგრძნო: მოუნდა საჩქაროდ კატრინა ივანოვნასთან წასულიყა. დასაფლავებას, რასაკვ-

რელია ვერ მიუსწრობდა, მაგრამ მიცვალებულის შენდობა-  
 კი ჯერ კიდევ დაგვიანებული არ იყო. იქ-კი სონასაცაჰნახავდა.

შედგა ერთს წამას, ფიქრმა წაიღო. ტუჩზედ სწეულებ-  
 რივი ღიმი შეუთამაშდა.

— დღეს! დღეს! — იმეორებდა თავისთვის. — დიახ, დღე-  
 სვე! ასე უნდა იყოს უთუოდ...

ის-კი იყო უნდოდა კარი გამოეღო, რომ თავისს-თავად  
 გაიღო. შეაქრეოლა, უკან გადახტა. კარები მძიმედ და წყნა-  
 რად გაიღო. უცბად გუშინდელი კაცი გამოეცხადა.

კაცი შედგა კარებში, შეჰხედა ჩუმიად რასკოლნიკოვსა  
 და ოთახში შევიდა. გარეგნობით პირწმინდათ ისეთივე იყო,  
 როგორც გუშინა ნახა, ტანთაც ისევ ისრე ეცვა, როგორც  
 გუშინა; ეს იყო მხოლოდ სახე და გამომეტყველება გამოს-  
 ცვლოდა: როგორღაც დაღონებული გამოიყურებოდა. პატარა  
 ხანს ისე იდგა, მერე უცბად ღრმად ამოიოხრა. ის-ღა აკლდა,  
 ხელი ლოყასთან მიეტანა და გვერდზედ გადაეგდო თავი,  
 რომ ნამდვილს დედაბერს დაჰგვანებოდა.

— რა გნებავთ? — დაეკითხა სიკვდილის ფრად ქცეული  
 რასკოლნიკოვი.

ჯერ გაჩუმდა, მერე უცბად მიწამდის თავი დაუკრა  
 მდაბლად. იქამდის მდაბლად, რომ მარჯვენა ხელის თითები  
 იატაკს შეახო.

— რაო, რა გინდათ? — შეჰყვირა რასკოლნიკოვმა.

— დამნაშავე ვარ, — უპასუხა წყნარად უცნობმა.

— რის დამნაშავე?

— იმისა, რომ ცუდი განვიზრახე.

ორივენი ერთმანეთს შეჰყურებდნენ.

— მეწყინა. გახსოვთ, მაშინ ნაჭეიფარი რომ მობრძანდით  
 და მეფხოვეებს პოლიციაში იხმობდით, თან სისხლზედაც  
 რალასაც კითხულობდით, მეწყინა, რომ ისე გაგიშვეს და  
 მთვრალად ჩავთვალეს. იქამდის მეწყინა, რომ ძილი აღარ  
 მომეკარა. აღრესი დამახსოვდა, მოვედი გუშინ და გიკითხ-  
 ვით...

— ვინა და ვინ მოხვედით? — გააწყვეტინა უცბად.

— მე ე. ი., მე შეურაცხყავით.

— იმ სახლიდამა ხართ, მაშ, თქვენა?

— დიახ, იქვე, ეზოს კარებთან ვიდექი მეფხოვეებთანა,  
 თუ დავახსომდით? ხელობაც იქვე გვაქვს, დიდი ხანია. ქურ-

ქჩი ვართ, ბეწვეულსა ვკერამთ; შინ ვიღებთ საქმესა... მართლა-და, ძან შეწყინა...

უცბად რასკოლნიკოს მთლად გაახსენდა სამი დღის წინად მომხდარი ამბავი; მოაგონდა ისიც, რომ, მეფხოვეებს გარდა, კიდევ ვიღაცა კაცები და დედაკაცები იდგნენ იქვე. მოაგონდა, ერთი იმათგანი როგორ ურჩევდა პოლიციაში წაეყვანათ. მთქმელის სახე არ ახსოვდა და ვერ მოეგონა, მაგრამ ის-კი გაახსენდა, რომ მიბრუნდა და რაღაცა უთხრა პასუხათა...

აი, თურმე რითი დასრულდა გუშინდელი შიშის ზარი. ყველაზედ მეტად-კი ესაზარლა ის, რომ ასეთ უბნაღლო გარემოებისა გამო ცოტას გასწყდა თავი არ დაიღუპა. მაშასადამე, ბინის დაქირავებისა და სისხლის შესახებ გამოკითხვის მეტს ვერას ეტყოდა ეს კაცი. მაშასადამე, პორფირისაც ამ ბოღვისა და ფსახლოგაის მეტი სხვა არავითარი ფაქტი არა აქვს ხელთა. ერთიც და მეორეც-კი **აბ-შარა ეჭვანა** მხოლოდ, სხვა არასფერი. მაშასადამე, თუ სხვა რამ ფაქტი არ აუჩნდა (მათი აჩენა-კი შეუძლებელია ყოვლად)... ვერაფერს უზმენ. თუნდ დაპატიმრონ კიდევ, რითი უნდა გაამტყუნონ? მაშასადამე, პორფირისაც მხოლოდ ახლა შეუტყვია ბინის ამბავი, აქამდის არა სცოდნია-რა.

— თქვენ უთხარით, მაშ, დღეს პორფირისა... რომ მაშინ ვიყავი იქა? — შეჰყვირა უცბად რასკოლნიკოვმა.

— ვინ პორფირისა?

— გამომძიებელსა.

— მე ვუთხარი. მეფხოვეები არ წავიდნენ მაშინ, ავიღე და მე წავედი.

— დღესა?

— ის-კი იყო ვეუბნებოდი და თქვენც მოხვედით. გავიგონე ყველაფერი, როგორ გტანჯავდათ.

— საიღამ? როგორ? როდის?

— იქვე, ფიცრულს უკან, ვიდექი ერთ-თავადა.

— როგორ? მაშ, თქვენ იყავით ე „სურპრიზი“? მერე, როგორ მოხდა, როგორა? მითხარით, გეთაყვათ!

— ვნახე თუ არა, — დაიწყო მოქალაქემ, — რომ არ მიდიოდნენ მეფხოვეები; იმიტომა, რომ გვიან არის და იქნება გაგვიჯავრდნენ კიდევცა, რა დროს მოსვლააო, შეწყინა და

გადავწყვიტე მაშინვე, ყველაფერი გამეგო. გავიგე გუშინა და დღეს მივედი. პირველათ მიველი — იქ არ იყო, ერთი საათის შემდეგ მიველი — არ მიმიღეს, მერე მიველი კიდევ ერთი საათის შემდეგ — მიმიღეს. მოვახსენე ყველაფერი, როგორც იყო. დაიწყო უცბად ოთახში სირბილი და გულში მუშტის ცემა: „რას მიშვრებით, თქვე ავაზაკებო? მცოდნოდა ასე იყო საქმე, „კანვოით“ მოვაყვანიებდიო!“ გავარდა მერე გარეთ, ვილასაც დაუძახა და კუთხეში ეჩურჩულა, შემოვიდა მერე ისევ ჩემთანა და გამოკითხვა და გინება დამიწყო. ბევრი მისაყვედურა; მოვახსენე ყველაფერი, რომ გუშინ ვერაფერი პასუხი ვერ მომეცით ჩემს სიტყვებზედ და ვერც მიცანით ვითომ. დაიწყო ისევ სირბილი მაშინ, გულში იცემდა, ჯავრობდა. მერე-კი, რომ მოახსენეს თქვენ შესახებ, ნახვა უნდაო, მიბრძანა, მაშინვე ფიცრულს უკან დაემალულიყავ და ვმჯდარიყავი გაუნძრევლად; — ხმა არ ამოიღო, რაც გინდ გაიგონოვო, და სკამი მომიტანა, დამკეტა; იქნება დამქირდეს და დაგიძახოვო. მერე-კი, ნიკოლაი რომ მოიყვანეს, თქვენს შემდეგ მეც გამომიშვა და მითხრა: კიდევ დაგიძახებ, გამოგკითხამო...

— ნიკოლაისაც უნებნა ჰკითხა?

— გაგიყვანათ თუ არა თქვენა, მეც მაშინვე გამომიყვანა და მერე ნიკოლაის დაუწყო კითხვა.

შედგა მოქალაქე და თავი კვალად მდაბლად დაუკრა, თითი იატაკს შეახო.

— შაპატიეთ, რომ ბოროტი გავიზრახე და შევცდი.

— ღმერთმა გაპატიოს, — მიუგო რასკოლნიკოვმა.

და უთხრა თუ არა ესა, ერთხელ კიდევ დაუკრა თავი მოქალაქემა, მაგრამ ისე მდაბლად-კი აღარა და მძიმედ გავიდა ოთახიდან. „ყველაფერი ორ-პირი და საექვოა ახლა, ყველაფერი“, — გაიმეორა რასკოლნიკოვმა და გამხნეებული ოთახიდან გავიდა.

„ჯერ კიდევ ვიბრძოლებთ“, ჩაილაპარაკა და მწარედ გაეღიმა. შეეზიზნა და შეჭრცხვა თავისის თავისა, რომ წელან ისეთი „სულმოკლეობა“ გამოიჩინა პორფირისთანა.

ან-ანა.

(გაგრძელება იქნება)

ვძ  
იძ  
ქ  
ცნ  
იძ

### ბრიტანიის მუზეუმის ქართული ხელნაწილები

ვკ  
იწ

განთქმულის ბრატომ მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა რიცხვი მეტად ნაკლები აღმოჩნდა. მუზეუმის წიგნ-საცავში შეკრებილია უუძვირფასესი განძი კაცობრიობის განათლები-სა. ინგლისელებს დიდი მეცადინეობა და აუარებელი ოქრო დასჭირდათ ამ მუზეუმის შექმნისთვის ლონდონში. მოსალო-დნელი იყო, რომ ჩვენი წარსულის შესასწავლი მასალაც აღვიღს იპოვიდა ამ საქვეყნოდ დიდებულს სალაროში. მთე-ლი განათლებული კაცობრიობის წარმომადგენელს შეხვდე-ბით ლონდონში იმ აზრით მოსულთ, რომ იმეცადინონ აქა-ურს მუზეუმში და შეაფასონ ნაკლი თავიანთი გამოკვლევა-გა-მოძიებისა. ჩვენთან ერთად მუშაობდნენ ურიები, სპარსელები, ამერიკელები, რუსები, ფრანკუზები, გერმანელები და სხვ. როგორც მოგახსენეთ ჩვენი საგნის მასალა ნაკლები აღ-მოჩნდა, ვიდრე მოვკლოდით. პარიზის ნაციონალური ბიბ-ლიოთეკის ხელნაწერთა რიცხვი ბევრად აღემატება აქაურს. ბრიტნი მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა რიცხვი სულ ხუ-თია. ეს სიღარიბე ჩვენი ისტორიის მასალისა უთუოდ აიხს-ნება მით, რომ საქართველოს და ინგლის შორის ძველად, რუსეთთან შეერთებამდის, მისვლა-მოსვლა არ არსებობდა, როგორც იტალიასთან და თუნდ საფრანგეთთან. ინგლისი შორს იყო და არის ახლაც საქართველოზე. თვალ-საჩინო ინტერესს ჩვენი ისტორია ინგლისელებისთვის არ წარმოად-გენს და ჩვენის მხრივ არ ვცდილვართ ინტერესი აღგვეძრა ინგლისში ჩვენდამი. აქ იცნობენ სუყველას ძველს ისტორია-ში ცნობებს ერებს, გარდა საქართველოსი. აუარებელ რიცხვს

ხელნაწერებისას, შეხვდებით არაბულს, სპარსულს, კოპტურს, სომხურს და სხვ. ენებზე, გამოთენილს საჯაროდაც, მხოლოდ ქართულის სახსენებელი არა სჩანს და თვით სახელი „ქართველი“ ბევრისთვის გაუგებარია, თუნდაც ჩვენი სახელწოდება სთარგმნოთ ინგლისურად და დაირქვათ **georgien...**

ასე თუ ისე საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს. ამ ბოლო დროს ბ. ვორდროპს და ნ. ჟორდანიას შეუწირავთ მუზეუმისთვის დაბეჭდილი წიგნები. ერთმა ბიბლიოთეკის მცველმა მიჩვენა არძა კირონის და გ. ყიფშიძის მიერ შედგენილი „ქართული სიტყვიერების თეორია,“ სადღაც შექმნილი და გადმომცა, რომ აპირებს ქართული ენის შესწავლას. იმის სურვილისამებრ მეც დავესახლე სახელმძღვანელოები ფრანგულს და გერმანულს ენებზედ... გადავიღეთ ჩვენს პირდაპირს საგანზედ.

ზემო დასახელებულს ხუთს ქართულს ხელნაწერთა შორის მეტის ყურადღების ღირსია ტყავზედ ნაწერი ხუცურად in folio 369 ფურცლად ახალის ყდით კრებული წმ. მამათა ცხოვრება. ეს ხელნაწერი შეუქმნია მუზეუმს სომხის მღვდლისაგან სახელად კასანჯი ალექსანდრიიდგან 11 ნოემბერს 1837 წ. პირველს გვერდზედ ინგლისურად მელნით მინაწერი აქვს: Purchosed of an armenian prist nomed Casandji of Alexandria 11 Nov. 1837. ცოტა ქვემოთ ფანქარით წარწერილია: Written in the ancilus georgian Character supposed to contain monastri Institutions. ეს ძველი ქართული ასოებით ნაწერი კრებული (ბოლო აკლია, აგრეთვე ამოგლეჯილია 228 ფ., ნაწყვეტია დარჩენილი), ყდაზედ აღნიშნულია „Vitae patrum ecclesiae georgicae“-დ. შესწავლამ ამ კრებულისამ დაგვარწმუნა, რომ იგი შეიცავს არა ქართველ მამათა ცხოვრებას, არამედ იმ მამათა ცხოვრებას, რომელნიც ქართველ ტომისანი არ არიან და მოღვაწეობდნენ უუძველესად. ქართულად ნათარგმნია იერუსალიმში საბას ლავრაში და ამ გვარად ეკუთვნის იშვიათ რიცხვს იერუსალიმის ციკლის ხელნაწერთა. თვით ის ფაქტი, რომ ხელნა-

წერის გამყიდავი სომხის მღვდელი ალექსანდრიიდან ყოფი-  
ლა ამოწმებს მის წმიდა ადგილიდან ჩამომავლობას.

ტექსტის პირველი სტრიქონი ამოგლეჯილია და დარ-  
ჩენილა მხოლოდ ასომთავრული ასოებით „ათა და შემდეგი  
სტრიქონი ამის გაგრძელებაა; ნასეს გნ ეპისკოპოსისა ალექ-  
სანდრიელისა. კეთილსა ზა სიტყსა (ერთი სიტყვა ამოფხე-  
კილია). დადგროშლ ხართ ეგვპტისა მიმართ მონოზანთა ინუ  
მისწორებად გინა თუ წარმატებადცა“...

წვრილი ხუცური ასოებით მინაწერია: „ჟ სახიერო ღო  
ადიდენ სვიანი მოძღვარი ჩემნი ღთისანი იოვანი და მამაჲ  
გნი. და ყნი შვილნი (?) და მეცა შავი იოვანე მათითა  
ლოცვითა მიხსენ ცოდვითა ჩემთაგან.“ ტექსტის დასაწყისს  
ახალი მელნით მიუწერიათ ხუცურად: „ანტონისა იან-  
ვარსა იზ.“ ფურცლის ბოლოში ხუცურადვე სხვა ხელით:  
„ნდ ფნი შე ბნი მდლლ მზზნი ან. ღო შე ცოდვილი  
ბესარიონ მდდელ-მონაზონი ან“.

მეორე გვერდზედ წითელი მელნით: „სახიერო ღო მო-  
იხსენე სლი არსენისი ბერისა და დიდისა ჩემისა სასურველი-  
საჲ ვაიმე ტკბილო.“

ათანასეს სიტყვას უკირავს 54 ფურცელი ანუ 108 გვ.  
უკანასკნელს ფურცელზედ წვრილი ხუცური ასოებით: „ღო  
შე ელენე, ღო შე ხახუ“. ელენე რამდენჯერმე მოხსენე-  
ბული სხვა ადგილასაც. დასასრულამ „სიტყვისა“ მხედრული  
ასოებით, რომელთაც ჯერ ხუცური ხასიათი არ დაუკარგავთ,  
მინაწერია: „აჲადე მონასტერა ზარზმისა, სადაცა ამისა დამ-  
წერელს გერმანოზს მაქვნდა“. ხოლო ხუცურადვე ტექსტის  
ხელით: „წო ანტონი ღირს მყავსაწყალი ნაწილისა ღვაწლი-  
თა შენითა“. 55 ფურცელზედ იწყება სხვა ხელით მკრთალი  
მელნით ნაწერი ხუცური ასომთავრულით: „წიგნი თავები  
წდისა და ნეტარისა მამისა ჩნისა საბაჲსი ცხოვრებაჲ“. ცბრი-  
ლი ამ თავებისა: დაბისათჳს მისისა და მამულთა, სადა იყო-  
ფოდა, ვითარ იგი იშვა და სხვ.; სულ 2 მუხლად არის და-  
ყოფილი წმ. საბას ცხოვრება და შეიცავს 55 — 144 ფ. თვით

ცხოვრების აღწერა იწყება 57 ფურცლიდან. თან დაერთვის ორი ულაზათო სურათი კაცისა შვილდ-ისრით ხელში. სურათი გამოსახულია შავი მელნით. 144 ver. ფურ. ტექსტის ხელით მოწითანო მელნით ხუცურადვე საყურადღებო მინაწერია: „ქე შე მოძღვარნი ჩემნი სულიერნი იოვანე და მამა იგი“. იმავე ხელით შავი მელნით: „დიდება შენდა ძალისა მომცემლო ღოთ, რწ ღირს მყავ და მომმადლე უძღურსა აღსრულებად საქმე ესე სადიდებელად სახელისა შენისათჳს წმიდისა და სალოცველად საწყალობელისა სულისა ჩემისა, რწლსა არა მიქმნია დღცა ერთი ნებაჲ ღთისაჲ“. მოწითანო მელნით იმავე ხელით: „ქე შენ სულითა ძმანი ჩემნი საყურელნი გა, მაქაელ და საბა თუღაჲ“. შავი მელნით: „ჴ წწო ღთისანო, ესე ჩემი ნაწერი ვიცი, რწლ უნდო არს, გარნა ხელთსაქმარი სხუაჲ არაჲ ვიცოდი... და წერად ღთივ განბრძნობილმან იოვანე მოძღვარძან მიბრძანა. ღმერთმან აღიდენ სული მათი და აწ თქნ ლოცვა ყავთ, რ ფდ ცოდვილი ვარ და არა მაქუს სინანული“.

იწყება თვით ცხოვრება ამ სიტყვებით: „კურთხეულ არს ღოთი... ღირს მყო არა ღირსი აღწერად ღთის მოყრეთა წდთა მამათა წინა აღსრულებულთაჲ ევთჳმისთჳს და საბაჲსათჳს... ესე რაჲ მესმა მე ნეტარისა მამისა ჩწის ევთჳმისთჳს მცირც ნურაჲ და შეუძლებელი მისისა დიდებისა გამოთქმა, დაუადარე შეფვერურთე ად მეოთხმეოცეს წელსა აღსრულებისა მისისა... რა შემდგომად ეშთა მისნი იგი სწავლანი სარგებელ ეყვნწ სლთა ჩწთა... მცირედ ნურაჲ ვთქთ ნეტარისა მამისა ჩვენისა საბაჲსი... ან გვედრები თქნ მლოცველთა ამას შრომასა ჴა სიღირსესა შენსა მამაო არსისტე და შვილთ მოყვარეო გიორგი პირველად ევედრე მეუფესა ღთსა შენდობისა და მოტევებისა ჩემისათჳს საწყალობელისა და არა ღირსად ცხოვრებელისა...“

ესე ნეტარი საბა ზეცისა ქალაქისა მოქალაქსე, ხოლო მამულად იყო იგი ქწნისა კაბადუკაჲსა... ესე რწი დიდ იყო სახიერებითა დაყუდებული ეპისკოპოსი იოვანე შითხრობდა

და თქუა, ვრ იგი ნეტარა მამასა ჩნსა საბას მისწრაფებაჲ აქუნდა რაჲთურთით და შეუდგა დიდისა ევთჳმისა გზათა“. 73 ფ. ვკითხულობთ: „ესეცა მითხრა მე ნეტარმან მანდაყუდებულმან.“ 136 ფ. მინაწერია: „წა მამაო საბა, აღიდენ სულითა მამაჲ გ“.

145 ფ. ასომთავრული ხუცურით იწყება: ცხორებჲ და განგებჲჲ წდისა და ნეტარისა მამისა ხარიტონისი, მოლწისა და აღმსარებელისაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ.

162 ფ. ცხორებჲჲ მამისა ჩნისა წმ. ევთჳმისა.

მამა მისი იყო პავლე, დედა მალატია, საყოფელი მათი გალატია. ამ. წმ. მამის ცხოვრება (მე-IV-V საუკ.) ქართულად ნათარგმნი ინახება სინას მონასტერში\*).

210 ფ. vers. ცხორებჲჲ წმ. მამისა ჩნისა თევდორისი. ამ ცხოვრებას წინუძღვის დასასრულ ევთჳმის ცხოვრებისა შემდეგი სიტყვები: დიდებჲჲ შენდა ძალისა მომცემელო ღთო, რწ ღირს მყავ არა ღირსი გასრულებად ცხორებჲჲ წისა ევთჳსა. ქე აღიდენ სულითა მოძღვარნი ჩემნი ~~ოფგანე და გაიარგი~~ მამაჲ და უღირსი შე მათითა ლოცვითა. ეს გიორგი იყოს გიორგი ჯვარელი ე. ი. ჯვარის მონასტრის მოძღვარი\*).

274 ფ. ცხორებჲჲ და განგებჲჲ იოანე ურაპაელისა კათოლიკოზისაჲ.

300 ფ. ცხორებჲჲ და განგებჲჲ სტეფანესი და ნიკონისი (ნახე ბოლოს ჩემ მიერ მოყვანილი მთლად ამ მამათა ცხოვრება).

305 v. ცხორებჲჲ წმ. პავლე ეპისკოპოზისა და იოვანე ხუცისა.

319 ფ „ცხორებჲჲ და განგებჲჲ იოანე ეპისკოპოზისაჲ შეყენებულისაჲ, რლი დაყუდებულიყო ლავრასა წმ. მამისა ჩვენისა საბაჲსა“. ამას მიწერილი აქვს მხედრულად, რომელსაც ჯერ ისევ ხუცურის ხასიათი აქვს შემდეგი: ესე საკითხავი

\*) Цагарели. Сведенія о памяти. груз. письм., вып. II, 83. 87.

\*) Цагарели. Сведенія о памяти. груз. письм., вып. II, 83. 44.

იკითხების იანვარსა რვასა მიცვალებასა მისსა. წო იწე  
 შემიწყალე ცოდვილი ნიკოლოზ.

333 v. „ცხორებაჲ და განგებაჲ ამბა სუმეონისი, რლსა  
 ეწოდა ღთისათჳს სულელ\*) აღწერა ლეონტი ეპისკოპოსმან  
 პათელმან კვპრსხო“. 349 ფ. დედნის ხელით მინაწერი აქვს:  
 ქე შე სლთა საბათულა.

364 v. დედნის ხელით მინაწერი აქვს: წო მამანო სა-  
 ნატრელნო მს ექმენით წე ქა მქ ღ მღდელსა, რ ამისა  
 მოღვაწთა.

364 v. „ცხორებაჲ და განგებაჲ წისა მამისა ჩნისა  
 ჯერასიმესი, აღწერა კჳრილე შესანელძნ, რი იყო ხუცესი  
 ლავრასა დიდისაჲ მამისა ჩნისა საბაჲსი!“ მინაწერი სხვა ხე-  
 ლით: თა მარტსა ე ჯერასიმესი. დასაწყისი: ესე წა მამაჲ  
 ჩნი ჯერასიმე იყო ქყნით ლუკათ.

უკანასკნელს 369 ფ. მინაწერი აქვს სხვა ხელით: ქე  
 შესაწყალი ბესარიონ და მხედრულად: ჳი საკვირველი ესე  
 წმიდათა მამათა მეოხებითა მათითა შე ღო ბესარიონ. დედა  
 მამათა, მისთა ძმათა და დათა და ყოველთა მისთა შს ღწ.  
 შემიწყალე წმ. მამანო ცოდვილი ესე ბესარიონ და შენდობა  
 ჰყავთ ჩემთვის, რათა თქვენდა შენდობილ იყვნეთ უის მიერ  
 ამინ. ქვს ჩყიგ (=1813.) ამ განხილვიდან სჩანს, რომ ტყავ-  
 ზე ნაწერთ კრებულში, გარდა ათანასე ალექსანდრიელის სი-  
 ტყვისა, მოყვანილია ათ თავად 12 მამათა ცხორება. როგორც  
 სტეფანეს და ნიკონის ცხოვრებიდან შეიძლება დავსკვნათ,  
 ეს კრებული დაწერილია და ნათარგმნი საბას ლავრაში იე-  
 რუსალიმს. ნათარგმნია, თუ მთლად არა, ნაწილი მაინც იო-  
 ვანე მოძღვრის ბძანებით იმ პირისაგან, რომლის თანამედრო-  
 ვენი არიან ძმანი: გიორგი, მიქაელ და საბა. გიორგი თო-  
 რელს ერთი დრაკანიც შეუწევია. მიქელ მღვდელს წერაში  
 მონაწილეობა მიუღია, უღირსი მწერალი თავის თავს არ იხ-  
 სენიებს. ასახელებს უცნობს გარდა იოვანე მოძღვრისა, გიორგი

\*) ნიკოპოთელი სომხითისა ქყნისა.

მოძღვარსაც. მწერალი სტირის არსენი ბერისთვის. სჩანს იგი იყო. კრებული ორის ხელით არის დაწერილი, ერთი მომატებული უნდა ეკუთვნოდეს უცნობს მწერალს და მეორე დასახელებულს მიქელ მღვდელს. შემდეგ კაიხნისა კრებული ჩავარდნია ცოდვილს ბესარიონს მღვდელ-მონაზონს. ერთი ხუცურ-მხედრულ მინაწერი ვინმე გერმანოზის მიერ ჰმოწმობს, რომ მის დროს ზარზმის მონასტერი უკვე არსებობდა. თვით კრებული შეიძლება სხვა დედნიდგან იყოს გადმოღებული. მხოლოდ ამგარემოებით აიხსნება სიტყვების გამოტოვება 80 ფ. (V): კრებულს ბოლოც აკლია. წერის ხასიათით კრებული გადაწერილი უნდა იყოს მე-X-XI საუკ. ნაწერია ერთ სვეტად, სვეტში 28 სტრიქონია, მელანი მქრალია ხელნაწერი. შეუქნია სომხის მღვდელს ალექსანდრიაში და იმას მიუყიდნია ბრიტიშს მუზეუმისთვის. 1837 წელს. ზემო დასახელებულნი გიორგი, მიქელ, არსენი, ცნობილნი მოღვაწენი არიან წმ. საბას მონასტერში მე-XI საუკ. დასაწყისი\*).

2) მეორე ხელნაწერი მომცრო in 1., ნაწერი ხუცურად ტყავზედ 1—221 ფ. ერთს სვეტად, სვეტში 31 სტრიქ., აღნიშნულია მუზეუმის კატალოგში kuchologion georgice. პირველს გვერდზედ მინაწერი აქვს: purchased ot an Arm-euian prist named Casandji oj Alexandria 11 №ov. 1887 მაშასადამე ეს ხელნაწერი შეძენილი იმავე ალექსანდრიელ სომხის მღვდლისაგან უნდა ეკუთვნოდეს იერუსალიმის ქართულ წიგნსაცავს. ხელნაწერთ დასაწყისი და ბოლო აკლია. თავში ხუთი ფურცელი ამოგლეჯილია. ნუმერაცია იწყება ასოდან ვ (ვინ). წერის ხასიათით ეკუთვნის მე-X-XI საუკ; იწყება სიტყვებით: სტიქარნი ღვთისმშობლისანი კვრკსა მწუხრი ნაბ. რაჟამს იგი გარდამო სასო შემწე და მთარველი ჩნი ქყნთაჲ უნ ნრ დედაო ღთისაო... მეექვსე გვერდზედ: აღსავალნი, რლნი ითქუმთან კრკესა ცისკრად, 21 გვ: სხნი გლბნი ღ-თის მშობლისანი. 23 გვ. დღეს ორშაფათსა წთა მთავარ-

\*) Цагарели свѣд. о памяти. груз. письм. вып. II, гв. 45.

ანგელოზთა. 33 გვ: სამშაფათსა-სინანულისა; 41 გვ: ოთხშა-  
 ფათს გალობანი ღვთისმშობლისანი; 47 გვ. ხუთშაფათსა— წმ.  
 მოციქულთა; 57— აღდგომისანი; 99 გვ: შაფათსა— წთაჲ და  
 სლთაჲ; 118 გვ.— ნათლისმცემლისანი, 34 გვ. მწუხრისა,  
 და სხვა მღთისმშობლის გალობანი მეტია დანარჩენზედ. მე-116  
 გვ. მოყვანილია მელნით მოხაზული სახე ღვთისმშობლისა.  
 210 გვ. გალობანი სავედრებელნი ღისა ჩნისა იო ქრესი.  
 რადგან მე-42 გვ. (vers.) დაუწერელია, შეიძლება ვიფიქროთ,  
 რომ ეს ხელნაწერი გადმოღებულია სხვა ძველი დედნიდან.  
 უკანასკნელს 221 გვ. (ver.) მოქცეულია: პარასკევსა მწუხრ-  
 სა შინა სიტყა...

3) მესამე ხელნაწერი ლოცვანია in 8.<sup>o</sup> 198 ფ. დაწე-  
 რილი წვრილი ხუცური ასოებით მე-XVI-XVII საუკ. ქალა-  
 ლდზე, ერთ სვეტად, სვეტში ოც-ოცი სტრ; ძველი ყლით  
 აღნიშნულია კატალოგში *Lber precum iberice* და მინაწერი  
 აქვს მქრალი მელნით წიგნის პირველს გვერდზედ: *Thomas  
 Smith* და ხუცურად: ქ. ღო შერკოდვილი იოსებ. ამინ კი-  
 რილესონ. იმავე მელნით, რომლითაც თომა სმიტის სახე-  
 ლია მიწერილი, შენიშვნა: *an iberian book or in the sacred  
 georgian character.* „კოდვილი იოსების“ ხელით დაწე-  
 რილია მთლად ლოცვა: სერობასა მას საიდუმლოსა შენსა  
 სასო დღეს... პირველი მე ვარ.

საყურადღებო მინაწერია მოყვანილი მეოთხე გვერდზედ: „ქ.  
 თვესა იანვრის ოცდა ორსა დღესა პარასქეუსსა სადილობა იყო,  
 ასრე მზე დაბნელდა. ასტრახანს ვიყავ. ქვს ტნდ“ (= 1666 წ.).  
 გამოსახულია ჯვარი წარწერით: ძღვეა მტერთა; მესამე გვ. ლო-  
 ცვა დაუჯდომელნი. 125 და 126 ფ. დაწერილია მხედრუ-  
 ლად ლოცვა; უო იესო კოდვანი ჩემნი მეცა შემინდევ...  
 მე-127 ფ. მინაწერია ადამუს აქეთი წელიწადი შეიღ ათას ასი  
 ორმოცი და სამი. იესო ქრისტეს აქ ათ წელიწადი ათასი ექვსა-  
 სი ოც და თუთხმეტი. ზედნადები თერთმეტი, მზის მოქცე-  
 ვა სამი, მოქცევა მთვარისა ცხრამეტი, ქორონიკონი სამას  
 ოცდა ოთხი.

127 გვ. (vers.) მოყვანილია ასოების რიცხვითი ნიშანი: ნ ო რ მ ო ც და ა თ ი, ჰ (=ჟ) სამოცი. ო-სამოცდაათი... ზ-ბეური, ათასი. 128 გვ. ფარონი, ნირისი (ნილოსი?), ეფერატი და ტიგრისი. 128 გვ. მხედრულად მე-XVII საუკ. ანბანი და მინაწერი: ღვერთო ხახუნს შიღობით მოიყვანე. ესე თამარის დაწერილი არის. თვით ლოცვანი დაუჯდომელთანი იწყებთან მესამე ფურცლიდან: ხმე დ. მუხლნი დაფარულ საიდუმლო ანგელოზთა უცნაური აწ ერწმუნა გაბრიელ მთავარანგელოზსა...

4) მეოთხე ხუცური ხელნაწერი მე-XVII საუკ. ნაქონი იმავე Thomas Smith-ისა, როგორც მინაწერი მოწმობს, ძველი ტყავიანი ყლით, ნაწერი ქალაღზეღ 154 ფ. in 8<sup>o</sup>, ერთს სვეტად წარმოადგენს დავითნს. This ms is written in the sacred georgian charachter or the alphabet in the polyglott sible - მიწერილია იმავე ხელით, რომელსაც აღუნიშნავს Thomas სმიტი.

პირველს გვერდზედ გამოსახულია ჯვარი ხუცურად: ჯ ო ქ ს ო შ ე ო დ ვ ი ლ ო ი ა (კ ო) ბ. ა ნ. იწყება ფსალმუნი: ნეტარ არს კაცი და სხვ. 125 ფ. ღ ო შ ე ო ი ო ს ე ბ და დედა მისი.

5) მეხუთე ხელნაწერი ჩვენი დროისაა. იგი ხელნაწერი საყოველთაეო ჟღანაღი, მუშაა, რომელიც გამოდიოდა ტფილისში 1889—1891 წწ: 1889 წ. ოთხი ნომერი, 1890 წ. ოთხი და 1891 წ. მხოლოდ ორი. ეს ათი რვეული ერთად არის დაკაზმული. აწერია ყდაზედ Musha (Ghe Workman) და მიუძღვნია, როგორც მინაწერიდგან სჩანს W. Scherkesoff (Febr. 10, 1898), ჟურნალის პირველს გვერდზედ გამოსახულია დურგალი, რომელიც ჰრანდავს ფიცარს და გვერდით უწერია: ვშრომობდეთ, ძმაო, მათ შუა არ ვშორდებოდეთ კრებასა, დაზვაზედ რანდით ვლამობდეთ ბრუნდის ხის გასწორებასა“.

შინაარსი პირველი რვეულისა: 1. წინასიტყვაობა ტ. რუისელი; 2. სამიოდე სიტყვა ვ. დორელი; 3. რა დღეში

მეშვიდე წერილი: „გლეხი და აზნაური“ ლექსადაა და-  
 წერილი:

საბრალო გლეხსა თავს ადგა ვიღაცა აზნაურია  
 და ეუბნება მომეცი წლის საზღო შეოთხედია...

პირველი ნომერი გამოცემულია მ. ხომაზუროვისაგან, მეორე მ. სიმონიძისაგან. სარჩევში აღნიშნულნი შემდეგი წერი-  
 ლები: 1, ცუდა ხალხის მიმოხილვა; 2, თვით კომიკები გ.  
 დიანოვისა; 3, რამდენიმე სიტყვა, ვ. დორელისა; 4, გამო-  
 ვიდეძოთ, ლექსი ვ. ქერეთხვევლისა; 5, ბერი კაცი, ლექსი  
 მისივე; 6, ლექსი „მუშას“, ა. დლიურაშვილისა; 7, თბილისის  
 ხალხი, მ. ხიდისთაველისა; 8, ვადილოთ კაცი ვ. დორელისა;  
 9, ავტორების შენიშვნა; 10, ლექსი მუქთად მყლაპავებზედ  
 ა. დლიურაშვილისა; 11, ლექსი ნიგილისტის ანდერძი მისივე.  
 პირველი წერილი იწყება სიტყვებით: „როდესაც ამ წერილს  
 ვწერ, თბილისის მომეტებული ნაწილი სავსეა ცუდა მუშა  
 ხალხით... ესენი ისე გადატაკებულან, რომ კუქ-გაუმაძღრები  
 არიან...“ ეს ჟურნალი წინა შორბედია „კვალისა“ და „მოგ-  
 ზაურისა“.

### ცხრება და განგებაჲ წათა ძამათა სტეფანშსა და ნაკონისა. გკთხნ ღა.

ღთან შეუნდენ გა თაქელსა, რლ დრაკანი ერთი  
 შემაწია ფდ მქირდა სიგლახაკს.

ორნი მონაზანი შემოვიდეს იწლმდ თავყანისცემად წე  
 ჯრსა ცხოველს მყოფელსა და იყოფოდეს ზოგად სენაკსა  
 შინა იწლმს და სახელი ერთისაჲ მის სტეფანე და მეორისაჲ  
 მის ნიკონ. ხნიკონ იყო დიდისა ქალაქისა ჰრომისაჲ და სტე-  
 ფანე სხვსა ქეყნისა და ფრ გამოვდა თუე ერთ ჰრქა სტეფანე  
 ნიკონს: ძმაო, ვინაჲ გნებავეს მისთვის? ჰრქა მან ნი-  
 კონ ვინაჲცა ინებოს ივ ქენ, მუნცა წარვალ. ჰქა-მას  
 სტეფანე: გნებავესა უკუთუთმცა წარვედით უდაბნოდ მე და  
 შნ ერთად და მუნ აღვაშენნეთ სენაკები ერთი შნთვს და

ერთი ჩემთვის და ვმსახურებდეთ ღსა ჩნსა ივ ქე ულთა  
დღეთა ცხორებისა ჩნისათა, ჰქვე მას ნიკონ: ცხოველ არს  
ქე ღთი ჩნი. ესე მაქუს მეცა გული სიტყუჲ ვინაჲთგან  
გამოვედ ქლაქით ჩემით და ამასვე ვეძებ რ გული მითქუმი-  
და სურველად რამცა ვიხილენ ძმანი იგი, რნი უდაბნოს  
გარე არიან.. ჰქა მას სტეფანე: მამა აღდგე ძალითა ღთისა-  
თა და წარვიდეთ.

მაშინ თაყუანის სცეს წე ჯრსა ქესა ორთავე და გან-  
ვიდეს უდაბნოდ ვა თქუეს. და იხილნეს მამანი და ძმანი  
ყლნი. და დაადგრეს მათთანა სამ დღე და მერმე ითხოვეს მა-  
მათაგან რა იყოფოდინ მათთან, და ვა ესმა მამათა განიხა-  
რეს ფდ და აღუშენეს მათს სენაკები ერთი სტეფანესსთვის  
და ერთი ნიკონისთვის და შეუქმნეს მათ თითო სარკუმლები და  
მისცეს მათ ყლი საკმარი დაყუდებისათვის რაჲცა კმდა და  
შევიდა თითუეული თვის სენაკსა და შეაყენეს თავნი თვისნი  
ხ მათა დაყენეს კარნი მათნი მათზა და წარვიდეს და მისცემ-  
დეს მათ ჰურსა და წყალსა და მარილსა სარკუმლით შესცემ-  
დეს სამისა დღისა შემდგომად ითუალვიდეს და ესრტ იყო  
განგებაჲ მათი.

ხ ჟამსა მესამესა ლოცვიდეს ათორმეტითა ფსალმუნითა  
და ეგრევე მეექუსესა ჟამსა ათორმეტითავე ფსალმუნითა და  
კლდ მეცხრესა და სამწუხროსა ეგრევე ილოცვიდეს ათორ-  
მეტითავე ფსალმუნითა. ხ საზრდელსა, რლსა მიიღებდეს შემ-  
დგომად სამისა დღისა კვრიაკესა შინა ორგზის, სამ სამით  
იმარხულებდეს და ჰმსახურებდეს ღთსა ღცვითა და მარხვითა,  
მღვძარებითა ორმეოცდა შუდსა წელსა.

ხ კართა მათთა არა განაღებდეს გარნა ახუსებით აღუ-  
საბამდე და ყლნი რავდენნი იყვნეს მთ უდაბნოთა და ად-  
გილთა შინა მოვიდოდეს მთა და იკურთხებოდეს მათგან და  
მრვლნი კურნებნი იქმნებოდეს მათ მიერ და ეშმაკნი განხ-  
დებოდეს და ვაებით წარივლტოდეს მათგნ და ღთი ჩნი  
ივ ქე იდიდებოდა საქმეთა მათთა მიერ, ვა წერილ არს:  
ნეტარ არს მის მონისაჲ რლისა მიერ ღი თვისი იდიდოს.

და ვა იხილა ეშმაკმან, ვდ მცხინვარებასა ნათლისასა უძლე-  
 ვეს და ყლი ძალი მისი დახსნილ არს მოუწოდა გუნდთა  
 მოყუასთა მისთასა და ჰრქვა მათ: რაჟმე უკუეუყოთ იმათ,  
 რლთა მიერ ძლეულვართ, რ განაქარვეს ყლი ძალი ჩნი  
 და ამოო იქმნეს საქმნი ჩნი. მოვედით და ბრძოლა უყოთ  
 მათ, ნუკუე შეუძლოთ დაკსნად გზითა სიმართლით სლვისა  
 მათისათა. ხ ჟამის იგი იყო ზატუკობისაჲ და კარნი სენაკე-  
 ბის მათისანი განღებით იყუნეს წესისაებრ მათისა ახუსებისა-  
 თვს ჩუეულგებისაებრ მათისა და სხდეს სენაკებთა თვსთა, ხ  
 სტეფანე აღალო ცხორებაჲ მამისა ანტონისი, განალო და  
 იკითხვიდა მას შინა, აღიხილნა ნიკონ თუალნი თვსნი  
 და მიხედნა და იხილა სტეფანსსთანა დედაკაცი ქაბუკი ეხუ-  
 და და აკოცებდა, მაშინ იცვალა გონებაჲ ნიკონისი მოყვა-  
 რისა და საყუარელისა მიმართ და ჰრქვა რჩეულსა მას სტეფა-  
 ნეს: ჯ ძმოო მცხოვარო და მეძაო, ძალი იმოსებს გარეშს  
 სამოსლითა ცხოვართაჲთა და შინაგან მგელ მოყვარე მტაცბთ  
 და მიხედნა სტეფანე ნიკონს და იხილა კლდ მანცა დედაკა-  
 ცი მჯდომარს მარცხენით ნიკონისა, ხ სტეფანე მიუგო  
 და თქა: ვაჲ ჩემდა შენ მიერ ვრ დავლიენ ჟამნი წელთა  
 ჩემთანი შნთანა და მე ვჰგონებდი მედ ქესტენანესთან და-  
 მკვდრებულვარ და არა უწყოდე, ვდ ცუდად წოდებულ იყო  
 სახელი ქესი შნ ზა. ვაჲმესაყუარელო შნ გამო ანვლზო  
 უსხეულო, ვრ იძლიე გლსთქითა დედითაჲთა, ვაჲ ჩემდა  
 შნ მიერ არწიო შეგნიერო, ვრ დავგდეს კრთენი შნი და  
 მოუძღურდი, ვაჲმე მოყუასო ჩემო, ვრ განშორებულ იქმნ  
 ჩემგნ საუკუნოდ, ვაჲმე ზღვდეო მაღალო და დიდო ვრ  
 აღიძარ და დაცა საფუძველითურთ. ვაჲმე გურიტო უმანკოო,  
 ვრ შეგიძლო გულშან სიფრთხილითა მისითა, ვაჲმე ხეო ტკ-  
 ბილო, ვრ შეგემთხუა ქარფიცხელი და აღიფხურნეს ძირნი  
 შნი და შთავარდი სიბნელესა, ვაჲმე კვბაროზსა მაღალსა  
 ვრ შეგმოსრა ქარმან სასტიკმან. ვაჲმე წყაროო ტკბილო  
 ვინ შეგაზავა შნ სიმწარს და აღმრეულ იქმენ, ვაჲმე უხუ-  
 ცსო კელოვანო, ვრ დამეძინა და წარვიდეს კლხი საქმე-

ნი შინი. ვამე წ'დაო და მართალო, ვ'რ იძლია და წარ-  
 ჳდა გვრგვნი იგი შეუნიერი, ვამე მენავეთ მოძღუარო გო-  
 ნიერო ხელოვანო, ვ'რ გაცთუნეს შენ დეღვათა ვ'ს შეიმო-  
 სრა ნავი შ'ნი.

ვამე წ'დაო და მგალობელო, ვ'რ იქმენ შაგინ საეშმა-  
 კო. ვამე ტაძარო მეუფისა მაღლისაო, ვ'რ იქმენ სადგურ  
 ეშმაკთა, ვამე მოწამეო ი'ვ ქ'ესო, ეს იქმენ სამკვდრე-  
 ბელ ეშმაკთა მთავრისა. და ვ'ა ესმა ესე ნიკონს სტეფანესა-  
 გან, მიუგო და ჰრქუა: რახსა მაგინებ მე ძმაო რაჲ უკუეფყავ  
 ბოროტი ნ'ე შ'ნც და მაგინებ მე. აჰა ესერა ორმოცდა  
 შვიდი წელი არს ჩემი ვინაჲთგან არღარა გამოსრილ ვარ  
 სენაკით ჩემით შენდა და არცა შ'ნ ჩემდა, ჰქ'ა მას სტეფანე:  
 არა გრცხუნენის და არცა გეკლიდების მაგისაგან, რ'ლი გი-  
 ზის გუერდით და გეკოცნების და გეხუევის ჯ მძაო და  
 ბოროტის მოყვარეო. ჰრქ'ა მას ნიკოი: მე მეტყვი მძაა  
 ვედ? გრცხვენოდენ შენ დედაკაცისა მაგისათჳს, რ'ი შეგა-  
 ტკობდა და გეკოცნებოდა. დ'სტეფანე გარედა მოკდა  
 სენაკით თჳსით ნიკონს და შეუკდა ცემად მჯილთა და ფერ-  
 კითა და იცემებოდეს ურთი ერთას და აგინებდეს ერთი ერ-  
 თსა და რ' სამართლად ჰეშმარიტ'დ ეხილვა ნიკონს დედა-  
 კაცი სტეფანესთანა და ეგრევე მასცა ეხილვა ნიკონისთანა  
 და ორნივე სამართალსა ზ'ა ჰბრძოდეს ერთი ერთსა. ვ'ა იგი  
 თქ'ა ბარსენამაქ ბრძენმან ვ'დ ჰბრძოდე ჰეშმარიტებისათჳს,  
 ვ'ე სიკვდილამდე, რ' დ'ი ჰბრძოდი შ'ნ წილ. ხ' სტეფანე  
 წარვიდა მამათ'ნა, რ'ნი იყვნეს უდაბნოს გარე და ვ'ე  
 ზეკქსანდრადძე მიიწია და აუწყა მათ ყ'ლივე რაჲცა იყო.

ხ' მამანი ფ'დ მწუხარე იქმნეს ნიკონისთჳს, თუ ვ'რ  
 იძლია. ხ' იგინი შეკრბეს და წარვიდეს წ'ისა ამაჲ ათანასი  
 აღექსანდრელ ეპისკოპოსსთანა და აუწყეს საქმს იგი რ'ლი  
 იყო შ'ნ სტეფანესასა და ნიკონისსა, ხ' პატრიარქმან დააყენ-  
 ნა მისთანა ძმანი იგი და მამან ვ'ე ექუს დღედმდე და ევე-  
 დრებდეს დ'თსა ამის საქმისთჳს, ხ' ნეტარი ნიკონ ვინაჲთი  
 დღითგან განვიდა ნეტარი სტეფანე მისგან, არა ქამად, არცა

სადა შესუა, ად ლცვთ და მარხვით და ტირილით დგა წე ღთისა. ხ ამბა ათანასი შეკრიბნა ყლნი ეპისკოპოსნი ეგვიპტისანი და ყლნი მამანი, რლნი იყვნეს მუნ და წავიდეს მონასტრად ნიკონისა და სტეფანსა. ხ ნიკონ პოვეს ვა მკუდარი რაჲ დამქნარი პირი მისი მწუხარებითა და ტირილითა და ლოცვითა და მღვიძარებითა.

მით ღლითგან ვე მოსვლამდე რათა ოცდა ერთსა დღესა და ღამესა არაჲ ჭამად და არცა რაჲ შესვა მწუხარებისა გნ ძმისა თვისისა სტეფანესსთჳსა და ვა იყო დღს ხუთშაბათი დასხდეს ეპისკოპოსნი სმენად სიტყვათა სტეფანსთა და ნიკონისთა. ჰრქა ამბა ათანასი ეპისკოპოსმან სტეფანეს. რაჲ იხილე წდისა ამის? მიუგო სტეფანე და ჰრქა: კეთილად სთქტ წმიდად გარეშე ჰმოსიეს სამოსელი ცხოვართაჲ სიმდაბლისაჲ, ხ შინაგან მგელმტაცებელ და კლდ მეცა მაცოტუნა: ვინაჲთგან დამსვა მასთანა ამას ადგილსა ორმეოცდა შუდსა წელსა. ჰრქა მას ეპისკოპოსმან, რაჲ საქმს იხილე მისთანა? სტეფანე თქუ: ვიხილე იგი რ დედაკაცსა შეიტკბობდა და ეკოცნებოდა. ჰრქა ეპისკოპოსმან: იყო შნთანა სხე, რნ წამოს, ვდ იხილე იგი დედაკაცისა კოცნასა? სტეფანე თქა: ანა ვან ძაქვს მოწამეწ, გარნა ივ ქე, რლ ესე ვჰმსახურებ მე, ვინაჲთგან ვარ ვე დღენი დღეთად დღედმდე.

ეპისკოპოსმნ ჰრქა: რაყამ გაქვს, ვინაჲთგან აქა იყოფით? ჰრქა მას: ორმეოცდა შვიდი წელი. ჰრქა ეპისკოპოსმან: იხილე ოდეს მე იგი დედაკაცისა თანა ზრახვისა ამისა გარეშე? ჰრქა მას: არა მიხილავს არაოდეს ესე ვრსა საქმესა მოქმედად ვრ დღევანდლამდე და ნეტართუმცა დღესცა არა მეხილვა! ჰრქა ეპისკოპოსმნ ნიკონს: ქეშმარიტსა იტყვის მოყუასი ესე შნი. შნ ზა ანუ არა? მიუგო ნიკონ და ჰრქა: პირველა ძმაჲ და მოყუასი იყო ეგე ჩემი, ხ ამიერითგან ვინაჲთგან ტყუვილით ცილი თქა ჩემ ზა, რლი იგი არა იხილა, არა არს იგი ძმაჲ ჩემი და არცა მოყუასი. გარნა მე სამართალსა ვიტყვ წე ღისა, რლი ხე-

დაეს ხილულთა და უხილავთა, რ ვიხილე მე დედაკაცი მდგომარს მისთანა იკოცნებოდეს და შეიტკობდეს ურთ ერთას. ხ კორცნი ჩმნი წდა არიან ბილწებისაგან და ვინათ დღითგან მოვედი ამას ადგილსა არა მიხილავს დედაკაცი გარნა იგი ხ რლი ვიხილე კოცნასა ამის მეძავისათანა, რნ შემოგკრმნა თქნ ამას ადგილსა და ვა ესმა სტეფანეს, განრისხდა გულის წყრომითა ფიცხლად და შეკრბა შემაფდლი და ახაგზნა ცეცხლი წე ეპისკოპოსთა მთ და შევიდა მას შინა და დადგა ზა საკუმილსა მას და იტყოდა კმითა მალლითა: ივ ქე ღო მართალო, უკუეთო არა მიხილავს ნიკონ დედაკაცისათანა ამბოვრის ყოფით კოცნასა სენაკსა შინა, შთამხადე ცეცხლსა ამას შინა და ნუმცა აღმოვალ მისგნ. და დაადგრა სტეფანე ცეცხლსა მას შინა ზემდგომარს ვითარ სამ ჟამ ოდენ და არა დაწუა და ხედვიდა აღმოსავალით და კელნი თვსნი განეპყრეს სახედ ჯვრისა, და ჰლოცვიდა გულსა შინა თვსა ღთსა მიმართ. ხ ეპისკოპოსთა მათ და მამათა იწყეს გინებად ნიკონის და ეტყოდეს: ეჰა შენდა ნიკონ! რ ცილი დასდევ სტეფანეს ტყუილითა შნითა მოაკუდინე იგი ენითა შნითა და აჰა ესერა ღთნ იკსნა იგი ცეცხლისა მისგნ და არა დაიწვა ამისთვის, რ და იცენა კორცნი თვსნი ყდად წე ღისა თვსისა შეუგინებლად ურცხვენელად. და ვა იხილა ნიკონ სტეფანე მდგომარს ცეცხლსა მას შინა და რ არა დაიწვა, შეშინდა მამათაგნ ნუჟუა\*) ქუაჟ დაჰკრიბონ მას და ცეცხლისა მას შთაუგდონ იგი მაშინ ღიდტყო წე ყლისა მის ერთსა. და თქა: ივ ქე რლი უჩუენე ბაბილონს სოსანაჟსთვს უბრალოჟსა და მოუვლინე შენ მიერ მკირე იგი წწტული შნი დანიელ და იხსნა იგი უმჯავროებისა სიკვდილისაგან უკუეთუმე ცილი დავსწამე ძმასა ჩემსა და არა ვიხილე იგი დედაკაცისათანა ხუევენასა და ამბორს ყოფასა, შთამჰადე ცეცხლისა ამას შინა და ნუ აღმომიყვანებ ცოცხლივ მისგან, მაშინ შევიდა

\*) ნუჟუე=ნუ+უკუე—აპლოგრაფია.

ცეცხლსა მას შინა და დაადგრა ძმისავე თვისისათანა შნ ცე-  
 ცხლსა მას შინა და არა დაიწუა, ად ორნივე ერთად დგეს  
 ცეცხლისა მას შინა მსგავსად ყრმათა მათ და არა შეეხო მათ ცეც-  
 ხლი იგი ყდვე არცა სამოსელსა მათსა და არცა თმასა მათსა.  
 ხ პირნი მათნი იქმნეს ვა პირნი ანგელოზთა ღთისათანი.  
 ხ ეპისკოპოსნი და მამანი განკვრევებულ იყვნეს და იხარებ-  
 დეს სიხარულითა დიდითა და ღლტყვეს და აღიდებდეს ღთსა,  
 რნ ყო ესე ვრი საკვრველი მათ მიერ. და ვრ დგეს წდნი  
 იგი ცეცხლსა მას შინა ჰრქს ეპისკოპოსთა მათ: ილოცეთ  
 და ევედრენით წე მკსნელისა ჩნისა იჯასა და ჩნცა თქნთა-  
 ნავე, რა გუჩუენოს ჩნ რნ ესე საქმც ქმნა ბოროტი თქნ  
 შს. მაშინ ილოცვიდეს წდნი იგი ცეცხლსა მას შინა მდგო-  
 რენი და იტყდს: იჯ მაცხოვარო სოფლისაო, იჯ სასოო  
 განწირულთაო, იჯ ცოდვათა მომტევებელო, იჯ მკუდართა  
 განმაცხოველებელო, იჯ კელის ამპყრობელო მონათა შნთა  
 რნი ბოროტსა შინა დაინთქმოდინ იჯ მწუხარეთა მახარე-  
 ბელო, თჯ რლი მოგზაურ ექმნები მონათა შნთა ყლსა  
 ადგილსა, იჯ სიკუდილისა დამორგუნელო და მომაკუდანე-  
 ბელო, იჯ ჯჯხეთისა შემმუსრველო, იჯ ეშმაკისა მარცხუე-  
 ნელო, იჯ მტერისა შემმუსრველო, იჯ ბოროტისა გარმაქარ-  
 წყლებელო, იჯ დამორგუნელო გულისაო, იჯ დამწუველო  
 ვეშაპის მის დიდისაო, იჯ შემომკრებელო ამის კრებისა წ-  
 დისაო! სადიდებელად შენ ღთისა გამოაცხადე ძალი შნი  
 დღეს აღმოგვეყანენ ცეცხლისა ამისგნ და შთაადღე მას შინა  
 მტერი ბნი, რა ვიხილოთ დაწუგა მისი. და მისვე ჟამსა ში-  
 ნა გამოვიდა კმა ღლდბოდა მსგავსად დედაკაცისა კბილთა  
 ღრქენით და თქა; ქუესკნელისაგან ქყნისა განვიდევნე და  
 სახელმან ქეს მნ შემკრა და მომიყვანა აქა და მე ვარ ეშმა-  
 კი და დაადგრა ცეცხლსა მას შინა მსგავსად თხისა მიურტი-  
 სა და კმაყო კმათა მალლითა და რქა: მე ვარ მანივლებელი  
 ბოროტისაჲ და თუალნი მისნი მსგავს იყვნს ორთა სანთელთა  
 აღნთებულთა და აღი გამოვიდოდა პირისა მისისგნ და კბილ-  
 თა თჯსთა იღრქენდა და ხედვიდა ყლსა მას ერსა.

და ღღტყვეს ულთა მამათა და თქს; ღღბა შნდა  
ღთო, რ ჰყავ ნებაჲ მოშიშთა შნთაჲ და დაადე ეშმაკი  
ქუეშე ფერკთა მათთა, რ დაუტევეს ყლივე და შნ მხოლოთ  
შეგეყუარეს. და იყო მაშინ სიხარული დიდი მამათაჲ და აღი-  
დებდეს ღთსა და იტყდს: არაოდეს ყოფილ არს ქყნისა მას  
ეგვპტისასა ესე ვრი საკვრველი.

ხ ულნი კრებული ერისაჲ მიიღებდეს მთ გნ სარწმუ-  
ნოებით ევლოგიასა სამოსლისა და თმისა მათისა მათისაგნ  
ნაკურნებლად და დაადგრეს მუნ სამ ღღე, ხ ძმანი იგი იხა-  
რებდეს და მხიარულ იყვნეს და იპყრებდეს და ჰმადლობდეს  
მკსნელსა, რნ უჩუენა მათ კსნაჲ მონათა. თვსთა სამართლად  
და მესამესა ღამესა გამოეცხადა ღი წდასა აშბა ათანასის და  
ჰქა მას: დაადგეს აქა შნდა ერი ესე, რა დაჰმარცხნელ  
რჩეულნი ესე რლთა აღასრულეს ნებაჲ ჩემი და მსახურეს  
გონებითა კეთილთა ორმეოც და შვდ წელ რ მნებაეს მათი  
მიყვენებაჲ ჩემთანა, რა არა იყოს ბიწი გუამთა შინა მათთა  
შემუღუარეს და შეიყუარეს მამაჲ, რლ არს ცათა შინა, ხ  
რეს დაჰმარხნე იგინი, მერმე გამოარჩინე ორნი ბრძენნი ბრ-  
ძენთა ამათგნ ძმათა და შეიყვანენ იგინი აღგილსა მათსა რა  
მსახურებდენ. და შემდმდ სამისა ღღისა ჰრქა სტეფანე აშბა  
ნიკონს, რვიხილე ღამესა ამას კაცი მოხოცებული და ემოსა  
სამოსელი ბრწყინვალს და მრქა მე: მოვედით მონასტრად,  
რ მნებაეს სიყუარულისა დიდისა ყოფად ხვალე თქნთანა.  
ჰქამას ნიკონ: კუალე წარვიდეთ ძმაო სიხარულით, რბერი  
იგი რლი იხილე აშბა ანტონი არს კრთხლი და ჰნებაეს  
სულთა ჩნთა მიყვანებად და შემიყვანებს ჩნ ვანაჲცა იგი  
თაგანა იყო ფასმუნ ხ იგინი მაშინ აღდგეს, ილოცეს და  
თითოეული თვსა სენაკსა შევიდეს და დაჯდეს და მას ღამეს  
ჰმსახურესა ღსა წესისა მათისაებრ და დაწვეს და დაიძინეს  
ორთავე ჟამსა შინა ერთსა შეჰვედრნეს სულნი მათნი კელთა  
შინა ღსათა და ძმათა აღიმსთუეს განთიად და ჰოვნეს აღსრუ-  
ლებულნი სენაგებსა შინა მათსა და იყო ხილვაჲ პირთა  
მათთა მსგავსად ვარდისა შუენიერისა და დაადგრეს მამანი

სამ დღე მათ ზა გალობით და მერმე დაჰმარხეს გუამნი მათ-  
 ნი წდნი მუნვე. ხ ამბა ათანასი ეპისკოპოსი უთხრობდა  
 მამათა, ხლ იგი უბრძანა მას ქენ და გამოარჩივნა ორნი  
 მმათაგნ და დასხნა მათ სენაკებსა ერთი სტეფანსა ნაცვა-  
 ლად და ერთი ნიკონისა წდთა მათ საყოფელთა შინა და  
 დააყუნდა ვა იგი ებრძანა მას. ქენ ღნ ჩე მნ და დაციუ-  
 რი ცბრებე ესე და დადვა ამბა ათანასი აღექსანდრიელ წდან  
 პატრიარქმან რა. იყოს მთთანა ყლთა ძმათა, რნი იკითხვი-  
 დენ მას შინა გონიერად ეკრძალებოდინ ეშმაკსა და ყლთა  
 საფრთხეთა მისთა გნ და აღიდებდნ ღთსა, რწ მოსცა ძა-  
 ლი მონათა მისთა ერნი ესვიდეს მას ყლსა ჟამსა, რ მისი  
 არს სუფევაჲ და დიდებაჲ და პატივი და ძლიერებაჲ და მა-  
 დლობაჲ აწდა მას და უკი უკე ან. **ათარგმნე ცხოვრებაჲ**  
**ესე წთა მათთა ღთისა ძამასა ჩნისა საბაჲს ჯაგრას.**

ნიკონის ცხოვრება მოხსენებულია სინას მონასტრის წმ.  
 მამათა ცხოვრების კრებულში\*). შესაძლოა ეს შეეხებოდეს  
 სხვა პირს, რადგან მის გვერდით ვერ ვხედავთ წმ. სტეფანეს.  
 პროფ. ცაგარელს არ აქვს მოხსენებული ამ ცხოვრების დასა-  
 წყისი. საყურადღებოა, რომ გადმოუთარგმნელად არის და-  
 ტოვებული სიტყვა „ამბა“ და საერთოდ ეს მცირე აღწერა  
 ნიკონის და სტეფანეს ცხოვრებისა საინტერესოა, როგორც  
 ნიმუში იერუსალიმში ნათარგმნი ჩვენი მწერლობის ენისა.

ა. სახანაშვილი

\*) Цагарели, Свѣд. о памяти груз. письм. II, 87.

## დაწესებულება სახელმწიფო საბჭოსი

(Государственной Думы\*)

### უმაღლესი მანიფესტი.

წესდებითა დეთისათა

ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა, და სხვათა, და სხვათა, ვუცხადებთ ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთა, რომ მტკიცე საფუძველი რუსეთის სახელმწიფოს აღორძინებისა იყო მუდამ ერთობა მეფისა ხალხთა და ხალხისა მეფესთან. თანხმობა და ერთობა მეფესა და ხალხს შორის არის ის დიადი ზნეობრივი ძალა, რომელიც საუკუნოების განმავლობაში იცავდა რუსეთს განსაცდელითა და უბედურებისაგან და რომელიც დღემდის თავმდებია მისის ერთიანობისა, დამოუკიდებლობისა, ქონებივ კეთილდღეობისა და მის სულიერ განვითარებისა აწმყოსა და მომავალში. ჯერ ისევ 1903 წლ. 26 თებერვლის მანიფესტით მოვიწვიეთ ერთგულნი შვილნი სამშობლოსანნი, რომ მტკიცე ერთობა ჩამოეგდოთ, სახელმწიფო წეს-წყობილება გაეუმჯობესებინათ და ადგილობრივ ცხოვრებაში მტკიცე წყობილება დაემყარებინათ. მაშინვე შეადგენდა ჩვენს ზრუნვას ის, რომ საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი

\*) ასე უნდა ითარგმნებოდეს „Государственная Дума“, რადგან ქართული სიტყვა „საბჭო“ დიდი ხანია იხმარება ჩვენს მწერლობაში „городская дума“-ს გადმოსათარგმნელად. ამიტომაც უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ამ სიტყვის მაგიერ უცხო სიტყვის—„სათათბიროს“ ხმარება.

მთავრობასთან შეგვეთანხმებინა და აღმოგვეთხვრა უთანხმოება, რომელსაც ასეთი გამათახსირებელი ზედგავლენა ჰქონდა სახელმწიფო ცხოვრების სწორედ მსვლელობაზედ. ასეთივე განზრახვა ჰქონდათ ჩვენს წინაპარს თვითმპყრობელს მეფეებსაც.

ახლა-კი დროა განვახორციელოთ კეთილ-განზრახულებანი ჩვენთა წინაპართა და მოგუწოდოთ სრულიად რუსეთის წარმომადგენელთ მუდმივ და ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის სახელმწიფო კანონების შედგენის დროს, რისთვისაც უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებათა რიცხვს კიდევ ვუმატებთ განსაკუთრებულს საკანონმდებლო დაწესებულებას—სახელმწიფო საბჭოს (Дума), რომელსაც ევალება შემუშავება საკანონმდებლო განზრახულებათა და განხილვა სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლისა. ვტოვებთ-რა ხელუხლებლივ ძირითადს კანონს რუსეთის იმპერიისას—თვითმპყრობელ მთავრობის არსებობის შესახებ—საკეთილოდ ვსცნობთ, დავაარსოთ სახელმწიფო საბჭო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლნი და რომლის შესახებაც ჩვენ მიერ დამტკიცებული დებულება საერთოა მთელის იმპერიისათვის, გარდა იმ ცვლილებათა, რომლებიც შეიძლება შეტანილ იქმანს განსაკუთრებულს პირობებში მყოფ ზოგიერთა განაპირა ქვეყნებისათვის.

წესები, რომელიც დიდ სამთავრო ფინლიანდიის წარმომადგენელთა სახელმწიფო საბჭოში მონაწილეობას შეეხება, როგორც საიმპერიო, ისე კერძოდ ამ ქვეყნის საკითხთა გარდასაწყვეტად, ჩვენ მიერ კერძოდ იქნება გამოცხადებული. ამასთან ერთად ვუბრძანეთ შინაგან საქმეთა მინისტრს, დაუყოვნებლივ წარმოგვიდგინოს დასამტკიცებლად წესები სახელმწიფო საბჭოში მონაწილეობის მიღებისა, რათა არჩევნების დებულება შესრულებულ იქმანს იმ ანგარიშით, რომ 50 გუბერნიისა და დონის ოლქის წარმომადგენლნი გამოცხადდნენ სახელმწიფო საბჭოში არა უგვიანეს 1906 წლის იანვრის პირველ ნახევრისა.

ვიტოვებთ-რა სავსებით უფლებას სახელმწიფო საბჭოს მოქმედების გაუმჯობესებისას შემდგომში, როდესაც დრო და გარემოება მოითხოვს ამას, ან ქვეყნისა და დროის შესაფერი რამ სასიკეთო ცვლილება იქმნება საჭირო, დაუყოვნებლივ გამოვაცხადებთ ბრძანებას აგრეთვე ამ ცვლილებათა შესახებ. იმედი გვაქვს ამიტომ, დიადი საქმის შესასრულებლად მოწვეული, ხალხისა და მეფის ნდობით აღჭურვილი წარმომადგენლები მთავრობასთან ერთად იშრომებენ საკანონმდებლო მუშაობისათვისა და სახელმწიფო სხვა დაწესებულებებთანა და მოხელეებთან ერთად სასარგებლო თანაშემწეობას გაგვიწვევენ, რომ საერთო სამშობლო ჩვენი, რუსეთი, მისი სახელმწიფოებრივი ერთიანობა, დიდება და უშიშროება, აგრეთვე კეთილდღეობა ხალხისა და წესიერება განმტკიცებული და უზრუნველყოფილი იქმნას.

მოვიწოდებთ-რა კურთხევასა ღვთისასა ჩვენ მიერ ახლად დაარსებულ სახელმწიფო დაწესებულებაზედ, მტკიცედა გვწამს მოწყალეობა ღვთისა და ჭარღუვალობა დიადის ისტორიულ ბედისა, რომელიც განგებასა ღვთისასა ჩვენის საყვარელ სამშობლოსათვის გაუმზადებია. ვსაოცებთ მასთან მტკიცედ, რომ შეწევნითა ღვთისათა და ერთგულობითა შვილთა რუსეთისათა სამშობლო ჩვენი კვალადცა ძლიერი, დიდებული და სახელოვანი დარჩება ბედისაგან მოვლინებულ მწარე განსაცდელთა შემდეგ ისრევე, როგორც ათასის წლის განმავლობაში იყო იგი.

ბრძანება ესე ბოძებულ არს პეტერგოფს, მეექვსესა დღესა აგვისტოსასა, წელსა, შობიდან ქრისტესსა ათასს ცხრაას მეხუთესა, ხოლო მეფობასა ჩვენსასა მეთერთმეტესა. დედანს მისის იმპერატორებით უდიდებულესობის ხელით აწერია:

„ნიკოლოზი“.

ბრძანება უმართებელსის სენატის მიმართ. ვაუწყებთ რა აღნიშნულის მანიფესტით ჩვენს ერთგულ ქვეშევრდომთ დაარსებას სახელმწიფო საბჭოსას, რომელშიაც მონაწილეობას

მიიღებენ წარმომადგენელი ხალხისა, უკვე დავამტკიცეთ დაწესებულება მისი და დებულება არჩევნებისა საბჭოში. კანონდებასა ამას მთელის თავისის დამატებებით ვუგზავნი-რა უმართებელეს სენატს, ვუბრძანებთ დაუყოვნებლივ გამოაცხადოს იგინი. ამასთანავე, ვინაიდგან მოსაზრებანი და წინადადებანი სახელმწიფო წყობილების გაუმჯობესებისა ამიერიდგან მომხსენდება წესით, რომელიც სახელმწიფო საბჭოს დაწესებულებაშია აღნიშნული, ვუბრძანებთ, უმართებელეს სენატისადმი 1905 წ. 18 თებერვალს გამოცემული ბრძანება ამის შესახებ გაუქმდეს ახლავ.“ დედანს მისის იმპერატორებით უდიდებულესობის ხელით აწერია; „ნიკოლაოზი.“ პეტერგოფი, 6 აგვისტო 1905 წელი.

### დაწესებულება სახელმწიფო საბჭოსი.

#### I. როგორ უნდა შესდგეს და შეიწყოს სახელმწიფო საბჭო.

1. სახელმწიფო საბჭო არსდება იმ საკანონმდებლო მოსაზრებათა წინასწარ შესამუშავებლად და განსახილველად, რომლებიც ძირითად კანონების ძალით სახელმწიფო რჩევის (СОБЕТЪ) საშუალებით უმიღლესს თვითმპყრობელს მთავრობას წარედგინება.

2. სახელმწიფო საბჭო შესდგება რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა მიერ ხუთის წლის ვადითა და იმ წესით არჩეულ წევრებისაგან, რომელი წესიც საბჭოს საარჩევანო დებულებაშია ნაჩვენები.

3. მისის იმპერატორებით უდიდებულესობის ბრძანებით შეიძლება სახელმწიფო საბჭო ხუთის წლის ვადამდე იქმნეს დათხოვნილი (მუხლი 2). იმავე ბრძანებით დაინიშნება ახალი არჩევნები საბჭოსი.

4. სახელმწიფო საბჭოს ყოველ-წლიურ მუშაობის ხანგრძლივობა, აგრეთვე ვადა მათის შეწყვეტისა წლის განმავლობაში ცალკ-ცალკე იქმნება მათის იმპერატორებით უდიდებულესობის მიერ გამოცემულ ბრძანებით ნაჩვენები.



5. სახელმწიფო საბჭოს შეადგენენ საზოგადო კრება და განყოფილებანი.

6. სახელმწიფო საბჭო შესდგება არა უმცირეს ოთხისა და არა უმეტეს რვა განყოფილებისაგან. თვითეულს განყოფილებას ოცხედ ნაკლები წევრი არ უნდა ჰყავდეს. განყოფილებათა რიცხვის განსაზღვრა, მათის წევრების არჩევანი, აგრეთვე მათ შორის საქმეთა განაწილება მთლად საბჭოზეა დამოკიდებული.

7. სახელმწიფო საბჭოს სხდომების კანონიერად საცნობად საქირო არის: საზოგადო კრებისათვის საბჭოს წევრთა ერთი მესამედის დასწრება, ხოლო განყოფილებათათვის — განყოფილების ყველა წევრთა ნახევარზედ არა ნაკლებისა.

8. სახელმწიფო საბჭოს ყველა ხარჯებს სახელმწიფო ხაზინა ეწევა.

## II. სახელმწიფო საბჭოსა და მის განყოფილებათა თავმჯდომარენი.

9. თავმჯდომარეს, აგრეთვე მისს ამხანაგს თავისს წევრთა შორის ირჩევს საბჭო ერთის წლის ვადით, რომლის შემდგომაც იგივე პირნი შეიძლება ხელ-ახლად იქმნენ არჩეულნი. გარდა მესამე მუხლში ნაჩვენებ შემთხვევისა, თავმჯდომარე ასრულებს ყველა თავისს თანამდებობას, ვიდრე ახალს თავმჯდომარეს აირჩევდნენ. უკანასკნელ მეხუთე წელს არჩეული თავმჯდომარე (იხ. მე-2 მუხ.) ხუთის წლის ვადის გასვლამდის ასრულებს თავისს თანამდებობასა. თუ რაიმე შემთხვევისა გამო თავმჯდომარე არ დაესწრო კრებასა, მისს თანამდებობას ასრულებს ამხანაგი თავმჯდომარისა.

10. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე უქვეშევრდომილესად მოახსენებს მეფეს ყოველისფერსა, რაც-კი ექმნება განსახილველი საბჭოსა.

11. სახელმწიფო საბჭოს განყოფილებათა თავმჯდომარეებს ირჩევენ ყველა განყოფილებაში ცალკე, განყოფილებისავე წევრთა შორის ერთის წლის ვადით, რომლის შემდგომაც შეიძლება ხელ-ახლად იქმნენ არჩეულნი.



12. სახელმწიფო საბჭოს მოღვაწეობის შესახებ აღძრულ საზოგადო კითხვების განსახილველად საბჭოს თავმჯდომარეობით შესდგება თათბირი (совещание), რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ამხანაგი თავმჯდომარისა, განყოფილებათა თავმჯდომარენი და აგრეთვე მდივანი საბჭოსი და მისი ამხანაგი.

### III. სახელმწიფო საბჭოს წევრები.

13. სახელმწიფო საბჭოს წევრები აღთქმასა სდებენ საბჭოში შესვლისათანავე იმ ფორმით, რომელიც აქვეა დამატებული.

14. საბჭოს განსახილველ საგნების შესახებ სახელმწიფო საბჭოს წევრნი თავისუფლად გამოსთქმენ აზრსა და არავითარს ანგარიშს ამის შესახებ არ აძლევენ ამომრჩეველებსა.

15. საბჭოს წევრის თავისუფლების შეზღუდვა შეუძლიან მხოლოდ სასამართლოს გარდაწყვეტილებას. მაგრამ პირადად მისი დაპატიმრება ვალისათვის არავის შეუძლიან.

16. სახელმწიფო საბჭოს წევრს შეუძლიან უარი სთქვას წევრობაზედ, რაიცა წერილობით უნდა განუცხადოს საბჭოს თავმჯდომარესა.

17. საბჭოდამ გამოირიცხება წევრი შემდეგს შემთხვევაში: ა) თუ უცხო ქვეყნად მოგზაობას მიიღებს; ბ) ნამდვილს სამხედრო სამსახურში შევა; გ) სამოქალაქო სახელმწიფო სამსახურში დაინიშნება ისეთს თანამდებობაზედ, რომლისთვისაც გადაჭრილი ჯამაგირი მიეცემა და დ) დაჰკარგავს საარჩევანო ცენზს.

18. გარდა წინა (17) მუხლში აღნიშნულ შემთხვევებისა, წევრობიდან გამოირიცხულად ითვლება წევრი სახელმწიფო საბჭოსი აგრეთვე მაშინ, როდესაც საარჩევანო დებულების მე-7 მუხლში აღნიშნული გარემოებანი ა, ბ, ე, ვ და ზ იჩენენ თავსა.

19. სახელმწიფო საბჭოს წევრს აეკრძალება დროებით კრებებზედ მონაწილეობის მიღება: ა) თუ გამოძიება სწარ-



მოებს და სამართალში მისცეს ბოროტმოქმედებათა გამო, რომლებიც საბჭოს საარჩევანო დებულების მე-7 მუხლის ა ნაწილშია მოხსენებული, ან თანამდებობიდან დათხოვნას მოითხოვს და ბ) თუ შეუძლებელ მოვალეთ იქმნა გამოცხადებული, ვიდრე ეს მისი შეუძლებლობა ნამდვილად გამოირკვეოდეს.

20. ბოროტმოქმედებისათვის, რომელსაც სახელმწიფო საბჭოს წევრი ჩაიდენს თანამდებობის აღსრულების დროს, პასუხის მგებელია იმავე წესითა და რიგად, როგორც ეს სახელმწიფო რჩევის წევრთათვის არის დადებული სამსახურის მოვალეობის დარღვევისათვის (დაწ. სახელმწ. რჩევ., მუხლი 105—113).

21. სახელმწიფო საბჭოს წევრის გამორიცხვა წევრობიდან (მუხ. 17 და 18), აგრეთვე დროებითი აღკრძალვა საბჭოს კრებებზედ მონაწილეობის მიღებისა (მუხლი 19) დამოკიდებულია უმართებელეს სენატზედ.

22. წინა (21) მუხლში აღნიშნულს საქმეებს აღძრავს უმართებელეს სენატში თავმჯდომარე სახელმწიფო საბჭოსი და გარდასწყვეტენ საბოლოოდ სენატის პირველ დეპარტამენტში ობერ-პროკურორის დასკვნის შემდეგ, დამსწრე სენატორთა ხმის უმეტესობით, მაგრამ თუ ხმები თანაბრად შუა გაიყო, იმ აზრისა თანახმად, რომელსაც პირველი სენატორი მიემხრობა.

23. სახელმწიფო საბჭოს წევრს კრებების დროს ჯილდოდ დღე-ღამეში უფასო ეძლევა ხაზინიდან. გარდა ამისა, წელიწადში ერთხელ ეძლევათ საგზაო ხარჯიც, ვერსზედ შაური—საცხოვრებელ ადგილიდამ პეტერბურგამდე და უკან დასაბრუნებელი.

24. მინისტრები და ცალკე ნაწილთა მთავარგამგენი სახელმწიფო საბჭოს წევრებად არ ითვლებიან, მაგრამ შეუძლიანთ დაესწონენ კრებებსა და სხვა-და-სხვა საქმეების შესახებ განმარტება წარუდგინონ, როგორც პირადად თვითონ, ისე თავისს ამხანაგებისა, ცენტრალურ სამმართველოთა კერ-

ძო ნაწილების უფროსებისა, მათ მახლობელ თანაშემწეებისა და სხვა რწმუნებულთა პირით.

25. წინა (24) მუხლში მოხსენებული განმარტებანი სა-ვალდებულონი არიან მინისტრებისა და კერძო ნაწილთა მთავარგამგეთათვის, თუ რომ სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრება ან ერთი რომელიმე მისი განყოფილება საჭიროდ სცნობენ ამასა.

IV. სახელმწიფო საბჭოს მდივნები, მისი განყოფილებანი, კანცელარია საბჭოსი და მასში მსახურნი ჰიანნი.

26. სახელმწიფო საბჭოს მდივანსა და მისს ამხანაგს ირჩევენ ხუთის წლის ვადით საბჭოს წევრთა შორისვე (მუხლი 2) და ასრულებენ თავისს თანამდებობასა, ვიდრე ახალი საბჭო ახალს მდივანსა და მდივნის ამხანაგს აირჩევედეს.

27. სახელმწიფო საბჭოს განყოფილებათა მდივნებსაც ცალკ-ცალკე ირჩევენ განყოფილებანი თავისს შორის, ხუთის წლისავე ვადით (მუხ. 2).

28. სახელმწიფო საბჭოს საქმეთა საწარმოებლად საბჭოსთან ცალკე კანცელარია არსებობს.

29. კანცელარიას განაგებს სახელმწიფო საბჭოს მდივანი. მდივანსა ჰმველის მუშაობაში ამხანაგი. თუ რომ მე-მ მუხლში ნაჩვენები გარემოება იქნეს თავსა, ახალ საბჭოს მიერ მდივნის არჩევამდე საბჭოს კანცელარიის გამგეობა სახელმწიფო მდივანს ევალება.

30. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს განყოფილებათა განკარგულებების შესრულება, აგრეთვე წესიერების დაცვა საბჭოს ბოქაულისა და მის თანაშემწეთა მოვალეობას შეადგენს.

31. სახელმწიფო საბჭოს ბოქაულსა და მისს თანაშემწეებს, რამდენიც შტატით დადგენილია, საბჭოს თავმჯდომარე ჰნიშნავს.

32. საბჭოს კანცელარიაში მსახურთა დანიშვნისა და დათხოვნის წესი, აგრეთვე მათ მიერ განვლილ სამსახურის ვითარება აქავსა დართული.

V. რა საქმეებს განაგებს სახელმწიფო საბჭო.

33. სახელმწიფო საბჭო განაგებს:

ა) საგნებს, რომლებიც მოითხოვენ კანონების გამოცემასა და შტატების დაარსებასა, აგრეთვე მათს შეცვლასა, შეესებასა, მოქმედების შეწყობასა და გაუქმებასა.

ბ) ფინანსიურ ხარჯთ-ალრიცხვათ სამინისტროებისასა და მთავარ სამმართველოებისას, აგრეთვე სახელმწიფო შემოსავალ-გასავალსა და ხაზინიდან იმ ფულის გაღებასა, რომელიც ხარჯთ-ალრიცხვაში არ იყო წინაღვე შეტანილი,—თანახმად ამ საგნის შესახებ არსებულ წესებისა;

გ) სახელმწიფო კანტროლის ანგარიშს სახელმწიფო ხარჯთ-ალრიცხვის შესრულების შესახებ;

დ) საქმეებს, რომლებიც სახელმწიფო შემოსავლისა ანუ ქონების ერთი ნაწილის გადაღებასა და მის შესახებ უმაღლესს ნებართვას თხოულობენ;

ე) ხაზინის ხარჯზედ რკინის გზის გაყვანის საქმეებს;

ვ) სააქციონერო ამხანაგობათა დაარსების საქმეებს, როდესაც ითხოვენ, მომქმედს კანონებს არ დაუქვემდებარონ იგინი;

ზ) უმაღლესის ბრძანებით საბჭოში განსახილველად წარდგენილს საქმეებს.

შენიშვნა: სახელმწიფო საბჭო განაგებს აგრეთვე ხარჯთ-ალრიცხვასა და სათემო (ЗЕМСКИХЪ) გარდასახდთა გაწერვას იმ ადგილებში, სადაც სათემო დაწესებულება არ არის ჯერ შემოღებული, აგრეთვე სათემო და საქალაქო გარდასახდთა მომატების საქმეს, როდესაც მათი რაოდენობა სათემო კრებებისა და ქალაქის საბჭოებისაგან გადაჭრილს აღემატება (დებ. სათემ. დაწეს., მუხლი 94; ქალ. დებ., მუხ. 88; დებ. ს. პეტერბ. ქალ. დებულ., მუხლი 6 და 78).

34. სახელმწიფო საბჭოს ნება აქვს შუამდგომლობა აღძრას, რომ ესა თუ ის მომქმედი კანონი გაუქმებული ან შეცვლილი იქმნას და გამოიცეს ახალი (მუხ. 54-57). მაგრამ

ასეთი მისი მოსაზრება სახელმწიფოს ძირითად კანონების მიერ დადგენილს წყობილებას არ უნდა ეხებოდეს.

35. სახელმწიფო საბჭოს უფლება აქვს მოსთხოვოს მინისტრებსა და კერძო ნაწილთა მთავარგამგებებს, რომლებიც კანონით უმართებელეს ნენატს ემორჩილებიან, ცნობები და განმარტებანი ისეთს მათს დადგენილებასა და მოქმედებაზედ, რომლებიც, საბჭოს აზრით, არსებულ კანონდებულებათ არღვევენ (მუხლი 58-61).

VI. როგორც წესით აწარმოებენ სახელმწიფო საბჭო საქმეებსა.

36. გასარჩევი და განსახილველი საქმეები სახელმწიფო საბჭოში მინისტრებსა და კერძო ნაწილთა მთავარგამგებებს, აგრეთვე სახელმწიფო მდივანს შეაქვთ.

37. სახელმწიფო საბჭოში წარდგენილს საქმეებს ჯერ განყოფილებებში განიხილვენ, შემდგომ საზოგადო კრებას წარუდგენენ.

38. საზოგადო კრებისა და საბჭოს განყოფილებათა სხდომებს ჰნიშნავენ, ჰხსნიან და შესწყვეტენ მათნი თავმჯდომარენი.

39. თავმჯდომარე შეაყენებს საბჭოს წევრს, როდესაც იგი წესიერებას დაარღვევს ან კანონს ჯეროვანის პატივის ცემით არ მოეპყრობა. თავმჯდომარეს ნებაა შესწყვიტოს დროებით სხდომა, ან სრულიად დაჰხუროს იგი.

40. წესიერების დამრღვევი საბჭოს წევრი შეიძლება გაყვანილ იქნას სხდომიდან, ან განსაზღვრულის ვადით კრებებზედ მონაწილეობის უფლება მოესპოს. საბჭოს წევრს გაყვანენ სხდომიდან განყოფილებისა ან საზოგადო კრების დადგენილებით, რომელს მთვანშიაც დაარღვევს წესიერებასა, ხოლო საბჭოს საზოგადო კრებაზედ განსაზღვრულის ვადით მონაწილეობას უკრძალავს საზოგადო კრება განსაკუთრებულის დადგენილებით.

41. სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრებაზედ და განყოფილებათა სხდომაზე დასწრება გარეშე პირთ აღკრძალული აქვთ.

42. საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს ნება მისცეს საზოგადო კრების სხდომებზე დასწრებისა ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლებს, თითოს თვითეულ გამოცემილამა, გარდა იმ სხდომებისა, რომლებიც კარ-დახშულად იქმნებიან გამოცხადებულნი.

43. საზოგადო კრების სხდომების კარ-დახშულად გამოცხადება საზოგადო კრების დადგენილებითა ან საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით ხდება. თავმჯდომარისავე განკარგულებით ხდება საზოგადო კრების სხდომები კარ-დახშულად იმ შემთხვევაში, როდესაც მინისტრი ან მთავარგამგე კერძო ნაწილისა, რომლის უწყებასაც საქმე შეეხება, განაცხადებენ, რომ განსახილველი საგანი სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენს.

44. სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრების ყველა სხდომების ანგარიშს ნაფიცი სტენოგრაფები ადგენენ; საბჭოს თავმჯდომარის მიერ მოწონების შემდეგ შეიძლება ანგარიში გაზეთებშიაც დაიბეჭდოს, გარდა კარ-დახშულ სხდომების ანგარიშისა.

45. საზოგადო კრების კარ-დახშულ სხდომის ანგარიში-დგან შეიძლება დაიბეჭდოს ჟურნალ-გაზეთებში მხოლოდ ის ნაწილი, რომლის გამოცხადებასაც საბჭოს თავმჯდომარე სცნობს შესაძლებელადა, თუ სხდომა კარ-დახშულად მისის განკარგულებითა ან საბჭოს დადგენილებით იყო გამოცხადებული, არა-და ასეთი ნებართვა უნდა მიიღონ იმ მინისტრისა და კერძო ნაწილის მთავარგამგესაგან, რომლის თხოვნითაც სხდომა იქმნა კარ-დახშულად გამოცხადებული.

46. მინისტრსა და მთავარგამგეს კერძო ნაწილისას უფლება აქვთ, რა დროსაც უნდათ, უკანვე წაიღონ საბჭოში წარდგენილი საქმე. საქმე, რომელიც საბჭოსვე აღუძრავს კანონმდებლობითის აზრით (მუხლი 34), შეიძლება წაიღონ უკან მინისტრმა ან კერძო ნაწილის მთავარგამგემ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საბჭოს საზოგადო კრებაც თანხმობას განაცხადებს ამისას.

47. სახელმწიფო საბჭოში განხილულ საქმეთა შესახებ დამასკვენელ აზრათ მიიღება საზოგადო კრების უმეტესობის აზრი. დამასკვენელი აზრი გარკვევით უნდა იყოს გამოთქმული, თანახმაა თუ არა საბჭო წარდგენილ წინადადებისა. საბჭოს მიერ ნარჩევი ცვლილებანი გარკვევით უნდა იყოს დადგენილი.

48. სახელმწიფო საბჭოში განხილული საკანონმდებლო მოსაზრებანი საბჭოს დასკვნითურთ სახელმწიფო რჩევას უნდა წარედგინოს. რჩევაში განხილვის შემდეგ დებულება მისი, საბჭოს დასკვნითურთ, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც მე-49 მუხლშია ნაჩვენები, უმაღლესად უნდა იქმნეს წარდგენილი იმ წესით, რომელიც სახელმწიფო რჩევისათვის არის დადგენილი.

49. სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო რჩევის საზოგადო კრების წევრთა ორის მესამედის მიერ უარყოფილი საკანონმდებლო მოსაზრებანი უკანვე დაუბრუნდება ჯეროვანს მინისტრსა ან მთავარგამგესა, რომ დამატებითი მოსაზრებით ხელახლად იქმნეს განსახილველად წარდგენილი საბჭოში, თუ რომ ამის შესახებ უმაღლესად იქმნება სურვილი გამოცხადებული.

50. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო რჩევა დაბრკოლდება და ვერ მიიღებს სახელმწიფო საბჭოს დასკვნასა, შეიძლება, რჩევის საზოგადო კრების დადგენილებით, საქმე კომისიას გადაეცეს შესათანხმებლად, რომელშიაც თანაბრად იქმნებიან, საბჭოღამა და რჩევიდან ცალკ-ცალკე, წევრები ამორჩეულნი. კომისიას ჰთავმჯდომარეობს თავმჯდომარე სახელმწიფო რჩევისა, ანუ მის დეპარტამენტების რომელიმე თავმჯდომარე.

51. კომისიის მიერ შემუშავებული (მუხლი მე-50) შეთანხმებული დასკვნა წარედგინება ჯერ სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრებას შემდეგ სახელმწიფო რჩევის საზოგადო კრებისა. თუ შეთანხმებულს დასკვნას ვერ შეიმუშავებენ, საქმე სახელმწიფო რჩევის საზოგადო კრებასვე გადაეცემა.

52. თუ სახელმწიფო საბჭოს სხდომა არ შესდგა წევრთა დადგენილ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო (მუხ. მე-7), გან-

57. თუ მინისტრი ან მთავარგამგე კერძო ნაწილისა, აგრეთვე სახელმწიფო მდივანი (მუხლი მე-55) არა სცნობენ საჭიროდ და სასურველად მომქმედ კანონის გაუქმებასა და ცვლილებასა ან ახალის გამოცემასა, რომელიც განყოფილებისა და შემდეგ სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრების წევრთა ორის მესამედის მიერ მიღებულია უკვე, საქმეს მაშინ საბჭოს თავმჯდომარე სახელმწიფო რჩევაში ადგენს, რომელიც შემდგომ, დადგენილის წესისამებრ, უმაღლესად წარადგენს დასამტკიცებლად. თუ უმაღლესად ნაბრძანები იქმნება საქმეს კანონმდებლობითი მსვლელობა მიეცეს, მახლობელი შემუშავება მისი ჯეროვანს მინისტრს ან კერძო ნაწილის მთავარ-გამგესა და სახელმწიფო მდივანს დაევალება.

58. მინისტრებისა და კერძო ნაწილთა მთავარგამგეთა, აგრეთვე მათ ხელქვეით პირთა და დაწესებულებათა მოქმედების შესახებ აღმოჩენილ ცნობებსა და განმარტებებზედ, რომლებშიაც შენიშნული იქმნება არსებულ კანონდებულებათა დარღვევა (იხ. მუხლი 55), სახელმწიფო საბჭოს წევრნი წერილობით უცხადებენ საბჭოს თავმჯდომარესა. განცხადებაში ნაჩვენები უნდა იყოს, როგორ არის დარღვეული კანონი და რომელი სახელდობრ. თუ რომ განცხადებაზედ ოც წევრზედ ნაკლებს არ ეწერება ხელი, თავმჯდომარე საბჭოსი საზოგადო კრებას წარუდგენს განსახილველად.

59. სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრების წევრთა უმეტესობის მიერ მიღებული განცხადება (მუხლი მე-58) ჯეროვანს მინისტრს ან კერძო ნაწილის მთავარგამგეს ეგზავნება საცნობელად.

60. მინისტრები და მთავარგამგენი კერძო ნაწილთა ან ერთს თვეზედ აცნობებენ უთუოდ, დღიდგან მათ მიერ განცხადების მიღებისა (მუხლი 59), ყველა საჭირო ცნობებსა და განმარტებათა, ან არა-და შეატყობინებენ საბჭოს, რა მიზეზისა გამო არ შეუძლიანთ საჭირო ცნობებისა და განმარტებათა მიწოდება.

61. თუ სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრების წევრთა ორი მესამედი შესაძლებელად არა სცნობს დაკმაყოფილდეს

მინისტრისა ან კერძო ნაწილის მთავარგამგის მიერ წარდგენილის ცნობითა (მუხლი მე-60), საქმე მაშინ სახელმწიფო რჩევას გადაეცემა, რომ უმაღლესად იქმნეს წარდგენილი განსახილველად.

## VII. დარიგება სახელმწიფო საბჭოსი.

62. სახელმწიფო საბჭოს დაწვრილებითი შინაური მოწყობა, მისი უწყების საგნები და წესი მოქმედებისა, რომელიც მე-12 მუხლშია ნაჩვენები თათბირის შესახებ, აგრეთვე მოვალეობანი საბჭოს კანცელარიისა, ბოქაულისა და მის ხელქვეით პირთა გარკვეული უნდა იქმნეს დარიგებით, რომელსაც საბჭო გამოსცემს აღნიშნულ დაწესებულების წესების განსამარტებლად.

63. წინა მუხლში (მე-62) მოხსენებული დარიგება საჯაროდ უნდა იქმნეს საყოველთაოდ უმართებელგის სენატის მიერ გამოცხადებული.

დამატება მე-13 მუხლისა.

დიდებული ადოქმა სახელმწიფო საბჭოს წევრებისა.

„ჩვენ, ქვემოთ ამისა მოხსენებულნი, ადოქმასა ვღებთ ყოვლად შემძლე ღვთისა წინაშე, ჩვენ მიერ ნაკისრები სახელმწიფო საბჭოს წევრთა მოვალეობანი აღვასრულოთ ისე, როგორც ამას ჩვენი შეგნება ჩავვაგონებს და ძალა შევწევს, მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორსა და თვითმპყრობელს სრულიად რუსეთისას ერთგულად ვემსახუროთ და მხოლოდ რუსეთის სასიკეთოდ და სასარგებლოდ ვიზრუნოთ, რასაც საკუთარს ხელს ვაწერთ“.

დამატება მე-32 მუხლისა.

რას წესით უნდა იქმნენ მიღებული და დათხოვნილნი სახელმწიფო საბჭოს კანცელარიაში მსახურნი და მისდამი მიწერილი მოხელენი, ან როგორ განვლან სამსახური.

1. სახელმწიფო საბჭოს კანცელარია შესდგება საქმის მწარმოებლებისა და მათის თანაშემწეებისაგან, ხაზინადრისა,

ნაფიც სტენოგრაფებისა და გადამწერლებისაგან. რიცხვი კანცელარიაში მსახურთა, მათი ჯამაგირები, აგრეთვე გადამწერლების დასაჯილდოვებელი და კანცელარიის სახარჯო თანხა შტატით იქმნება გარდაწყვეტილი.

2. კანცელარიაში მსახურთა მიღება და დათხოვნა სახელმწიფო საბჭოს მდივნის საქმეა.

3. კანცელარიის სამსახურში არ მიიღებიან ისინი, ვისაც საბჭოს საარჩევნო დებულების მე-7 მუხლის ძალით სახელმწიფო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვს.

4. კანცელარიის სამსახურში არ მიიღებიან: ა) არა სრულ წლოვანნი; ბ) მოსწავლენი და გ) უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი.

5. დედათა სქესისანი მიიღებიან კანცელარიაში მხოლოდ გადაწერისა და ანგარიშისათვის.

6. კანცელარიის საქმის მწარმოებლებათა და მათ თანა შემწეებათ ინიშნებიან უმაღლესს სასწავლებლებში სწავლადამთავრებულნი და სახელმწიფო, სათავად-აზნაურო, სათემო ან ქალაქის სამსახურში სამს წელიწადს მაინც ნამყოფნი.

7. კანცელარიის სამსახურში ვისიმე მიღება სახელმწიფო საბჭოს მდივანზე დამოკიდებული, მაგრამ მიღებამდე სახელმწიფო მდივანს აცნობებს უთუოდა, რომლის თანხმობაც აუცილებლივ საჭიროა.

8. კანცელარიის სამსახურში შესულნი ფიცსა სდებენ, რომ ერთგულად იმსახურებენ, თუ რომ ასეთი ფიცი შესვლამდევე არ დაუდგიათ უწინ.

9. კანცელარიის სამსახურში მყოფთ აღკრძალული აქვთ რაიმე სავაჭრო-სამრეწველო და საკრედიტო დაწესებულებათა დაარსებაში ან გამგეობაში მონაწილეობის მიღება, აგრეთვე ყოველგვარი კერძო მუშაობა, რომელსაც-კი სახელმწიფო საბჭოს დაწესებულების მე-12 მუხლში მოხსენებული თათბირი სცნობს შეუძლებელადა, როგორც კანცელარიის სამსახურთან შეუთანხმებელსა.

10. კანცელარიის მსახურთაგან სახელმწიფო საბჭოს ხდომავედ დასწრება, ნაფიც სტენოგრაფთა გარდა, შეუძლიანთ აგრეთვე საქმის მწარმოებლებსა და მათს თანაშემწეებს.

11. კანცელარიის მსახურთ აღკრძალული აქვთ გამოქვეყნება ცნობებისა, რომლებიც სამსახურში შეუტყვიათ, მაგრამ რომლების გამოქვეყნებაც არ შეიძლება.

12. სამსახურის მოვალეობათა დარღვევისათვის კანცელარიის მსახურნი პასუხის მგებელნი არიან ისრევე, როგორც ნამდვილს სამოქალაქო, სახელმწიფო სამსახურში მყოფი თანამდებობის პირნი. მთავრობის უფლებები და მოვალეობანი კანცელარიაში მსახურთა შესახებ ეკუთვნის თათბირს, რომელიც სახელმწიფო საბჭოს დაწესებულების მე-12 მუხლშია მოხსენებული.

13. კანცელარიის მსახურნი და მათნი ოჯახობანი ისრევე სარგებლობენ პენსიებითა და ერთ-დროულად ფულით დახმარებით ხაზინიდანა, როგორც ეს პენსიებისა და ერთ-დროულ ფულით დახმარებათა საზოგადო წესდებით არის სამოქალაქო უწყებათათვის დადგენილი.

14. პე-3, 4, 8, 9 და 11 — 13 მუხლებში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სახელმწიფო საბჭოს ბოქაულსა და მის თანაშემწეებსაც.

ნამდვილს მისის იმპერატორებით უდიდებულესობის ხელით აწერია:

„აქმნეს ესრედ“.

პეტერგოფში, 6 აგვისტოს 1905 წელს.

## დებულება სახელმწიფო საბჭოს არჩევნებისა.

### I. საზოგადო დებულებანი.

1. სახელმწიფო საბჭოს არჩევნები მოხდება: ა) გუბერნიებსა და ოლქებში და ბ) ქალაქებში: ს. პეტერბურგსა და მოსკოვში, აგრეთვე ასტრახანსა, ბაქოსა, ვარშავსა, ვილნოსა, ვორონეჟსა, ეკატერინოსლავსა, ირკუტსკსა, ყაზანსა,

კიევისა, კიშინევისა, კურსკისა, ლოდისა, ნიჟნი-ნოვგოროდისა, ოდესისა, ორიოლისა, რიგისა, დონის როსტოვისა ნახიჩევანი თურთ, სამარასა, სარატოვისა, ტაშკენტისა, ტფილისისა, ტულასა, ხარკოვისა და იაროსლავში.

შენიშვნა: არჩევნები სახელმწიფო საბჭოსი პოლონეთისა, ურალისა და ტურგაის ოლქებისა, გუბერნიებისა და ოლქებში: ციმბირისა, სტეპნოისა და თურქესტანის საგენერალ-გუბერნატოროსა და კავკასიის სანამესტნიკოში, აგრეთვე მომთაბარე ინოროდცებისაგან მოხდება საგანგებოდ ამისათვის გამოცემულის წესებით.

2. სახელმწიფო საბჭოს წევრთა რიცხვი გუბერნიებისა, ოლქებისა და ქალაქებისათვის გადაჭრილია აქვე დართულ გაწერილობით.

3. სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევა გუბერნიებისა და ოლქებში (მუხლი 1, ნ. ა) სწარმოებს საგუბერნიო საარჩევანო კრებაზედ. საგუბერნიო კრება შესდგება გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა ან-და იმის მონაცვლე პირის თავმჯდომარეობით ამომრჩევლებისაგან, რომლებსაც ირჩევენ კრებები: ა) მაზრის მემამულეთა; ბ) ქალაქის ამრჩევლთა და გ) სოფლის საზოგადოებათა და სტანიცების რწმუნებულთა.

4. საზოგადო რიცხვი ამომრჩევლებისა თვითოეულს გუბერნიისა და ოლქზედ, აგრეთვე განაწილება მათი მაზრებისა და კრებებზედ დადგენილია აქვე დართულ გაწერილობით.

5. სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევა 1 მუხლის ბ ნაწილში ნაჩვენებ ქალაქებიდამ სწარმოებს საარჩევანო კრებაზედ, რომელსაც ქალაქის თავის ან მის მონაცვლე პირის თავმჯდომარეობით შეადგენენ ამომრჩევლები: სატახტო ქალაქებში ას სამტფი თითოში; ხოლო დანარჩენებში ოთხმტფ-ოთხმტფა.

6. არჩევნებში არ იღებენ მონაწილეობასა: ა) დედათა სქესისანი; ბ) 25 წლისაზედ ახალგაზრდანი; გ) მოსწავლენი;

დ) ნამდვილ სამსახურში მყოფი მხედრობისა და ფლოტის სამხედრო პირნი; ე) მაწანწალა ინოროდცები; ვ) უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი.

7. წინა მუხლში (მე-6) აღნიშნულთა გარდა, არ იღებენ მონაწილეობას არჩევნებში: ა) ბოროტ-მოქმედებისათვის სამართალში მიცემულნი, რომელთაც ან სრულიად გამოეწირებათ ქონებრივი უფლებები ან შეეზღუდებათ, ან არა-და სამსახურიდგან იქმნებიან დათხოვნილნი; ვინც სამართალშია მიცემული: ქურდობისა, გაიძვერობისა, ჩაბარებულ მამულის მითვისებისა, მოპარულის დამალვისა, მოპარულის სყიდვისა და დაგირავებისა, მამულის მოტყუებით მიღებისა და მევახშეობისათვის, როდესაც სასამართლოს გარდაწყვეტილებით გამართლებულნი არ არიან, თუნდაც გასამართლების შემდეგ გაანთავისუფლონ კიდევ სასჯელისაგან, რაკი დრო იქნება გადასული, შერიგდებიან, უმოწყალესი მანიფესტი ან უმაღლესი საგანგებო ბრძანება იქმნება გამოცემული, ბ) სასამართლოს განაჩენით თანამდებობიდან დათხოვნილნი—სამის წლის განმავლობაში, დღიდგან გადაყენებისა, თუნდაც სასჯელისაგანაც განთავისუფლდნენ დროს გადასვლისა, ან უმოწყალესის მანიფესტისა და უმაღლესის საგანგებო ბრძანების ძალით; გ) გამოძიების ქვეშ მყოფნი ან სამართალში მიცემულნი ბოროტ-მოქმედებათათვის, რომლებიც აწინააღმდეგებულნი არიან, ან თანამდებობიდან გადაყენებას მოითხოვენ; დ) შეუძლებელად გამოცხადებულნი, ვიდრე გამოირკვეოდეს თვისება მათის ქონებრივ შეუძლებლობისა; ე) ვაკატრებულნი, რომელთა საქმეც უკვე გამორკვეულია, გარდა იმათი, ვინც უზედურ შემთხვევისა გამოა ვაკატრებული; ვ) ცუდის ყოფაქცევისათვის სასულიერო წოდებიდამ გამორიცხულნი და ღირსება-აყრილნი, ან-და საზოგადოებიდამა და სათავად-აზნაურო კრებიდამ გამორიცხულნი განაჩენით იმ წოდებისა, რომელსაც გამორიცხულნი ეკუთვნიან და ზ) ვინც სამხედრო ბეგრის მოხდას გაჰქცევია და ამისათვის დაუსჯიათ.

8. არჩევნებში არ იღებენ მონაწილეობას: ა) გუბერნატორები და ვიცე-გუბერნატორები, აგრეთვე გრადონაჩაღნიკები და მათნი თანაშემწენი—მათ ხელქვეითს ადგილებში და ბ) პოლიციის სამსახურში მყოფნი, გუბერნიას ან ქალაქში, სადაც არჩევნები სწარმოებს.

9. დედათა სქესისათ შეუძლიანთ თავიანთი ცენზი უძრავის ქონებისა არჩევნებში მონაწილეობისათვის ქმრებსა და შვილებს გადასცენ.

10. უძრავის ქონებითა და რწმუნებით შვილებს შეუძლიანთ მამების მაგიერად მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა.

11. ამრჩევლების კრებებს იწვევენ საგუბერნიო და სამაზრო ქალაქში, თავ-თავის სადგილას; მაზრის მემამულეთა და სოფლის საზოგადოებათა რწმუნებულთასას—მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის, ან მის მონაცვლე პირის თავმჯდომარეობით, ხოლო ქალაქის ამრჩევლებისას—საგუბერნიო და სამაზრო ქალაქის თავისა ან იმის მოადგილის თავმჯდომარეობით, თავ-თავის ადგილას. პირველი მუხლის ბ ნაწილში ნაჩვენებ მაზრებისათვის ადგილობრივ ქალაქის თავის თავმჯდომარეობით შესდგება ცალკე კრებები ქალაქის სამაზრო ამრჩევლებისა. თუ რომელსამე მაზრაში რამდენიმე ქალაქია, შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვით, რომელსაც უფლება აქვს ამრჩევლები ქალაქების მიხედვით გაანაწილოს, შეიძლება რამდენიმე ცალკე კრება შესდგეს ქალაქის ამრჩევლებისა.

12. მაზრის მემამულეთა კრებაზედ მონაწილეობას იღებენ: ა) ვისაც მაზრაში საკუთრებად შეძენილი აქვს, ან მემკვიდრეობით მიღებული იმოდენა მამული, რომელსაც სათემო გარდასახადი აქვს გაწერილი თვითეულ მაზრაზედ იმდენი, რამდენიც ქვევით არის დამატებაში ნაჩვენები; ბ) ვისაც იჯარითა აქვს მაზრაში სამთო-საქარხნო ადგილები აღებული იმოდენი, რამოდენიც ქვემორე მოყვანილს გაწერილობაშია (расписани) ნაჩვენები; გ) ვისაც მაზრაში საკუთრებათ შეძენილი ან მემკვიდრეობით მიღებული აქვს მამულს გარდა იმოდენა უძრავი ქონება,—მხოლოდ სავაქრო-სამრე-

წველო დარგისა-კი არა, — რომ სათემო დაფასებით თხუთმეტ ათას მანეთზედ ნაკლებად არა ღირდეს; დ) რწმუნებულნი იმათგან, ვისაც მაზრაში ან მამული აქვს შეათედზედ არა ნაკლები იმისა, რაც თვითეულ მაზრისათვის არის ზემოდ აღნიშნულს გაწერილობაში გადაჭრილი, ან სხვა რამ უძრავი ქონება (ნაწ. გ) სათემო დაფასებით ათას ხუთას მანეთად ღირებული, და ე) რწმუნებულნი ეკლესიის მსახურთა, რომელთაც მაზრაში საეკლესიო მამული აქვთ.

13. არხანგელსკის გუბერნიაში მაზრის მემამულთა კრებები არ შესდგება, მაგრამ მასში მონაწილეობის უფლების მქონენი (მუხლი მე-12) მიეწერებიან საგუბერნიო და სამაზრო ქალაქების ამრჩეველთა კრებებს. სტავროპოლის გუბერნიის იმ მაზრებში, სადაც ქალაქი ადგილები არ არის, ვინც-კი ძირითადს სამრეწველო გარდასახადს იხდის პირადს სამრეწველო საქმეზედ, აგრეთვე ვისაც მაზრაში სავაჭრო-სამრეწველო საქმე აქვს (მუხ. მე-16, ნ. — ნ. გ და დ) მიეწერება მაზრის მემამულეთა ადგილობრივს კრებას, რომელიც აირჩევს გაწერილობით დადგენილს (მუხლი 4) რიცხვს ამომრჩევლებისას ამ კრებისა და ქალაქის ამრჩეველთა კრებისას.

14. მე-12 მუხლის დ და ე ნაწილში მოხსენებული უძრავ ქონებათა პატრონებისა და ეკლესიის მსახურთა რწმუნებულნი წინასწარს კრებაზედ ირჩევიან. ადგილობრივ გარემოებათა მიხედვით, ან მთელის მაზრისათვის იწვევენ საზოგადო კრებას, ან არა-და გუბერნატორის გაწერილობით რამდენიმე ცალკე კრება სდგება. თავმჯდომარეობს კრებას ან მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ან არა-და მისი მოადგილე.

15. რწმუნებულთა რიცხვი, რომელიც წინასწარს კრებაზედ უნდა იქმნეს არჩეული, განისაზღვრება კრებაზედ გამოცხადებულთა მამულის რაოდენობითა და მათის სხვა უძრავ ქონების დაფასებით, ასე რომ თვითეულს საარჩევნო ცენზზედ, რომელიც მაზრის მემამულთა კრებისათვის არის დადგენილი (მუხლი მე-12, ნაწ. ა, ბ და გ), თითო რწმუნებული იქმნეს არჩეული.

16. ქალაქის ამრჩეველთა კრებაზედ მონაწილეობას იღებენ: ა) ვისაც მაზრის ქალაქ ადგილებში საკუთრებად შეუძენია ან მემკვიდრეობით მიღებული აქვს იმოდენა უძრავი ქონება, რომ სათემო გარდასახადისათვის შეფასებულია ათას ხუთას მანეთად, ან არა-და, როგორც სავაქრო-სამრეწველო საქმე, სამრეწველო მოწმობას მოითხოვს: სავაქრო—პირველის ორის ხარისხისას, სამრეწველო—პირველის ხუთის ხარისხისას, ან სანავოსნო, რომლითაც წელიწადში ხუთ თუმანამდე სამრეწველო გარდასახადია გასაღები; ბ) ვინც ქალაქს ადგილებში სახელმწიფო ბინის გარდასახადს იხდის, მეთე ხარისხიდან მოკიდებული; გ) ვინც ქალაქს ადგილებში და მაზრაში პირველის ხარისხის პირადს სამრეწველო საქმეზედ ძირითადს სამრეწველო გარდასახადს იხდის და დ) ვისაც მაზრაში ამავე მუხლის 6 ნაწილში ნაჩვენები სავაქრო-სამრეწველო საქმე აქვს.

17. სოფლის საზოგადოებათა რწმუნებულთა კრებაზედ მონაწილეობას იღებენ მაზრის საზოგადოებათა ყრილობებზედ ამორჩეულნი, თვითეულ ყრილობიდან ორ-ორი. სოფლის საზოგადოებათა ყრილობაზედ ირჩევენ რწმუნებულთ გლებთაგანა და უთუოდ იმავე სოფლის საზოგადოებიდამა, თუ რომ მე-6 და 7 მუხლში, აგრეთვე მე-8 მუხლის 6 ნაწილში ნაჩვენები რამ დაბრკოლება არ აღმოჩნდება.

18 სოფლის საზოგადოებათა რწმუნებულთა კრებების გარდა ასტრახანის გუბერნიაში შესდგება აგრეთვე ერთი საზოგადო კრება ასტრახანის საყაზახოს სტანციების რწმუნებულთა, რომლებიც (სტანიციები) ასტრახანისა, სამარისა და სარატოვის გუბერნიებშია მოფენილი. კრება უნდა მიწვეულ იქმნეს ქ. ასტრახანში ნაკაზნი ატამანის მიერ არჩეულ პირის თავმჯდომარეობითა და აირჩიოს გაწერილობით დადგენილი (მუხლი 4) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომლებმაც ასტრახანის საგუბერნიო საარჩევანო კრებაზედ უნდა მიიღონ მონაწილეობა. დონის ოლქისა და ორენბურგის გუბერნიის თვითეულს მაზრაში სოფლის საზოგადოებათა რწმუნებულთა კრების გარ-

და, იმავე წესითა და რიგით შესდგება აგრეთვე სტანიცების რწმუნებულთა კრება. სტანიცების რწმუნებულთ ასტრახნისა, დონისა და ორენბურგის საყაზახო ჯარებიდამ ირჩევენ სტანიცების ყრილობებზედ ყაზახების წოდებიდამა და საზოგადოებიდამა, თვითეულ სტანიციდამ ორ-ორს. კურლიანდიისა ლიფლიანდიისა და ესტლიანდიის გუბერნიებში სოფლ. საზოგადოებათა რწმუნებულებს ირჩევენ საზოგადო სასოფლო ყრილობაზედ თავისს შორისვე. ბესსარაბიის გუბერნიის იზმაილის მაზრაში შესდგება კრება სოფლის საზოგადოებათა რწმუნებულებისა, თვითეულ საზოგადოებიდამ თვითო რწმუნებულისა. აღნიშნულს რწმუნებულებს ირჩევენ თვითეულს საზოგადოებაში ცალკე სანადელო (მინაზომ) მიწის პატრონთა საზოგადო კრებაზედ, რომელიც საზოგადოების პრიმარის (უხუცესი, უფროსი) თავმჯდომარეობით იქმნება მოწვეული.

19. პირველი მუხლის ბ ნაწილში აღნიშნულს ქალაქებში ქალაქის საარჩევანო კრებაზედ ამომრჩევლების არჩევანში მონაწილეობას იღებენ: ა) — ვისაც ქალაქის საზღვრებში საკუთრებათ შეძენილი აქვს ან მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონება, რომელიც საქალაქო გარდასახადისათვის დაფასებულია: სატახტო ქალაქებში — სამას თუმანზედ არა ნაკლებ, ხოლო დანარჩენს ქალაქებში — ას-ოთხმეც-და-ათ თუმანზედ არა ნაკლებ; ბ) ვისაც ქალაქის საზღვრებში ისეთი რამ სავაჭრო-სამრეწველო საქმე აქვს, რომელიც მოითხოვს სამრეწველო მოწმობას: სატახტო ქალაქებში — სავაჭროსათვის პირველის ხარისხისას, სამრეწველოსათვის — პირველის სამის ხარისხისას, ხოლო სანავოსნოსათვის, რომელზედაც წელიწადში ძირითადი სამრეწველო გარდასახადი ხუთას მანეთზე ნაკლები არ არის შეწერილი; დანარჩენს ქალაქებში — სავაჭრო საქმისათვის — პირველის ორის ხარისხისას, სამრეწველოსათვის — პირველის ხუთის ხარისხისასა და სანავოსნოსათვის, რომელზედაც წელიწადში ხუთ თუმანზედ ნაკლები ძირითადი სამრეწველო გადასახადი არ არის შეწერილი; გ) — ვინც ქალაქის საზღვრებში პირად სამრეწველო საქმისათვის პირველი ხარისხის ძირითადს

სამრეწველო გარდასახადს იხდის, და დ) — ვინც ქალაქის საზღვრებში სახელმწიფო ბინის გარდასახადს იხდის მეთე ხარისხიდან მოკიდებული, მეტს.

20. 1 მუხლის ა ნაწილში მოხსენებულს ქალაქებში ქალაქის საარჩევნო კრებისათვის ამომრჩევლების ასარჩევად ქალაქი საარჩევანო ნაწილებათ იყოფა, იმის-და მიხედვით, თუ რა საზღვრებში რამდენი პოლიციის ნაწილია მთელს ქალაქში. განაწილება ამომრჩეველთა რიცხვისა საარჩევანო ნაწილთა შორის ქალაქის გამგეობისა ან მის მონაცვლე დაწესებულებების საქმეა, იმის-და მიხედვით, თუ თვითეულს ნაწილში რამდენი მცხოვრებია სულა, დამტკიცებით-კი გუბერნატორი ან გრადონაჩალნიკი ამტკიცებს.

21. თუ რამდენსამე პირს გაუყოფელი უძრავი ქონება აქვს (მუხლი მე-12, ნ. ნ. ა, ბ და ზ; მუხლი მე-16, ნ. ბ და მუხლი მე-19, ნ. ა), თვითეული მათგანი თავისს ხვედრ წილის მესაკუთრეთ ითვლება და არჩევნებშიაც ამის-და მიხედვით სარგებლობს თავისის უფლებითა.

22. თვითეულს საარჩევანო ნაწილში ან კრებაზე ყველას მხოლოდ თვითო ხმა აქვს.

23. საზოგადო მეთვალყურეობა, რომ არჩევნები სწორედ სწარმოებდნენ, შინაგან საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელობით გუბერნატორებსა და გრადონაჩალნიკებს ევალებათ. უფლება აქვთ ამათა, ჯეროვან პირთა და დაწესებულებათაგან ცნობები მოითხოვონ, როგორ და რა წესით სწარმოებს არჩევნები; აგრეთვე განიხილონ საარჩევნო წარმოება და რჩევა მისცენ, არჩევნების სწორე წარმოება როგორ უზრუნველჰყონ.

24. არჩევნების სისწორის გასაგებადა და არჩევნების შესახებ წარდგენილ საჩივრებისა და განცხადებათა განსახილველად საარჩევანო საქმეთა საგუბერნიო და სამაზრო კომისიები არსდება.

25. საარჩევანო საქმეთა საგუბერნიო კომისიები შესდგება ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით

სახაზინო პალატის მმართველისა, საგუბერნიო ქალაქის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა, საგუბერნიო სათემო, ან სათემო მეურნეობის საქმეთა გამგეობის თავმჯდომარისა, საგუბერნიო ქალაქის ქალაქის თავის ან იმის მოადგილისა, ოლქის სასამართლოს ერთ-ერთ წევრისა, რომელსაც სასამართლოს საზოგადო კრება დაჭნიშნავს და საგუბერნიო საკრებულოს, ან საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს ერთ-ერთ უქვეველ წევრისაგან, რომელსაც გუბერნატორი დაჭნიშნავს.

26. საარჩევანო საქმეთა სამაზრო კომისიები შესდგება ოლქის სასამართლოს წევრის თავმჯდომარეობით, რომელსაც სასამართლოს საზოგადო კრება დაჭნიშნავს, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა, მომრიგებელ ან ქალაქის მოსამართლისა, რომელსაც მომრიგებელ მოსამართლეთა ან ოლქის სასამართლოს საზოგადო კრება დაჭნიშნავს, კუთვნილებისამებრ, სამაზრო სათემო ან სათემო მეურნეობის საქმეთა გამგეობის თავმჯდომარისა, სამაზრო ქალაქის ქალაქის თავისა, გარდასახადთა ინსპექტორისა და ერთ-ერთ სათემო უფროსთაგან, რომელსაც სამაზრო კრება დაჭნიშნავს.

27. საარჩევანო საქმეთა შესახებ საჩივრებისა და განცხადებათა წარდგენა არჩევნების წარმოებას არ აბრკოლებს.

28. სადაც თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლები არ არიან, ამა დებულებაში აღნიშნული თანამდებობანი მათნი უმაღლესად დანიშნულ საგანგებო პირთ ევალებათ. დანარჩენ თანამდებობის პირთა მოვალეობათაც, თუ რომ არ მოიპოვებინან, შესაფერ თანამდებობის პირნი ასრულებენ.

29. სახელმწიფო საბჭოს არჩევნების დროს ჩადენილ ბოროტ-მოქმედებისათვის ისრევე იქმნებიან დევნილნი და დასჯილნი, როგორც წოდებრივ და საზოგადოებრივ არჩევნების დროს ჩადენილ ბოროტ მოქმედებისათვის.

## II. საარჩევანო სიები.

30. სიები იმათი, ვისაც უფლება აქვს მაზრის მემამულეთა და ქალაქის ამრჩევლების კრებებზედ მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, უნდა შესდგეს და ინახებოდეს წესიერად მაზრის მემამულეთა კრებისა—სამაზრო სათემო ან სამაზრო მეურნეობის საქმეთა გამგეობაში, ხოლო იქ, სადაც აღნიშნული გამგეობანი არ არსებობენ,—სამაზრო საპოლიციო სამმართველოში, ქალაქის ამრჩევლებისა—ქალაქის გამგეობასა ან მის სანაცვლო დაწესებულებაში.

31. 1 მუხლის ბ ნაწილში მოხსენებულს ქალაქებში სიები იმათი, ვისაც ქალაქის საარჩევნო კრებაზედა აქვს ამომრჩეველთა არჩევანში მონაწილეობის უფლება, უნდა შესდგეს და ინახებოდეს წესიერად ქალაქის გამგეობისა ან მის სანაცვლო დაწესებულების მიერ. თუ ვისმეს რამდენსამე საარჩევანო ნაწილში აქვს უფლება არჩევნებში მონაწილეობისა (მუხლი მე-20), უნდა ჩაიწეროს იმ ნაწილში მხოლოდ, რომელსაც თვითონ უჩვენებს, ხოლო თუ არ უჩვენებს, იქ, სადაცა სცხოვრობს.

32. საარჩევანო სიებში შეაქვთ ისინი, ვისაც<sup>რ</sup>ისი შედგენამდე (მუხლი მე-30—31) რამ უძრავი ქონება ან სავაქრო-სამრეწველო საქმე ჰქონია, ან-და სამრეწველო გარდასახადი უძლევია სამს წელიწადს მაინცა. უძრავ ქონების მფლობელობისათვის აღნიშნულ ვადის გამოანგარიშების დროს ანგარიშობენ აგრეთვე ვადას მფლობელობისას მემკვიდრეობის გადამცემისას, მხოლოდ ზე-აღმავალ შთამომავლობით. ვისაც არჩევნებში მონაწილეობის მიღება ცოლისა ან დედის უძრავ ქონებითა (მუხლი მე-9) სწადიან, მოვალეა საარჩევანო სიების შემდგენელს დაწესებულებას (იხილე მუხლი მე-30 და 31) დროზედ განუცხადოს.

33. მე-30 და 31 მუხლის თანახმად შედგენილი საარჩევანო სიები ექვის კვირით აღრე არჩევნებამდე აღდი-

ლობრივს უწყებებში უნდა იქმნეს საჯაროდ გამოცხადებული და გარდა ამისა, საყოველთაოდ საცოდნელად რაიმე რიგად გამოქვეყნებული, რომ სიები ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდომი შეიქმნეს.

34. ორის კვირის განმავლობაში, დღიდან ადგილობრივს უწყებებში სიების გამოქვეყნებისა, მსურველთ შეუძლიანთ საჩივარი და განცხადება წარადგინონ მე-30 მუხლში აღნიშნულ სიების არა სისწორითა და სავსებით შედგენის შესახებ — საარჩევანო საქმეთა სამაზრო კომისიაში, ხოლო მე-31 მუხლში მოხსენებულ სიების შესახებ — საარჩევანო საქმეთა საგუბერნიო კომისიაში.

35. საარჩევანო სიებისა და მიღებულ საჩივრებისა, აგრეთვე განცხადებათა განხილვის შემდეგ ჯეროვანი კომისია უცხადებს საჩივრებისა და განცხადებათა წარმდგენელებს თავის დადგენილებასა. შეცვლილს საარჩევანო სიებს ხელახლად აქვეყნებენ ადგილობრივს უწყებებში და გარდა ამისა, საყოველთაოდ საცოდნელად კიდევ სხვა რიგადაც აცხადებენ რომ უფრო ადვილად გაიგოს ყველამა.

36. შესწორებულ სიების ადგილობრივს უწყებებში გამოქვეყნების შემდეგ აღარავითარი დამატებანი და ცვლილებანი აღარ მიიღებიან, გარდა იმ ცნობებისა, რომლებიც ჯეროვან კომისიის დადგენილებაზედ აღძრულ საჩივრის გამოარკვევას შეუწყობენ ხელსა იმ წესით, როგორც ეს მე-47 მუხლშია დადგენილი.

37. ვინც საარჩევანო სიებში არ არის შეტანილი ან არჩევნების დაწყებამდე დაჰკარგავს ცენზსა, არჩევნებში ველარ მიიღებს მონაწილეობასა.

### III. არჩევნების წარმოება.

1) საარჩევანო კრებების არჩევნების წარმოება.

38. 1 მუხლის ბ ნაწილში მოხსენებულს ქალაქებში ქალაქის საარჩევანო კრებისათვის არჩევნების მოსახდენად თვი-

თეულს საარჩევანო ნაწილში (მუხლი 20) შესდგება საარჩევანო კომისია თავმჯდომარისა და ორის წევრისაგან, რომლებსაც ქალაქის თავი ან მისი მოადგილე იწვევს იმათგან, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს. ქალაქის საარჩევანო კრებებში არჩევნები აქავე დართულის წესით სწარმოებს.

39. ამომრჩევლების პირადობასა და მათს რწმუნების ქალაქებს კრების თავმჯდომარე (მუხლი მე-3 და 14) ან საარჩევანო კომისია ამოწმებს (მუხლი მე-38).

40. არჩევანები მაზრის მემამულეთა და რწმუნებულთა კრებებზედ ფარულად სწარმოებს კენჭის ყრით, ქალაქის საარჩევანო კრებაზედ ფარულადვე, ბარათებით.

41. ამომრჩევლები (მუხლი მე-3 და მე-5) და რწმუნებულები წინასწარ კრებებისა (იხ. მე 14 მუხლი) შეიძლება არჩეულ იქმნენ იმათგან მხოლოდ, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს, სახელდობრ, იმ კრებასა და საარჩევანო ნაწილში, სადაც არჩევნები სწარმოებს.

42. საარჩევანო კრებებიდამ ამომრჩევლებათა, აგრეთვე წინასწარ კრებებიდამ რწმუნებულბათ ისინი იქმნებიან მიღებულნი, ვისაც კრების მონაწილეთაგან ნახევარზედ მეტმა მისცა კენჭი, იმ წესითა და რიგით, ვის რამდენად მეტი ამოუვა ხმა. თუ რამდენსამე მათგანს თანახმად ამოუვა კენჭი, არჩევა წილის ყრით მოხდება.

43. 1 მუხლის ბ ნაწილში აღნიშნულს ქალაქებში ქალაქის საარჩევანო კრებაში ამომრჩეულბათ ითვლებიან ისინი, ვისაც საარჩევანო ნაწილში მეტი კენჭი ამოუვიდა, თუნდაც რიცხვი ამ ხმებისა მთლად არჩევნებში მონაწილეთა ნახევარს არც-კი უდრიდეს. თუ კენჭი თანასწორად ამოუვიდათ, არჩევა წილის ყრით ხდება.

44. არჩევნების დასრულების შემდეგ კრებებიც და საარჩევანო კომისიებიც, ორთავე იხურობიან. მეორე დღეს მთელი საარჩევანო წარმოება უნდა წარუდგინონ: კრებების თავმჯდომარეებმა — საარჩევანო საქმეთა სამაზრო კომისიასა, ხოლო საარჩევანო კომისიათა თავმჯდომარეებმა — საარჩევანო საქმეთა საგუბერნიო კომისიასა.

45. სამის დღის განმავლობაში, დღიდგან კრებებისა და საარჩევანო კომისიების დახურვისა, მსურველთ შეუძლიანთ წარადგინონ საჩივრები: საარჩევანო საქმეთა სამაზრო კომისიაში, თუ კრებებზე სწორედ არ უწარმოებიათ არჩევნები და საარჩევანო საქმეთა საგუბერნიო კომისიაში, თუ ქალაქის საარჩევანო კრების ამომრჩევლების არჩევა არ მომხდარა სისწორით.

46. საარჩევანო საქმეთა წარმოებისა და წარდგენილ საჩივრების განხილვის შემდეგ სამაზრო და საგუბერნიო კომისია, თუ რამ საბუთი ექმნება, აუქმებს ამა თუ იმ კრებისა ან საარჩევანო ნაწილის მიერ მომხდარს არჩევნებსა, მთლიანად ან ზოგიერთების შესახებ მხოლოდ. თავის დადგენილებას აღძრულ საჩივრის შესახებ კომისია მომჩივრებს უცხადებს.

47. სამის დღის განმავლობაში, დღიდგან საარჩევანო საქმეთა სამაზრო ან საგუბერნიო კომისიის დადგენილების გამოცხადებისა, მსურველთ შეუძლიანთ საჩივარი შეიტანონ: სამაზრო კომისიის დადგენილებაზედ—საგუბერნიო კომისიაში, ხოლო საგუბერნიო კომისიის დადგენილებაზედ—უმართებელეს სენატში. საჩივარი უნდა წარადგინონ სამაზრო ან საგუბერნიო კომისიაში, კუთვნილებისამებრ, რომელიც მერე საჭირო განმარტებებით სამაზრო კომისიამ ერთის კვირის განმავლობაში უნდა წარადგინოს საარჩევანო საქმეთა საგუბერნიო კომისიაში, ხოლო საგუბერნიო კომისიამ ორის კვირის განმავლობაში—უმართებელეს სენატში.

48. საგუბერნიო საარჩევანო კრებების ამომრჩევლების სიებს ადგენს საარჩევანო საქმეთა სამაზრო კომისია, ხოლო ქალაქის საარჩევანო კრებების ამომრჩევლებისას—საარჩევანო საქმეთა საგუბერნიო კომისია. ორთავე სიებს გუბერნატორისა ან გრადონაჩალნიკის განკარგულებით დაუყოვნებლივ ადგილობრივს უწყებებში აცხადებენ და გარდა ამისა, საყოველთაოდ საცოდნელად კიდევ სხვა რიგად რაგორმე აქვეყნებენ, რომ ყველამ გაიცნოს სიები.

## 2) სახელმწიფო საბჭოს არჩევნები რეკორდ-და სწარმოებს.

49. საგუბერნიო საარჩევანო კრებაზედ ჯერ სოფლის საზოგადოებათა რწმუნებულთა კრებების ამომრჩევლები ირჩევენ თავანთ შორის სახელმწიფო საბჭოს ერთს წევრსა. გარდა ამისა, ერთს წევრს საბჭოსას ირჩევენ თავანთ შორის აგრეთვე ასტრახნისა და ორენბურგის გუბერნიებისა და დონის ჯარების ოლქის სტანიცების რწმუნებულთა კრებების ამომრჩევლები. შემდეგ შეუდგება საარჩევნო კრება მთლად თავისის ამომრჩევლებითურთ გაწერილობით (მუხლი მე-2) დადებულ საბჭოს წევრთა დანარჩენ რიცხვის არჩევასა. არჩევანი ფარულად ხდება, კენქის ყრით.

50. ქალაქის საარჩევანო კრებები (იხ. მუხლი მე-5) ირჩევენ თავისს ამომრჩეველთა შორის იმდენს წევრს სახელმწიფო საბჭოსას, რამდენიც გაწერილობით არის ქალაქზედ დადებული. არჩევანი ფარულად ხდება, კენქის ყრით.

51. კენქის ყრის წინად საგუბერნიო და საქალაქო საარჩევანო კრებები ფარულად ასახელებენ, ბარათებით, კანდიდატებსა. კანდიდატებს შემდეგ ბარათებით მიღებულ ხმების უფროსობით უყრიან კენქსა.

52. თუ საგუბერნიო და საქალაქო საარჩევანო კრებაზედ იმდენს არ ამოუვა ნახევარზედ მეტი კენქი, რამდენიც გაწერილობის მე-2 მუხლით არის ნაჩვენები ამა თუ იმ გუბერნიისა, ოლქისა თუ ქალაქისათვის საბჭოში წარსაგზავნი წევრი, მაშინ მეორე დღეს განმეორებითს არჩევნებს ჰნიშნავს კრება, რომ წევრთა ნაკლებობა შეავსოს. თუ დამატებით არჩევანზედაც ვერ აირჩევენ, მესამედ ინიშნება მესამე დღეს უკანასკნელი არჩევანი, რომლის დროსაც არჩეულად ითვლება ყველა, ვინც-კი შედარებით მიიღებს მეტს კენქსა.

53. სახელმწიფო საბჭოს წევრად მხოლოდ იმისი არჩევა შეიძლება, ვინც სურვილს განაცხადებს ამისას. ვინც სახელმწიფო სამსახურის რამ ჯამაგირიანს თანამდებობას ას-

რულებს, სახელმწიფო საბჭოში წევრად არჩევის შემდეგ თანამდებობაზედ უთუოდ უარი უნდა სთქვას.

54. სახელმწიფო საბჭოს წევრობაზედ კენჭის ყრის უფლება ყველას მხოლოდ ერთს საარჩევანო—საგუბერნიო ან საქალაქო—კრებაზედა აქვს, მეტგან არა.

55. საბჭოს წევრად არ შეიძლება არჩეულ იქმნეს რუსულის ენის უცოდინარი პირი.

56. საგუბერნიო და საქალაქო საარჩევანო კრებები არჩევნების დასრულებისათანავე იხურება. მეორე დღესვე უთუოდ მთელი საარჩევანო საქმეთა წარმოება კრებათა თავმჯდომარეებმა, კუთვნილებისამებრ, გუბერნატორსა ან გრადონაჩალნიკს უნდა წარუდგინონ.

57. თუ არჩევნები სწორედ არ მოხდა, ან დადგენილი წესი დაირღვა, სამის დღის განმავლობაში, დღიდან საარჩევანო კრების დახურვისა, მსურველთ შეუძლიანთ ამის შესახებ გუბერნატორსა ან გრადონაჩალნიკს, კუთვნილებისამებრ, საჩივარი წარუდგინონ.

58. საარჩევანო საქმის მთელს წარმოებას, აგრეთვე საჩივრებსა და საარჩევანო კრებების თავმჯდომარეთა განმარტებას მათ შესახებ, გუბერნატორი ან გრადონაჩალნიკი უმართებელეს სენატში ადგენს ერთის კვირის განმავლობაში, დღიდან საქმის წარმოების მიღებისა.

59. საარჩევანო საქმის წარმოების გადასინჯვისა და წარდგენილ საჩივრების განხილვის შემდეგ, თუ საბუთი ექმნება, უმართებელესი სენატი ან მთლიანად აუქმებს ამა თუ იმ გუბერნიისა, ოლქისა და ქალაქის არჩევნებს, ან მხოლოდ ზოგიერთა წევრის შესახებ.

60. წინასწარს (მე-59) მუხლში აღნიშნული საქმეები საბოლოოდ გარდასწყდება უმართებელეს სენატის პირველს დეპარტამენტში, ობერ-პროკურორის აზრის მოსმენის შემდგომ, დამსწრე სენატორთა ხმის უმეტესობით; იმ შემთხვევაში, თუ ხმები შუა გაიყო, იმ აზრისა თანახმად, რომელსაც დამსწრე სენატორთაგან პირველი სენატორი მიემხრობა.

თავმჯდომარემა და საარჩევანო კომისიის წევრებმა უნდა მოაწერონ ხელი.

9. ხმების თვლა და ანგარიში არჩევნების მეორე დღეს სწარმოებს დილის ცხრა საათიდან საღამოს ცხრა საათამდის საარჩევანო კომისიის სხდომაზე, რომელსაც შეიძლება ამრჩევლებიც დაესწრნენ.

10. საარჩევანო ყუთის გაღების შემდეგ თვითეულს საარჩევანო ბარათს ნუმერს უსმენ და თუ მე-5 მუხლში მოხსენებულს ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და კომისიის წევრთა შორის ექვს არა ჰბადებს, წოდებას, სახელს, მამის სახელს, გვარს და საარჩევანო სიის ნუმერს თვითეულ ამომრჩევლისას, რომელიც ბარათშია მოხსენებული, კითხულობენ და კომისიის ორი წევრი ცალკ-ცალკე იწერენ საგანგებო ქაღალდზე. თვითეულს ასეთს ქაღალდს შემდგენელი ხელს აწერს. ყველა ბარათების ამოღებისა და განხილვის შემდეგ კომისიას მსჯელობა აქვს საექვო ბარათების შესახება და თავისს გარდაწყვეტილებისა და აგრეთვე საბუთების შესახებ, რომლებითაც ბარათები სცნო გაუქმებულათა, განსაკუთრებულს ოქმს ადგენს, რომელსაც თავმჯდომარე და კომისიის წევრები აწერენ ხელსა. საგანგებო ქაღალდებს, რომლებზედაც ამომრჩევლებად წარდგენილი პირნი არიან ჩამოწერილები, ანბანის რიგზედ აწყობენ და ითვლიან.

11. თუ რომ ხმების დათვლასა და ანგარიშს ერთს დღეს ვერ მოათავებენ, ბარათების რიცხვის შესახებ ოქმის შედგენის შემდეგ: ა) რამდენი ბარათი ამოიღეს ყუთიდანა, ბ) რამდენი კანონიერი გამოდგა, გ) რამდენი საექვოდ იქმნა ცნობილი და დ) რამდენი წაიკითხეს,—აღნიშნულს ბარათებს, აგრეთვე საგანგებო ქაღალდებს, სადაც ამომრჩევლები არიან ჩამოწერილები, ცალკ-ცალკე პაკეტებში აწყობენ, რომლებსაც თავმჯდომარის ბეჭედს ასმენ და კომისიის წევრები, აგრეთვე დამსწრე ამრჩევთაგან მსურველები ხელს აწერენ. აგრეთვე ჰბეჭდვენ იმ ყუთებს, საიდანაც ჯერ ბარათები არ ამოუღიათ.

თავმჯდომარემა და საარჩევანო კომისიის წევრებმა უნდა მოაწერონ ხელი.

9. ხმების თვლა და ანგარიში არჩევნების მეორე დღეს სწარმოებს დილის ცხრა საათიდან საღამოს ცხრა საათამდის საარჩევანო კომისიის სხდომაზე, რომელსაც შეიძლება ამრჩევლებიც დაესწონენ.

10. საარჩევანო ყუთის გაღების შემდეგ თვითეულს საარჩევანო ბარათს ნუმერს უსმენ და თუ მე-5 მუხლში მოხსენებულს ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და კომისიის წევრთა შორის ექვს არა ჰბადებს, წოდებას, სახელს, მამის სახელს, გვარს და საარჩევანო სიის ნუმერს თვითეულ ამომრჩევლისას, რომელიც ბარათშია მოხსენებული, კითხულობენ და კომისიის ორი წევრი ცალკ-ცალკე იწერენ საგანგებო ქალაღღზე. თვითეულს ასეთს ქალაღღს შემდგენელი ხელს აწერს. ყველა ბარათების ამოღებისა და განხიღვის შემდგე კომისიას მსჯეღობა აქვს საეკვო ბარათების შესახება და თავისს გარღაწყვეტიღებისა და აგრეთვე საბუთების შესახებ, რომღებიტაც ბარათები სცნო გაუქმებულატა, განსაკუთრებულს ოქმს აღგენს, რომელსაც თავმჯდომარე და კომისიის წევრები აწერენ ხელსა. საგანგებო ქალაღღებს, რომღებზეღაც ამომრჩევღებად წარღგენიღი პირნი არიან ჩამოწერიღები, ანბანის რიგზეღ აწყობენ და ითვღიან.

11. თუ რომ ხმების ღათვღასა და ანგარიშს ერთს ღღეს ვერ მოატავებენ, ბარათების რიცხვის შესახებ ოქმის შეღგენის შემდგე: ა) რამღენი ბარათი ამოიღღს ყუთიღამა, ბ) რამღენი კანონიერი გამოღგა, გ) რამღენი საეკვოღ იქმნა ცნობიღი და დ) რამღენი წაიკითხეს,—აღნიშნულს ბარათებს, აგრეთვე საგანგებო ქალაღღებს, საღაც ამომრჩევღები არიან ჩამოწერიღები, ცალკ-ცალკე პაკეტიღებში აწყობენ, რომღებსაც თავმჯდომარის ბეკედს ასმენ და კომისიის წევრები, აგრეთვე ღამსწრე ამრჩევტავან მსურვეღები ხელს აწერენ. აგრეთვე ჰბეკღვენ იმ ყუთებს, საიღამაც ჯერ ბარათები არ ამოულღათ.

# ნ ა რ ე ვ ი

1) რესპუბლიკა და ხალხის კეთილ-დღეობა.—2) ახალი ზელანდია.—3) ხელოვნური აბრეშუმი.—4) გული სიკვდილის შემდეგ.—5) ვიგორტი.—6) ხელოვნურად დაფერადება პეპელებისა.—7) კრემნიტი.—8) ძველებური თოფი.—9) ინგლისური უნივერსიტეტები.—10) რუსეთის განათლების დასამტკაცებლად.

**რესპუბლიკა და ხალხის კეთილდღეობა.** ბევრი მტერი ჰყავს საფრანგეთის რესპუბლიკას, რომელნიც არაერთად ღონისძიებას არ იუკადრისებენ, ოღონდ რაიმე ჩირქი მოსცხონ ხალხის ბატონობას. სხვა მრავალ ცილისწამებათა შორის ამასაც ამტკიცებდნენ ეს ვაჟბატონები,—რესპუბლიკამ ხალხი გააღარიბაო; მაგრამ სახელმწიფო ხაზინის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობები მემკვიდრეობათა რაოდენობის შესახებ სულ წინააღმდეგს მოწმობს და ამტკიცებს, რომ საფრანგეთში თავის დღეში არა ყოფილა იმდენი სიმდიდრე და იმდენი მდიდარი, რამდენიც ამ ჟამად მოიპოვება, ესე იგი რესპუბლიკის დროს. 1904 წელს 378878 კაცი მომკვდარა და თითო მათგანს დაუტოვებია თავის მემკვიდრეთათვის არა ნაკლებ 250 ათასი ფრანკისა, ესე იგი ათი ათასი თუმნისა, სულ ყველას ერთად დარჩენიათ 2700 მილიონ ფრანკად ესე იგი 108 მილიონ თუმნად ღირებული მემკვიდრეობა. მიცვალებულთაგანს 211 კაცს დაუტოვებია თითოს 1—2 მილიონი ფრანკი (ფრანკი—ორი აბაზია დღევანდელი კურსით), 132 თითოს 2 ღვან 5 მილიონამდე, 33 თითოს 5 ღვან 10 მილიონამდე, 11 თითოს 12 ღვან 30 მილიონამდე და სამს—თითოს 30 მილიონზედ მეტი. უკანასკნელთაგანი ერთი იყო მარინონი, გაზეთის პატრო-

ნი, მეორე ბარონი როტშილდი და მესამე ისპანიის დედოფლად ნამყოფი იზაბელა.

\*\*

**ახალი ზელანდია.** ბედნიერ ქვეყნად, სადაც ადამიანს უფრო მეტი თავისუფლება აქვს შეძენილი, ვიდრე სხვაგან სადმე, დღეს ახალი ზელანდია ითვლება, რომლის მცხოვრებთა რიცხვი 4759 ათასს შეადგენს. წარსული საუკუნის მეშვიდე ათეულის განმავლობაში ახალ ზელანდიის მცხოვრებთა რიცხვმა ასხედ თერთმეტით იმატა, რადგან ოქროს მადნები აღმოაჩინეს იმ ხანად და მრავალი ხალხი მიაწყდა ახალს საშოვარს; მას შემდეგ მართებლობამ ცოტა არ იყოს შეზღუდა უცხოთა შეხიზნვა და 1901 წელს ხალხმა ასხედ სულ ორით-ღა იმატა. ამ გარემოების მიზეზად ასახელებენ მალტუსის თეორიას და შეხიზნულთა რიცხვის შემცირებას. პირველი ესე იგი მალტუსის თეორია იმაში მდგომარეობს, რომ ცოლ-ქმარნი ცდილობენ ერთის, თუ გაქირდა ორი შვილის მეტი არ გაუჩნდეთ, და მეორე-მართებლობის მიერ სასტიკ კანონად დადებული პირობებია; მაგ. თუ ვისმე ახალ ზელანდიაში დასახლება უნდა, უთუოდ უნდა იცოდეს წერა-კითხვა; არა აქვთ ნება დასახლებისა გარდა ამისა ბნედიანებს, გარყვნილ დედაკაცებს, კუტებს, ყრუ-მუნჯებს და გადამდებ სენით ავადმყოფებს (ქირი, ათაშანგი და სხვ.) თუ ვინმემ გაბედა და შეიპარა, ორმოცდაათ თუმანს გადაახდევინებენ ჯარიმას, ან სამი თვით დაპატიმრებენ და სამძიმო საქმეებს აკეთებინებენ. უკანასკნელ ხანამდე არც ჩინელებს და ზანგებს ჰქონდათ ზელანდიაში დასახლების უფლება, მაგრამ ტროპიკულმა სიცხემ ისე შეაწუხა ევროპიელები, ისე გაუძნელა მუშაობა, რომ იძულებული გახდნენ უფრო მეტის ამტანი ჩინელები შეეყვანათ თავიანთ ქვეყანაში; ამ ჟამად ახალ ზელანდიაში 8462 ჩინელი ცხოვრობს.

\*\*

**ხელაგურა აბრეშუმა,** ანუ ეგრეთ წოდებული ფრანგული აბრეშუმი კეთდება ბამბისა და ხის მაგარ ნაწილთაგან

(ცელულოზი). პირველად ეს აზრი გამოსთქვა 1734 წელს რეომიურმა, მაგრამ სხვა გამოკვლევებით გატაცებულმა ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქცია და ვერ განახორციელა. ხისაგან აბრეშუმის მომზადებას შეუდგა შემდეგში გრაფი შარდინე, რომელმაც პირველმა იხმარა ხის დასალბობად ალკოოლის (სპირტის) და ეთერის ნარევი; მერმე იგივე საშუალება შეიმუშავეს და გააუმჯობესეს ფივიემ და კოლიმ. ხელოვნური აბრეშუმი პარიზის 1889 წლის გამოფენაზედ ნახა საზოგადოებამ; შემდეგ ლიონის 1894, პარიზის 1900 და დიუსელდორფის 1903 გამოფენაზედ. უკანასკნელ წლებში მომზადებული აბრეშუმი არაფრით განირჩევა ნამდვილისაგან და უპირატესობა-კი მრავალი აქვს: სიაფე, მეტი ფერადოვნება, მეტი სიმაგრე; ხელოვნურ აბრეშუმს იმისთანა გასაფალი აქვს, რომ საფრანგეთში, ბელგიაში, გერმანიაში, შვეიცრეთულ შტატებში, იტალიაში და ავსტრიაში უკვე დიდრონი ქარხნები არსებობენ მის მოსამზადებლად. ქ. ბენანსონში ამერიკულ მესაათეთა მეტოქეობისა გამო ძალიან დაეცა მესაათეთა საქმე და გაქირებიდგან იმით იხსნეს თავი, რომ საათების მაგივრად ხელოვნურ აბრეშუმის კეთებას შეუდგნენ. ჯერჯერობით გირვანქა ხელოვნური აბრეშუმი მანეთი ჯდება (12 ფრანკი კილო), მაგრამ ქიმიის წყალობით შეიძლება უფრო გაიაფდეს და აიცილოს ის ნაკლულევანებანი, რომელნიც ღღესა სქირს: იმდენ ხანს ვერ სძლებს, რამდენსაც ნამდვილი და გარდა ამისა ძალიან მალე ხდება ნოტიო ჰაერში. ბუზმენტში ღღეს აღარსად ხმარობენ ნამდვილ აბრეშუმს, არამედ ხელოვნურს; აგრეთვე მებელის გადასაკრავში, ყელსახვევებში. 1904 წელს 40 ათასი ფუთი ხელოვნური აბრეშუმი მომზადდა, მაგრამ უკვე მრავალი ახალი ქარხანა შენდება და, როდესაც ისინიც შეუდგებიან საქმეს, 360 ათას ფუთს მოამზადებენ ყოველ-წლივ. რამდენად სარგებლიანია ეს დარგი წარმოებისა, იქიდგან სჩანს, რომ 1904 წელს ფრანკ-ფურტის ერთმა ქარხანამ ასზედ 35 წმინდა მოგება მიიღო, და ამერიკელმა ერთმა ამხანაგობამ 400 ათას მანეთზედ პირველსავე წელს 300 ათასი მანეთი მოგება ნახა.

გული საკვდილას შექმდეგ. ჰამბურგში სიკვდილით დასაჯეს ერთი 48 წლის სრულიად ჯანსაღი დედაკაცი. მახვილმა უცბად მოაშორა ტანს თავი. დოქტორებმა დენეკემ და ადამმა ორი გირვანქა სისხლი მოაგროვეს და ჭიბრინი (თეთრი ნაწილი სისხლისა) მოაშორეს. 9 და 12 წ. მკვდარი ოთახში შეიტანეს, გაატიტვლეს და მკერდი გაუჭრეს. გული ჯერ ისევ სცემდა, თუმცა სუსტად. გული ამოაცალეს, გარეცხეს და 20 წ. შემდეგ (9. 32 წ.) ჭიბრინს მოკლებული გამთბარი სისხლი შეუშვეს. გულმა მაშინვე მწყობრი ცემა დაიწყო, მაგრამ უფრო მეტი ძალით, ვიდრე სიცოცხლის დროს სცემდა. სიკვდილის შემდეგ ორმა საათმა განვლო, და გული კი ჯერ ისევ ცოცხალი იყო.

\*\*

ვიგორიტა, ახალი ასაფეთქებელი წამალი არის, შვეიცარიელ შულცის და გეპრეს მიერ შეზავებული ნიტრის სიმყავისა და გვარჯილისაგან. უმთავრესი მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ თავის-თავად არ იფეთქებს, რაც უნდა მძიმე საგანი დაეცეს და გარდა ამისა ნოტიო, წყალი და ყინვა არას ავნებს. თუ ჰაერზედ არის და ისე მისცეს ცეცხლი, ნელ-ნელა იწვის, აუფეთქებლად. ცდამ დაამტკიცა, რომ აქამდე ცნობილ ყველა ასაფეთქებელ წამალზედ (თოფის წამალი, დინამიტო, მელინიტი და სხ.) უფრო მძლავრი ვიგორიტი არის.

\*\*

ხელფანჯრად დაფერადება პეპელებისა. შვეიცარიელი მსწავლელი, პროფესორი სტანჟუსი ოცი წელიწადია პეპელებს სწავლობს და ცდილობს გამოიკვლიოს, — რა გავლენა აქვს სიცხე-სიცივეს პეპელების ფრთების ფერადოვნებაზედ. თავის დაკვირვებათა ნაყოფი ამას წინად გამოაქვეყნა პროფესორმა და გამოაცხადა, — რა ფერიც მინდა, იმ გვარისას გამოვიყვან პარკილამ პეპელასაო. შუა-ვერობის პეპელების პარკები რომ ცივად შეინახოს კაცმა, უფერული პეპელა გამოვა და იმ პეპელებს ეგვანება, რომელნიც ცივ ქვეყნებში სცხოვრობენ; პირიქით, თუ პარკი თბილ, ცხელ ჰაერში იყო,

იმისთანა პეველა გამოვა, რომელიც ევროპაში კი არა, სადმე სუმატრაზედ და ცეილონზედ იცის ტროპიულ ქვეყნებში. ევროპის სამეცნიერო მწერლობაში დარჩენილა აღწერა იმ პეველებისა, რომელნიც რამდენიმე საუკუნის წინად ყოფილან და სწორედ ამისთანა პეველები შექმნა მსწავლულმა, რომელნიც უწინ ყოფილან ევროპაში. ამ გამარჯვებას მეცნიერებისას თან ახლავს შემდეგი კითხვა: აქვს ასე ხელოვნურად გაჩენილს მწერს ძალი გამრავლებისა, თუ უნაყოფო არის? სტანდჭუსმა ამ განძრახვით საგანგებო ყვავილებით დამშვენებული ბალი გააშენა თავის პეველათა საცხოვრებლად და მოსაშენებლად და ჯერ ჯერობით მრავალ ცდათაგან მარტო ერთმა მისცა ნაყოფიერების იმედი; თუ ამ კითხვაშიც მიაღწია პროფესორმა საწადელს, დამტკიცდება, რომ ცხოველთა გვარი შეიძლება სხვა გზითაც გაჩნდეს, ვიდრე დარვინის თეორიის მიმდევართ სწამდათ.

\*\*

**კრემანტი** ახლად გამოგონილი საშენებელი მასალაა, რომელიც დიდად გააადვილებს და დაამშვენებს სახლებს. თიხას, ქვიშას და საკირე ქვას ურევენ ერთმანეთში, აღულებენ, სურვილისამებრ შეღებავენ და დამდნარ ნარევს სხვა და სხვა ყალიბში ჩამოასხამენ. გაცივებული კრემნიტი მარმარილოს ჰგავს და, რადგან მეტად იაფია, საშენებელ მასალად და კრამიტად ხმარობენ. კრემნიტს, პეტერბურგის მიდამოებში აკეთებენ.

\*\*

**ძველებურა თოფი**, რომელიც ფისტონის მაგივრად ტალით იყო დამშვენებული, დღეს მარტო მუზეუმებში-ლა მოიპოვება და რადგანც კერძო პირთაც მრავალთა აქვს სახლში დაცული კოლექცია იარაღისა, ქ. ბირმინგამში მთელი ქარხანა არსებობს ძველებური თოფების გასაკეთებლად და კვირაში 1200 ცალს გზავნის გასასყიდად. იგივე წარმოება ყვავის ბელგიაში, ქ. ლიეჟში, საიდანაც მუზეუმების გარდა,

აფრიკაშიც გზავნიან ამ თოფებს, რადგან აფრიკელ ზანგებს აკრძალული აქვთ ფისტონიან თოფების შექმნა. ამ ყალბ, „ძველებურ“ თოფებს დიდი გასაყალი აქვს ამერიკაში მდიდართა კოლონელების დასამშვენებლად.

\*\*

**ინგლის-ურა უნაგვრისიტეტი.** აქამდე სულ სამი უნივერსიტეტი იყო ინგლისში—ოქსფორდისა, კემბრიჯისა და ლიურჰემისა. ამ უკანასკნელ დროში კი თითქმის ყველა დიდმა ქალაქმა გამოაცხადა სურვილი საკუთარ უნივერსიტეტის აგებისა. ლონდონმა დაიწყო, მას მიჰყვა ბირმინგამი, მანჩესტერი, ლივერპული, ლედსი, შეფილდი. შეფილდის უნივერსიტეტი წელს გახსნეს კათათვის 12; მარტო შენობა დაჯდა ორ მილიონ მანეთად. საინტერესო ამ ახალ უნივერსიტეტში ის არის, რომ აქამდე არისტოკრატიული მიმართულება უნივერსიტეტისა დღეს დემოკრატიულად შეიცვალა და უმაღლესი განათლება სახალხოდ და ადვილ მისაღწევად გახდა: აქამდე ოქსფორდსა და კემბრიჯში მარტო მდიდართ შეეძლოთ ცხოვრება და უმაღლესი განათლების მიღება. დღეს კი ყველა დიდ ქალაქში არსებობს უნივერსიტეტი და მაშასადამე ყველას აქვს შეძლება იქ სიარულის და ლექციების სმენისა.

\*\*

**რუსეთის განათლების დასამტკიცებლად.** ბ. დემჩინსკის შვილი ჰყავს შორეულ აღმოსავლეთში, ხომალდზედ მოსამსახურე; რადგან მის ცოლს ხვედრი ჯამაგირი არ მისცეს, ბ. დემჩინსკი მივიდა მეზღვაურთა შტაბში საქმის გამოსარკვევად.

პატარა ოთახში მოგროვილა 10-15 ქალი, უმეტესად თალხებით მოსილნი. მორიგი მოხელე ჰკითხავს, რა გნებაეთო, და გარბის საქმის გასაგებად. რიგისთვის რომ მეცადაო, მოგვითხრობს ბ. დემჩინსკი, ძალიან დაგვიანდებოდა და გადავწყვიტე უფროსის ვისიმე ნახვა.

- სადა ბრძანდება ნაჩალნიკი შტაბისა? ვკითხე მეკარეს.
- როჟესტვენსკი?

— ვინც უნდა იყოს? სად ბრძანდება?

— იაპონიაში, ბატონო.

ეგვეც ხომ ვისწავლევ: შეიძლება თურმე ადმირალის ჯა-  
 მაგირიც იღოს კაცმა და შტაბის უფროსისაც.

— აქ ნაჩაღნიკის თანამდებობას ვინ ასრულებს?

— ადმირალი ბეზობრაზოვი.

— აქ არის?

— არა, ბატონო, დასასვენებლად ბრძანდება დათხოვნ-  
 ილი.

— იმის ალაგას ვილაა?

— ადმირალი ვირენიუსი.

— აქ არის?

— არა, ბატონო: სამი დღეა სოფლიდგან არ ჩამოსულა.

— ხუმრობ, თუ? იმის თანაშემწე?

— ადმირალი...

— ჰო! აქ არის?

— აქ ბრძანდება, მაგრამ არ დაიარება.

— მაშ ვინ დაიარება?

— მეორე თანაშემწე, ადმირალი ნიდერმილდერი. ოღონდ  
 დღეს არც ის მოსულა.

— მაშ შტაბის ადიუტანტი მაჩვენე.

— ზილოტტი?

— ჰო, ზილოტტი იყოს.

— სამ საათზედ შემოივლის ხოლმე, ისიც ხანდახან.

— მაშ ვის მივმართო?

— აი, ბატონო, მორიგი მოხელე...

ან კიდევ მეორე: სევასტეპოლში პოლიციელმა უბნის  
 ზედამხედველმა ქალი გააუპატიურა შიგ პოლიციაში. ქალის  
 ნათესავებმა ექიმს მიმართეს, შეამოწმე და მოწმობა გვი-  
 ბოძეო.

ექიმმა კეშმარიტად განათლებული პასუხი მისცა:

— წადით, პოლიციის ნებართვა მომიტანეთ და მაშინ შევამოწმებო.

წავიდნენ პოლიციის ბოქაულთან. ბოქაულმა გადაჭრილი პაუზი მისცა:

— გინდათ ოცდა ათი თუმანი მიიღეთ და შერიგდით. თუ არა და ჩივილის ნებას მე არავის მივცემ.

წავიდნენ ახლა პოლიცმეისტერ პაპოვთან; მოახსენეს, სთხოვეს.

— ეგ უბნის ზედამხედველის კერძო საქმეა, ბრძანა პოლიცმეისტერმა, და მე სრულიადაც არ შემიხება.

— ექიმი თქვენს ნებართვასა გვთხოვს, ბატონო: არ შევამოწმებ, მანამ არ მომიტანთო.

— არა მცალიან... კმარათ! გასწით!

გამომძიებელთან წავიდნენ, შინ არ დახვდათ; პროკურორთან მივიდნენ, — არც ის იყო შინა... დადიან საწყლები და შინ ვერავის ჰპოვებენ. პოლიცია კი თავისას გაიძახის:

— თუ გინდათ, ოცდა ათი თუმანი მიიღეთ და შევირგდეთ, თორემ ცოტა ხანს უკან უარს ვიტყვით: — არც სადმე ქალი გვინახავს და არც რამე ჩაგვიდენიაო!

რაკი პოლიციაზედ ჩამოვარდა ბაასი, ერთ ამბავსაც მოგიყვანთ ჩერნიგოველ პოლიციის პრაქტიკიდგან.

ბაზრობაა, ხალხით სავსეა მოედანი. ყველგან პოლიციელები დარბიან. ყველა პოლიციელს თან რამდენიმე კეტით შეიარაღებული კაცი ახლავს. აგერ მთვრალი გლეხი-კაცი... ბარბაცებს, ფეხზედ ძლივლა დგას... ქუდი მოიხადა და სიტყვით მიმარხა ხალხს:

— კაცნი არა ვართ, ხალხო, ქუდი არა გვხურავს, რომ ამოდენას ვუთმენთ პოლიციელებს?! ქალი და კაცი აღარ გააჩნიათ მაგ... (რუსული გინება!) უღმერთოდა გვცემენ, ფეხქვეშ გვთელავენ! მოსაკლავნი არიან ეგ... (კვლავ რუსული გინება!) ჩვენ რომ თავმოყვარობა გვქონდეს, დავიპყროდით და...

იქვე პოლიციელი დგას, ყურს უგდებს და იღიმება.

— ჰო და რა, მართალია, ღმერთმანი! — წამოსცდა ვილასაც.

— მართალია?! ჰაი შე... მისცვივდნენ უბედურს პოლიციელნი და კეტოსანნი და იმდენი სცემეს, მანამ მე და შენ მივეშველებოდით, მკითხველო.

## შინაური მიმდინარეობა

ეროვნული საკითხი და დეცენტრალიზაცია მოსკოვის საერობო და საქალაქო მოღვაწეთა კრებაზე.—სათავად-აზნაურო გიმნაზიის საქმეები.

სახელმწიფო სათათბიროში ხალხის წარმომადგენელთა არჩევნებისთვის აგიტაცია უკვე დაიწყო. პირველი ოფიციალური სააგიტაციო კრება მოხდა მოსკოვში. კრებას დაესწრნენ საერობო და საქალაქო მოღვაწენი. როგორც ვიცით, საერობო და საქალაქო მოღვაწენი უკვე რამდენიმე წელიწადია დაუახლოვდნენ ერთმანეთს და შექმნეს პოლიტიკური ორგანიზაცია ანუ პარტია თავის პოლიტიკურ იდეალების განსახორციელებლად. ამ პარტიის კრებები უკანასკნელ ერთის წლის განმავლობაში რამდენჯერმე მოხდა; კრებებს კერძო, არა ოფიციალური ხასიათი ჰქონდა, ფარულად იმართებოდა და ფარულადვე ვრცელდებოდა ხალხის ფართო წრეებში კრებებზე შემუშავებული რეზოლიუციები. ამისდა მიუხედავად მაინც მთელმა ქვეყანამ შეიტყო, რომ საერობო პარტია რადიკალური კონსტიტუციონალური პარტია იყო. უკანასკნელი კრება სექტემბერში მოხდა, მაგრამ ეხლა ეს კრება მთავრობის ნებართვით გაიმართა და იმის სააგიტაციო მნიშვნელობა უფრო ძლიერია, ვიდრე წინანდელის კრებისა.

მოსკოვის კრებაზე საერობო პარტიას თავისი აზრი უნდა გამოეთქვა, სხვათა შორის, ეროვნულ საკითხის და კანონმდებლობის დეცენტრალიზაციის შესახებ. ამიტომ ჩვენთვის, განაპირა ქვეყნელებისთვის, მოსკოვის კრებაზე მიღებულს რე-

ზოლიუციებს განსაკუთრებითი ინტერესი აქვს. საერობო პარტიის რეზოლიუციებს ჩვენი პრესა და საზოგადოება საერთოდ წრფელის სიხარულით მიეგება. ამ რეზოლიუციებმა ზოგიერთ წრეებში აფრთოვანებაც კი გამოიწვია. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ცოტა დაახლოვებით გავითვალისწინოთ მოსკოვის კრების უკანასკნელი რეზოლიუციები და ჩვენი აზრი გავარკვიოთ მათს შესახებ.

ეროვნულ საკათხის და დეცენტრალიზაციის შესახებ კრებაზე ბ-ნმა კოკოშკინმა ვრცელი მოხსენება წაიკითხა. გაზეთის „რუსკია ვედომოსტის“ სიტყვით მოხსენების წაკითხვას სრული საათნახევარი მოუნდა ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მოხსენება დღემდე გამოქვეყნებული არ არის, გაზეთებში მოყვანილია მხოლოდ დასკვნა ამ მოხსენებისა, ანუ თეზისები.

თეზისები დაყოფილია სამს ნაწილად, პირველი შეეხება ეროვნულ უფლებათა უზრუნველყოფას, მეორე მმართველობის დეცენტრალიზაციას ანუ ადგილობრივ თვითმმართველობას, მესამე კანონმდებლობის დეცენტრალიზაციას ანუ ავტონომიურ თვითმმართველობის დაწესებას.

ეროვნულ უფლებათა უზრუნველსაყოფელად წამოყენებულია შემდეგი ოთხი თეზისი ანუ აზრი:

1) რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონი უზრუნველ მყოფელი უნდა იყოს იმპერიაში მცხოვრებ ყველა ერისთვის კულტურულ თვითგამორკვევის უფლებისა; უზრუნველყოფილი უნდა იყოს აგრეთვე თავისუფალი ხმარება სხვა და სხვა ენებისა საზოგადოებრივს ცხოვრებაში, თავისუფლება კრებისა, კავშირებისა, სასწავლებლებისა და ყოველნაირ დაწესებულებებისა, რომელსაც კი აზრად ეროვნულ ენის, ლიტერატურის და კულტურის დაცვა და განვითარება აქვს.

2) რუსული ენა უნდა დარჩეს ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებების, მხედრობის და ფლოტის ენად.

3) რომელი ენა იხმარება ადგილობრივ საადმინისტრაციო და სასამართლო დაწესებულებებში, — ეს უნდა განისაზღვრებოდეს საერთო და ადგილობრივ კანონებით; კანონების



ფარგალში კი—თვით ამ დაწესებულებათა დადგენილებით, ან იმ ორგანოთა გადაწყვეტილებით, რომელთაც ეს დაწესებულებანი ექვემდებარებიან. ადგილობრივ თვითმმართველ კრებების და მათ აღმასრულებელ ორგანოთა ენა ის უნდა იყოს, რომელსაც თვით ეს კრებები მოისურვებენ.

4) სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმმართველობის ხარჯზე არსებულ სასწავლებლებში სასწავლო ენა ის უნდა იყოს, რომელსაც შემოიღებს ის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულება, რომლის უწყებაშიაც სასწავლებელი იმყოფება. ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ყველგან სამშობლო ენაზე მიიღონ პირველ დაწყებითი და, რამდენადაც შესაძლოა, შემდეგი განათლებაც.

გაზეთ „რუსკია ვედომოსტის“ 262 ნომერში მოთავსებული ანგარიშით, საერობო და საქალაქო მოღვაწეთა კრებაზე ეროვნულ უფლებათა უზრუნველ საყოფელად მიღებულ იქმნა ამ ოთხის თეზისიდან მხოლოდ პირველი, სხვა გაზეთების ცნობით კი, მიღებულ იქმნა ოთხივე თეზისი. აღვნიშნავთ რა ამ უთანხმოებას, ჩვენ საქიროდ მიგვაჩნია ვთქვათ, რომ ეს უთანხმოება მხოლოდ სიტყვიერია, რადგან ნამდვილად მართა ოდენ პირველი თეზისი შეიცავს ეროვნულ უფლებათა უზრუნველყოფელ დადგენილებას მეორე, მესამე და მეოთხე თეზისს კი არსებითად თითქმის არაფერი არა აქვს საერთო ეროვნულ უფლებებთან. შეეჩერდეთ ამ საგანზე რამოდენიმე ხანს.

ეგრედ წოდებულ „ეროვნულ უფლებათა“ უზრუნველყოფამ ანუ გარანტიამ შესაძლოა სხვა და სხვა ნაირი სახე მიიღოს, რომელთაგან ზოგი ნამდვილად იქნება უზრუნველყოფელი ეროვნულ უფლებებისა და ზოგი მხოლოდ სიტყვიერად, ესე იგი მხოლოდ ქაღალდზე. როგორი გარანტია მიეცემა ეროვნებას სახელმწიფოში, ეს იმაზე დამოკიდებული, თუ როგორა აქვს წარმოდგენილი გარანტიის მიმცემს ეროვნება ანუ ერი. შესაძლოა, ერი განვიხილოთ, როგორც

განსაზღვრულ ინდივიდუალურ თვისებების მატარებელ პიროვნებათა კრებული, და შესაძლოა აგრეთვე, თითონ ერი წარმოვიდგინოთ, როგორც განსაკუთრებული ინდივიდუუმი ანუ ორგანიული ერთეული. განსხვავებას ამ ორ გვარ წარმოდგენის შუა მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ საკითხის გადასაწყვეტად კანონმდებლობის მიერ. თუ ერი ინდივიდუუმების ანუ პიროვნებათა კრებულა, მაშინ ეროვნული უფლება იგივე პიროვნების უფლებაა— არც მეტი, არც ნაკლები. პირიქით, თუ ერი განსაკუთრებითი ორგანიული ერთეულია, მაშინ პიროვნების უფლება და ეროვნების უფლება სრულიად სხვა და სხვაა. პირველს შემთხვევაში ეროვნული საკითხი გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, რაკი სახელმწიფოს ძირითადი კანონი ერთის მხრივ მოქალაქობრივ თავისუფლების პრინციპს და მეორის მხრივ მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპს აღიარებს: რაკი ეროვნება ინდივიდუალურ, პიროვნულ თვისებად იქმნება მიჩნეული, ცხადია სამოქალაქო თავისუფლება და თანასწორობა ერთად ერთ საშუალებად უნდა გვეჩვენოს ეროვნულ ინტერესების დასაცველად და გასავითარებლად; ამ ორი პრინციპის განხორციელებით მოისპობა უთანასწორობა ეროვნებათა შორის და გაიხსნება გზა თავისუფალ ეროვნულ განვითარებისთვის. პირიქით, თუ ჩვენი მსჯელობა, ეროვნების ამ ატომისტურ მსჯელობაზე კი არ დავამყარეთ, არამედ იმის საძირკვლად მივიღეთ ეროვნების ორგანიული ბუნება, მაშინ ჩვენ პიროვნულ თავისუფლების და თანასწორობის პრინციპი ვერ დაგვაკმაყოფილებს, რადგან ეს პრინციპები შეეხებიან განცალკევებულად მყოფს ადამიანებს და არა ადამიანთა ისეთს ორგანიულს ჯგუფს, რომელსაც ერს უწოდებთ.

ვინც ერის ატომისტურ თეორიით ხელმძღვანელობს, ესე იგი ვინც ეროვნებას განცალკევებულ პიროვნებათა თვისებად და ინტერესად სთვლის, ის „ეროვნულ უფლების“ პატრონად ანუ სუბიექტად ჩასთვლის თითოეულს ადამიანს, პირიქით ვინც ეროვნების ორგანიულ თეორიას მისდევს,

იმის თვალში „ეროვნულ უფლებათა“ პატრონი არის მთელი ერი და არა ამ ერის თითოეული ბუნებრივი წარმომადგენელი. პირველ შემთხვევაში სხვა და სხვა ერის ინტერესების უზრუნველსაყოფელად არავითარი განსაკუთრებითი ეროვნული დაწესებულება ანუ ეროვნული თვითმმართველობა არ არის საჭირო, რადგან ეროვნული ინტერესები თითოეულის ადამიანისთვის ცალკე არსებობს და თითოეული ადამიანი ცალკე უნდა იცავდეს იმას; პირიქით, მეორე შემთხვევაში, ერი აუცილებლად საჭიროებს განსაკუთრებითს დაწესებულებებს ან თვითმმართველობას, რადგან უამისოდ ეროვნულ ინტერესების და უფლებების დაცვა შეუძლებელია.

მოსკოვის კრებაზე წამოყენებული იყო ოთხი თეზისი ეროვნულ უფლებათა უზრუნველსაყოფელად და, თუ გვინდა ამ თეზისების რეალური მნიშვნელობა გავითვალისწინოთ, აუცილებლად პირველ ყოვლისა უნდა გამოვარკვიოთ, ეროვნების ატომისტიური შეგნება უდევს ამ თეზისებს საფუძვლად, თუ ორგანიული შეგნება.

პირველი თეზისი ორი ნაწილისაგან შესდგება. პირველს ნაწილში გამოთქმულია საზოგადო აზრი, იმპერიის კანონმა ყველა ერს კულტურული თვითგამორკვევა უზრუნველ უნდა უყოსო. ეს ზოგადი აზრი თითქმის სიტყვა სიტყვით არის ამოღებული ავსტრიის კონსტიტუციის მეცხრამეტე მუხლიდან; ავსტრიის კონსტიტუცია აცხადებს: თითოეულს ერს შეურყეველი უფლება აქვს დაიცვას და განავითაროს თავისი ეროვნება და ენაო. განსხვავება აქ მხოლოდ ის არის, რომ მოსკოვის კრების თეზისი კულტურულ თვითგამორკვევაზე ჩერდება, ავსტრიის კონსტიტუცია კი ენასა და ეროვნებაზე (nationalité) ლაპარაკობს. დავანებოთ ჯერ-ჯერობით თავი ამ მკირეოდენს განსხვავებას, მით უმეტეს, რომ ეს განსხვავება უფრო სიტყვიერია, ვიდრე ფაქტიური.

უფლებას მხოლოდ მაშინა აქვს რეალური ღირებულობა, როდესაც იმის განხორციელება შეიძლება. უამისოდ უფლება მკვდარია და არავისთვის არაფერს სანუგეშოს არ წა-

რმოადგენს. უფლება თვითგამორკვევისა ან ენის და ეროვნების განვითარებასა (როგორც ავსტრიის კონსტიტუცია ამბობს) მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ნამდვილ უფლებად იწოდოს, როდესაც იმასთან ერთად იგულისხმება სათანადო მოვალეობა. სადაც უფლებაა, იქ უთუოდ მოვალეობაც უნდა იყოს: თუ ჩემს უფლებას სხვისა მოვალეობა არ ექვემდებარება, მე უძლური ვარ ეს უფლება განვახორციელო; აი სულ უბრალო მაგალითი ყოველდღიურ ცხოვრებში: ამ აზრის გასათვალისწინებლად: თუ მე თქვენი ვექსილი მიჭირავს, ვთქვათ, ასი მანათისა, და მაშასადამე უფლება მაქვს ასი მანათი მოვითხოვო, ამ უფლებას რეალური ღირებულება მხოლოდ მაშინ ექნება, თუ თქვენ მოგაქვს ხაზთ გადაიხადოთ ასი მანათი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი უფლება ყინულზეა დაწერილი; მაგრამ ეს კიდევ არა კმარა. საჭიროა მე საშუალება მქონდეს, თუ თქვენ ნებაყოფლობით არ აასრულეთ თქვენი მოვალეობა და ასი მანათი არ გადაიხადეთ, მივმართო ისეთს დაწესებულებას ან პირს, რომელიც თქვენს მოვალეობას ძალად აგასრულებინებთ. აი სწორედ ამ გვარადვე უნდა განვიხილოთ თვით გამორკვევის უფლებაც. ამ უფლებას რომ რეალური ღირებულება ჰქონდეს, საჭიროა არსებობდეს სათანადო მოვალეობა და დაწესებულება, რომელიც თუ საჭიროებამ მოითხოვა, ძალად აასრულებინებს ამ მოვალეობას იმას, ვისაც იგი აწევს.

მოსკოვის საერობო მოღვაწეთა კრებამ ყველა ერს მიანიჭა უფლება კულტურულ თვითგამორკვევისა. კარგი და პატიოსანი—მაგრამ სად არის ამის საპასუხო მოვალეობა და სადაა ის დაწესებულება, რომელსაც თითოეულ ერს შეუძლიან მიჰმართოს თხოვნით, რომ ეს მოვალეობა აღსრულებულ იქმნას? ამის პასუხს ტყუილად მოეძებნით მოსკოვის კრების დადგენილებაში; ძალიანაც რო სდომებოდა, მოსკოვის კრება ვერსად ვერ იპოვნიდა იმ საპასუხო მოვალეობას, რომელსაც კულტურულ თვითგამორკვევის უფლება იგულისხმებს, იმ მარტივი მიზეზის წყალობით, რომ ერის კულტურული თვით-

გამორკვევა (თუ კი ამ სიტყვას რამე მნიშვნელობა შეიძლება მივცეთ) ბუნებრივი პროცესისა და არა უფლება ან მოვალეობა. ერის კულტურული თვითგამორკვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება უფლების ან მოვალეობის იურიდიულ ობიექტად გადაიქცეს, როდესაც თვით ერი იურიდიულ ერთეულად იქმნება აღიარებული ე. ი. მიღებულ იქნება ორგანიული ბუნება ერისა. მოსკოვის კრება ეროვნულ უფლებახე ლაპარაკობს და თვით ერს კი ისე უყურებს, როგორც ერთის ეროვნების ინდივიდუუმებთა აგლომერატს (კრებულს) და არა როგორც ორგანიულს და უფლებრივს ერთეულს.

ერი რომ იურიდიულ ერთეულად იყოს მიჩნეული, მაშინ ეროვნული კულტურული „თვითგამორკვევა“ რეალურად წარმოგვიდგებოდა როგორც ეროვნული თვითმმართველობა; ეს თვით მართველობა იქნებოდა შინაარსი ეროვნულ უფლებისა და ამ უფლების მოპასუხე მოვალეობა იქნებოდა სახელმწიფოსაგან დაცვა ამ ეროვნულ თვითმმართველობისა. ეროვნულ თვითმმართველობის გაუქმება ან მიუნიკებლობა თითოეულ ერისადმი იქნებოდა ძირითადის უფლებების ანუ ძირითადის კანონების სრული დარღვევა; თუ ეროვნულ თვითმმართველობის დამრღვევი—სახელმწიფო უფლობის გარეშე რამ მყოფი ძალა იქნებოდა, მაშინ თვით სახელმწიფო შეიქმნებოდა მოვალე, უფლებრივი მდგომარეობა აღედგინა და განეხორციელებინა, და თუ თვით სახელმწიფო დაარღვევდა ეროვნულ თვითმმართველობას, ამით სრულიად მოსპობოდა უფლებრივი მდგომარეობა და თვითმმართველობის აღსადგენად თითოეულს ერს ის ღონე უნდა ექმარა, რომელსაც კი შესძლებდა და მოახერხებდა.

უფლება ერის კულტურულ თვითგამორკვევისა ან, როგორც ავსტრიის კონსტიტუცია ამბობს, უფლება ეროვნების და ენის განვითარებისა ისეთი ორკოფი ცნებაა, რომელიც ერთის მხრივ ერის მთლიანობას სცნობს და მეორის მხრივ უარჰყოფს. თვითგამორკვევა თავის თავად ყოველად უაზრო და უშინაარსო სიტყვაა. გამორკვევა რას ჰქვია—ეს ყველას გვე-

სმის, გამორკვევა არის ახსნა, განმარტება, ამიტომ თვით-გამორკვევა უნდა იყოს თავისი თავის ახსნა, თავისი თავის განმარტება. ცხადია, ვინც თვითგამორკვევაზე ლაპარაკობს, იმას ეს თვითგამომრკვევი არსება ერთს ორგანიულ ერთეულად მიაჩნია, რადგან თავისი თავის გამორკვევა მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც ეს „თავისი თავი“ აქვს. სხვანაირი შეგნება თვითგამორკვევისა შეუძლებელია. როდესაც ერის თვითგამორკვევაზე ლაპარაკობენ, აუცილებლად იგულისხმებენ, რომ ერი წარმოადგენს ერთს ერთეულს; აქედამ ბუნებრივად გამომდინარეობს აზრი ეროვნულ თვითმმართველობის შესახებ, რადგან თუ ერს თვითმმართველობა არა აქვს, ცხადია იმისი თვითგამორკვევა ყოვლად მოუხერხებელი იქნება; თვითმმართველო ერი შეიძლება სხვამ ვინმე გამოარკვიოს, მაგრამ ეს პირდაპირ გამორკვევა იქნება და არა თვითგამორკვევა. ეროვნული თვითმმართველობა პოლიტიკური ცნებაა და იგულისხმებს პოლიტიკურს დაწესებულებებს, მაგრამ თვითგამორკვევის ვითომდა დამცველნი, ერისაგან პოლიტიკურ მომენტების ჩამოსაცილებლად გაიძახიან, თვითგამორკვევა კულტურული უნდა იყოსო, ესე იგი ერმა ისე უნდა გამოირკვაოს თავისი თავი, რომ არავითარი ეროვნული თვითმმართველობა არ იყოს იმისთვის საჭიროვო.

მოსკოვის კრებაც სწორედ ამ აზრზე სდგას თავის პირველ თეზისის პირველს ნაწილში; კულტურულ თვითგამორკვევის უფლება იმპერიის ძირითადის კანონით უნდა უზრუნველ ყოფილ იქნას ყველა ერისთვისო. ერის თითოეული ბუნებრივი წარმომადგენელი და თუნდაც რამდენივე ერთად, რა თქმა უნდა, ერი არ არის, ის მხოლოდ ერის ნაწილია, და ამიტომ იმას ან იმათ არც უფლება ექნებათ და არც ფაქტიური სახსარი, ერის კულტურული თვითგამორკვევა დაიწყონ: მთლად ერს კი, თუ თვითმმართველობა არ მიენიჭა, არასოდეს ეროვნულ კულტურის თვითგამომრკვევი ორგანო არ ექმნება და ეგრედ წოდებულ უფლება კულტურულ თვით გამორკვევისა მუდამ ფუქ, უშინაარსო სიტყვად დარჩება, რომელსაც არავითარი რეალური ღირებულება არ ექნება.

ზემოხსენებულ მოსაზრებათა გამო, ჩვენის ფიქრით, მოსკოვის კრებისაგან აღიარებული უფლება კულტურულ თვითგამორკვევისა, თუნდაც რომ ეს პრინციპი იმპერიის ძირითად კანონებში იქმნას შეტანილი, ჩვენთვის არაფერს სანუგეშოს და საიმედოს არ წარმოადგენს. როგორც ბუნებრივი ფაქტი, ეროვნული კულტურის განვითარება (კულტურული თვითგამორკვევა) ეხლაც სწარმოებს და, რაც უნდა დაიწეროს კანონებში, ის მაინც იწარმოებს; როგორც უფლება კი, კულტურული თვითგამორკვევა მხოლოდ თვალის ამბმელი სიტყვაა და არა რეალური ღირებულება.

პირველი თეზისის მეორე ნაწილი მოითხოვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ენათა თავისუფალს ხმარებას, კრებების და კავშირების თავისუფლებას, ყოველგვარ დაბრკოლებას გაუქმებას ისეთ სასწავლებლებისა და დაწესებულებათა დაარსებისთვის, რომელთაც აზრად ეროვნულ ლიტერატურის დაცვა და განვითარება აქვთ.

ამ დადგენილებას ჩვენთვის მეტად დიდი ფასი აქვს. თავისუფლება კრებისა, კავშირებისა და ეროვნულ საგანმანათლებლო დაწესებულებებისა ფართო ასპარეზს იძლევა ეროვნულ განვითარების საფუძველზე მოღვაწეობისთვის. როგორც ვიცით, ეხლა პირველ დაწყებითი სკოლაც კი არ შეგვიძლიან ეროვნულ ნიადაგზე მოვაწყოთ. მოსკოვის დადგენილება კი უფლებას გვაძლევს ეროვნულის უნივერსიტეტის დასაარსებლადაც კი. ეს უფლება იმდენად ფართოა, რომ იმის ავსება რეალურის შინაარსით არა თუ ეხლა არ შეგვიძლიან, ვერც თუ შემდეგში მოვახერხებთ; კულტურული ეროვნული განვითარებისთვის გზა მუდამ გახსნილი იქნება და, თუ მხნე მოღვაწეები აღმოჩნდნენ, თვალსაჩინოდ დაწინაურდება ჩვენი დაბეჩავებული ეროვნული ცხოვრება. დღეს ქართული ეროვნული კულტურა გამოიხატება მხოლოდ სამი გაზეთის, ერთი ჟურნალის და ორი საზოგადოების ანუ კავშირის არსებობაში. ეს საზოგადოებებია: წერა-კითხვის გამავრცელებელი და დრამატიული; ამის გარეშე ჩვენ არავითარი ქართული კულტურული დაწე-

სებულება არა გვაქვს: სათავად-აზნაურო გიმნაზიაც კი, რომელიც ქართველ საზოგადოების ხარჯზედ ინახება, ჩვენს ფიქრით ქართული ეროვნული კულტურული დაწესებულება არ არის, რადგან ამ სასწავლებელში სწავლა სამშობლო ენაზე არა სწარმოებს.

თუმცა შეუძლებელია, ზემოხსენებულ დადგენილების მნიშვნელობა გავაზვიადოთ ეროვნულ განვითარებისთვის, მაგრამ იმის მნიშვნელობა დიდია დღევანდელ წესწყობილებასთან შედარებით და არა იმ უფლებრივ წესრიგთან შედარებით, რომელიც განახლებულს რუსეთს უნდა მიეცეს. მოსკოვის კრებაზე საერობო მოღვაწეებმა საჭიროდ სცნეს, სხვათა შორის, შემოღება სრულის სამოქალაქო თავისუფლებისა და დემოკრატიულ საკონსტიტუციო რეჟიმისა. ეს კი იმის მომასწავებელია, რომ დამყარდება კრებების, კავშირების და საზოგადოებათა დაარსების და სხვა თავისუფლება. ეგრედ წოდებული სამოქალაქო თავისუფლება, რომელიც დემოკრატიულ კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია, ყოველს მოქალაქეს მოქმედების სრულს თავისუფლებას აძლევს და არავის არ უკრძალავს ნებაყოფლობით შეკავშირებას თავის იდეალების განსახორციელებლად და ინტერესების დასაცველად; აკრძალული რჩება მხოლოდ მშვიდობიანობის და წესრიგის დარღვევა. ასეთს პირობებში, ცხადია, სრულებით საჭირო არ არის განსაკუთრებითი კანონი, რომლითაც ერთის ეროვნების ბუნებრივს წარმომადგენლებს ნება ეძლევათ გაჰმართონ ხოლმე კრება, დაარსონ კავშირები თავიანთ შორის, შექმნან განმანათლებელი კულტურული დაწესებულებანი ლიტერატურის და ენის გასავითარებლად, — საჭირო არ არის, რადგან ყველა ამას სამოქალაქო თავისუფლება აუცილებლად და თავისთავად იგულისხმებს. რამდენადაც ეროვნულ კულტურის განვითარება ცალკე პირობოვნების ან ცალკე პიროვნებათა ნებაყოფლობით შემდგარს კავშირებზეა დამყარებული, იმდენად ეროვნული განვითარება თავისთავად უზრუნველყოფილია სამოქალაქო თავისუფ-



ლების დამკვიდრებით, შვეიცარიაში ან საფრანგეთში შემთხვევით თუ განგებ გადახვეწილ ქართველებს იქ არავინ არ უშლის უცენზუროთ ქართულ ენაზე ჟურნალი და გაზეთი გამოსცენ, კრებები გამართონ, სკოლები დაიარსონ და სხვა, მაგრამ ყველა ამის უფლება მარტო ოდენ იმიტომა აქვთ, რომ იქ სამოქალაქო თავისუფლება ყველასათვის უზრუნველყოფილია; განსაკუთრებითი კანონი არა ფრანგებისთვის, კრებათა თავისუფლების შესახებ საფრანგეთში არ არსებობს და ასეთ კანონის საჭიროებას იქ არც არავინ ჰგრძნობს. ამასვე უნდა მოველოდდეთ დემოკრატიულ კონსტიტუციონალურ რუსეთის საზღვრებშიაც. ამ მოსაზრებით მოსკოვის კრების გადაწყვეტილება, რომელიც პირველ თეზისის მეორე ნაწილშია გამოთქმული, არა რუსთათვის მაგრე რიგად მომხიბლველი არ უნდა იყოს.

მეორე და მესამე თეზისი შეეხება ადგილობრივ და ცენტრალურ დაწესებულებებში სხვა და სხვა ენის ხმარებას. პირველ ყოვლისა ცენტრალურ დაწესებულებებსა, მხედრობასა და ფლოტში აუცილებლად უნდა იხმარებოდეს მხოლოდ რუსული ენა. ურიგოდ არ მიგვაჩნია, მოვიგონოთ როგორ არის მოწესრიგებული ენების საქმე შვეიცარიაში. შვეიცარიის კონფედერაციის კონსტიტუციის მე-116-ე მუხლი ამბობს: სამი მთავარი ენა, რომელზედაც ლაპარაკობენ შვეიცარიის მცხოვრებნი, გერმანული, ფრანგული და იტალიური კონფედერაციის ნაციონალური ენებიაო. ენათა რეალური თანასწორობა მხოლოდ ასეთის პრინციპით შეიძლება დაცულ იქნას. თანახმად ამ პრინციპისა არც ერთს დაწესებულებაში, სულ ერთია ცენტრალური იქნება იგი თუ ადგილობრივ, არც ერთი ენის ხმარება არ იქნება აკრძალული იყოს. იგივე პრინციპი ენათა თანასწორობისა დაცულია შვეიცარიის თითოეულ კანტონის კონსტიტუციით; ბერნის კონსტიტუციის მე-88 მუხლი, მაგალითად, ამბობს; გერმანული და ფრანგული ენა ორივე ნაციონალური ენაა. — ყოველი კანონი, ბრძანება და დადგენილება, რომელსაც კი საერთო ინტერესი აქვს, კან-

ტონის ფრანგულს ნაწილებში ორთავე ენაზე უნდა გამოცხადდეს. — კანონები და ბრძანებანი, რომელთაც კანტონის მხოლოდ ფრანგულ ნაწილებისთვისა აქვთ მნიშვნელობა, გამოცემულ უნდა იქმნან ფრანგულადაც. მოსკოვის საერობო მოღვაწეთა კრებამ ასე შორს წასვლა ვერ გაბედა და დაადგინა, ცენტრალურ დაწესებულებებში მხოლოდ ერთად ერთი რუსული ენა უნდა იხმარებოდეს.

„ადგილობრივ საადმინისტრაციო და სასამართლო დაწესებულებებში ის ენა იქნება შემოღებული, რომელსაც საერთო და ადგილობრივი კანონები დააწესებენო.“ ეს დადგენილება მეტად დამახასიათებელია თავისუფლების მოყვარე საერობო მოღვაწეებისთვის. პირველად რომ წაიკითხავთ, ცენტრალურ დაწესებულებებში რუსული ენა უნდა იყოსო, გვეგონებათ ალბად ადგილობრივ არა ცენტრალურ დაწესებულებებში ადგილობრივი ენები იქნება შემოღებულიო, მაგრამ ჰკითხულობთ და რას ჰხედავთ? — ადგილობრივ დაწესებულებათა ენა კანონმა უნდა განსაზღვროსო. ჩვენთვის ის კი არ არის. საინჟერესო, ვინ განსაზღვრავს, ჩვენ გვანდა ვიცოდეთ რუსეთის ლიბერალების აზრი, გვინდა ვიცოდეთ, იმათ როგორ ნებავთ, ისინი რომელ ენის შემოღებას დაუქვრენ მხარს, ადგილობრივს თუ რუსულს. ამის შესახებ მოსკოვის კრება სდუმს, კრინტსაც არა სძრავს და ლიბერალურ ფრაზებს კი ისვრის: კანონების ფარგალში თვით ადგილობრივი დაწესებულებანი გადასწყვეტენ, რომელი ენა იხმარონო. გაზეთის „რუსსკია ვედომოსტის“ ანგარიშში, როგორც ვთქვით, მეორე, მესამე და მეოთხე თეზისი სულ არ არის მოხსენებული. სხვა გაზეთები კი ამბობენ, კრებამ ეს თეზისები მიიღოვო. ჩვენ გვეგონია, რომ „რუსსკია ვედომოსტი“ მშვენივრად მოიქცა; დაინახა, რომ ამ თეზისებში არავითარი აზრი არ არის გამოთქმული, ეროვნული საკითხი ან, უფრო ვიწროდ, ენათა საკითხი სრულიად გადაჭრილი არ არის, და ამიტომ საჭიროდაც არა სცნო, ამ თეზისების მიღებაზე ეთქვა რამე თავის ანგარიშში. მართლაც და, რა მნიშვნელობა აქვს ასეთს

დადგენილებას: რომელ ენაზე გაიმართება ადგილობრივ სამართლის წარმოება, — ამას კანონი გადასწყვეტსო? ცხადია, არავითარი. მაშ რატომ მიიღო კრებამ ასეთი რეზოლიუცია, თუ იმას რეალური შინაარსი არა აქვს? ჩვენის ფიქრით, იმიტომ რომ მოსკოვის კრება სააგიტაციო კრება იყო და ლიბერალებს ფრაზეოლოგიით არა რუსთა გულის მოგება უნდოდათ — აკი კიდევ მიახწიეს თავის მიზანს: ჩვენმა პუბლიცისტებმა კინაღამ შეიკრიკი აფრინეს მოსკოვისკენ მაღლობის სათქმელად.

ასეთივე ფუჭი ფრაზეოლოგიის ხასიათი აქვს მეოთხე თეზისს, სკოლების შესახებ. სასწავლებლებში სასწავლო ენა ის იქნება, რომელსაც სათანადო უწყება შემოიღებსო. ეს მოსკოვის კრების წინაც კარგად ვიცოდით, მაგრამ არავის არ გვაკმაყოფილებდა; მოსკოვის კრებამ კი ამას ისეთი წინასიტყვაობა წაუძღვარა კულტურულ თვითგამორკვევის შესახებ, რომ ლიბერალისმის ქსელებში ადვილად აბაჟს გულუბრყვილო მეთვალყურეებს და აფიქრებინებს, ვითომც მოსკოველებს ახალი რამ გაემეტნიათ არა რუსთათვისო. ჩვენ ვიცით, რომ კავკასიის ბიუროკრატიამაც საჭიროდ სცნო პირველ დაწყებითის განათლების მოწყობა სამშობლო ენაზე და ამაზე შორს ვერც მოსკოვის ლიბერალები წავიდნენ. იმათაც მხოლოდ ის აზრი გამოსთქვეს, რომ პირველ დაწყებითი სწავლა სამშობლო ენაზე უნდა იყოსო. ამას ჩვენ ბიუროკრატია არა თუ სიტყვიერად გვპირდება, უკვე ნამდვილადაც გვისრულებს, ასე რომ სასიხარულოს მოსკოვის კრების მეოთხე თეზისიც სულ არაფერს შეიცავს.

მეორე ნაწილი საერობო და საქალაქო მოღვაწეთა დადგენილებებისა შეეხება მმართველობის დეცენტრალიზაციას და ეროვნულ საკითხისთვის საინტერესოს არაფერს არ წარმოადგენს. მაგრამ რაკი პირველი ნაწილი დაწვრილებით გავარჩიეთ, მოგვყავს ამ დადგენილებათა მეორე ნაწილიც:

1) ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს უნდა ებაროს ყველა ადგილობრივი საქმე, მშვიდობიანობის და

წესიერების დამცველ პოლიციის გამოუკლებლივ; მათ მოქმედების წრის გარეშე მხოლოდ იმ გვარი საქმეები უნდა დარჩნენ, რომელნიც თანამედროვე სახელმწიფოებრივ ცხოვრების პირობათა მიხედვით აუცილებლად ცენტრალისტურად უნდა ეწყობოდნენ. (მაგალითად მმართველობა სამხედრო, საბაჟო, საქციზო, საფოსტა-ტელეგრაფო და სხვა).

2) ცენტრალურ მმართველობის ადგილობრივ წარმომადგენელთა მოქმედება მხოლოდ კანონიერების მხრივ თვითმმართველობის ორგანოთა მოღვაწეობაზე თვალყურის ქერას უნდა წარმოადგენდეს; როდესაც კი ამ მხრივ რაიმე სადავო ან საექვო საგანი აღმოჩნდება, საქმის საბოლოო გადაწყვეტა სასამართლო დაწესებულებას უნდა მიენდოს.

3) არსებულ კანონების ფარგალში, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს ფართო უფლება უნდა ჰქონდეთ საყოველთაო სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა. ამასთან, რაც შეიძლება მეტი წილი იმ საგნებისა, რომელნიც ეხლა საკანონმდებლო უფლებას ექვემდებარებიან, უნდა გადატანილ იქმნას სავალდებულო დადგენილებათა უწყების სფერაში (მაგალითად, წესები ტყის დაცვის შესახებ, მოწესრიგება სამიწადმფლობელო ურთიერთობისა, წესები ადგილობრივ მნიშვნელობის გზათა გაყვანის შესახებ, წესები ნაღირობის შესახებ და სხვა.).

ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა აუცილებელი პირობაა საზოგადოებრივ თვითმოქმედების გასავითარებლად და ამიტომ ეს დადგენილება მოსკოვის კრებისა, როგორც პროგრესიული და დემოკრატიული, ყოველმხრივ მოსაწონია. ჩვენს მკითხველს ვთხოვთ გულისყური მიაპყრას თვითმმართველობის ფართო უფლებას სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის საქმეში; დიდად საინტერესოა ამ კანონმდებლობითის უფლების შედარება ავტონომიურ კანონმდებლობასთან.

კანონმდებლობის დეცენტრალიზაციის შესახებ მოხსენების ავტორმა, კოკოშკინმა, წამოაყენა შემდეგი შვიდი თეზისი:



1) დაწესება ადგილობრივ წარმომადგენლობით კრებებისა, რომელთაც უფლება ექნებათ უწყებულ საქმეთა შესახებ მონაწილეობა მიიღონ საკანონმდებლო უფლობის განხორციელებაში, ეხლაც კი იმპერიის ზოგიერთ ნაწილებისთვის საჭიროა და მომავალში ყველგან საჭირო შეიქნება.

2) დამყარდება რა იმპერიაში სამოქალაქო თავისუფლება და წესიერი ხალხის წარმომადგენლობა საკონსტიტუციო უფლებებით, კანონიერი გზა უნდა გაიხსნას ადგილობრივ ავტონომიათა დასაწესებლად, იმის მიხედვით თუ რაოდენ გამოირკვევა ავტონომიის საჭიროება ადგილობრივ მცხოვრებთათვის და ავტონომიურ ოლქების ბუნებრივი საზღვრები.

3) ავტონომიურ ოლქების დაარსება თითოეულ შემთხვევაში ცალკე კანონის გამოცემით უნდა ხდებოდეს.

4) ადგილობრივი საკანონმდებლო კრებულები დამყარებულ უნდა იყვნენ საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ არჩევნებზე.

5) საიმპერიო ძირითად კანონის ყველა დადგენილება, გარდა ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებათა მოქმედების წრის შესახების იმ დადგენილებებისა, რომელნიც შეცვლილ იქმნებიან, და აგრეთვე საიმპერიო კანონი პალატაში ხალხის წარმომადგენელთა არჩევნების შესახებ—ჰმოქმედებენ ავტონომიურ ოლქის საზღვრებშიაც.

6) წარმომადგენლობა ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთაგან საერობო პალატაში ავტონომიურ ოლქებისთვის შეიცვლება წარმომადგენლობით ადგილობრივ საკანონმდებლო კრებულისაგან.

7) საიმპერიო ძირითად კანონის და აგრეთვე ავტონომიის დამაწესებელ კანონის ფარგალში შინაგანი მოწყობილება თითოეულის ავტონომიურის ოლქისა განისაზღვრება ადგილობრივ საკანონმდებლო კრების მიერ.

გაზეთებიდამ ვიცით, რომ კრებამ მიიღო მხოლოდ მეორე თეზისი; დანარჩენი ექვსი თეზისი თუმცა მიღებული არ არის, მაგრამ არც უარყოფილია, რადგან მეორე თეზისში

მოკლედ არის გამოთქმული ყველა ის, რასაც დანარჩენი ექვსი თეზისი შეიცავს. გაზეთი „პრაეო“ გადმოგვცემს, შეიღივე თეზისი მიღებულია.

პირველ თეზისში პრინციპიალურად აღიარებულია ავტონომიურ თვითმმართველობის საჭიროება, მაგრამ ის აზრიც ნათლად არის გამოთქმული, რომ ავტონომია ყველგან და ყველასათვის არ არის საჭიროვო; ნათლად არის გამოთქმული აგრეთვე ის აზრი, რომ ავტონომიის საჭიროება მხოლოდ ეროვნულ განვითარების განსაზღვრულს საფეხურზე სჩნდება. ჩვენ ამ უკანასკნელს აზრებს ვერ დავეთანხმებით. ჩვენ გვგონია, რომ თვითმმართველობა განვითარების ყოველ საფეხურზეა საჭირო, სწორედ იმიტომ რომ თითონ ეს თვითმმართველობაა უძლიერესი იარაღი ეროვნულის განვითარებისა და სწორედ თვითმმართველობის უქონლობაა უპირველესი მტერი განვითარებისა. რუსეთში დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც კონსერვატორები ამტკიცებდნენ საერობო თვითმმართველობა მხოლოდ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზეა საჭირო და ამ საფუძვლით კავკასიისთვის, მაგალითად, ერობა მავნებლიდ მიაჩნდათ. ეხლა საერობო მოღვაწეთა კრება იმასვე იმეორებს. მაგრამ ეს ზოგადი აზრია, წინასიტყვაობაა და დავანებოთ იმას თავი, მით უმეტეს რომ კრებისაგან ეს თეზისი მიღებული არ არის.

მეორე თეზისით, ავტონომიათა დასაარსებლად კანონიერი გზა უნდა იყოს გახსნილი. ყოვლის უწინარეს იბადება საკითხი, რა რეალური აზრი აქვს ამ „კანონიერს გზას,“ რას ჰქვიათ „კანონიერი გზა ავტონომიების დასაწყობებლად.“ თუ ავტონომია განვითარების განსაზღვრულ სიმაღლის მოთხოვნაა, გარკვევით ნაჩვენები უნდა იყოს ნიშნები განვითარებისა, რომელიც, იმპერიის ძირითადის კანონით, ავტონომიურ თვითმმართველობის შემოღებას საჭიროდ და შესაძლოდ ჰხდის; თუ საზომი თვით მცხოვრებთა შეგნებაა, თუ იმის შემოღება ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ავტონომიის აზრის გავრცელებაზეა დამოკიდებული, ამ შემთხვევაში „კა-

ნონიერი გზა“ უნდა აღნიშნავდეს უფლებას, ამ საკითხის შესახებ პლენუმის კომიტეტი გაიმართოს ხოლმე. მოკლედ რომ ვთქვათ „კანონიერი გზა“ ფუჟი და უშინაარსო სიტყვაა იმ დრომდე, ვიდრე გარკვევით ნათქვამი არ იქნება, რა წესით და რა რიგით უნდა წყდებოდეს საკითხი ავტონომიების შესახებ.

მოსკოვის კრებამ მხოლოდ ეს მეორე თეზისი მიიღო და სრულიად არა სცდილა რეალურად გაერკვია ავტონომიების დაარსების წესი. კოკოშკინის მოხსენება კი გვეუბნება (მესამე თეზისი), ამისთვის ცალკე კანონის გამოცემა საჭიროვო. როგორც მკითხველი ჰხედავს, მოხსენებას აქაც ისეთივე ორ-აზროვანი პოზიცია უჭირავს, როგორც ენათა საკითხის შესახებ: კანონი გადასწყვეტსო. დღემდე არავის ექვი არა გეჟონია, რომ კანონი სახელმწიფო ცხოვრების ყოველს სფეროში უმაღლესი და უძლიერესი ძალაა, ვიცით აგრეთვე, რომ რასაც კანონი დაადგენს, ის კიდევ ასრულდება მშვიდობიანობის დროს, მაგრამ რომელიმე საკითხზე პასუხის გაცემა იმით, რომ ეს საკითხი კანონით გადაწყდებაო, ვერავის ვერ დააკმაყოფილებს. საზოგადოებრივ მოქმედების ასპარეზზე გამოსული საზოგადოებრივი ძალა თავის პროგრამას, თავის მისწრაფებას, თავისს აზრს უნდა გვატყობინებდეს, და არა იმას, რომ ამა და ამ საკითხს კანონი გამოარკვევსო.

ფრიად საინტერესოა აგრეთვე ვიცოდეთ, რას უწოდებს საერობო მოღვაწეთა კრება ავტონომიურ თვითმმართველობას. კანონმდებლობის დეცენტრალიზაცია—მეტად ზოგადი სიტყვაა და საკმაოდ გარკვეული შინაარსი არა აქვს იმას: დეცენტრალიზაცია ფართოც შეიძლება იყოს, ვიწროც. როდესაც ადგილობრივ თვითმმართველობაზე ანუ მმართველობის დეცენტრალიზაციაზე იყო ლაპარაკი, მოსკოვის კრებამ გადასწყვიტა დიდი ნაწილი საქმეებისა, რომლებიც ეხლა საიმპერიო კანონმდებლობას ეკუთვნიან, გადაქცეულ უნდა იქნას სავალდებულო დადგენილებათა საგნად. სავალდებულო დადგენილება იგივე კანონია, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ადგილობრივი კანონია, და ამიტომ ავტონომიური კანონმდე-

ბლობა რაოდენადმე საექვო შინაარსის სიტყვად გვეჩვენება; მით უმეტეს პრობლემატიურია მოსკოველთა ავტონომია, რომ საიმპერიო ძირითად კანონის ყველა დადგენილება იმოქმედებს აგრეთვე ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზე.

მოსკოვის კრებაზე წამოყენებულ საკითხებს ავტონომიების შესახებ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ და არა თეორიული ან პრინციპიალური. ეს ძალიან კარგად გვესმის და სწორედ ამიტომ აღვნიშნოთ, რომ, როგორც მოსკოვის კრების დადგენილებათა განხილვიდამ სჩანს, საერობო და საქალაქო მოღვაწეებს პრაქტიკულად საქმის მოწყობა კი არა, პრინციპების გამოთქმა სდომებიათ. პრინციპები ავტონომიების და ფედერაციის შესახებ დიდი ხანია წამოყენებულია გაცილებით უფრო ძლიერის ავტორიტეტებისაგან, ვიდრე რუსეთის საერობო და საქალაქო მოღვაწეები არიან, და ამიტომ იმათ იმდენად პრინციპებით არ უნდა შეეწუხებინათ თავი, რამდენადაც ამ პრინციპების განსახორციელებლად გზების გამოძებნით.

ჩვენ მუხლ-მუხლად გავარჩიეთ მოსკოვის კრების დადგენილება ეროვნულ უფლებათა და დეცენტრალიზაციის შესახებ, დავინახეთ, რომ ამ დადგენილებებში ბევრი მომხიბვლელი სიტყვაა ჩართული, მაგრამ ნაკლებად ეტყობა პრაქტიკულ მოღვაწეობის ელფერი, ვნახეთ აგრეთვე, რომ ხშირად პირველის შეხედვით ფართო ჰორიზონტების გამშლელი სიტყვები ნამდვილად არაფერს საიმედოს და სანუგეშოს არ წარმოადგენენ, და დასასრულ არ შეგვიძლიან არ მოვიგონოთ გაზეთის „სინ ოტჩესტვას“ აზრი, საერობო მოღვაწეებმა უკვე ერთის წლის წინად მიაღწიეს თავის განვითარების უმაღლესს წერტილს, რადგან იმ დროს ისინი საქმეს აკეთებდნენ, ეხლა კი მხოლოდ სიტყვებს ამბობენო.

თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებლებმა გასულ სამოსწავლო წლის მიწურულში ენერჯიულად წამოაყენეს წინ სკოლის რეორგანიზაციის საკითხი. როგორც ვიცით, წინად ამ სკოლას ერთად ერთ ეროვნულ დაწესებუ-

ლებას უწოდებდნენ და კრიტიკულის თვალთ იმის კედლებში დამწყვდეულ ქართველ ახალგაზრდობის აღზრდის და განათლების საქმეს არაფერ არ უყურებდა. სკოლის მასწავლებლები გაკანდიერდნენ, პირველად დაარღვიეს სიჩუმე და პირველად მოიხადეს პირბადე. მრავალი მოუწყობლობა, არა ნორმალური წესები და საექვო ავადმყოფობა გამოჩნდა; წამლობა აუცილებელი შეიქმნა.

მასწავლებლებმა გაზაფხულზე მთელი თავისი გულისყური სკოლის საორგანიზაციო მხარეს მიაპყრეს, გატაცებული და აფრთოვნებული იცავდნენ პედაგოგიურ საბჭოს სრულს ავტონომიას ანუ დამოუკიდებლობას, ხოლო სასწავლო ნაწილზე მარტო ოდენ გაკვრით ლაპარაკობდნენ. თავის დროზედ ჩვენ აღვნიშნეთ ეს ცალმხრივობა, რომელიც აღმოაცენა სკოლის ცხოვრებაში დამყარებულმა დესპოტიზმმა; მასწავლებლებს რომ უფრო ფართოდ დეყენებინოდ საკითხი და საორგანიზაციო ნაწილთან ერთად სასწავლო ნაწილიც წამოეყენებინათ წინ, ჩვენის აზრით ეს უფრო შესაფერი იქნებოდა დღევანდელის პირობებისა. სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა.

იენისის კრებები მეტად გაქიანურდნენ, მეტად გაგრძელდნენ, თითქმის მთელი თვე მოანდომა სკოლის საზოგადოებამ მასწავლებელთა პროექტის განხილვას; გრძელი კამათის შემდეგ, როგორც იყო საქმე დაბოლოვდა და გადასწდა, მიენიჭებინათ მასწავლებელთა კრებულისათვის სრული დამოუკიდებლობა ანუ ავტონომია. ჩვენ მაშინ ამ გარდაწყვეტილებას ნაადრევად ვთვლიდით, რადგან საჭიროდ მიგვაჩნდა, ამ რეფორმის შემოღებამდე საკითხის უფრო დინჯი და უფრო სერიოზული შესწავლა, ვიდრე მასწავლებლებისაგან სახელდახელოდ შედგენილი მოხსენება შეიცავდა, მაგრამ საზოგადოების დიდი უმრავლესობა სხვა აზრისა იყო.

თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიას იენისის კრებამ სრული ავტონომია მიანიჭა, მაგრამ იენისის კრებაზე მიღებული რეზოლიუცია ყინულზე დაწერილ სიტყვებად აღმოჩნდა.

სკოლის კომიტეტმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ივნისში მასწავლებლებს, ყოველი ღონე იხმარა მათის პროექტის უარსაყოფელად, რამდენჯერმე კრებები სრულიად დახურა, ბოლოს სამსახურიდგანაც გადადგა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა. კომიტეტის საბედნიეროდ, ზოგიერთმა კომიტეტის ახლად არჩეულმა წევრმა არჩევნების შემდეგ უარი განაცხადა თანამდებობაზე, ძველმა კომიტეტმა დროებით ისევ ხელში ჩაიგდო სკოლის მმართველობის საქმე და, რაც კრებაზე ვერ დაიცვა თეორიულის არგუმენტებით, ეხლა იმის დაცვას პრაქტიკულად შეუდგა. კომიტეტმა უარპყო ივნისის კრების დადგენილება, სავალდებულოდ არ ჩასთვალა იგი თავისთვის და რეფორმების შემოღების განხორციელება არ დაანება მასწავლებლებს.

მასწავლებლების და კომიტეტის შუა ურთიერთობა გამწვავდა; სკოლას რამდენიმე მასწავლებელი აკლდა, მაგრამ არავინ არ მიუწვევიათ, რადგან საპედაგოგო საბჭო კომიტეტს არ ანებებდა ამ უფლებას და კომიტეტი კი საბჭოს. საზოგადოების გადაწყვეტილება თითქოს ორთავე მოპირდაპირე მხარეს დაავიწყდა და გაიძარბა მათ შორის მოლაპარაკება საზოგადოებრივი ურთიერთობების შესახებ... საზოგადოება? იმისი დადგენილებაო? — იკითხავთ, მაგრამ როდის ყოფილა, რომ ქართველ ბურჯებს საზოგადოებისთვის ეგდოთ ყური, რომ ეხლა მიეღოთ იმისი გადაწყვეტილება სახელმძღვანელოდ? განა საზოგადოებაზე მეტი ცოდნა, გამჭირახობა, გამოცდილება და თვით აღზრდის საქმის სიყვარული არა აქვთ კომიტეტის წევრებს? განა ისინი უფრო საქმეში ჩახედულნი არ არიან? — ერთის სიტყვით, ჩვეულებრივი არგუმენტები ბიუროკრატიულის ოპიკისა მზადა ჰქონდათ კომიტეტის წევრებს თავის მოქმედების გასამართლებლად.

ზავი, როგორც იყო, შეიკრა. მაგრამ მოაწია ახლის კრების ვადა და საქმე ხელახლა აიწეწა. მასწავლებლები ამბობენ, კომიტეტისთვის იოტის ტოლი უფლებაც კი არ დაგვითმია ჩვენი ავტონომიიდანო, კომიტეტის წევრები პირი-

ქი ამტკიცებენ, არაფერი ავტონომია აღარ არის, საქმეებს ისევ ჩვენ ვაწარმოებთ, მასწავლებლებს კი მხოლოდ საშუალებას ვაძლევთ მონაწილეობა მიიღონ ჩვენს მუშაობაში. როგორც ყოველი პოლიტიკური ხელშეკრულება, კომიტეტისა და პედაგოგების სამშვიდობო ხავიც ისეთი აღმოჩნდა, რომლითაც თითოეული მხარე მეორის გაცრუებას სცდილობდა. სექტემბრის კრებაზე საზოგადოების არც ერთს წევრს არ მოუვიდა ჭკვაში კომიტეტის და მასწავლებლების შეთანხმება, კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტა ხანს შემდეგ განაცხადა, არაფერი შეთანხმება არ მომხდარა, ჩვენ მხოლოდ საქმის უკეთ მოწყობაზე ვზრუნავდით და ის, რასაც თქვენ შეთანხმებას უწოდებთ, მხოლოდ მოსაზრებაა, წინადადება, შეგიძლიან დაკანონოთ და შეგიძლიან კიდევ უარტყოთო.

ამ ნაირად, შემოდგომის საგანგებო კრებაზე სკოლის რეორგანიზაციის საკითხმა ხელახლა წამოაჭყო თავი. ბევრი მხურვალე სიტყვა წარმოითქვა იმის დასამტკიცებლად, რომ ივნისის გადაწყვეტილება უკანონო იყო, თუმცა არც ერთი ისეთი საბუთი არ უჩვენებიათ გაღალღებულ ორატორებს, რომელიც ივნისის კრებაზე არ ყოფილიყო წამოყენებული და უმნიშვნელოდ ცნობილი. მაგრამ ხომ მოგვხსენებათ, ქარი მუდამ ერთ მხარეზე არ უბერავს, ხან აღმოსავლეთიდან ჰქრის და ხან დასავლეთიდან.

ყოველ რეფორმის ბუნებრივი შედეგი რეაქციაა. წინანდელის წესების დამცველნი ფარხმალს არა სდებენ რეფორმების დაკანონების შემდეგ, პირიქით გამწარებული აგროვებენ თავის ძალას და საიერიშოდ ემზადებიან. აი სწორედ ასეთი რეაქციონური კომპანია დაიწყო უკანასკნელს კრებაზე; იერიში მეტად მედგარი გამოდგა, ჯარი კარგად იყო გაწვრთნილი და კრებამ დაადგინა, გააუქმოს ივნისის გადაწყვეტილება, ხოლო სკოლის რეორგანიზაციის გეგმის შესადგენად არჩეულ იქმნას განსაკუთრებითი კომისია.

რას მოგვიტანს ეს ახალი კომისია, რა სიბრძნეს გამოიჩინს და რა გეგმას წარუდგენს კრებას — ამას მაისში ვნახავთ,

მაგრამ სკოლის საქმეები კი ეხლა გაცილებით მეტად არის აწეწილ-დაწეწილი ვიდრე უკანასკნელ კრებამდე. თუ ივნისის გადაწყვეტილებას კომიტეტი არ დაემორჩილა, ამბობენ — ეხლანდელს გადაწყვეტილებას საპედაგოგო საბჭო არ ემორჩილება, დაუყოვნებლივ თხოულობს დამოუკიდებლობას კომიტეტისაგან, რომელმაც ორში ერთი უნდა აირჩიოს: ან დროებით დახუროს სკოლა და ან დროებით დააკმაყოფილოს მასწავლებლები. ამბობენ აგრეთვე, კომიტეტს აზრად აქვს, ინსტრუქცია შეადგინოს საპედაგოგო საბჭოსთვის და ამ ინსტრუქციის ძალით მიანიჭოს მასწავლებლებს ავტონომიური თვითმმართველობაო. საკვირველი ამბები ხდება, საზოგადოება კრებებზე ვითომ საქმეებს სწყვეტს, ვითომ სკოლის სადავო საკითხებს არკვევს, მაგრამ იმის გადაწყვეტილებას რეალური მნიშვნელობა არა აქვს, კომიტეტი და საპედაგოგო საბჭო კრების დადგენილებებში მხოლოდ ერთი ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ბრძოლის იარაღს ჰხედავენ და სავალდებულოდ არ მიიჩნეა პირდაპირ დაემორჩილნენ იმას. ასე იცის დესპოტიზმმა, რომელიც ძნელი ამოსადგებია ცხოვრებიდან, თუ კი ერთი ფეხი მოიკიდა სადმე და გამაგრდა.

ბ. ნ.